

პოეზია

ირაკლი კაკაბაძე
ლექსეზი

*
არ ვიცი
რამ მაქცია არარსებულ,
მტვრადქცეულ
ჰიროშიმად,
ადევნებული ოცნებებს და
უტკბილეს სიზმრებს –
როგორც ღვთისმშობლის ღიმილს.
და ძმის ჩუმმა ძახილმა შემაკრთო,
და თანაც მაშინ
სიჩუმის ამწვანებულ ბუჩქნარებს
ვყნოსავდი.
რამ მაქცია მტვრადქცეულ
ჰიროშიმად?..

ჩვენ უკან

*1969 წელს, პრალაში საბჭოთა ოკუპაციისადმი
პროტესტის ნიშნად თავი დაიწვეს სტუდენტებმა
იან პალახმა და იან ზაიცმა.*

ნუ ითხოვთ ღიმილს,
უცხოს, რომელსაც ჩვენს სახეებზე
არასოდეს არ უცხოვრია.
ნურც სიტყვებს –
ყველა სიტყვა გაძარცულია,
ყველა სიტყვამ დაკარგა აზრი.
ჩვენ მხოლოდ ვმღერით
სიყვარულსა და სამშობლოზე
ან სამშობლოსა და სიყვარულისთვის
თავგანწირულ გმირებზე,
სკოლაში ნასწავლ სიმღერებს.
ვმღერით გმირებზე,
რომელთა მომღიმარ პორტრეტებში
ჩაახრჩვეს ლალი ბავშვობა და
ყველა ოცნება ხვალისდელი დღის.
ჩვენი სიმღერა ყველაფერს ფარავს,
დაფრინავს სიცრუის ჭაობის თავზე,
რომელსაც მშობელთა ფურთხივით
ცეცხლი და გოგირდი ურევია.
ნუ გვიხმობთ,
ნუ გვეძახით,
შინ არასოდეს არ დავბრუნდებით,
ვერ გამოვაგნებთ
ამ ღამეებს,
ამ სიბნელებს,

რომელთაგან თავს ვეღარ ვიხსნით.
ნუღარ გვიხმობთ,
ნუღარ გვეძახით,
თქვენსკენ, უკან არაფერია –
ალარც ბავშვობა,
ალარც ფრთები,
ალარც ჰაერი,
უკან მხოლოდ უკუნეთია.
ვეღარ ვხედავთ ძველი პრალის
ვეღარც ტაძრებს,
ვეღარც გუმბათებს,
ალარც ჯვრები,
ალარც ხატები,
უკან,
ჩვენს უკან –
არაფერია.
აზრი დაკარგა ყველა ძახილმა,
ყველა ლექსმა,
ყველა კვილიმა,
ცეცხლად ვიქეციოთ,
ფერფლი ვართ უქვე და
არაფერი!
და მოვა წვიმაც –
გადარეცხავს ამ ქვაფენილებს.

ბაიბა ახალაიას

როცა მოვალ ბოშების სიმღერასავით
და დარდში ჩაგინებებით ჩემი
გრამატიკით,
ცხოვრების გრამატიკის
გათელვით და უარყოფით –
თქვენ ქოლგებით ხელში და
წვიმისა და გაზაფხულის
მომლოდინე სამშობლოთი,
ისევ ძველ გზებს გაუყვებით
და წარსულის ბრჭყვიალა მითებს
არ უღალატებთ...

ყოფითი გეოლოგია

თავს ზევით დეკემბრის ქარი
ხმაურობს.
ბადეგაშლილი მოციქულივით
ვდგავარ ორმოში.



ირაკლი კაკაბაძე დაიბადა 1982 წლის 17 ნოემბერს.

2000 წლიდან იბეჭდება ლიტერატურულ პერიოდიკაში: „24 საათი – ნიგნები“, „ჩვენი მწერლობა“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ალტერნატივა“, „აფრა“.

2010 წელს გამოიცა მისი ლექსების კრებული „წერილები და მავთულხლართები“ (გამომცემლობა „კავკასიური სახლი“).



მინას ვთხრი შიშველი ხელებით.
 სარკმელს ვჭრი მინაში,
 ამოსაგმანს, ამოსავსებს,
 მინადასაყრელს.
 სადაც ვერც ქალების მოთქმა
 ჩამოაღწევს და
 ვერც საკმევლის სურნელი და
 საკურთხის სუნი.
 თოვს.
 თოვლი ანათებს ამოზურცულ
 სასაფლაოებს.
 სასაფლაოები მინის ძუძუებია და
 ვიჭერ სიტყვებს ღამის
 გაუგებრობიდან,
 ვმღერი მამის სიმღერას –
 გვამსა,
 გვამსა,
 გვამსა ჩემსა...
 თან ვთხრი,
 თან სიცივეს სიმღერით ვატყუებ.
 დასამარხი უნდა დამარხო.
 არ უნდა გახრწნა,
 არ უნდა ააყროლო.
 შენვე უნდა კლავედე,
 შენვე უნდა უთხრიდე,
 შენვე უნდა მარხავდე.
 არ არსებობს სიქველე ამაზე დიდი,
 ამაზე მალლა ჩიტიც ვერ დაფრინავს,
 ამაზე მალლა მხოლოდ სამოთხეა,
 ღრუბლებიდან შორს და
 ისიც სიზმარ-წარმოდგენებში
 ამოზრდილი, აყვავებული.
 სადაც არც ერთი ქუჩა არ მიდის,
 სადაც ყველა მისამართი გამოგონილია.
 ვინც მეტი გასცა,
 რა მიიღო,
 რა დაუფასდა?
 ვინც სხვა იყო,
 სხვანაირი, თავისნაირი.
 სიკეთისკენ გადახრილი,
 სიყვარულისთვის მოწოდებული.
 ვინც ყველაფერი თავის
 თავში არ აიზილა,
 ისე, თავიდანაც იყო ქაოსი, ეს მერე
 გაჩნდა სინათლე.
 ვინც არც ღრუბელს გავდა

და არც მინას.
 ვისაც არ უნდოდა ცრუ
 სამოთხე-წარმოსახული,
 აქ უნდოდა,
 სადაც იყო, სადაც ცხოვრობდა.
 აქ ჭირდებოდა მოწყალე და
 სამართლიანი,
 ამ მზისქვეშეთში –
 თორემ, იქ ისედაც ყველაფერი
 თეთრია და
 ყველა ანგელოზია.
 ვისაც ტალღისა და ნაპირისა ერჩივნა,
 სიტყვაც, საქმეცა და სიყვარულიც,
 არ უნდოდა ეს ოღრო-ჩოღრო
 თეოლოგია.
 ეს ჩემიც ყოველთვის შინ ასეთ
 ამინდში ბრუნდებოდა,
 ქარი ტანზე რომ იხვევს და იღნობს
 ფიფქებს.
 კუნაპეტ ღამეში,
 თვალახელილი გზას რომ ვერ
 გაიგნებ.
 მოდიოდა პერანგის აწეული
 საყელოთი,
 უმეტესად თეთრით.
 და საყელო იყო მასზე მტკიცეც,
 მასზე ამაყიც!
 ისიც ჩემსავით მამამისის სიმღერას
 მღეროდა –
 გვამსა,
 გვამსა,
 გვამსა,
 გვამსა,
 გვამსა ჩემსა...
 მერე ყველანი ცხედართან ვიდექით.
 გამოვალაგეთ დამტვერილი ხატები.
 გადავაფარეთ ყველაფერს ფარდები,
 რაც კი რამეს აირეკლავდა.
 ყველა ღუმდა.
 ყველა საკუთარი სიჩუმიდან
 იყურებოდა.
 გარეთ და შინაც დეკემბერი იდგა,
 ქარიანი.
 მე მქონდა იმედი,
 ოჯახს აუცილებლად დაუბრუნდებოდა
 ბოზებში წასული მამა.

**ირმა შიოლაშვილი
ლექსაზი**

პოეტი

სულ მატყუებდნენ:

თუ ანონი სიტყვებს, გრძნობებს, წარსულის ცეცხლს,
ოღონდ ისე, რომ არც ხელი დასწვა,
არც მწვადი და არც შამფური –
გადარჩებიო.

მჯეროდა, სანამ სხეულიდან კვამლის სურნელს ამომიღებდნენ.

სულ ეშინოდათ მშობლებს, შვილებს, შეყვარებულებს
თვალები არ გამეხილა უდროო დროს –
შუალამისას –
და ჩინი არ წართმეოდათ წამწამების ლამაზ ჩინოსნებს.
ეშინოდათ, სანამ ღამე აღმომაჩენდა.

ვიცოდი, თუ რა გემო ჰქონდა ტკბილ მორჩილებას –
დილაობით, საძინებლის კართან ატუზულს –
ცხელი ყავის ფინჯნით ხელში, –
ქმრის მზერით და სიყვარულით შაქარშენადნობს;
ვიცოდი, მაგრამ ურჩი მზერა დავიმეგობრე.

სულ ეშინოდა ჩემს ცხოვრებას – არ მეღალატა
დილის სუსხისთვის, ყვავილისთვის, გაზაფხულისთვის –
მაინც წავედი.

სიყვარულის ახსნა

დიდი ხანია, სამი რამე კარგად გამომდის:
წერა, ტკივილში შეყუჟვა და გრძელი დუმილით
დამორჩილება შენი ღრმა და ლურჯი თვალებს;
დიდი ხანია, რაც მიწოდებ პირველ ნახევარს
და გებრალები. და ხანდახან არც გებრალები
როცა ვცდილობ, რომ მზარეულის როლი მოვირგო
და დავწვა ტაფა, ანდა კვერცხი, ანდა წავიდე
აღელვებული სასეირნოდ, რადგან გავწვილდი
და შენი გრძელი მოლოდინის ცოდვა დავიდე.
დიდი ხანია, აკვირდები, როგორ მეშლება
ბაგიდან ლექსი და თავიდან თმების თავშალი
და თვალებიდან გრძელი სევდა როგორ ეშვება
მრგვალი მინისკენ, რომ ბალახის სუნი წაშალოს
და გითხრას, როგორ ვარჯიშობდა მთელი ცხოვრება
რომ ყოფილიყო თეთრი მინა – შენი ნაწილი,
როგორი თმენით მოელოდა გამეორებას
ამ სამყაროში – ხანდახან რომ ასე აწბილებს.



ირმა შიოლაშვილი დაიბადა 1974 წლის 29 მარტს დედოფლისწყაროს რაიონში. 1991 წელს დაამთავრა დედოფლისწყაროს პირველი საშუალო სკოლა, 1996 წელს – თსუ უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 1999-2005 წლებში სწავლობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა და ბონის ფრიდრიხ ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტის შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის (კომპარატივისტიკის) კათედრაზე ასპირანტურაში.

2005 წელს ლიტერატურის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ქართული და გერმანული პოლიტიკური ლირიკა“.

1993-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის ლიტერატურული პროგრამების მთავარ რედაქციისაში, ასევე შემოქმედებით გაერთიანება „კავკასიაში“ (პროგრამა „ცხრიდან-თორმეტამდე“) მიჰყავდა რუბრიკა ქართულ მწერლობაზე.

2002-2004 წლებში მუშაობდა დილის საინფორმაციო პროგრამა „ალიონის“ სპეციალურ კორესპონდენტად გერმანიაში.

1999 წლიდან ქ. ბონის რეგიონალური რადიოს (Radio Bonn/Rhein-Sieg) ეთერისთვის ამზადებს გადაცემებს ქართულ კულტურაზე.

გამოცემული ნიგნები: „არარსებული სიტყვა“ (1992), „მოლურჯო თალი“ (1996, ქართულ-რუსული გამოცემა), „ცრემლის ნაფეხური“ (2002), „ფოთლების ხიდი“ (2009).

ლექსები თარგმნილია რუსულ და გერმანულ ენებზე.

არის საქართველოს მწერალთა კავშირისა და ევროპულ მწერალთა გაერთიანება „კოგეს“ წევრი.

ფოტოლი მანც გაგვატანეთ ამ სამყაროდან

(დროის მონოლოგი)



თითონვე მთავრდებიან დღეებში ჩათესილი
(თითებით ჩათესილი)
დროის აჩრდილები,
თითონვე ისამართლებენ თავს,
თითონვე იხვევენ მხრებზე
შელამების სიკვდილებს,
ჩაიმუხლებენ,
ხელებს მიწაზე დააწყობენ და
გედებივით ამღერდებიან:

„სანამ თავს დავამთავრებდეთ,
სანამ უკანვე გაჩუქებდეთ წუთებს, რომელთაც
წრესავით არ აქვთ, თავი, ბოლო და სამართალი,
ფოტოლი მანც გაგვატანეთ ამ სამყაროდან...
....

უკვე ვისწავლეთ, როგორ განყდა, როგორ გაორდა
სიცოცხლე, მზერა, სუნთქვის ჩრდილი, წამი – კბილებით
რომ უნდა შეძლო და გეჭიროს, რადგან წყაროდან
მოტანილ წვეთებს გზის ბოლომდე გაანბილებენ
დღეები, – ასე რომ ჰგონიათ – ბალახებს ჰგვანან
(და ფოთლის სევდას ბალახისფერ მზერას ახვევენ).
ჩვენ მხოლოდ ფოთლის ფერი გვინდა – „მაგრამად“, „განად“,
რომ დარდობს ამ ჩვენს საღამოს და წარსულს ახველებს“.

ბოლო წერტილი

სანამდე წავალ,
სანამ ადუღებული სისხლიდან ამოზრდილი
სურვილები შემომხვევენ
განბილების მკაცრ სინამდვილეს,
მომეცი უფლება,
უბრალოდ მოგეყრდნო.

....

რთულია ცხოვრება, ვიცი რომ მისურვებ
მდულარე სიცოცხლეს ყოველდღე ვბედავდე,
შემახე ბაგეზე ცრემლების სისველე
და მაპატიე, რომ ვერასდროს გხედავდი
ამ შებინდებამდე... ვერასდროს შევძელი
შელებილ კერპებთან მოთქმა და ხმაური
და ვერ დავიჯერე, რომ სულის ენძელებს
ენება ფესვები, როდესაც აურევს
მიწა ერთმანეთში სიკვდილს და მარცვლების
მომავალ სიცოცხლეს... როდესაც წამიან
ბალახთან დაფენილ მზეს დაენაცვლება
ბინდი და მეტყვის რომ სიცოცხლე წამია...

....

და მეც ჩამოვჯდები სისხლიდან ამოზრდილ
ყველა განბილების მკაცრ სინამდვილესთან
და გეტყვი: მომეცი უფლება, მოგეყრდნო.

კლდის მონოლოგი

ჩემი ზურგია სისხლიანი
და ხერხემლიდან ამოზრდილი მოუთმენლობა
თვალებით კვეთავს სინანულით დაღვარჭნილ კისერს.
შევჩერებივარ მოფრიალე ნისლის ნაწნავებს
და მარტობას აუხდენელ სურვილით ვივსებ.
ერთ დროს თავადვე ავიკრძალე, რომ ხელებიდან
ამომეზარდა სიყვარულის ლამაზი ვარდი
და, ახლა, ზურგის სისხლიანი ლაქები მამხელს
რომ ფესვიცა ცაზრდილ დანაშაულს ძალიან ვდარდობ.

და ნისლის თეთრი ნაწნავები სურვილებს კვეთავს.

მარტის ზღაპარი

იოახიმს


....
ისეთი ვნებით ველოდები წელსაც გაზაფხულს,
სიცოცხლედ ვწვეთავ,
როგორც მაშინ, –
როცა შენი ნაბიჯების გაგონებისას
კიბეზე გულის მზეს გიფენდი,
კართან სიტყვის უცნაურ ღრუბელს
და ვნითლდებოდი –
როცა შენი ხშირი სუნთქვიდან
ამოზრდილ სურნელს მეცხრე ცაზე კვამლად აყვავდი.

....
დღესაც მზადა ვარ – შენი გულის ფესვთან აყვავდე,
გაჩუქო კიდევ ორი შვილი – ტყუპი თვალებით,
დრო წარსულიდან მომავლამდე სიტყვით გამყავდე
და თეთრ ღაწვებზე გამოყრილი ეჭვის ხალები
კანს ავაცალო, ხელუკუღმა ვესროლო ღამეს
და მერე გულზე დაგეხვიო სხივად ირიბად,
რომ სისხლში ჩაგრჩეს გაზაფხულის მდულარე წამი
აყვავებული შვილებად და ზღაპრის გმირებად.

....
შენს გრძელ ღამეში შემოვალ და ზღაპრად ჩაწვები
მარტის მომწვანო თვალებით და თეთრი ღაწვებით.



მხატვრული პროზა



ზაურ კალანდია

ახსიზაპი სასუამოღგომო განწყობილუბისათვის – 3

ჩიტის ქელეხი

დილაა, ქარი წანწალებს მშრალ ხიდზე, დეკემბრის სუსხი აქ უფრო იგრძნობა.

სამარშრუტო ტაქსიდან მეგობარ პოეტს მოვკარი თვალი.

დავაკვირდი, წუხანდელი ნაომარი, გადაშლილი სახე აქვს. არა, უფრო უარესი რაღაცა სჭირს, ტირის...

– გააჩერე!

იმხელაზე ვიყვირე, ისე მოულოდნელად დაამუხრუჭა მძღოლმაც, უკან მომავალი მანქანა კინალამ შემოგვასკდა. დანჯღრეული 06-ის მძღოლი ლამის გამოძვრა ფანჯრიდან და ერთი ლაზათიანად შემოგვიკურთხა...

ჩავხტი.

– გური, რა მოგივიდა, ბიჭო?!

მივევარდი.

– ნახე, გაყინულა...

გამონვდილ ხელისგულზე მკვდარი ჩიტი უსვენია... ორი ცერისტოლა კურცხალი ადგას თვალზე.

– სად იპოვე?

დაბნეული ვარ.

მკვდარი ჩიტი მინახავს, ალბათ, სად და როდის, ვერ ვიხსენებ. ისეთი ცხოვრებაა, ამ გადარბენა-გადმორბენაში, ცაში თუ მომიკრავს ჩიტისთვის თვალი და მორჩა... ა, შარი თუ გინდა, დაემშვიდობე შენს საქმიან დღის განრიგს, მწერალი.

– გაყინული ეგდო ხიდზე...

ამოისლოკინა გურიმ.

– მე მაინც ვფიქრობ, მანქანას შეეჯახა.

ეგ ვინდაა, ვერ ვცნობ, ჩემი მეგობრის გულშემატკივარია თუ ჩიტის ჭირისუფალი, ვერ ვხვდები.

– რა ბრძანეთ?

– მანქანას შეასკდებოდა.

– აბა! რა ვქნათ?

შიშით ვეკითხები, გამოსავალს ვეძებ.

– მიწას უნდა მივაბაროთ.

ამბობს უცნობი. რას ერჩი, გამომიყვანა მდგომარეობიდან.

– ნამო, ბალისკენ წავედეთ, – მკლავი გაუყარე მეგობარ პოეტს და „დედაენის“ ძეგლისკენ დავიძარი. – დროა, მიწას მივაბაროთ, ცოდლა...

რაღაც ჯობი გდია. მიწის მოსაჩხვერად გამოდგება-მეთქი, დავიხარე.

– არ გინდა, ძმაკაც, დანა მაქვსო, – ორპირიან ჯავყვას მიჩვენებს ტიპი.

ეს ვინ ოხერია, გავლიზიანდი.

შევედით ბაღში.

გაზონის რბილი, ნაყვავილარი მიწა მოჩიქნა იმან და ჩავფალით.

– ისე, რომ ვიცოდე, არსებობს „ფრინველთა დაცვის საზოგადოება“ საქართველოში, კაცი არ ვიყო, სამკაცციან ქელეხს მაინც ვაკისრებინებდი. – წელში გავსწორდი, ხელები დავიფერთხე.

– უამისოდ არ გამოვა... ისედაც კარგა ხანია არ გვინახავს ერთმანეთით, ასკვნის მთავარი ჭირისუფალი და ცრემლს სახელოთი ინმენდს.

ეხ, ჩათრევას ჩაყოლა ჯობს... კოლმეურნეობის მოედნისკენ დავიძარი სამივენი მძიმე ნაბიჯებით. მოვძებნეთ მყუდრო, იაფფასიანი სარდაფი.

– პოეტები მაინც მაგრები ხართ, ძმაო.

ვცადაე გახუმრება.

– შენც ლექსებით არ დაიწყე?

არ შემარჩინა გურიმ.

– რა მერე, რომ დავიწყე...

– შენც წერამ, ძმაკაც?...

ეს კაცი უკვე მაგიუებს.

– ვწერამ, რა...

...

ის დღე მშვიდობიანად გადავაგორეთ.

ბევრი არაფერი, ოცდაშვიდი ლარი დაჯდა მშრალ ხიდზე გაყინული ჩიტის ალაპი.

ფრიდონი ჯარიდან ჩამოვიდა

მეღვიძება...
 კარზე საშინელი ბრახუნი მეორდება.
 ჯერ არ გათენებულა, ვინ უნდა იყოს ასე ადრე.
 ვდგები, კარს ვაღებ.
 უცნობი ჯარისკაცი დგას.
 – ვერიკო ბებია ცოცხალიაო. – მე-კითხება.
 ვა, ვინაა ეს სულელი, მიკვირს, – ცოცხალი კია, მაგრამ ძინავს, – ვლუ-დღუნებ.
 – ფრიდონი ვარ, თქვენი მეზობელი, ლესელიძის ქუჩიდანო.
 მთლად დავიბენი. ფრიდონი არ მეცნობა, ლესელიძის ქუჩა კი მახსოვს, სადღაც ჩვენკენაა.
 – მობრძანდით.
 კარს ფართოდ ვაღებ.
 დედაც ადგა, საწოლი ოთახიდან გამოვიდა. ვერც დედა ხვდება, ვინ არის, თუმცა დაფაცურდა, ახლობელივით მიეგება.
 თურმე რა ყოფილა:
 ზუსტად ორიოდ ნლის წინათ ლესელიძის ქუჩის ახალგაზრდებს გამოუვლიათ ჩვენს ჭიშკართან – ჯარში მიდიოდა თურმე ერთ-ერთი.
 გახურებული ცეკვა-თამაში აქვთ.
 დედაჩემი ჭიშკართან მჯდარა.
 – რა ხდებაო, – უკითხავს.
 – ფრიდონი ჯარში მიდისო.
 – აბა, ფრიდონიო, – დაინტერესებულა.
 – მე ვარ, ბებიაო, – გამოეჯგბა მო-

მავალი ჯარისკაცი.
 – ერთი წუთით დამელოდე, ბებო, – თხოვა დედამ. შევარდა შინ, უმალ გამობრუნდა და ჯარში მიმავალს წითელი თუმნიანი ჩაუკუჭა ჯიბეში.
 – კი მაგრამ, რატომ წუხდებიო, – გაჰკვირვებია ფრიდონს.
 – რა ვიცი, ბებო, იქნებ მობრუნებულზე ცოცხალი აღარ დაგვხვდეს და ჩემს სახელზე ჭიქას ნაუქციე სადმეო.
 – რას ჰქვია, არ დამხვდეთო.
 ეწყინა ბიჭს.
 – მაშინ, რომ მობრუნდები, ჩემი ჭიშკარი ხომ უნდა ჩაიარო... ვერიკო ბებია, ცოცხალი ხარო, შემომძახეო.
 და... ფრინდონმაც თხოვნა შეუსრულა... ჯერ სახლშიც არ მისულა...
 – გვერდი ვერ ავუარე, სიტყვა მქონდა მიცემულიო, – ალაღად იღიმება ბიჭი.
 ამდენ ხანში მე ღვინო გადმოვასხი. დედაც დამეხმარა, რაღაც-რაღაცები მოვიძიეთ და პატარა, ორკაციანი სუფრა გავშალეთ ბუხრის პირას.
 ფრიდონი უარზეა, შინ მეპატიჟება. მე ჩემსას ვიძახი, მოსვლა შენი ნება იყო, ნასვლა ჩემია-მეთქი.
 ამ ჭიდილ-ჭიდილში ორი მოზრდილი დოქი გამოვცალეთ.
 ჭიშკარს გადავაცილეთ ფრიდონი. კმაყოფილი, ღიღინ-ღიღინით მიდის ლესელიძის ქუჩისკენ.
 დედაც კმაყოფილი ჩანს, მეც.

ჩვენი ირაკლი

რუსთაველზე, პირველი სკოლის წინ, ბადრი ჭოხონელიძეს შევხვდი. კარგა ხანი არ გვენახა ერთმანეთი და ხალხმრავალ ტროტუარს მოვერიდეთ, ზევით ილია-აკაკის ძეგლისკენ ავიწიეთ, ვსაუბრობთ.
 – ჩვენი ირაკლი გამოჩნდაო, – ბადრიმ.
 პროსპექტს თავისებურად მოარღვევს პოეტი, როგორც ბადრიმ აღნიშნა – ჩვენი ძმა ირაკლი ბაზაძე. ახალი ჭორები ეცოდინებო, იღიმება ბადრი და შორიდან ხელს უწევს.
 – აბა, საინტერესო ჭორები იცის

ირაკლიმ, – ვუდასტურებ მეც.
 პოეტმა გადმოუხვია ჩვენკენ, ბადრი გადაკოცნა, მე მისაყვედურა – გუშინ სად გამეპარეო. დავიბენი, სად გავეპარე, ვიყავით თუ არა გუშინ ერთად, იმასაც ვერ ვიხსენებ, დამნაშავესავით ვუღიმიე კი.
 ვინ გაცლის ლაპარაკს. ვილაც უცნობი მოგვდგომია, ვერ ვხვდები, რა უნდა.
 პატარა, შავ-შავი ტიპია, რაღაც უფერულ ბერეტში ცალი თვალი აქვს მოყოლილი.
 ირაკლიმ: შენა ხარო, გადაეხვია,


კოსმოპოლიტიზმი
ასხნილი და განმარტებული ვაჟა-ფშაველასა და მიგელ დე უნამუნოს მიერ

„ადამიანის ფიქრის ერთი საქე-ბური თვისება – მოვლენათა მიზეზის ძიება, როცა ადამიანი კითხულობს: „რად? რისთვის? საიდან და როგორ? ეს ნიშანია ადამიანის კეთილგონიერებისა. სწორედ ამისთანა ფიქრების ბრალია კაცობრიობის წინსვლა“.

ვაჟა-ფშაველას მიერ წამოჭრილი ეს კითხვები გარკვეულ დროს გარკვეული სიმწვავეთ დგება და პასუხსაც გარკვეულს მოითხოვს, თუმცა პასუხი ხშირად სადავო-საკამათო ხდება და ილიასეულ „ჰოსა“ და „არას“ ჭიდილად წარმოგვიდგება.

სწორედ ჰოს და არას ჭიდილად გვესახება ვაჟა-ფშაველას წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ და ესპანელი მწერლის, ფილოსოფოსისა და ეროვნული მოღვაწის მიგელ დე უნამუნოს ესე „ხელოვნება და კოსმოპოლიტიზმი“, თუმცა ეს „ჭიდილი“ გრძელდება მთელ მათ შემოქმედებაში, დედაბოძია მათი მოღვაწეობისა, ნიშანია მათი პიროვნებისა. ამისთვის უთქვამს უნამუნოს – „რაც ხდება ეთიკის სფეროში, იგივე ხდება ესთეტიკის სფეროში, რაც ხდება ინდივიდში, იგივე ხდება ხალხში“. – უნამუნოს ეს სიტყვები ერთგვარ გამომწვევადაც აღიქმება და ამავე დროს კარგი საბაბიცაა შესიტყვებისა თუ გაბაასებისთვის ერთი მეტად მტკივნეულ პრობლემის გარშემო, რასაც თითქმის ერთდროულად ჩაუგდია საგონებელში ერთის მხრივ პირენეის იბერიის, მეორეს მხრივ კავკასიის იბერიის გულმემატიკივრები.

➔



მერე ჩვენ მოგვიბრუნდა – საფიჩხიელია, ჩემი უმცროსი ძმა, ჩემი გამოზრდილი, გვაცნობს და: სად დაიკარგე, არა გრცხვენიაო, – ტუქსავს, თან მხარზე მეგობრულად უბარტყუნებს ხელს.

– ეხ, რა გითხრა, ჩემო ირაკლი, – სხაპასხუპით ალაპარაკდა საფიჩხიელი, – შარშან, შემოდგომაზე სახლი დამენვა, ოთხმოცი წლის დედა მომიყვა შიგ... ორმოცი არ იყო გასული, ხიდან ჩამოვვარდი...

– რა გინდოდა ხეზეო, – ჩაურთო ირაკლიმ.

– ჯანდაბა! – გააგრძელა იმავე ტემპით, – ფეხი მოვიტეხე და ექვსი თვე „გიფსში“ მქონდა ჩაჭედილი... ახლა კიდევ უმცროსი ძმა – შაკო დამიჭირეს, ამიტომ ვარ ჩამოსული. არავინ მიკარებს, გიყს ვგავარო...

ირაკლი მის თავზემით იცქირება... შო, სალამოს მოზიმზიმე პროსპექტს რაღაც ინტერესით გაჰყურებს და, მეეჭვება, ამ კაცის ჩივილი ეყურებოდეს.

– რასაც კარგს გააკეთებ, კარგია, ძმაო, ბუნებაში არაფერი იკარგებაო, – მოძღვრავს ბრძნულად ირაკლი საფიჩხიელ ძმას.

გაოგნებული ტიპი სამივეს საეჭვოდ მოგვაჩერდა. მერე მოულოდნელად შებრუნდა და წამში დამეკარგა ხალხში შესამჩნევი კოჭლობით.

ბადრიმ თვალი ჩამიკრა, იცინის, ვერც მე ვიკავებ სიცილს.

– რა გაცინებთ, თქვენ ოხრებო, – უკვირს ირაკლის, ზემოდან დაჰყურებს პროსპექტს, ვინმე ნაცნობი არ გამომეპაროს უსალმოდ და უყურადღებოდ...

მოსიარულე ეკლესია

1988 წლის დეკემბერია.

მთავრობის სახლის წინ მიტინგები გრძელდება. როგორც კი გამოვნახავ დროს, აქეთ გამოვრბივარ. ახლაც მოვედი. ორმოცამდე ყმანვილი საშიმშილოდ დამჯდარა, ჭრელჭრულა ლეიბებით არის აქაურობა მოფენილი, პირდაპირ კიბეზე შლიან. რუსთაველზე მოძრაობა, რა თქმა უნდა, გადაკეტილია.

შელამდა: გვარიანად აცივდა, ფეხები მომეყინა, შინ მინდა. რომელიმე ლიდერი მაინც მენახა, რა გადანყვეტილება მიიღეს, გამეგო, მაგრამ რომ არ ჩანან. ქაშუეთთან სტუდენტი გოგონების წრეში ბათიაშვილის თეთრ კაშნეს მოვკარი თვალი და გამიქრა...

– სად მიდიხარ?

მომიტინგის ნაცნობ-უცნობმა სახემ მომაძახა, ჩემკენ დაიძრა.

– რა ვქნა, ორი დღეა ბავშვები არ მინახავს-მეთქი, – არ დაველოდე, ჯორჯიაშვილის ქუჩას დაუყევი, მანქანაში ჩავჯექი. ვიღაც შუახნის მამაკაცი მომვარდა, ლამის ძალით ჩამიტეს მანქანაში: თუ ძმა ხარ, „ნახალოვკაში“ წამიყვანე, სტუმარი კაცი ვარ, ქუთაისელიო, შემევედრა. სიტყვა „ქუთაისელმა“ ნამუსზე შემავლო,

დაბრძანდით-მეთქი, კარი უმაღლესად გაიღო.

მივდივართ...

დრო ბევრი გვაქვს, გავეცანით ერთმანეთს. მიშა მქვიაო. ახალი გამოსულია თურმე ციხიდან. მოგეცა ლხენა, ვაგინებთ ხელისუფლებას შეხმატკბილებულად. მიტინგზე ჩამოხვედი? – დავინტერესდი. ეხ, მიტინგებისთვის სად მცალია... მიტინგები თქვენი – თბილისელების საქმეა, ამისთვის დროც გაქვთ და ხალისიცო.

ცოტა ხანი ჩუმად ვართ. სიჩუმე ზედმეტად რომ გაიწელა, საუბრის სხვა ჭრილში გადაყვანა ვცადე – ჩემს ქუთაისელ ახლობლებს ვუხსენებ: პირველ-მეორეზე მაინცდამაინც დიდი რეაქცია არა აქვს, მესამეზე, – ოთარს, ძმაო, ვინ არ იცნობს, – მთელი კორპუსით ბრუნდება ჩემსკენ, – კაცი კი არა, მოსიარულე ეკლესიააო. ვიგრძენი, მეტი პატივისცემით განიმსჭვალა ჩემდამი, მე კიდევ ამ „მოსიარულე ეკლესიამ“ უცნაურად ამაღელვა.

როგორც იქნა, მოვძებნეთ ის ქუჩა ნაძალადევში, სადაც ჩემი მგზავრის სახლიკაცი ცხოვრობს. შინ მეპატიჟება – ძმის სახლია, მეზობლისა კი

არაო, მაგრამ წუხანდელ უძილობას ვიშველიებ, ვემშვიდობები.

მანქანა რომ დავძარი, მომადახა: ქუთაისში რომ ჩამოხვალ, საფიჩხიაზე მიკითხე, მეტი არაფერი გინდაო!

ქუთაისში ვარ. ერთი სული მაქვს, როდის მოუყვები ოთარს იმ კაცთან შეხვედრის ამბავს. სახელი მიშა ვუხსენე,

საფიჩხიაც, რანაირად არ აღვუნერე ის ტიპი, მაგრამ არაფერი გამომდის...

– ისე „მოსიარულე ეკლესია“ ოთარ მამფორიამ თქვა ოთარ სულაბერიძეზეო, – ამბობს დინჯად ჩემი მეგობარი მხატვარი ოთარ ქანდარია და თავისებურად, დიდსულოვნად დაიმორცხვებს.

საქეიფო ამინდი

გავალი მეგრულად ზარალს ნიშნავს.

ვინ დაარქვა და რატომ გავალს გავალი, ვერაფერს ვიტყვი, არადა, რომ ვიხსენებ, ყველაზე კეთილი და პირდაპირი კაცი იყო ჩვენს სანათესაოში.

გავალი მიყვება:

ახალგაზრდა კაცი ვარ, მეზობელი დაგვეღუპა, ღირსეული კაცი. დამიძახეს, გარდაცვლილის დის ოჯახს უნდა შეატყობინო სასწრაფოდ გაღმა სოფელშიო.

ის დროა, სადღაა მანქანა, ქალაქშიც ვერ იმოვი თავისუფლად. ცხენი მათხოვა ახლობელმა და გავექუსლე.

საშინელი ამინდია; ცა ფეხად ჩამოდის. მამაჩემის ძველი ნაბადი კი მოვისხი, ყაბალახითაც შევიბურე თავი, მაგრამ არ მშველის, გასაწური გავხდი.

სოფლის შესასვლელთან უახლოეს ადამიანს მოვკარი თვალი, ჩემს ქალს ბიძად ეკუთვნის. ახლახან სტუმრად მყავდა მთელი ოჯახით, ლამის გადავყევი, სიტბო არ დამიკლია და პურმარილი. საკუთარ ჭიშკართან დგას, დაგუბებულ წყალს ღარს აძლევს.

ვაიმე, – შევწუხდი, – თუ დამინახა, ჩამავლებს ხელს და სად გამიშვებს... როგორმე უნდა წავართვა თავი, ისეთ საქმეზე ვარ, ღალატი არ ეგების. იქნებ ისე გავსხლტე, არ შემამჩნიოს. ცხვირ-პირი ყაბალახით ავიკარი.

თავი წამოსწია, თოხსდაყრდნობილი მომაჩერდა, მიცნო, ჩემკენ დაიძრა.

– როგორ ხართ, ბატონო ვალიკო!

დავასწარი.

– შენა ხარ? რა ქარმა გადმოგაგდო აქეთ, გავალიო, უკვირს.

– ამდაგვარ საქმეზე ვარ, მოკეთე, ახლობელი-თქვა.

ვფიქრობ, აი, ახლა სტაცებს ცხენს აღვირზე, სახლისკენ უზამს პირს. არ დამღუპო, ვალიკო, თავი მომეჭრება სოფელში, ენის წვერზე მადგას სიტყვა.

– ვინ მოკვდა, არ იტყვიო?

– გეთიაა გვარად...

– საგეთიოდან იქნება.

– არა, ჩვენს სოფელში იყო ჩასიძებული, ნამეტანი პატიოსანი კაცი.

– კაი ერთი, – ვერ გაიგებ, წუხს თუ არ სჯერა, – კაი თუთუნი გაქვს შენ ყოველთვის.

– გადავავადე.

რომაც მქონდეს, ისეთ დღეში ვარ, ნიფხვიანად სველი ვარ.

– კაი გიქნია მაგი...

ცხენი ფიცხლად დავძარი.

– რა საქეიფო ამინდია, არა! – მომადახა, – ეს, ჩემო გავალი, დაგვსვა ახლა შენს ბუხართან... იფ-იფ... შენი კაი აღესა და კაი შაშხი ახლა... რას იტყვი?

შენს ბუხართანო, კაცო! – შემომყურებს და იკრიჭება, გაგიგიათ ასეთი რამ?! ცხენს აღვირი მოვქაჩე, – ჩემს ბუხარს რომ იხსენებ, შენი არა გაქვს, დაგექცა ოჯახი-თქო, მივაძახე და ვკარი ცხენს დეზი...

ა, ეცი ასეთ კაცს პატივი.



ვაჟა-ფშაველა:

ჩავიჭიდოთ ღრმად გულში ეს მცნება, საცა ვცხოვრობთ და რომელი ქვეყნის შვილიცა ვართ, რომელი ქვეყნის პურით, ღვინით, წყლით და ჰაერით ვსაზრდობთ, იმას ვარგოთ რამ, ვაკეთოთ იმის სასარგებლოდ ჩვენი ძალ-ღონის დაგვარად რაც-კი შეგვიძლიან, რომელი ასპარეზიც უნდა იყოს – ეკონომიკური, ზნეობრივი, პედაგოგიური, ლიტერატურული და სხვ. თუ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის ვიქნებით კარგნი, ჩვენს საკუთარს, შინაურს საქმეს წავიყვანთ კარგად, მაშინ მთელი კაცობრიობისთვისაც სარგებლიანი ვიქნებით, თუ არა და, ტყუილი მოცდენაა, ამოო შრომაა. ვინც იმას ამბობს კაცობრიობას უნდა ვარგოთ და ეს სარგებლობა ჯერ თავის ძმისთვის ვერ მოუტანია, თავის ქვეყნისთვის – რომლის ღვიძლი შვილია, რომლის ავი და კარგი ესმის და თუ არ ესმის თავის ვინაობის ავი და კარგი, ის სხვისას როგორ გაიგონებს და მამასადამე, ან რას არგებს...

მიგელ დე უნაემუნო:

განა დასაგმობი არ არის ყველა, ვინც თავის თავს სხვისი მიბაძვით ძერწავს, ვინც უარს ამბობს საკუთარ თავზე, რომ გახდეს სხვა, ანუ ის, ვინც მისაბაძად და სამაგალითოდ მიაჩნია, მაგრამ ვაი, რომ ასეთი კაცი აღარც თავისთავად რჩება და ვეღარც ის გახდება, ვინცაა ჰაბაძავს. არადა რატომღაც ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, – ბევრს მაინც, – საკუთარი სული გავიმრუდოთ გარეშეთა მიბაძვით, ქომაგი და მისაბაძი რომ გვგონია და ვცდილობთ როგორმე მივემსგავსოთ, მაგრამ არაფერი გამოგვდის, ვერც იმას ვემსგავსებით, ვისაც ვბაძავთ და ვეღარც თავისთავადნი ვრჩებით. აქედან კი იბადება შემზარავი სულის ნაჯვარი, თითქოს უნაყოფო ჰიბრიდი!

დრამატურგია



დათო ტურაშვილი

ჯამლეტი

გლდანის პრინცი

(მათთვის, ვისაც შექსპირის „ჯამლეტი“ უკვე ნაკითხული აქვს)

მოქმედი პირნი:

კლავდიუსი – თბილისის ერთ-ერთი რაიონის ახალი გამგებელი

ჯამლეტი – იმავე რაიონის ყოფილი გამგებლის ვაჟი

გერტრუდა – ჯამლეტის დედა

ჰორაციო – ჯამლეტის მეგობარი

ლაერტ პოლონიუსი – რაიონის გავლენიანი დეპუტატი და ადგილობრივი ბაზრობის მფლობელი

ოფელია – პოლონიუსის ასული

მარცელუსი და ბერნარდო – პატრულის თანამშრომლები

ზაური და გელა – პოლიციელთა კიდევ ერთი წყვილი

რეზოკაცი და რეზოქალი – რაიონული გამგეობის აქტივისტები

ჯამლეტის მამის აჩრდილი

მსახიობები

ახალი გამგებლის პირადი დაცვის წევრები

მესაფლავეები

სურათი პირველი

(პიესის მოქმედება იწყება ღამით, თანამედროვე თბილისის ერთ-ერთ რაიონში, სადაც საპატრულო წყვილმა, ეს-ესაა მორიგეობა გადააბარა შემცვლელ პოლიციელებს.

მეწყვილეებმა ბერნარდომ და მარცელუსმა შეცვალეს გელასა და ზაურის წყვილი და მორიგეობის ანგარიშს სწორედ მათ საპატრულო მანქანაში იბარებენ, რომელიც ავანსცენაზე დგას.

ზაური და გელა მანქანის წინა სავარძლებზე სხედან, ხოლო მარცელუსი და ბერნარდო მანქანის უკანა კარებს ენერგიულად გამოალებენ).

ზაური – მანქანა სად გააჩერეთ?

მარცელუსი – აქვე, თქვენს უკან.

ბელა – მადლობა რომ დროზე მოხვედით, უკვე ძალიან ცივა.

ბერნარდო – მშვიდობა იყო? ხომ არაფერი მომხდარა?

ზაური – თავგსაც კი არ გაურბენია.

ბელა – ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია უკვე წავიდეთ და თქვენ კი მშვიდობიან მორიგეობას გისურვებთ.

მარცელუსი – დიდი მადლობა, მაგრამ იქნებ სულ ცოტა ხანს კიდევ დარჩეთ, სანამ ჰორაციო მოვა.

ზაური – ჰორაციო ვინ არის?

მარცელუსი – ჩემი და ჯამლეტის უახლოესი მეგობარია.

ბერნარდო – ჯამლეტის მამის ამბავი რომ ვუთხარით, არაფრით დაგვიჯერა და ამიტომაც აქ დავიბარეთ, რომ ყველაფერი თავისი თვალთ ნახოს.

მარცელუსი – და მერე ჯამლეტსაც თვითონ მოუყვეს მამამისის ამბავი.

ბელა – მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ.

ზაური – ჩვენ რატომ უნდა დავრჩეთ?

მარცელუსი – თქვენც ხომ ნახეთ წინა მორიგეობის დროს ჯამლეტის გარდაცვლილი მამა?

ბერნარდო – თქვენც თუ იგივეს დაუდასტურებთ, რაც ჩვენ ვუთხარით, უფრო ადვილად დაგვიჯერებს...

მარცელუსი – აი უკვე მოვიდა.

(ბერნარდო და მარცელუსი მანქანიდან გადავლენ, ჰორაციოს ხელის ჩამორთმევით მიესალმებიან და მანქანაში მასთან ერთად დაბრუნდებიან. ჰორაციო მანქანის წინა სავარძელზე მსხდომ გელასა და ზაურსაც მიესალმება და მერე საუბარსაც თვითონვე დაიწყებს):

ჰორაციო – მითხრეს, რომ თქვენც გინახავთ ჩემი მეგობრის მამა, თუმცა ჩემთვის დაუჯერებელია, რომ ის კაცი, რომლის დაკრძალვასაც პირადად ვესწრებოდი, ქელებში კი სუფრის თავიკაცი ვიყავი, ღამ-ღამობით ქუჩაში დადის, ამიტომაც არ ვიჩქარე და ჯამლეტისთვის ჯერ არაფერი მითქვამს...

ბელ – მართლა ცოცხალს ჰგავდა? ზაური – აი, როგორც ახლა შენ გიყურებთ.

ბერნარდო – მეც და მარცელუსაც, ორივეს ერთად ხომ არ მოგვეჩვენებოდა?!

მარცელუსი – ჯამლეტს ჩვენც ვიცნობთ, მაგრამ შენზე ახლობელი მაგას არავინ არ ჰყავს და ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ ეს ამბავი ჯერ შენთვის გვეთქვა.

ბერნარდო – (ჰორაციოს) ვიცი, ძმაო, რომ ამ ამბავს შენ ცოტა ეჭვის თვლით უყურებ, მაგრამ რაც გუშინ ღამით ვნახეთ, იმას აგერ ჩემი მეწყვილე მარცელუსიც დამიდასტურებს...

მარცელუსი – (ანწყვტინებს) ჩუმა! მგონი ისევე გამოჩნდა!

ბერნარდო – მგონი ჩვენსკენ მოდის.

(ყველანი გადმოდიან მანქანიდან სახით დარბაზისკენ და განსაკუთრებით გაოგნებული და შეშინებული მაინც ჰორაციო).

ჰორაციო – მგონი კი არა, მართლა ის არის!

ზაური – თითქო გაჩერდა.

ბელ – დადგა და ჩვენ გვიყურებს.

ზაური – თითქო უნდა, რო ხმა გავცეთ.

მარცელუსი – (ჰორაციოს) უთხარი რამე, ჰორაციუს!

ჰორაციო – (აჩრდილს) მართლა ძალიან ჰგავხარ ჩემი მეგობრის გარდაცვლილ მამას და მინდა ვიცოდე, სინამდვილეში ვინ ხართ და აქ რას აკეთებთ?

მარცელუსი – მგონი რალაც ეწყინა.

ბერნარდო – ნავიდა?

მარცელუსი – გაჰქრა და ნავიდა.

ბერნარდო – (ჰორაციოს) ახლაც იტყვი, რომ მოგვეჩვენა?

ჰორაციო – ჩემი თვლით რომ არ მენახა, მაინც არ დავიჯერებდი, მა-

გრამ ეს რალაც ცუდის ნიშანი უნდა იყოს, როცა საფლავებიდან მკვდრები დგებიან.

ბელ – მგონი ისევე გამოჩნდა.

ზაური – ჰო, ეგ არი.

ჰორაციო – (აჩრდილს) თუ შეგიძლიათ, ხმა გაგვეცით და აგვისხენით რა ხდება!

(მარცელუსი იარაღს მოიმარჯვებს)

ბერნარდო – ისევე გაქრა.

მარცელუსი – მგონი უკვე თენდება.

ბელ – ეტყობა მაგიტომაც გაქრა, მკვდრები ხომ დღის სინათლეს ვერ უძლებენ!

ჰორაციო – იმის შესახებ, რაც აქ ვნახეთ, რაც შეიძლება მალე, ჯამლეტს უნდა შევატყობინოთ და იქნებ მის წინაშე მაინც ამოიდას ენა მამამისის აჩრდილმა.

(ყველანი მანქანაში სხდებიან და მანქანის დაქოქვის შემდეგ, სცენაზე სინათლე ქრება. ხოლო როცა სცენა ისევ განათდება, მყურებლები ავანსცენაზე, ოფელიასა და ჯამლეტს აღმოაჩენენ).

სურათი მეორე

ოფელია – გუშინაც გირეკავდი, მაგრამ ტელეფონი გამორთული გქონდა.

ჯამლეტი – მობილური დღეს ჩავრთე, არავის ნახვა არ მინდოდა.

ოფელია – არც ჩემი?

ჯამლეტი – ერთადერთი შენ მენატრებოდი.

ოფელია – მერე რატომ არ მირეკავდი?


ჯამლეტი – ძალიან ცუდად ვიყავი.

ოფელია – ისე ცუდად, რომ არც კი გინდოდა, რომ ერთხელ მაინც მოვსულიყავი და მენახე?

ჯამლეტი – ჯერ მამაჩემის სიკვდილის, მერე კი დედაჩემის საქციელის გამო, ძალიან ცუდად ვიყავი...

ოფელია – ქალბატონ გერტრუდასაც რამე შეემთხვა?

ჯამლეტი – დედაჩემმა ისეთი საშინელი ნაბიჯი გადადგა, რომ თავის



ვაჟა-ფშაველა:

...პატრიოტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მონიანე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისივე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

მივალ და უნაფსო:

დიახ, მე უნივერსალიზმს ვემხრობი, ოღონდ მდიდარსა და ყოვლის მომცველ უნივერსალიზმს, სხვაობათა მეტოქეობისა და შეჯახების შედეგად რომ იბადება. აქ, ქვემოთ, საორკესტრო ორმოში ოდენ საკრავთა შეუწყობელი ხმები ისმის, მაგრამ იქ, ზემოთ, ხელოვნების ზეცაზე ჰარმონიულ სიმფონიად აღწევს და მასში სწორედ ერებს, რელიგიებს, ენებსა და ქვეყნებს შეაქვთ თავიანთი ნოტები, თითოეული საკუთარ სიმს აუფერებს და ყოველ სიმს თავისი საკუთარი და განსაკუთრებული ჟღერადობა აქვს!



მოკვლასაც კი ვფიქრობდი.

ოფელია – მართლა ცუდად ყოფილხარ.

ჯამლიტი – ეკლესია რომ არ გვიკრძალავდეს, იქნებ ასეც მოვქცეულიყავი.

ოფელია – კი მაგრამ, ასეთი რა ჩაიდინა ქალბატონმა გერტრუდამ?

ჯამლიტი – ალბათ შენც გახსოვს, როგორ უყვარდა მამაჩემს დედაჩემი და როგორ პატივს სცემდა მას და მამაჩემის გარდაცვალებიდან კი მხოლოდ ერთი თვე იყო გასული...

ოფელია – (ანყვეტინებს) და უკვე გათხოვდა?

ჯამლიტი – (ნანყენი და გაკვირვებული) ოფელია...

ოფელია – ბოდიში.

ჯამლიტი – ასეთი დაუნდობელიც არ არის...

ოფელია – (ისევ ანყვეტინებს) მაპატიე.

ჯამლიტი – (აგრძელებს) მაგრამ რაც გააკეთა, ისიც საკმარისი ბოროტებაა იმის სათქმელად, რომ ქალი ზოგჯერ ნამდვილი არარაობაა!

ოფელია – იმედია ეს ყველა ქალს არ ეხება.

ჯამლიტი – შენც ხომ გახსოვს, რომ მამაჩემი ამ რაიონის გამგებელი იყო...

ოფელია – (კიდევ ერთხელ ანყვეტინებს) ისიც მახსოვს, რომ მამაშენი ჯანმრთელობას სულაც არ უჩიოდა.

ჯამლიტი – (ისევ აგრძელებს) დედაჩემი კი მამაჩემის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ ახალი გამგებლის მოადგილე გახდა...

ოფელია – თან ეს ახალი გამგებელიც ისე ჩქარა დანიშნეს, რომ ჯერ მამაშენის ორმოციც არ იყო გასული...

ჯამლიტი – ვიცი, რომ დედაჩემს თვითონ ქალაქის მერმა სთხოვა, რომ ახალი გამგებლის მოადგილეობაზე უარი არ ეთქვა, რადგან გენდერული ბალანსის დაცვა ევროსაბჭოს კატეგორიული მოთხოვნაა.

ოფელია – მაგრამ ახალი გამგებელი ხომ მამაშენს ჯერ კიდევ მაშინ ებრძოდა, როცა ის ცოცხალი იყო.

ჯამლიტი – და ეს დედაჩემმაც მშვენივრად იცოდა, როგორც ყველამ და მეც ამიტომ ვერ ამიხსნია დედაჩემის

მის საქციელი; ამიტომაც ვერ გამიგია, რატომ არ უნდა დედაჩემს მამაჩემის სიკვდილის ბოლომდე გამოძიება!

ოფელია – იქნებ მართლა თავისით გარდაიცვალა და ის ვერსია, რომ ვილაცხვებმა მოკლეს, მართლა ჭორია?

ჯამლიტი – მაგრამ ვილაცხვები ხომ მართლა ებრძოდნენ მას და განსაკუთრებით კი ახალი გამგებელი.

ოფელია – მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ადამიანები თავისითაც კვდებიან, მათ შორის ჯანმრთელებიც, როცა მათ მოულოდნელად გულის შეტევა ემართებათ.

ჯამლიტი – მაგრამ ჩვენი რაიონის ახალ გამგებელს ისე უნდოდა მამაჩემის ადგილის დაკავება, რომ ეჭვის საფუძველი ნამდვილად მაქვს.

ოფელია – შენ ამბობ, რომ...

(ოფელია ფრაზის დასრულებას ვერ მოასწრებს, რადგან კარზე ხმამაღლა დააკაკუნებენ და ჯამლეტიც კარს გამოაღებს. ოთახში ჰორაციო და მარცელუსი შემოვლენ).

ჰორაციო – ზარი აღარ მუშაობს?

მარცელუსი – გამარჯობათ.

ჰორაციო – ეს მარცელუსია, გაიცანი.

(ჯამლეტი სტუმრებს ხელს ჩამოართმევს)

ოფელია – (უხერხულად) მე ნავალ, სახლში უნდა მივიდე, მამაჩემი მელოდება.

(როცა ოფელიას გააცილებს, ჯამლეტი აჩქარებით შეეკითხება სტუმრებს მათი მოსვლის მიზეზს):

ჯამლიტი – ხომ მშვიდობაა?

ჰორაციო – პირდაპირ გეტყვი...

ჯამლიტი – მეც ეს მინდა.

ჰორაციო – გუშინ ღამე მამაშენი ვნახე!

ჯამლიტი – (ამოისუნთქასავით) მამაჩემს ყოველ ღამე ვხედავ. მეგონა კიდევ რაღაც უბედურება მოხდა.

ჰორაციო – მართლა ვნახე.

ჯამლიტი – მეც მართლა ვხედავ ხოლმე.

ჰორაციო – სიზმარში კი არა, მართლა ვნახე.

ჯამლიტი – რას გულისხმობ?

ჰორაციო – (მარცელუსისკენ ხელს გაიშვერს) სამი დღის წინ ჯერ

ამათ ნახეს მორიგეობის დროს და გუშინ ღამით კი მეც მაჩვენეს.

ჯამლეტი – შენ სად ნახე?

ჰორაციო – ზუსტად იქ, სადაც ამათ გამოეცხადათ.

ჯამლეტი – თქვენ სად ნახეთ?

მარცაიუსი – ჩვენს კვადრატში, სადაც ვმორიგეობთ ხოლმე.

ჯამლეტი – **(ჰორაციოს)** თუ მოჩვენება არ იყო, რატომ არაფერი უთხარი?

ჰორაციო – ვუთხარი, მაგრამ ხმა არც კი გამცა.

ჯამლეტი – და როგორი იყო?

ჰორაციო – ძალიან მწუხარე სახე ჰქონდა.

ჯამლეტი – ამაღამ მეც წამოგყვებით, მაგრამ მანამდე ნურავისთან წამოგცდებათ იმის შესახებ, რაც ნახეთ.

მარცაიუსი – **(ჰორაციოსკენ ხელს გაიშვერს)** ამ კაცის გარდა სიტყვაც კი არავისთვის გვითქვამს...

სურათი მისამამ

(სცენაზე მამასა და შვილს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საუბარია, რაც კი მათ შორის გამართულა)

ლაირტ ჰოლონიუსი – ჯამლეტი მართლაც კარგი ყმანვილია, მაგრამ მაინც ნუ აჩქარდები, შვილო.

ოფელია – აჩქარება არც მიფიქრია, მამა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ გულწრფელ სიყვარულს მთავაზობს.

ლაირტ ჰოლონიუსი – ჯამლეტის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა მეც არ მინდა, მაგრამ ზოგჯერ საქმე სიტყვას საკმაოდ დაშორდება ხოლმე და მერე შეიძლება შენი უმანკო სახელი შეიბღალოს კიდევ.

ოფელია – გულისთქმას მე მხოლოდ მაშინ ავყვები, როცა სიყვარულს საქმიანად დამიმტკიცებს და არა მართო უტყბილესი სიტყვით.

ლაირტ ჰოლონიუსი – თუმცა სიფრთხილე მაინც გამართებს, ჩემო ძვირფასო ოფელია, რადგან ქალმა მხოლოდ მთვარესაც რომ გადაუშალოს თავისი გულ-მკერდი, შეიძლება მაშინაც კი

ცილი დასწამონ.

ოფელია – ვიცი, რომ ხალხს ზოგჯერ ჭორი ურჩევნია სიმართლეს და ამიტომაც შენს კეთილ რჩევას აუცილებლად გავითვალისწინებ.

ლაირტ ჰოლონიუსი – მე კი სწორედ ამიტომ მიჩვენია რომ მასთან ურთიერთობა საერთოდ განწყვიტო!

ოფელია – მაგრამ წელან შენ თვითონ მითხარი, რომ ჯამლეტი კარგი ადამიანია!

ლაირტ ჰოლონიუსი – ამის გამეორება ახლაც შემიძლია, თუმცა ისიც უნდა გითხრა, რომ შენთვის უკეთესი იქნება, თუკი თქვენი გზები სამუდამოდ გაიყვრება.

ოფელია – თუ ჩემგან გულწრფელობას ითხოვ, მაშინ შენც ბოლომდე გულწრფელი იყავი და ისიც მითხარი, ჯამლეტთან ჩემი ურთიერთობის განწყვეტა, ჩემთვის იქნება უკეთესი თუ შენთვის.

ლაირტ ჰოლონიუსი – შენ ყოველთვის გეუბნებოდი სიმართლეს და ახლაც პირდაპირ გეტყვი, რომ ჩემი ბიზნესი და ჩვენი კეთილდღეობა, ახალ გამგებელზე დამოკიდებული და არა ძველზე, რომელიც უკვე მკვდარია.

ოფელია – მაგრამ შენ დეპუტატი ხარ და არა ბიზნესმენი.

ლაირტ ჰოლონიუსი – აქ დეპუტატობაც ბიზნესია, შვილო.

ოფელია – მეც რომ შემეყვარდეს?

ლაირტ ჰოლონიუსი – იმედია, რომ ეგ არ მოხდება, იმიტომ, რომ შენ ჩემი ჭკვიანი შვილი ხარ და თანაც ბავშვი აღარ ხარ უკვე.

ოფელია – მაინც რომ მოხდეს?

ლაირტ ჰოლონიუსი – უნდა გესმოდეს, რომ მაშინვე ბაზრობასაც წამართმევენ და ყველაფერსაც დაკარგავ, რაც გამაჩნია.

ოფელია – შენთვის ნერვიულობა არ შეიძლება, მამა.

ლაირტ ჰოლონიუსი – ამიტომაც უნდა დამიჯერო...

სურათი მიმოხე

(ლამის სიჩუმეს ჯამლეტი დაარღვევს, რომელიც ჰორაციოსა და მარცაიუსს ერთდროულად მიმართავს):



ვაჟა-ფშაველა:

...იმათზე რაღა სიტყვა გვეთქმის, ვინც ეროვნებას, ენას და ყოველ ეროვნულ ნასახებს უარყოფს? კიდევ იმედს არ ვკარგავ და ასე ვფიქრობ: ეს დროებითი სენი უნდა იყოს, გარდამავალი, როგორც ჟამი, ხორველა, ომიანობა, ავდარი, ზამთარი... ღმერთმა ქნას ასეთივე დროებითი გამოდგეს.

რად გიკვირთ, რომ ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავისი თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ღალად, პატრონად, არა პირადი თავის ნაღვანი, არამედ ერის საუნჯე – ტერიტორია გახადონ სამო საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც ააღებინონ ხელი ეროვნებაზე? გაივლის ყველა ეს, დაჰლევს ჩაილულის წყალს, მხოლოდ ეს არის სავალალო, რომ ნამუსახილი ბებრის სახლის კარებს გვიან გაეგდება ურდული...

მიგალ და უნაჟურო:

ახლა ჩვენი ხალხისაც ვთქვათ, რატომ ვართ ასე მონდომებული, რომ გავიმრუდოთ ეს ჩვენი შინაგანი ბუნება და უარი ვთქვათ იმაზე, რაც ბუნებითვე გვაქვს მომადლებული, ჩვენ კი სხვა რაღაცას ვეპოტინებთ?

ჩვენი ხინჯი, – ანუ ის, რაც სხვებს მიაჩნიათ ხინჯად, – სწორედ რომ ჩვენი უპირატესობაა, ის, რაშიც სხვები ჩვენს წუნს ხედავენ და კიდევ დაგვცინიან ამისთვის, სწორედ რომ ჩვენი ღირსების ფუძეა.



ჯამლეტი – ძალიან ცივა და ქარიც უბერავს.

ჰორაციო – მართლა საშინელი სუსხია.

ჯამლეტი – რომელი საათი იქნება? **ჰორაციო** – მალე თორმეტი გახდება.

მარცელუსი – ალბათ უკვე გახდა.

ჯამლეტი – ესე იგი, სადაცაა მამაჩემის აჩრდილიც უნდა გამოჩნდეს.

მარცელუსი – დიახ, სამივეჯერ სწორედ შუალამე იყო.

(უცებ ცას ფეიერვერკი გაანათებს)

ჰორაციო – რა ხდება?

ჯამლეტი – ახალ გამგებელს დაბადების დღე აქვს.

ჰორაციო – და ასე პომპეზურად აღნიშნავს?

მარცელუსი – ეს პიროტექნიკა არჩევნების მერე დარჩათ, მაშინ იმდენი შემოიტანეს, რომ ყოველდღე რომ ისროლონ, შემდეგ არჩევნებამდე მაინც ეყოფათ. ახალი გამგებელი კი ძალიან დიდ დაბადების დღეს ნამდვილად არ იხდის, ძალიან ვიწრო წრეში აღნიშნავს და მხოლოდ ახლობლები, ნათესავეები და სახლმმართველი ქალები ჰყავს დაბატირებული...

ჯამლეტი – სახლმმართველი ქალები რა შუაში არიან?

მარცელუსი – ეგენი ახალ გამგებელს ბოლო არჩევნების დროს დაუმეგობრდნენ.

ჰორაციო – აი, უკვე გამოჩნდა!

(ჯამლეტი დანარჩენებით შეშინებულია, მაგრამ მაინც გაბედავს და მამამისის აჩრდილს მიმართავს):

ჯამლეტი – თუ ნამდვილად მამაჩემი ხარ და გარდაცვლილებს საფლავიდან წამოდგომა მართლა შეუძლიათ, მაშინ პირდაპირ მითხარი, რატომ აკეთებ ამას და რისი თქმა გინდა ჩემთვის...

ჰორაციო – **(ჯამლეტს)** ხელით განიშნებს, რომ უკან გაჰყვე.

მარცელუსი – იქნებ ჯობია, რომ არ გაჰყვე?!
ჯამლეტი – თბილისის ზღვისკენ მანიშნებს.

ჰორაციო – ზღვისკენ რომ გაჰყვე, უფრო საშიშია.

ჯამლეტი – მამაჩემს უარს უკვე ვე-

რაფერზე ვეტყვი.

მარცელუსი – მაგრამ ეს მხოლოდ აჩრდილია.

ჰორაციო – იქნებ არ გინდა?

(ჯამლეტი ადგილიდან დაიძრება)

ჯამლეტი – ხელს ნუ შემოშლით, რადგან მაინც ვერ შემაჩერებთ.

მარცელუსი – **(ჰორაციოს)** უკან უნდა მივყვეთ!..

სურათი მხეშთი

(ჯამლეტი ისევ შეშინებული მიმართავს მამის აჩრდილს):

ჯამლეტი – მითხარი, რისი თქმა გინდოდა, სადამდე უნდა ვიაროთ?

აჩრდილი – მისმინე!

ჯამლეტი – გისმენ.

აჩრდილი – სანამ მთავარს

სათქმელს გეტყვი, მინდა ვიცოდე, ხარ თუ არა მზად შურისძიებისთვის.

ჯამლეტი – რის გამო?

აჩრდილი – მე მამაშენის სული ვარ, რომელიც მოკლეს და შენ უნდა იცოდე, რომ სინამდვილეში მე ჩემი სიკვდილით არ მოვმკვდარვარ!

ჯამლეტი – მეც ასეთი ეჭვი მქონდა თავიდანვე და ამიტომაც არ დავიჯერე შენი მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი გულის შეტევით. არც იმ ხმებს დავუჯერე, რომელსაც ასევე მონდომებით ავრცელებდნენ, თითქოს შენი სიკვდილი გველის ნაკებნმა გამოინვია. კიდევ სხვა ჭორებიც შეთხზეს, რომ თავისი დანაშაული დაეფარათ და შენი მკვლეელი კი შენს მერე ჩვენი რაიონის გამგებელი გახდა...

აჩრდილი – **(თავის დაქნევით დაუდასტურებს)** ჩემთვის ყველაზე მძიმე და აუტანელი კი სწორედ ის არის, რაც დედაშენმა გააკეთა.

ჯამლეტი – მეც ვერ ამიხსნია მისი საქციელი.

აჩრდილი – რაც მან გააკეთა, იმას ახსნა არცა აქვს, მაგრამ მე მაინც არ მინდა, რომ მის მიმართ სასტიკი იყო.

ჯამლეტი – რა თქმა უნდა.

აჩრდილი – მაგრამ თუ კაცი გინდა რომ გერქვას, ჩემს მკვლელებზე შური იძიე და სამაგიერო კი ისე გადაუხადე, როგორც შენ ჩათვლი საჭიროდ.

ჯამლეტი – აუცილებლად შურს ვი-

ძიებ!

აჩრდილი – მე კი ახლა წავალ, რადგან უკვე თენდება...

(ჯამლეტის მამის აჩრდილი ქრება, მართო დარჩენილ და ჩაფიქრებულ ჯამლეტს კი ჰორაციო და მარცელუსი მიუახლოვდებიან)

ჰორაციო – რაო, რა გითხრა?

მარცელუსი – გითხარი, რა თქვა...

ჯამლეტი – ვერ გეტყვით და ნურც მთხოვთ და ისიც დაიფიქრეთ, რაც ამალამ ნახეთ. ეს ჩემი თხოვნაა.

ჰორაციო – რაც ჩვენ ვნახეთ, მართლაც გასაოცარია.

ჯამლეტი – ამქვეყნად ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ისეთი, რაც ბრძენ ფილოსოფოსებსაც კი გააოცებთ!

მარცელუსი – ჩვენი დარღვიუ გექნება, სიტყვაც არავისთან დაგვცდება!

ჯამლეტი – ისიც მინდა იცოდეთ, რომ შეიძლება ჩემს ცხოვრებაში რაღაც რადიკალურად შეიცვალოს, მე სულ სხვანაირი გავხდე და არ გაიკვიროთ. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ თქვენზე ახლობელი მე არავინ მყავს და წყეულმა ბედმა კი დარღვიული დროთა კავშირის აღდგენა სწორედ მე მარგუნა...

სურათი მიეძმსა

(ახალ გამგებელს თავის კაბინეტში, საგანგებო თათბირზე, რამდენიმე ადამიანი ჰყავს მოწვეული: ქალბატონი გერტრუდა, ლაერტ-პოლონიუსი, მარცელუსი, ჰორაციო, რეზოკაცი და რეზოქალი)


ახალი გამგებელი – დღეს კვირაა, მაგრამ აქ მოსვლა იმიტომ გთხოვთ, რომ ამ საქმის გადადება უკვე აღარ შეიძლება. შემფოთებული დედა, ქალბატონი გერტრუდაც აქ არის და მას ჩვენი დახმარება სჭირდება, რადგან მის ერთადერთ ვაჟს სერიოზული პრობლემები აქვს. ჯამლეტი კი სწორედ იმ ასაკშია, როცა ადამიანის ფსიქიკა ჩამოყალიბების პროცესშია და ამ დროს მას, ნებისმიერი ჩვენგანის თანადგომა სჭირდება. აქ ბრძანდება ბატონი ლაერტიც, ჩვენი რაიონის დეპუტატი და ჩემზე კარგად გეტყვით, რაც გუშინ მოხდა.

ლაერტ-პოლონიუსი – **(ჯერ ჩაახველებს)** დიახ, იმას მოგახსენებთ, რაც ჩემი ქალიშვილისაგან პირადად მოვისმინე და ოფელიას თქვენც კარგად იცნობთ და მის გულწრფელობაში კი ეჭვი არავის გეპარებათ. გუშინ, როცა თავის სტუდიაში ახალი კოლექციის შეკერვას ხელმძღვანელობდა, მასთან გიჟის სახით შევარდნილა ჯამლეტი **(გერტრუდასკენ გაიხედავს)**, თქვენთან ბოდიში და თურმე ისე ყმუოდა, რომ ასეთ საქციელს, მხოლოდ შეყვარებული ყმანვილის ალტკინებით, ნამდვილად ვერ ავხსნი. ჩემი ქალიშვილი კი დიზაინერია და თავისი პირველი და გრანდიოზული ჩვენებისთვის ემზადება და დიდი შანსია, რომ რაც ჯამლეტმა გუშინ გააკეთა, იგივე ხვალაც გაიმეოროს და ზეგაც და ჩემს ბავშვს სიცოცხლე გაუმწაროს. რომ არა თქვენი პატივისცემა **(ისევ ქალბატონ გერტრუდას გადახედავს)**, როგორც კი ეს ამბავი გავიგე, მაშინვე პოლიციაში დარეკვას ვაპირებდი.

ახალი გამგებელი – **(განსაკუთრებით მარცელუსის გასაგონად)** პატრულის გამოძახებას ყოველთვის მოასწრებთ, მაგრამ მთავარი პრობლემა ახლა ჩვენთვის თვითონ ჯამლეტია, რომელიც ისეა შეცვლილი, რომ შეიძლება ნებისმიერ ჩვენგანს შეუვარდეს კაბინეტში ნებისმიერი აბსურდული ბრალდებით **(ხელს გაიშვერს ორივესკენ)**, ამათაც საკუთარი თვალთ ნახეს და რეზოკაციც დაადასტურებს და რეზოქალიც, რომ ჯამლეტი ისეთი აგრესიული გახდა, რომ მისგან უკვე ყველაფერია მოსალოდნელი.

ბერტრუდა – **(ცრემლნარევი ხმით ახალ გამგებელს)** მამამისის სიკვდილის მერე, უცებ შეიცვალა და მე რომ თქვენთან დავინწყე მუშაობა, კიდევ უფრო აგრესიული გახდა.

ახალი გამგებელი – **(მარცელუსს და ჰორაციოს)** სწორედ ამიტომ გთხოვთ აქ მოსვლა თქვენც, ჯამლეტის უახლოეს მეგობრებს და სწორედ თქვენ უნდა დაგვეხმაროთ, რადგან ჯამლეტს ყველაზე მეტად თქვენ უყვარხართ და ყველაზე ავტორიტეტ-



მიგალ და უნაგუნო:

ნუთუ ხალხი უფრო ერთგულია ტრადიციისა, ვიდრე ისინი, ვინც ისტორიაში მოიკიდა ფეხი?.. რასაკვირველია, მაგრამ არა ამ თვალსაზრისით; მისი ტრადიცია მარადიულია, რამდენადაც მისი იდეალი უფრო ნაგრძობია, ვიდრე ნაფიქრი და რაკი იგი არ იქნეს განსაზღვრულ ფორმასა და საზღვრებს, ამიტომ ისინი, ვინც მართო გეომეტრიულსა და ჩამოყალიბებადს უფრო ხედავენ, ერთმანეთში ურევენ მთელ ინტერპრეტაციებს და ამ იდეალზე თავის ყაიდაზე მსჯელობენ...

ვაჟა-ფშაველა:

მწერლობაც, ნუთუ იგივე სკოლა არ არის, რომელიც სწრთვნის ყველასა დიდსა და პატარას, ურკვევს აზრებს, გზას ცხოვრებისას, აღძრავს საუკეთესო გრძობებს, მაშ ის რატომ არ უნდა იყოს ეროვნული? რატომ არ უნდა უწყობდეს ხელს განავითაროს ერმა თავისი გონებრივი და სულიერი ძალები?

მიგალ და უნაგუნო:

მაინც რისი შემძლეა ამ ქვეყანაზე ხელოვნება? მას ძალუძს ცოცხალი კიდევ უფრო გააცოცხლოს, მაგრამ ვერც მკვდრადმობილს ჩაუდგამს სულს და მით უმეტეს, ვერც მკვდრეთით აღადგენს; მას შეუძლია მარტინ ფიერო აქილევსად აქციოს, მაგრამ რეტორტაში გამოყვანილი ჰომუნკულუსი კი არა; იგი დაწმენდს და გააკეთილშობილებს ვაზის წვენს, მაგრამ ლაბორატორიაში, უბრალო ელემენტებისაგან ქიმიური სინთეზის გზით ან რეაქტივების მეშვეობით ვერც შამპანურს, ვერც ხერესსა და ვერც პორტვინს ვერ დააყენებს. არადა მაინც უნდათ, რომ ლაბორატორიაში მარტივი ელემენტებისაგან, ლიტერატურული ქიმიისა და კოსმოპოლიტიზმის რეაქტივების მეშვეობით შექმნილი „ილიადები“ გვიძღვნან...

ულიც მისთვის სწორედ თქვენი აზრია.

ბერტრუდა – ჩემი თხოვნაც ეს იქნება.

მარცელუსი – აქედან პირდაპირ მასთან წავალთ, ოღონდ რამე ვუშველოთ.

ჰორაციო – ოღონდ მართლა დაგვიჯეროს და თუნდაც ახლავე წავალთ.

(მარცელუსი და ჰორაციო წამოდგებიან და მათთან ერთად გერტრუდაც გავა ოთახიდან, თუმცა გასვლის წინ, ყველას დაემშვიდობებიან და ყველანი კი უღრმეს მადლობას გადაუხდებიან ხმამაღლა და მონდობებით. როცა ოთახში მათ გარეშე დარჩებიან, სიჩუმეს ლაერტ-პოლონიუსი დაარღვევს):

ლაირტი – ქალბატონი გერტრუდა აქ აღარ არის და ახლა იმის თქმაც შემძლია, სინამდვილეში რამ გააგიჟა ეს ჯამლეტი.

რეზოქალი – ბრძანეთ.

ლაირტი – ჩემს გოგოს მასთან შეხვედრა ავუკრძალე.

რეზოქალი – გაგიჟდებოდა, აბა რა იქნებოდა.

ბამბაბელი – **(ლაერტს)** მაგრამ სანამ გაგიჟდებოდა, თქვენს ოფელიას სწორედ ის უთხრა, რის გამოც აქ მოსვლა გთხოვეთ – თითქოს მამამისის სიკვდილში მე ვიყო გარეული.

ლაირტი – პირდაპირ ასე არ უთქვამს, მაგრამ ეჭვი კი მაშინვე გაუჩნდა.

ბამბაბელი – ჰოდა, თუ ეჭვიანია და თანაც გაგიჟდა, აქაც აუცილებლად მომადგება და სანამ გვიან არ არის, რაღაც უნდა ვიღონოთ.

ლაირტი – ჯამლეტს სხვა ახალი აჩემებაც აქვს – ყველას არწმუნებს, რომ ეს ქვეყანა ციხეა და ჩვენ კი ყველანი პატიმრები ვართ.

რეზოქალი – იქნებ ეს უბრალოდ დეპრესიაა.

ბამბაბელი – რატომ?

რეზოქალი – თუნდაც გარდაცვლილი მამის გამო და ასეც რომ არ იყოს, ამ ასაკში ახალგაზრდებს ისედაც აწუხებთ დეპრესია და ნერვოზი.

რეზოქალი – უდროოდ და უადგილოდ კი გეკითხებით, მაგრამ სახელი გერტრუდა ნეტა რას უნდა ნიშნავდეს?

ლაირტი – შემოკლებული შრომის

გმირია – გერ-ტრუდა...

რეზოქალი – თუ გერაინა ტრუდა?

ბამბაბელი – **(ლაერტს)** მგონი არ არის ხუმრობის დრო და თქვენთან ერთი სერიოზული თხოვნა მექნება...

ლაირტი – დიახ, გისმენთ.

ბამბაბელი – იქნებ ურჩიოთ თქვენს შვილს, რომ ერთხელაც შეხვედეს ჯამლეტს იმის გასარკვევად, თუ რას აპირებს და სინამდვილეში რა განზრახვა აქვს.

ლაირტი – მგონი მშვენიერი იდეაა...

სურათი მემპიდა

(სცენაზე მხოლოდ ოფელია და ჯამლეტი დგანან)

ჯამლეტი – ყოფნა-არყოფნის საკითხზე ადრეც ხშირად მიფიქრია, მაგრამ ახლა გამუდმებით მანუხებს არჩევანი – რა უნდა ქნას ადამიანმა: აიტანოს ბედის სიმუხთლე და იტანჯოს თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას და სიცოცხლაც შესწიროს ბოროტების დამარცხებას. თუმცა ჩვენ არ ვიცით, რა მოგველის სიკვდილის შემდეგ და მაინც გვაქვს იმ ბნელი და უცნობი სამყაროს შიში, საიდანაც უკან ჯერ არავინ დაბრუნებულა. ეს შიში გვაიძულებს კიდევ შეჩვეული ჭირის ატანას და ჩვენი ასეთი ცნობიერება ადამიანებს ლაჩრებად გვაქცევს...

ოფელია – თუმცა შენთვის მე არაფერი დამიშავებია.

ჯამლეტი – მე ეს არც მითქვამს.

ოფელია – არაფერი გითქვამს, მაგრამ ვგრძნობ რომ ჩემს მიმართ შენი დამოკიდებულება ამკარად შეიცვალა.

ჯამლეტი – რას გულისხმობ?

ოფელია – სიცივეს.

ჯამლეტი – მართალიც ხარ. იმ სიყვარულს, რომელიც შენს მიმართ მქონდა, მე თვითონაც ვეღარ ვგრძნობ **ოფელია** – აღარ გიყვარვარ?

ჯამლეტი – ვიცი, რომ მიყვარდი.

ოფელია – ახლა უკვე ისიც მეეჭვება, რომ ადრე გიყვარდი.

ჯამლეტი – მგონი საერთოდ სიყვარულის აღარ გჯერა.

ოფელია – არადა მართლა მჯეროდა.

ჯამლეტი – ასეთ დროს მონასტერში წასვლა საუკეთესო გამოსავალია. ჩემნაირი ამპარტავანი და პატივმოყვარე ადამიანი შენ არ გამოგადგება. ამიტომაც მონასტერში წასვლას კიდევ ერთხელ გირჩევ...

ოფელია – რჩევის გარდა, შენგან ერთ შეკითხვაზე პასუხის მოსმენაც მინდა.

ჯამლეტი – შენთვის არასოდეს არაფერი დამიმაღლავს.

ოფელია – მამაშენის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რომ ეჭვები გქონდა, ისიც პირდაპირ მითხარი.

ჯამლეტი – მახსოვს.

ოფელია – ახლაც იგივეს ფიქრობ?

ჯამლეტი – ეჭვები ახლაც მაქვს, მაგრამ იმაზეც მიფიქრია, რომ შეიძლება ვცდები და მამაჩემის სიკვდილში სულ ტყუილად ვადანაშაულებ ახალ გამგებელს.

ოფელია – ასე როდემდე უნდა იწავლო?

ჯამლეტი – მალე ყველაფერს გავარკვევ.

ოფელია – როგორ?

ჯამლეტი – უკვე დავენერე პიესა მამაჩემის შესახებ, რომელიც სიცოცხლეს ზუსტად ისე ამთავრებს, როგორი ეჭვიც მე მაქვს.

ოფელია – შენი პიესები ყოველთვის მომწონდა, მაგრამ ასე როგორ გაიგებ სიმართლეს?

ჯამლეტი – ალბათ შენც გსმენია იმის შესახებ, რომ როცა დამნაშავეები სცენაზე იმას ხედავენ, რაც ჩადენილი აქვთ, დანაშაულს თვითონაც აღიარებენ.

ოფელია – დარწმუნებული ხარ, რომ ყველაფერი ასე მოხდება?

ჯამლეტი – დარწმუნებული ვარ, რომ როცა პრემიერაზე ახალ გამგებელს თვითონ დამდგმელი რეჟისორი დაპატიჟებს, ის აუცილებლად დაესწრება.

ოფელია – და აუცილებლად აღიარებს დანაშაულს, თუ ჩადენილი აქვს?

ჯამლეტი – არ ვიცი, ვინ გირჩია ჩემთან შეხვედრა, მაგრამ მოგზავნილივით მელაპარაკები და ამიტომაც კიდევ ერთხელ გირჩევ მონასტერში წასვლას...

მოძმედება მეორე

სურათი პირველი

(ჯამლეტი რეპეტიციაზე უხსნის მსახიობებს თუ როგორ უნდა ითამაშონ სპექტაკლი):

ჯამლეტი – ტექსტი ყოველთვის ბუნებრივად და თავისუფლად უნდა წარმოთქვათ და არა ყვირილით, როგორც ამას ჩვენი მსახიობების უმრავლესობა აკეთებს. და იცით რატომ ყვირიან მსახიობები სცენაზე? იმიტომ, რომ მათ ჰგონიათ თითქოს ასე უფრო დამაჯერებელი იქნება მათი სიტყვები და მოქმედება. კარგი მაყურებელი კი, სინამდვილეში, ზუსტად ხედავს, რომ მსახიობი ყოველთვის ყალბია, როცა ის ბლავის და პირიქით – კარგ მსახიობს ყვირილი არასოდეს სჭირდება. მართალია მაყურებლებს შორისაც არიან ხოლმე ისეთები, ვინც არ იცის, რას ნიშნავს ნამდვილი თეატრი და ზოგჯერ მოსწონს კიდევ რომელიმე უვიცი მსახიობის ყალბი ბლავილი, მაგრამ სინამდვილეში ერთი ჭეშმარიტი მაყურებელი უფრო ფასეულია, ვიდრე ბრიყვებით სავსე მთელი დარბაზი...

(რეპეტიციაზე პორაციო გამოჩნდება და ჯამლეტი მსახიობებს ბოდიშს მოუხდის):

ჯამლეტი – (მსახიობებს) დანარჩენს რეჟისორი გეტყვით.

(ჯამლეტი და პორაციო მარტო დარჩებიან):

პორაციო – ჩემი ნახვა გინდოდა?

ჯამლეტი – შენი ნახვა ყოველთვის მინდა, რადგან ჩემი ყველაზე წესიერი და გონიერი მეგობარი ხარ, მაგრამ ახლა რაღაც უნდა გთხოვო.

პორაციო – თუკი რამე შემიძლია...

ჯამლეტი – ხომ გახსოვს, ჩემი ახალი პიესის შესახებ რომ გელაპარაკე და პრემიერას ახალი გამგებელიც დაესწრება. როცა ის სცენა დაინყება, სადაც მამაჩემს კლავენ, მინდა, რომ ახალი გამგებლის რეაქციებს ძალიან ყურადღებით დააკვირდე. მერე კი ერ-



მიკაელ და უნაგუნო:

„განა მართლა ასე არ არის, განა ჩვენ, ესპანელები სულიერად ვეპუებით ამ ეგრეთ წოდებულ თანამედროვე კულტურას? და თუ ნამდვილად ასეა, ამიტომ უნდა დაგვჯაბზონ? ამიტომ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ და მოვკვდეთ, – მით უმეტეს, მოვკვდეთ, – ღირსეულად ამ ყბადაღებული კულტურის გარეშე?“

ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ მაინცდამაინც გულხელდაკრეფილები უამად ვისხდეთ-მეთქი, უბირები და რეგენები დავრჩეთ-მეთქი, არა, იმისათვის რომ სულიერად ავმალდეთ, გავიზარდოთ, სიამაყე შევინარჩუნოთ, გავკეთილშობილდეთ და ზენაარსის მადლს ვეზიაროთ, სხვა გზაც არსებობს და სულაც არ გეჭირდება მათი კულტურის დახმარება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი სიბრძნის დამკვიდრებას მათი მეცნიერების გარეშეც კარგად მოვახერხებთ, ეგ არის, მარტო ერთ საშუალებად თუ გამოვიყენებთ, ოღონდ თვალი ფნიზლად უნდა გვეჭიროს, ჩვენ სულს არაფერი ვავნოთ!

ვაჟა-ფშაველა:

პოეზიას, საზოგადოდ და უფრო კი, ხალხურს ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს: გამოხატვა, დასურათება თანამედროვე ცხოვრებისა, – აწმყოს ჭირ-ვარამისა და ლხინ-გახარებისა. ინტელიგენტურს, მწერლობითს პოეზიას ხშირად ეს თვისება აკლია: ბევრჯელ იგი თავის საკუთარს თვალითა ხედავს და ყურთა სმენას იხშობს და იმეორებს სხვისგან გაგონილს, სხვის ჩანაგონარს ჰანგსა. ცალკე მგოსანი და ბევრჯელ მთელი ლიტერატურა რომელიმე ერისა სხვა, უცხო ქვეყნის მწერლობასა ჰბაძავს, იდეალად აქვს დასახული.



თად გადავწყვიტოთ, რაც ჩვენ ვნახეთ იმ ღამეს, მართლა მამაჩემის აჩრდილია თუ ავი სული, რომელიც გონებას მიბნევს და მიბნელებს.

ჰორაციო – პოეტის სახელი კი მქვია, მაგრამ არ ვიცი თუ დრამატურგიაც ისე კარგად მესმის, რომ შენი თხოვნა ზუსტად შევასრულო. თუმცა მზად ვარ, რომ თვალი არ მოვაშორო ეჭვმიტანილს არათუ მხოლოდ ერთი ეპიზოდის დროს, არამედ მთელი სპექტაკლის განმავლობაში.

ჯამლიტი – შენი იმედი ყოველთვის მქონდა, მაქვს და მექნება.

ჰორაციო – სამაგიეროდ, შენი იმედი აღარა აქვთ ზოგიერთებს და ინგლისში შენს სასწავლებლად გაგზავნაზეც კი დაიწყეს ლაპარაკი.

ჯამლიტი – რატომ?

ჰორაციო – იმიტომ, რომ არ იციან როგორ მოიქცევი და ახალ გამგებელს კი ჰგონია, რომ შეიძლება მას პრობლემები შეუქმნა.

ჯამლიტი – ამიტომ უნდათ ჩემი ინგლისში გაგზავნა?

ჰორაციო – ხომ გაგიგია, რომ ხელისუფლება მისთვის არასასურველ პირებს უცხოეთში აგზავნის ხოლმე სასწავლებლად.

ჯამლიტი – გამიგია, მაგრამ არ მჯერა, რადგან ნებისმიერი ცუდი ხელისუფლება მისთვის არასასურველ პირებს, როგორც წესი, ციხეში აგზავნის ხოლმე და არა საზღვარგარეთ.

ჰორაციო – მეც სულ მიკვირდა ხოლმე, რომ ხალხი ასე ადვილად იჯერებს ასეთ ტყუილებს.

ჯამლიტი – იმიტომ იჯერებს, რომ ხალხს ყოველთვის უკეთესი ხელისუფლება უნდა, ყველაზე კარგი ხელისუფლება კი ის არის, რომელიც ყველაზე მეტ ფულს განათლებაში ხარჯავს...

სურათი მემორა

(ავანსცენა წარმოადგენს თეატრალურ ლოჟას, სადაც სპექტაკლის მოლოდინში დარბაზისკენ სახით სხედან ახალი გამგებელი (პირად დაცვასთან ერთად) და მისი ამალის წევრები: ლაერტ-პოლონიუსი, ქა-

ლბატონი გერტრუდა, რეზოქალი, რეზოკაცი და ოფელია, რომელსაც გვერდით ჯამლიტი მიუჯდება).

ბერტრუდა (ჯამლიტს) – ჩემს გვერდით რატომ არ დაჯექი, შვილო?

ჯამლიტი – მეგონა, რომ შენ არ გინდოდა.

ბერტრუდა – შეგეძლო ასეთი დაუნდობელი არ ყოფილიყავი მშობელი დედის მიმართ.

ჯამლიტი – შენც შეგეძლო ასეთი სასტიკი არ ყოფილიყავი საკუთარი შვილის მიმართ.

ბერტრუდა – რა დაგემართა, შვილო?

ჯამლიტი – არაფერი.

ბერტრუდა – დღეს ამკარად ძალიან მხიარულად ხარ.

ჯამლიტი – მხიარულად რატომ არ უნდა ვიყო? თეატრში ვსხედვართ და ნუთი-ნუთზე სპექტაკლი დაიწყება, რომლის პიესის ავტორი მე ვარ. მართალია, ცოტა ხნის წინ მამა გარდამეცვალა, მაგრამ დედაჩემი ჩემს ნაცვლადაც გლოვობს და ამიტომ დღეს თავს ხუმრობის უფლება მივეცი.

ოფელია – (ჯამლიტს) მაგრამ რაც პროგრამაში წავიკითხე, ის მგონი ხუმრობას არ ჰგავს

ჯამლიტი – რას გულისხმობ?

ოფელია – (პროგრამას გადაშლის და თითო აჩვენებს) პიესის მთავარ გმირს საწამლაკით კლავენ და ის მამაშენის პროტოტიპია, როგორც მე ვიცი.

ჯამლიტი – დიახ, ეს პიესა მამაჩემს ეძღვნება და ის თავისი სიკვდილით ნამდვილად არ მომკვდარა. იმის დაჯერებაც ძალიან ძნელია, რომ თბილისის რაიონის ერთ-ერთი გამგებელი შხამიანმა გველმა მოკლა, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულობით თბილისში მართლა ბევრი გველი ჩნდება ხოლმე.

ოფელია – სცენაზე ეს უნდა ვნახოთ?

ჯამლიტი – სცენაზე სიმართლეს ვნახავთ.

ოფელია – აი, უკვე იწყება.

(სცენაზე ბნელდება და მუსიკის ხმა ისმის)...

სურათი მისამე

(როცა ავანსცენა ისევ განათდება, მუსიკის ხმა უკვე აღარ ისმის და ჯამლეტის გარდა, ყველას გაოგნებული სახე აქვს, რადგან ყველანი მიხვდებიან, რომ ჯამლეტმა ეს წარმოდგენა სწორედ მათ გაუმართა ძალიან კონკრეტული მიზნით. ლაერტ-პოლონიუსი კი მაინც ყველას დაასწრებს და პირველი წამოდგება):

ლაერტი – შეწყვიტეთ წარმოდგენა, ეს ცილისნამებაა!

(ყველანი დემონსტრაციულად დატოვებენ ავანსცენას ანუ დარბაზს და სცენაზე მხოლოდ ჯამლეტი და ჰორაციო დარჩებიან).

ჯამლეტი – მამაჩემის აჩრდილი სულაც არ ყოფილა მოჩვენება.

ჰორაციო – მამაშენის სიტყვებიც ამიტომ მახსენდებოდა, როცა ახალი გამგებლის რეაქციებს ვაკვირდებოდი.

(მარცელუსი აჩქარებით შემოვა)

მარცელუსი – გამგებელზე ისე იმოქმედა ამ სპექტაკლმა, რომ ძალიან ცუდად გახდა, იმდენად ცუდად, რომ დედაშენი მალე აქ გაჩნდება რომ თვითონ ავიხსნას თუ რა საშიში გახდა უკვე მთელი რაიონისთვის.

(ჯამლეტს და მარცელუსს, ორივეს გაეღივებათ, მაგრამ უცებ ქალბატონი გერტრუდა გამოჩნდება და ორივენი სერიოზულ სახეებს მიიღებენ).

ბერტრუდა – (ჰამლეტს) შენ ახალ გამგებელს კი არა, მამაშენის ხსოვნას მიაყენე შეურაცხყოფა!

ჯამლეტი – მამაჩემს შეურაცხყოფა მე კი არა, შენ მიაყენე!

ბერტრუდა – მაინც ისეთი რა გავაკეთე, რომ ასეთი სასტიკი გახდი ჩემს მიმართ?

ჯამლეტი – ხომ გითხარი უკვე, რომ სასტიკი მე კი არა, სწორედ შენი საქციელია მამაჩემის მიმართ და შენ არა მხოლოდ მას, არამედ ყველა იმ ფასეულობას უღალატე, რომლის ერთგულიც მამაჩემი მთელი ცხოვრების მანძილზე იყო.

ბერტრუდა – თუ იმას გულისხმობ, რომ ახალ გამგებელთან დავინყე მუშაობა მამაშენის გარდაცვალების შემდეგ, ეს მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ ხელფასი მქონოდა ნორმალური და შენ უმამობა არ გეგრძნო. ეს ხომ თვითონ მამაშენსაც გაახარებდა.

ჯამლეტი – მამაჩემი როგორ იქნება გახარებული იმით, რომ მუშაობა იმ ნაძირალასთან დაიწყო, რომელმაც არჩევნები გააყალბა და ხალხს ხმები და მომავალი მოპარა?!

ბერტრუდა – და მამაშენიც მოკლა? ჯამლეტი – მამაჩემმა ეს თვითონ მითხრა.

ბერტრუდა – ახალი გამგებელი ისე გძულს, რომ მგონი მართლა აურიე და სასწავლებლად კი არა, სამკურნალოდ გაგზავნა უფრო გჭირდება.

ჯამლეტი – ჩემი თვალთ ვნახე და ჰორაციოც დაგიდასტურებს, რომ მამაჩემს პირადად ველაპარაკე.

ბერტრუდა – აჩრდილები არ ლაპარაკობენ, შვილო!

ჯამლეტი – თავიდან ჩვენც აჩრდილი გვეგონა, მაგრამ...

ბერტრუდა – მაგრამ აღმოჩნდა, რომ მკვდრები ცოცხლებიან და მერე შვილებს ელაპარაკებიან?

ჯამლეტი – მე არ გეხუმრები. ბერტრუდა – არც მე, შვილო...

(გერტრუდა სცენიდან გადის)

სურათი მიმოხი

(სცენაზე, სადაც ოფელია ზის, გერტრუდა აჩქარებით შემოდის და ოფელია მაშინვე ფეხზე წამოდგება)

ბერტრუდა – როგორ ხარ, ოფელია? ოფელია – როგორ ვიქნები, ქალბატონო გერტრუდა, ხვალ ვალენტინობაა, ყველასთვის სიყვარულის დღეა, ჩემს გარდა.

ბერტრუდა – სხვებიც არსებობენ, ვინც სიხარულით ვერ აღნიშნავს ხვალინდელ დღეს.

ოფელია – მაგრამ არ არსებობს ქალი, რომელსაც ჩემსავით ატკინეს გული.

ბერტრუდა – ყველას თავისი ტკივილი განსაკუთრებული ჰგონია.



მიხაელ დე უსაშვილი:

მაგრამ კიდევ უფრო უცნაური და საკვირველი ის არის, რომ სწორედ ის ესპანელი მიიჩნევა ნამდვილ ევროპელად, ვინც ესპანელია სისხლით, ჯიშით, მოდგმით, გამოირჩევა ეგზოტიკურობით და სულის სიღრმით და პირიქით, ისეთებიც არიან, რომელთაც ბევრი მიაბიძგადაც მიიჩნევს ეგზოტიკური სულის გამო, ვითომ გაინგლისელებულები, გაგერმანულელებულები, გადაფრანგებულები და განორვეგიულელებულები, მაგრამ ფეხვებით დაკავშირებულები არიან მათთან, ვინც გახლდათ ესპანური სულის ჭეშმარიტი შემოქმედნი; რამდენჯერ შემომჩნევია, გინდა გრამატიკულად ვთქვათ და გინდა რიტორიკულად, მარტო გარედან რომ აკრავთ ქერქი, თორემ ფეხვებით ერთიანად ამოძირკვეულნი ყოფილან სამშობლოს სულიდან და პირიქითაც...

ვაჟა-ფშაველა:

თქვენ, მკითხველო, ალბათ არ იცით, რომ ჩვენ გვეყავან „უიმედონი“, ინტელიგენტები, რომელთაც სხვა არა სწამთ და არც დაიჯერებენ, გარდა „კოსმოპოლიტიზმისა“. პატრიოტიზმი იმათ არა სწამთ, ნამეტნავად ქართული: ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერი ვართ, თუ სხვა ერს არ შეუერთდით და „ჩვენობა“ არ უარვყავითო. პატრიოტები იმათი ფიქრით ვინრო, მოკლე შეხედულებისანი არიან და იმათ კი „ვრცელი“ შეხედულება აქვთ. ესენი ბალები არიან, წვრილფეხობა, და როგორც მოგეხსენებათ, ბალები ლულუა უყვარს. დიად, ბალები არიან და სამწუხაროც ეს არის, რაც ახალგაზრდული ძალ-ღონე აქვთ, შეაღვევენ ჰაერში კომპების გეზას და როცა მოიღვებიან გულითა და გონებით, გატეხილნი, დაუძღურებულნი, მამინ „დაბრუნდებიან შინა“, მაშინ მოიკითხავენ საკუთარს კერას, საკუთარს ბინას, მაგრამ უღონონი, უგულონი რალას მაქნისნი იქნებიან?! სამწუხარო მოვლენაა დიდად!.. ეს ყრმანი შებრალეების ღირსნი არიან, ხოლო ისინი, ვინც ამათ ამ გვარს საკენეს უყრით, წყულის და სიძულვილისა...

ოფელია – თქვენ მას იცავთ.

ბერტრუდა – ჯამლეტს ვერ დავიცავ, მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემი შვილია და სინამდვილეში მე უფრო სასტიკად მომექცა, ვიდრე შენ ან ნები-სმიერ სხვას.

ოფელია – მაგრამ დედები ყველა ტკივილს უძლებენ და მითუმეტეს შვილებისგან.

ბერტრუდა – თუმცა ახლა იმის თქმაც ძნელია, რომ ჩვენ უფრო ცუდად ვართ, ვიდრე ჯამლეტი.

ოფელია – გეთანხმებით, რომ მამამისის სიკვდილის შემდეგ ის მთლიანად შეიცვალა, მაგრამ მე მისთვის არაფერი დამიშავებია.

ბერტრუდა – არც მე, თუმცა ჯამლეტი სხვანაირად ფიქრობს და ის კი იმდენად ცუდადაა, რომ შენი დახმარება სჭირდება.

ოფელია – მე როგორ უნდა დავეხმარო ჯამლეტს?

ბერტრუდა – ქალებს სუსტი სქესის წარმომადგენლებს გვინოდებენ, მაგრამ სინამდვილეში ქალები კაცებზე ძლიერები არიან და შენ კი შეგიძლია ჯამლეტის დაბრუნება.

ოფელია – რას გულისხმობთ?

ბერტრუდა – შენ მას უყვარხარ და ერთადერთი მხოლოდ შენს გამო შეუძლია, მას ისევ ისეთი გახდეს, როგორიც ადრე იყო.

ოფელია – მე მას აღარ ვუყვარვარ!

ბერტრუდა – შენ ასე ფიქრობ?

ოფელია – თვითონ ასე მითხრა.

ბერტრუდა – კაცებისთვის ძველი და ახალი სიყვარული არ არსებობს, რადგან კაცები ისეთი სუსტები არიან, რომ იმ ქალს, რომელიც ერთხელ შეუყვარდებათ ხოლმე, მერე ვერასოდეს ივინყებენ.

ოფელია – თქვენ ფიქრობთ, რომ ჯამლეტს ისევ ვუყვარვარ?

ბერტრუდა – რასაკვირველია უყვარხარ და რასაკვირველია შენ მისი გადარჩენა შეგიძლია

ოფელია – კი მაგრამ, როგორ?

ბერტრუდა – ჩვენ ქალები ვართ და ჩვენ ყველაფრის მოფიქრება შეგვიძლია...

(სცენაზე სინათლე ქრება)

მოქმედება მისამე

სურათი პირველი

(მოქმედება ხდება სასაფლაოზე, სადაც მესაფლავეები ორმოს თხრიან და იქვე კი, ძალიან ახლოს, მამის საფლავთან ჩაფიქრებული ჯამლეტი ზის).

პირველი მისაფლავი – ამ გოგოს რომ თავი არ მოეკლა, ამ კვირაში ფული საერთოდ არ მექნებოდა.

მეორე მისაფლავი – თავი სულ რომ არავინ მოიკლას ამ ქვეყანაში, სამუშაო ჩვენ მაინც ყოველთვის გვექნება.

პირველი მისაფლავი – სასაფლაო ასპროცენტიანი ბიზნესია.

მეორე მისაფლავი – ეგ ვინ თქვა?

პირველი მისაფლავი – მე.

მეორე მისაფლავი – ჩემსავით მესაფლავე მეგონე და შენ ფილოსოფოსიც ყოფილხარ.

პირველი მისაფლავი – დაცინვას კაცი არ მოუკლავს.

(უცებ მეორე მესაფლავე გათხრილ ორმოსი ადამიანის თავის ქალას აღმოაჩენს)

მეორე მისაფლავი – (აჩვენებს თავის ქალას) ალბათ ოდესღაც ესეც შენსავით ფიქრობდა.

პირველი მისაფლავი – ან შენსავით ოხუნჯობდა.

მეორე მისაფლავი – იქნებ ისეთი სერიოზული კაცი იყო, რომ ხუმრობისთვის დრო საერთოდ არ ჰქონდა.

(ჯამლეტი მხოლოდ ახლა მიაქცევს ყურადღებას მესაფლავეების საუბარს)

პირველი მისაფლავი – მაგალითად პოლიტიკოსი?

მეორე მისაფლავი – პოლიტიკოსების უმრავლესობა საკუთარ თავს ისე სერიოზულად უყურებს, რომ ისინი ვერც კი გრძნობენ ხოლმე როგორი სასაცილოები ხდებიან სხვებისთვის.

მეორე მისაფლავი – მაგრამ ზოგჯერ ძალიან დაუნდობლებიც არიან.

ჯამლეტი მესაფლავეებს მიუახლოვდება, თუმცა მესაფლავეები მას ყურადღებას არ აქცევენ და საუბარსაც აგრძელებენ)

პირველი მისაფლავე – ასე მაშინ ხდება, როცა საქმე ძალაუფლებას ეხება.

მეორე მისაფლავე – ნებისმიერი ძალაუფლება კი მაინც წარმავალია.

პირველი მისაფლავე – და თანაც ისეთი დროებითი, რომ ახლა ამ თავის ქალით შეგვიძლია ჩვენ ვითამაშოთ.

(თავის ქალს ერთმანეთს რამდენჯერმე გადაუგდებენ)

მეორე მისაფლავე – არადა ასეთები, სანამ ცოცხლები არიან, სულ ჩვენისთანების ბედით თამაშობენ ხოლმე.

პირველი მისაფლავე – წელან მე დამცინოდი და ჩემზე უფრო ღრმა ფილოსოფიურ აზრებს ახლა შენ აფრქვევ.

მეორე მისაფლავე – მე ორი დიპლომი მაქვს.

პირველი მისაფლავე – როგორც ტაქსის მძღოლებს?

მეორე მისაფლავე – ტაქსის მძღოლებიც არ იტყუებიან – დიპლომი მართლა ყველას ჰქონდა ხოლმე, იმიტომ რომ მთავარი დიპლომი იყო და არა ცოდნა.

ჯამლეტი – (უცებ მათ საუბარში ჩაერევა და მესაფლავეებზე შეცბუნდებიან) ისე კარგად მსჯელობთ, რომ მესაფლავეებს მართლა არ ჰგავხართ.

პირველი მისაფლავე – ჩვენ ისეთი ხელობა გვაქვს, რომ კაცი ძალაუფლებურად ფილოსოფოსი ხდება.

მეორე მისაფლავე – ისე გამოდის, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვდგავართ, ადამიანებს ერთი ქვეყნიდან მეორეში მივაცილებთ და ამიტომაც მეტი დაკვირვება ვისწავლეთ

ჯამლეტი – (ხელს ახალგათხრილი ორმოსაკენ გაიშვერს) ამჯერად ვის აცილებთ და ეს სამარე ვის გაუმზადეთ?

პირველი მისაფლავე – ეს ერთი საბრალო გოგოსთვის გავთხარეთ, რომელმაც თავი მოიკლა

ჯამლეტი – რატომ?

მეორე მისაფლავე – შეყვარებულმა ბიჭმა უთხრა, აღარ მიყვარხარო და ამანაც თურმე დარდს ვეღარ გაუძლო.

ჯამლეტი – ეგეთები ისევ ხდება?

პირველი მისაფლავე – ჩვენც კი ძალიან გაგვიკვირდა, მაგრამ თურმე ისევ ხდება და თურმე დღესაც შეუძლიათ ეგეთი სიყვარული და ერთგულება

ჯამლეტი – რა ერქვა იმ საბრალო გოგოს?

მეორე მისაფლავე – ოფელია რქმეგია.

(უცებ ჯამლეტი ისე სწრაფად გაუჩინარდება სცენიდან, რომ გაკვირვებული მესაფლავეები, მხოლოდ მხრებს აიჩეჩავენ)...

მეორე სურათი

(ჯამლეტი და ჰორაციო ზუსტად იქ დგანან, სადაც ჯამლეტს მამის აჩრდილი პირველად გამოეცხადა)

ჯამლეტი – აქ არ ვიდექით?

ჰორაციო – კი, მაშინაც ზუსტად აქ ვიდექით, როცა პირველად გამოჩნდა.

ჯამლეტი – გამორჩნდება თუა არა, მაშინვე ყველაფერს პირდაპირ ვეტყვი.

ჰორაციო – იქნებ გირჩევენია, რომ მამა-შვილს შორის საუბარს მე არ ვესწრებოდე?

ჯამლეტი – პირიქით, მინდა, რომ ამ საუბარს ჩემმა უახლოესმა მეგობარმაც მოუსმინოს.

ჰორაციო – მაშინ იქნებ წინასწარ, დაახლოებით მაინც მითხრა, რისი თქმა გასურს საკუთარი მამისთვის, რომ მე ძალიან უცხოვდ არ ვიგრძნო თავი.

ჯამლეტი – შენ კარგად იცი, რაც მაშინ მამაჩემმა მითხრა და ისიც კარგად გახსოვს, რომ მასთან საუბრის შემდეგ დედაჩემს ძალიან სასტიკად მოვექეცი. მერე ახალი გამგებლის მოკვლაც კი განვიზრახე და ალბათ შურსაც ვიძიებდი მამაჩემის გამო, რომ არა ოფელია...

ჰორაციო – (ანწყვტინებს) ოფელიამ დაიჯერა, რომ აღარ უყვარხარ და ამიტომაც გადანყვიტა, რომ მისმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა.

ჯამლეტი – ასე იმიტომ მოვიქეცი,



მიხალ და უნამუნო:

რაკი მოსალოდნელია, რომ „ლანასიონის“ მუდმივი მკითხველი დააინტერესოს ჩემმა აზრებმა, რაც ლეგისამონის წერილებმა და მისმა ნაწარმოებებმა აღმიძრა, ამიტომ მის ყურადღებას მივაპყრობ ხელოვნებაში კოსმოპოლიტიზმის შესახებ ჩემს ქვემოთ მსჯელობებზე...

და აი, უკვე ლეგისამონის წერილიც მაიძულებს ავჩქარდე და შავად მაინც მოვხაზო ის ტენდენცია, რაც, ჩემის აზრით, თქვენს ლიტერატურაში ერთმანეთს პირველობაში ეცილება – მხედველობაში მაქვს ბრძოლა ნაციონალიზმსა და კოსმოპოლიტიზმს შორის.

სოტო ი კალვისადმი მიწერილ წერილში, რომელიც მან წაუძღვარა თავის ნიგნს „რასის გენია!“ – არგენტინული პოემის არსებობის შესხენების ამ ცდას, – შეძლებს-სდაგვარად ზოგადად გამოვეცი პოეზიაში კოსმოპოლიტიზმის შესახებ ჩემი კონცეფცია, მაგრამ კრიტიკოსი, ვინც ხელი მოჰკიდა „რასის გენიას“, 25 ივნისის „ელ პაისის“ ფურცლებზე მაინც თავისას განაგრძობს და ჩემს გასაგონად ლაყბობს, ვითომ პოეზია ჩარჩობაში არ ჩაისმება, რადგან მისთვის ერის, რელიგიის, ენისა და მშობლიური ქვეყნის საზღვრები ვინროა და, რამდენადაც იგი მიჩვეულია გრძნობის, წარმოსახვისა და შთაგონების ასულად, ამდენად უნივერსალურია, ხოლო პატრიოტიზმი ხელოვნებაში სახიფათო გამოხატონია, რამაც ტრადიციას მოწყვეტილი ლიტერატურა შეიძლება განუკურნებელ რაქიტიზამდეც კი მიიყვანოს. ფსიქოლოგიის რა იშვიათი ცოდნა და ხელოვნების რა ღრმა ფილოსოფია!

მაშ კაცმა რომ თქვას, რაღა სჯიდათ ყველა დროისა და ხალხების პოეტებს, თუ არა ერის, რელიგიისა და სამშობლოს საკითხებზე ზრუნვა? მაშ რა ასაზრდოებს, რა უკლავს წყურვილს, ან რა ჰმოსავს წარმოსახვასა და გრძნობას, განა შეიძლება პოეზიისთვის იმაზე უფრო დამლუპველი იყოს რამე, ვიდრე უნაყოფო და აბსურდული კოსმოპოლიტიზმია, თავისივე არსით ღრმა და დადებითი უნივერსალიზმის მტერი?!

რომ გამგებლის მოკვლა უკვე გადაწყვეტილი მქონდა, ოფელიას კი ასეთი დიდი ტკივილისთვის, უბრალოდ ვერ გავიმეტებდი.

ჰორაციო – ვიცი.

ჯამლიტი – არ მინდოდა, რომ ჩემი ნაბიჯის გამო, მისი ცხოვრება ტანჯვად გადაქცეულიყო, რადგან ოფელია მხოლოდ ბედნიერების ღირსი იყო.

ჰორაციო – შეიძლება შენთვის არც უთქვამს, მაგრამ მგონია, რომ მას ძალიან უყვარდი.

ჯამლიტი – მეც ძალიან მიყვარდა, მაგრამ მამაჩემის აჩრდილის შემდეგ, ვერაფერზე ვფიქრობდი, შურისძიების გარდა.

ჰორაციო – ვიცი.

ჯამლიტი – მამაჩემის გამო შურსაც აუცილებლად ვიძიებდი, რომ არა ოფელია.

ჰორაციო – ამას ალბათ მაინც არავინ მოელოდა.

ჯამლიტი – იმის შემდეგ, რაც ოფელიამ გააკეთა, ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა მაშინვე და შურისძიებამაც აზრი დაკარგა.

ჰორაციო – აქ რატომ მოვედით?

ჯამლიტი – აქაც იმიტომ მოვედი, რომ მამაჩემს ყველაფერი პირდაპირ ვუთხრა, როცა ადამიანს მხოლოდ შურისძიება ამოძრავებს, სინამდვილეში იმას კი არ ჰკარგავს, ვინც სძულს, არამედ იმას, ვინც ყველაზე მეტად უყვარს...

ჰორაციო – (საათს დახედავს პაუზის შემდეგ) უკვე უნდა გამოჩენილიყო.

ჯამლიტი – როგორც კი მამაჩემი გამოჩნდება, მაშინვე იმასაც ვეტყვი, რომ მის თხოვნას ვედარ შევასრულებ და არანაირ შურისძიებას აღარ ვაპირებ.

ჰორაციო – უკვე უნდა გამოჩენილიყო.

ჯამლიტი – ერთადერთი, ვისზეც შურს ვიძიებ, საკუთარი თავია, რადგან ჩემს სიცოცხლეს, ოფელიას გარეშე, აზრი აღარა აქვს...

ჰორაციო – უკვე ისე აგვიანებს, რომ ისიც კი ვიფიქრე, ხომ არ მოგვეჩვენა მეთქი

ჯამლიტი – რა?

ჰორაციო – მამაშენის აჩრდილი.

ჯამლიტი – როდის?

ჰორაციო – მაშინ.

ჯამლიტი – ეს რომ მხოლოდ ერთხელ მომხდარიყო, მეც ვიფიქრებდი, რომ ყველაფერი სიზმარი იყო, მაგრამ მამაჩემის აჩრდილი რამდენჯერმე ვნახე.

ჰორაციო – მეც ვნახე.

ჯამლიტი – სხვებმაც ხომ ნახეს.

ჰორაციო – სხვებმაც ნახეს, მაგრამ იქნებ ასეთი რაღაც მართლა ხდება ხოლმე და ერთდროულად რამდენიმე ადამიანს ეჩვენება გარდაცვლილი და თანაც არაერთხელ.

(სცენაზე მარცელუსი შემოვა).

ჯამლიტი – აი, მარცელუსიც მოვიდა.

მარცელუსი – (ჯამლეტს) ყველგან გეძებე და ბოლოს მივხვდი, რომ აქ იქნებოდი.

ჰორაციო – კიდევ რამე უბედურებაა?

მარცელუსი – (გალიმებული) პირიქით, დიდი ბედნიერება და სიხარული.

ჯამლიტი – რამ უნდა გამახაროს იმის მერე, რაც უკვე მოხდა.

მარცელუსი – ვინც ყველაზე დიდი უბედურება მოგიტანა, ყველაზე დიდ ბედნიერებასაც სწორედ ის მოგიტანს.

ჰორაციო – რას გულისხმობ?

ჯამლიტი – ვის გულისხმობ?

მარცელუსი – ოფელიას, რომელიც ცოცხალია.

ჯამლიტი – როგორ?

ჰორაციო – თავი არ მოუკლავს?

მარცელუსი – არა, თვითონ მოიგონა და თვითმკვლელობის ვერსიაც თვითონვე გაავრცელა.

ჯამლიტი – კი მაგრამ, რატომ?

მარცელუსი – თვითონვე აგისნის კიდევ...

(სცენაზე სწრაფად ბნელდება და ჯამლეტის სიხარულის ცრემლებსაც მაყურებელი ვედარ ხედავს)

მესამე სურათი

(ავანსცენაზე მხოლოდ ოფელია და ჯამლეტი სხედან ან დგანან იმის მიხედვით თუ როგორ წარმოუდგენია ეს შეხვედრა ნებისმიერ მკითხველსა)

და მაყურებელს):

ჯამლიტი – რამდენიმე პიესის ავტორიც რომ იყოს უკვე, ნებისმიერ დრამატურგს მაინც ყველაზე მეტად იმ დიალოგის დაწერა უჭირს, სადაც ბიჭი და გოგო სცენაზე მარტო რჩებიან.

ოფელია – ახლა ხომ პიესას არ წერ?

ჯამლიტი – მაგრამ მარტო ვართ.

ოფელია – და არ იცი, რა უნდა მითხრა?

ჯამლიტი – მინდა გითხრა, რომ ზუსტად ის მოიფიქრე, რასაც არ ველოდი, მაგრამ მგონი ეს ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო.

ოფელია – (პაუზის შემდეგ, ღიმილით) მესაფლავებებმა არაფერი იცოდნენ.

ჯამლიტი – (უხერხულად) შენს საფლავს რომ თხრიდნენ (მიხვდება, რომ წინადადება ძალიან ცუდად დაიწყო, მაგრამ მაინც გააგრძელებს), მესაფლავებები ისე ფილოსოფოსობდნენ, რომ მათ პატიოსნებაში ეჭვი ოდნავაც კი არ შემპარვია.

ოფელია – ამიტომაც ნუ მკითხავ, რატომ გავაკეთე ეს, მთავარია, რომ ისევე შენს გვერდით ვარ და სიცოცხლე ისევე გრძელდება.

ჯამლიტი – სხვა რაღაც მინდოდა შენთვის მეთქვა.

ოფელია – გისმენ.

ჯამლიტი – მაშინ არ გითხარი და ამ შეცდომას მერე ჩემი სხვა შეცდომებიც მოჰყვა.

ოფელია – ახლა გისმენ, შეგიძლია ყველა შეცდომა ახლა გამოასწორო.

ჯამლიტი – მაშინ შენთვის არ მითქვამს, მაგრამ ერთ ღამეს მამაჩემის აჩრდილი ვნახე და მისი სიკვდილის გამო შურისძიებაც მაშინ გადაწყვიტე.

ოფელია – (გაკვირვებული) აჩრდილს ელაპარაკე?

ჯამლიტი – მაშინ სხვებმაც ნახეს, მაგრამ მხოლოდ მე დამელაპარაკა და ის მითხრა, რისი ეჭვიც მქონდა. (მცირე პაუზის შემდეგ) თუმცა გუშინ მთელი ღამე ველოდით, მაგრამ აღარ გამოჩენილა.

ოფელია – იქნებ მართლა მოგეჩვენა?

ჯამლიტი – სხვებსაც?

ოფელია – ხდება ხოლმე და ისიც კი ხდება, რომ თუ რაღაც ცუდის გაკეთება გინდა, აუცილებლად გამოჩნდება ვიღაც, ვინც ამ ცუდისკენ მონდობით გიბიძგებს.

ჯამლიტი – ცუდზე აღარ ვილაპარაკოთ.

ოფელია – მეც ეგრე მეგონა, რომ დღეს სულ სხვა რაღაცის თქმა გინდოდა ჩემთვის.

ჯამლიტი – მინდოდა, მაგრამ გამახსენდა რომ მამაშენი ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იყო.

ოფელია – იყო და ალბათ ახლაც არის, მაგრამ მამაჩემის აზრს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ხომ შენი აზრია.

ჯამლიტი – ვისთვის?

ოფელია – შენთვის.

ჯამლიტი – ჩემთვის მთავარი შენ ხარ.

ოფელია – ამის თქმა გინდოდა?

ჯამლიტი – მინდოდა მეთქვა, რომ ძალიან მიყვარხარ.

ოფელია – არც ისე ძნელი ყოფილა.

ჯამლიტი – რა?

ოფელია – სიყვარულზე ლაპარაკი, როცა გოგო და ბიჭი სცენაზე მარტო რჩებიან.

ჯამლიტი – მახსოვს.

ოფელია – შენ ისიც მითხარი, რომ ყველაზე მაგარ დრამატურგებსაც კი, ასეთი ეპიზოდების დაწერა, ყველაზე მეტად უჭირთ.

ჯამლიტი – იმიტომ, რომ სიყვარულს ბევრი ლაპარაკი არ უხდება.

ოფელია – (ღიმილით) და რა უნდა ვქნათ, ასე ჩუმად ვისხდეთ?

(ჯამლეტი ხელს ჩაკიდებს ოფელიას და ისინი ჩუმად სხედან ავანსცენაზე, სანამ არ დაბნელდება)...

ფარდა.




ვაჟა-ფშაველა:

ყოველი კაცი იმედით სცოცხლობს და ჩვენც, როგორც მომაკვდავთ, ის იმედი გვასულდგმულებს, რომ „ხალხი“ „ნაციონალისტებისკენ“ გადმოვა და იმათ კი, ვინც გზა-კვალს ურევს, საბოლოოდ და დღესდღეურად, გამოსადგეს არაფერს ასწავებს, ზურგს შეაქცევს. ამის ნიშნებს, ჩვენდა სასიხარულოდ, ვხედავთ დღეს, ისტორიული წარსული, ბუნება ქართველობისა გვაიმედებს, რომ ეს „ნაციონალიზმი“ მუდამ იქნება ჯანსაღი და არასდროს იგი შოვინიზმად არ გადაიქცევა. ჩვენდა სამწუხაროდ, „საქმეს“ ბანაკში სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ, ვხედავთ კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ მახინჯს, ფანატიზმით გამსჭვალულს, თავის თავის, თავის ერის უარყოფელს, ხოლო ერების ვითომდა მფარველს და მოსიყვარულს. ვაი ამისთანა სიყვარულს! სიყვარული ერთგვარი უნარის ცხოველთა ბუნებისა და მით უმეტეს, ადამიანისა, დიდი მადლი ბუნებისაგან მინიჭებული ადამიანისათვის, ხოლო ვისაც თავისი მშობელი დედა არ უყვარს, იგი სხვას როგორ შეიყვარებს, სხვას როგორ მოეპყრობა, როგორც ნამდვილ დედას?.. არა მჯერა, არა მწამს და რა ვქნა! ამისთანა კოსმოპოლიტიზმი უფრო თავმოწონეობა, ყოყლოჩინობაა, მიმბაძველობით გამონვეული, ერთხელ და ერთხელ დაჩემებულის ჭკუის ლიტინისა, ვიდრე ნამდვილი მიმართულება გულ-ღვიძლიდან ამომდინარე და მასში ფესვებგადგმული, – ეს მიმართულება ქარისაგან მონახერია და უნდა ისევე ქარმა გაფანტოს, განაბნოს. ანკი რას ვამბობ? განა ამაზე წერა და საუბარი შეიძლება ჭკუათმყოფელთა წინაშე?“

ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა



პარმენ ლორია



ოთარ ჩხეიძე

როსტომ ჩხეიძე

ის გათუმური მცხუნვარე დღე

(ერთი დოკუმენტის კვალზე)

– ორმოცდარვა წლის სექტემბერია... ცხელი, მხურვალე სექტემბერი, აგვისტოზე მხურვალე თუ არა, არც რომ ნაკლები.

ასე იწყება ოთარ ჩხეიძის 1983 წელს შექმნილი დოკუმენტური ნოველა თუ ლიტერატურული პორტრეტი „პროზის ბილიკებზე“, რომლის შუაგულშიც პარმენ ლორია მოქცეულა, სათავგადასავლო თუ დეტექტიური რომანების ავტორი.

ოთარ ჩხეიძე იმხანად ბინად ბათუმის ინტურისტის სასტუმროში დგას.

იმ დილით მთავარი ვესტიბულის კიბეზე რომ დაეშვება, ადმინისტრატორი მისკენ გამოიშვერს ხელს და ვილაც კაციც შემობრუნდება, მანამდე მას რომ ელაპარაკებოდა, შემობრუნდება და გამოემართება ამასთან შესაგებებლად.

ერთმანეთს პირადად არ იცნობდნენ, იმას ალბათ თვალციც არ მოეკრა ოთარ ჩხეიძისათვის, ამას კი ერთი-ორჯერ თუ დაენახა, ისიც შორიასხლოდან, და ახლა მიხვდებოდა, პარმენ ლორია უნდა იყოსო.

გაახსენდებოდა, თუ როგორ იდგა კონსტანტინე გამსახურდია თბილისში, მწერალთა სასახლის ტრიბუნაზე, მწერალთა პლენუმის მიმდინარეობისას, და როგორ მრისხანებდა: რა გახდა ეს „ჩაი“ და „მევლუდი“, ასე როგორ დაეცა ჩვენი მკითხველის გემოვნება, არადა, გამომცემლობებიც ამას უწყობს ხელს, კრიტიკაც ამასვე აქეზებს და საფრთხის წინაშე ბედი ჭეშმარიტი ლიტერატურის და ხელოვნებისაო.

მოგონების ავტორი თანამოკალმის ამ გამოსვლას ასე შეაფასებს: მაშინ ამის თქმა გამირობას უდრიდა. არას ვაზვიადებ. გემოვნებაც კლასობრივი ფენომენი ეგონათ და გემოვნების განსხვავებაც ვეღარ წარმოედგინათ, რახან გამოცხადებულიყო, კლასები აღარ

არის ჩვენშიო.

გემოვნების დაცემის ნიმუშად მაინცდამაინც „ჩაისა“ და „მევლუდს“ რომ ასახელებდა, იმიტომაც, რომ პარმენ ლორიას ერთბაშად დიდი პოპულარობა მოეპოვებინა და ამ მხრივ ყველასათვის გადაეჭარბებინა, თვით კონსტანტინე გამსახურდიასთვისაც, და ახლა თავის რომანთა სათაურები რომ მოესმოდა ასეთ უსიამოვნო კონტექსტში, რაღაცას ამოიძახებდა დარბაზიდან, მკაფიოდ არა, ცოტა გაუბედავად და ცოტა მწყრალად.

– ვინ არის ეს კაცი? – იკითხავდა ორატორი.

– პარმენ ლორია, – მიუგებდა სხდომის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი.

– იყოს, რა! – გააბიზრებდა კონსტანტინე გამსახურდია, კიდევ უფრო გამკაცრდებოდა და იმ ორ რომანს განაზოგადებდა მკითხველის გემოვნების დაქვეითების მიზეზად.

ახლა ოთარ ჩხეიძე ღიმილით შეეგებებოდა, ის კი ცოტა მოლუშულიყო და ასევე ეტყოდა: თუ დრო გაქვთ და გსურთ კარგად გაეცნოთ ბათუმს, შემიძლია მეგზურობა გაგინიოთო.

ამას კიდევ სურდა და დროც ჰქონდა, იმ დღეს თავისუფალი იყო ლექციებიდან, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა, იმ მცხუნვარე სექტემბერს დაიწყო საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსი და სწორედ იმ დღეს მიეცა შესვენება.

თითქოს მეგზური განგებამ მომივლინაო, – აღნიშნავს გაახსენებისას და დასძენს: ერთი რამ ჩემთვის ბეჯითად დამესწავლა და ვცდილობდი, რომ არ გადამეხვია – უცნობ გარემოში რომ მოვხვდებოდი, დრო არ დამეკარგა, კარგად გავცნობოდი იქაობას, შეიძლება ოდესმე მისი აღწერა დამჭირებოდაო.

ეს შეგონება იქიდან გადმოედო,

ნაპოლეონ ბონაპარტეს ცხოვრებას რომ სწავლობდა. უცხო ქალაქში რომ მოხვდებოი, – უჩიჩინებდა ნაპოლეონი თავის გერს, – დრო არ დაჰკარგო, ყველაფერი კარგად დაიხსომე, შეიძლება ოდესმე მისი ალება დაგჭირდესო.

სიამოვნებით დათანხმდებოდა და სიამოვნებითვე აედევნებოდა, თუმც იმას ცოტა უგუნებობა ეტყობოდა და ისიც ეტყობოდა, არც სურდა გვერდით მიჰყოლოდა თანამგზავრს:

– ერთი ნაბიჯით წინ მიდიოდა, მტკიცედ იცავდა იმ ერთ ნაბიჯსა, ოღონდ ერთხანსა, არცთუ დიდხანსა. ის დღე, მთელი დღე ერთად დაეჰყავით. რაღაც უამური მერეც გადაჰკრავდა სახეზე, ოდნავ გადაჰკრავდა, ოღონდ ესაა, რო აღარც უნდოდა, შემემჩნია, მოიშორებდა, გადაიბერტყავდა ხოლმე უმაღლე. უფრო ხალისიანი და ენაწყლიანი კაცი გამოდგა. ენაწყლიანი და მუხლჩაუხრელი კაცი გამოდგა. მიმიძლოდა და მივდედი, გარეშემოვწერეთ ბათუმ-ქალაქი, რკალად შემოვწერეთ ზღვიდან ზღვამდისა; მიმიძლოდა და მივდედი, მე არაფერს მეკითხებოდა, მას სალაპარაკო არ ელეოდა: ჰყვებოდა შემთხვევებს თავისი ცხოვრებისა, შეზავებული იუმორითა ჰყვებოდა.

მისი ნაამბობიდან ერთ ეპიზოდს გაიხსენებს, ნიშანდობლივს საბჭოური ეპოქისათვის, თავისებურ განზოგადებასაც რომ იძენს, კანთიელად წარმოაჩენს ამ მწერლის ზნეობრივ პორტრეტს, ცთუნებას რომ არ აჰყვა და პირად კეთილდღეობას არ გადააყოლა ეროვნული ღირსება.

ერთხელ მოსკოვში ყოფნისას უცრად აღმოუჩენიათ, რომ პარმენ ლორია აჭარელი მწერალი გახლდათ. მისი კუთხური წარმომავლობა ეთნიკურ წარმოშობასთან გაუიგივებიათ და კიდევ დახვევიან კორესპონდენტები – სურათებს უღებენ, ინტერვიუს ართმევენ. დიმიტრი გულიას უკვე კარგად იცნობდნენ და მონინებითაც ექცეოდნენ. ამჯერად კი ქართველ მწერალთა დელეგაციიდან პარმენსაც მომეტებული პატივი არგუნეს. პნკარედები სთხოვეს – აჭარულის მცოდნე ჩვენ არა გყავსო. არადა, შეპირდნენ, სასწრაფოდ ვთარგმნით

თქვენს წიგნებს, ოღონდაც პნკარედზე თქვენვე იზრუნეთო. ეს ამცნობდათ: ქართულად ვწერ და ქართულიდან მთარგმნელები ჩემს წიგნებსაც თარგმნიანო. ამის გაგონებაზე ცოტა შეცბებოდნენ, მაგრამ შეცხადებით არ შეუცხადებიათ: კეთილი და პატიოსანი, მაშინ მათ მივმართავთ, თქვენ ამაზე აღარ შეგანუხებთო.

მართლაც აღარ შეუწუხებიათ. რაკი აჭარლები სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი არ აღმოჩნდა, რატომღა გაენიათ ისეთი პოპულარიზაცია ქართველი მწერლისათვის, მისი წიგნები ერთბაშად რომ დაეხვევებინათ რუსულად. დაე რიგი როდესაც მოუწევდა, მაშინ ეთარგმნათ – ისიც, თუკი საჭიროდ სცნობდნენ.


ქვაყუდეს ერთკლასიანი სამრევლო სკოლა დაემთავრებინა, მეტი ვერ მოეხერხებინა, და კიდევ შებმულიყო შრომაში – ჯერ შინ, მერე ჩაქვის საუფლისწულო მამულში, იქიდან ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხანაში მოხვედრილიყო, შემდეგ ჯარშიც ამოეყო თავი, 20-იან წლებში სათავეში ჩადგომოდა ეგრეთწოდებულ აგიტმხატვრულ ბრიგადას და აქედან გასულიყო სამწერლო ასპარეზზე. ამ ბრიგადას თავისი მასალა სჭირდებოდა – სცენები, სკეტჩები, ფელეტონები, სხარტი დიალოგები, მოკლე-მოკლე პიესები. თვითონ უხდებოდა შეთხზვა და ასე მიაღებოდა თეატრსაც და მწერლობასაც.

ენაწყლიანი მოყოლისას ამ ყოველივეს რომ უამბობდა თანამგზავრს, ის შეეხუმრებოდა: მოლიერივით მოგსვლიათო.

ეს გაიღიმებდა – არც იწყენდა, არც ითაკილებდა და არც შეიფერებდა.

კარგად მოეხსენებოდა, თუ რა არაჩვეულებრივად გაეთქვა სახელი მკითხველებში.

– ტყუილად არ მოსვლოდა გული კონსტანტინე გამსახურდიასა, – ტყუილად არა; მეტოქედ არ მიიჩნევადა, რალა თქმა უნდა, რაინდულ ღირსებასა და რაინდულ სიამაყეს ძირს არ დაუშვებდა, მაგრამ პოპულარობა მისი მაინც აღიზიანებდა და იმის გარდა, ერთხანს, მერეც ბევრჯერ მოუხსენებია პარმენ ლორია არცთუ მაინცდამაინც დიდი



მიგალ დე უნაგუნო:


რასაკვირველია, კოსმოპოლიტური პოეზიაც არსებობს, ერის, რელიგიის, ენის, გარკვეული კულტურის გარეშე კი არ ვიცი!.. ეგებ ესპერანტოზე? მაგრამ აკი სათბურის ყვავილებიც არსებობენ, მშვენიერებიც არიან, სულ ნამდვილებსაც ჰგვანან და წარმოიდგინეთ, სურნელებაც არ აკლიათ. მე კი არ უარვყოფ მას, ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ ასეთი პოეზია არსებობს მხოლოდ სხვის ჩრდილში, თავისთავს მიწოდობილი და დასალუჰად განწირული, რადგან უნაყოფია. იგი მოგვაგონებს ველურ ხეზე დამყნობილი კულტივირებული ხის რტოს, მაგრამ გაფრთხილდეთ და კოსმოპოლიტურს არ მივათვალეთ სპეციფიკურად ფრანგული მოვლენები, ასე თუ ისე უკვე გადაგვარების ბეჭედდასმული!

ვაჟა-ფშაველა:

დიდი საქმეა მწერლისათვის სცნობდეს იგი თავის ფესვებს; დიდი საქმეა მცენარისათვის, ერთ ალაგას იდგეს და მის ფესვებს არავინ სჩიჩქნიდეს და ერთი ადგილიდან მეორეზე და მესამეზე არ გადაჰქონდეთ. ხოლო ფესვები მწერლისა მისი სიყრმის დროის სიცოცხლეშია გართხმული. იქ, სწორედ იმ მომენტიდან იწყება იმ ფესვების ზრდა, როცა პირველად მწერლის ნიჭი გაიღვიძებს, ცხოვრების, ბუნების შთაბეჭდილებათა წყალობით, როცა ის ან „ვაის“ წარმოთქვამს, ან „უის...“

მიგალ დე უნაგუნო:

როდესაც მე მოვინდომე შემექმნა პოეზიით გამსჭვალული ხელოვნების ნაწარმოები, რომელსაც შევალე კიდევ ათი წლის ფეჟრი, დაკვირვება და სიყვარული, – ჩემი ბავშვობის მინას, მშობლიური ბასკონიის მთებს მივმართე, კარლისტებსა და ლიბერალებს შორის ბრძოლას მივმართე, ჩემი ბავშვობის ექოდ რომ ხმანობს სულში და როცა გაიღვიძებს, მაშინვე მოგონებებს ნამომიძლის...



ვასილ ბარნოვი



მიხეილ ჯავახიშვილი



კონსტანტინე გამსახურდია

პატივისცემითა ტრიბუნდანაცა და თავისი საკარცხულიდანაცა, მარჯვენა სარკესთან რომ ედგა მწერალთა კავშირის დარბაზში და იმისი მეტიც ვერავინ ჩამოჯდებოდა, იქაც რო არა ყოფილიყო კონსტანტინე.

ეს უკვე ნიშნავს მის განსაკუთრებულ გავლენას, როგორც უპირველესი ბელეტრისტიკოსი. არამარტო თვითონ მოითხოვს ამ აღიარებას, თანამოკალმეებს უღიარებიათ კიდევც და ეგაა.

ისეთი ვითარება შექმნილა, რომ:

გარდაცვლილა ვასილ ბარნოვი.

მიყუჩებულა ნიკო ლორთქიფანიძე.

საზღვარგარეთ გაუხსნია გრიგოლ რობაქიძეს (1983 წელს დაბეჭდილ ესეიში, ცხადია, ეს გვარ-სახელი პირდაპირ არ აღინიშნებოდა, სამაგიეროდ, გამჭვირვალე მინიშნება მაინც გაივლევება: ზოგი მწერალი აღარც მოიხსენიებოდა).

მიხეილ ჯავახიშვილის სახელიც იატაკქვეშ ჩასულიყო („...ხმამალლა აღარც მოიხსენიებოდა, აღარც აღარავის უფრთხოდა ძილსა და აღარც აღარავის ეგონა, თუ კიდევ დადგებოდა დრო, თუ გამოანათებდა იგივე სახელი, საყოველთაოდ განთქმული სახელი“).

მაგრამ უეცრად პარმენ ლორიამ უნდა მოიპოვოს უჩვეულო პოპულარობა და ყველა დააბნოს ამ მოულოდნელობამ, ჯერ „ჩაის“ რომ მოჰყვებოდა და მერე „მეველუდს“.

– თვითონ არ დაბნეულა ავტორი, არა, არ დაბნეულა და ზედიზედ მოადევნა კიდევ რამდენიმე რომანი, საანგარიშოსთან რო ედოთ თვით ბულალტრებსა და სამზარეულოშიც ხელიდან არ უშვებდნენ დიასახლისები.

ლიტერატურის ისტორიისათვის ნიშანდობლივია ამგვარი უცნაურობანი, გემოვნებისა და მოდის ისეთი კაპრიზები, ასახსენლად რომ ძალზე ძნელია და ლამის ვერც დაგიჯერებია, მაგრამ რეალობა ესაა, თუ თავს არ მოიტყუებ და მასობრივ კულტურას ფერადი სათვალთ არ შეხედავ.

როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება ყოფილიყო ყველაზე პოპულარული პოეტი აკაკი წერეთლის სიცოცხლეში?

თურმე – მამია გურიელი და გრიგოლ აბაშიძე, ერთიმეორეს აჭარბებდნენ, თუმც მაინც გრიგოლ აბაშიძე ასწრებ-

და მამიასაც კი, თორემ აკაკი ორივეს საკმაოდ მოეტოვებინა უკან.

გალაკტიონ ტაბიძეს სიცოცხლეში პოპულარობით ვერავინ შეედრებოდა... გიგო ხენუაშვილს, არამცთუ სხვა პოეტები, გალაკტიონიც რომ დიდად უფრთხოდა მასთან ერთად პოეზიის საღამოებში მონაწილეობას, რაკილა დარწმუნებით იცოდა, იმის გამოსვლა გაცილებით მხურვალე და ხანგრძლივ ტაშისცემას გამოიწვევდა, და საკუთარი ნებით რატომ ეწვნია მწარე განბილება?

და აღარც ისაა გასაკვირი, რომ კონსტანტინე გამსახურდიასათვის პარმენ ლორიას წაეჭარბებინა პოპულარობით და ასერიგადაც გაელიზიანებინა.

ოთარ ჩხეიძე ერთ გარემოებასაც მიაქცევს ყურადღებას – მაშინდელი კრიტიკოსები სრულიად რომ არ აფასებდნენ ამ მწერალს, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ისე წერდა – მარტივად და ყველასათვის გასაგებად – რასაც მოითხოვდა საბჭოური იდეოლოგია და კრიტიკაც დღენიდაგ ქადაგებდა ამ პრინციპებს, როგორც სოციალისტური რეალიზმის არსებით ნიშან-თვისებებს. თვალს არიდებდნენ მის თხზულებებს და არამცთუ სანიმუშოდ არ მოიხმობდნენ, არც კი ახსენებდნენ თავიანთ გამოსვლებსა და თეორიულ თუ კრიტიკულ წერილებში. და თუ კონსტანტინე გამსახურდიას არასოდეს პატიობდნენ იმის მტკიცებას: არსებობს ელიტარული და მდაბიო გემოვნება და ხელოვნება უნდა ასცილდეს მდაბიობას და ამაღლდეს მშვენიერებამდე, – ამჯერად, როდესაც ამ მტკიცებას პარმენ ლორიას წინააღმდეგ მიმართავდა, ყურს იყრუებდნენ და დავას არ უმართავდნენ.

ამიტომაც მკვლევარი, ვინც 30-40-იანი წლების კრიტიკული სტატიების მიხედვით მოინდომებს ზოგადი შთაბეჭდილება შეიქმნას, ვერსად ამოიკითხავს, თუ როგორი პოპულარული და ნაყოფიერი შემოქმედი გახლდათ პარმენ ლორია.

– არადა, მისი წიგნები ყოველ წელს ნადს გამოდიოდა და მეტოქეობას ვერ უწევდა ვერავინა პოპულარობაში, ახლა თავს ტყუილად ნურავინ გამოიდებს, ვერავინ უწევდა პოპულარო-

ბასა. ეს იყო ბესტსელერი, ჭეშმარიტად ბესტსელური ჩვენში, მაშინდელ კვალობაზე.

კონტრასტისათვის დოკუმენტური ნოველის ავტორი ახსენებს ბევრ ისეთ ხოტბასა და აღზევებას მაშინდელ კრიტიკაში, იმხანადაც რომ ცოტა მიაქცევდა ყურადღებას და მერეც აღარავის გახსენებია. ეტყობა, პარმენ ლორია განიცდიდა კრიტიკისაგან ათვალწუნებას და მწერალთა კავშირის ერთ-ერთ პლენუმზე საყვედურს გამოთქვამდა: ჩვენ, პერიფერიის მწერლებს ცოტა გულცივად გვექცევიათ თბილისელები, თბილისელები ბრძანდებიან, მაგრამ სიტბოს ვერ გვანვდენენ ანდა არ ემეტებათ, პირიქით, უფრო სიცივეს გვაგრძნობინებენო.

– ვინ არის ეს კაცი? – კვლავ უნდა იკითხოს თავის საკარცხულზე მჯდომმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

– პარმენ ლორია, – კვლავ უნდა მიუგოს სხდომის თავმჯდომარემ.

– იყო, მერე, – „ყაზბეგისანი“ თითები აიქნოს კონსტანტინე და დაჯდეს გულგრილი გამომეტყველებით.

დარბაზმა იცინოს, და არც პარმენ ლორია დაიბნეს, მანაც გაიცინოს და ორივე ხელი გამოშალოს: ამას ვამბობო.

იუმორი, სიხალისე, მიმზიდველობა არა ჰკლებია მის ზეპირმეტყველებას და მისი პირველი ფელეტონები, სცენები თუ სკეტჩები იუმორისტული იყო, აგიტმხატვრული ბრიგადით რომ მოგზაურობდა აჭარის სოფლებში და, ჩადრს, მოლასა და მედრესეებს ჰგმობდა ანტირელიგიური პროპაგანდის კვალობაზე, და საზოგადოებრივი მეურნეობისკენაც მოუწოდებდა ხალხს, კოლექტივის სიკეთეს ირწმუნებოდა ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა თარგზე.

თვითონ ასე აფასებდა თავის იმჟამინდელ იუმორისტულ თხზულებებს: არა უჭირდა რაო, – თუმც ამ მიდრეკილებას წარმატებით ვეღარ გამოიყენებდა ვეღარც რომანებში და ვეღარც იუმორისტულ მოთხრობებში.

ოთარ ჩხეიძე ამ დაკვირვებას რომ უზიარებს მკითხველს, დასძენს: ეს არაა უჩვეულო მოვლენა და უცნაურსაც არაფერს ვამბობ, თხრობა, მე-

ტყველება სხვა ხელოვნებაა და წერა სხვა ხელოვნება, თუ სადმე ითქმის, შუა უდევს დიდი ზღვარიო, აქ ითქმის სწორედაც და პირველყოვლისადაცაო.

და თუ არსებობდა ბედნიერი დამთხვევანი („...ერთნაირად რომ ინვესიუმორსა, როგორც რო მთხრობელიცა და როგორც რო მწერალიცა...“), უმეტესწილად ის უფრო მომხდარა, რომ სასაცილოდ მოსაყოლი ფურცელზე აღარ გადასულა სასაცილოდ და შესაძლოა სატირალი უფრო ყოფილიყო.

იქვე ერთ საგულისხმო დეტალს ჩაურთავს:

– ვიცით, ვიცით ისიცა, რო უსმენ, მუცელი უნდა გეჭიროს ხელში, ოღონდ მერე და რაო, კომედიებიც დაუდგამს, მაგრამ გაღიმებულიც არავინ გამოსულა თეატრიდანა.

გამჭვირვალე მინიშნებაა, იმხანად ყველასათვის საცნაური, ოღონდ დღესდღეობით აუცილებლად უნდა გაიშიფროს სუსტი კომედიოგრაფისა და იუმორის, მახვილსიტყვაობის დიდი ნიჭით დაჯილდოებული ამ პოეტის ვინაობა: კარლო კალაძე.


ოთარ ჩხეიძე ვარაუდობს, რომ პარმენ ლორია მიმხედარიყო, ზეპირმეტყველებაში ასერიგად მომადლებული იუმორის უნარი წერის დროს რომ აღარ ჰყოფნიდა, ამიტომაც ერიდებოდა ძალდატანებულ იუმორისტობას და უფრო სანტიმენტალური თუ სათავგადასავლო სიუჟეტების ხარჯზე გამოდიოდა („და აქა ჰპოებდა თავის მკითხველსა და უამრავ მკითხველსა ჰპოებდა“).

ეს სიუჟეტები გახლდათ მისი სისხლხორციული გარემო, ასეთი წარმატების მომტანი, და არც უნდა გადაეხვია ამ გზიდან, არასოდეს არ უნდა დაენყო კრიტიკოსთა მიერ წამოჭრილი სქემებისა და თემების გამოყენება.

მაგრამ ცთუნება სძლევდა.

რაკილა მკითხველი თავისად დაეგულებინა, ახლა კრიტიკოსთა ყურადღების მიზიდვასაც მოინდომებდა, საამისოდ კი თემები და სიუჟეტები უნდა გამოეცვალა... მაგრამ გამოიცვალა და...

– მკითხველიც დაჰკარგა, – ერთი უნდოდა და მეორე მიიღო, რაც რო არ



ვაჟა-ფშაველა:

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გენიოსთა ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე... გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათავყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება... მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით...

მიხალ და უნაჟურო:

განა უნივერსალურები არ არიან გენიოსები, ვინც უნივერსალურსა და დროებითში მარადიულს აღმოაჩენენ? შექსპირი, დანტე, სერვანტესი, იბსენი სწორედ იმდენად ეკუთვნიან კაცობრიობას, რამდენადაც ერთი მათგანი ინგლისელი იყო, მეორე ფლორენციელი, მესამე – კასტილიელი და მეოთხე – ნორვეგიელი. და დანტეც იმიტომაა აღიარებული მსოფლიოსა და საუკუნეთა მოქალაქედ, რომ მან, XIV საუკუნის იტალიელთა შორის ყველაზე უფრო იტალიელმა და XIV საუკუნის ადამიანმა თავის თავში განასახიერა და მარადიულად აქცია იტალიური XIV საუკუნის ადამიანის ტიპი, ყველა დროისა და ხალხების ადამიანის ტიპი – ადამიანი!



ბათუმი (XX ს.-ის დასაწყისი)

ენება, ის მიიღო... დაჰკარგა მკითხველი და ერთბაშად დაჰკარგა, თუმცა კვლავაც გამოდიოდა იმისი ახალ-ახალი წიგნები, ყოველ წელიწადს გამოდიოდა.

იმჟამად კი, 1948 წლის სექტემბრის იმ დღეს, უღელტეხილზე დგას და მკითხველის სრულ შემოფანტვასა და თავქვე დაშვებას ვეღარ გადაურჩება.

მზე დაწვერილა და მაინც ცხელა.

ერთი ეპიზოდისაა გახსენებული. იმ წუთას იფიქრებ, ეს რა მოსაყოლი იყო, თანაც ასეთი დაწვერილებითო, მაგრამ დოკუმენტური ნოველის ფინალური მონაკვეთი სულ სხვაგვარად დაგანახვებს ამ ეპიზოდს და არაერთ ნიუანსსაც თავისთავად გახდის საცნაურს.

სადღაც, ქალაქის სულ განაპირას ერთ ფარდულს მიადგებიან, შუშაბანდს რომ უფრო ჰგავს, მზის გულზე დაედგათ და შიგნით დულდა ყველაფერი. პარმენი ლიმონათს რომ მოიკითხავდა, გამყიდველი ხელს შეახებდა თუ არა, თავისთავად ასკვებოდა საცობი და აასხამდა ბოთლი შამპანურივით. ჭიქა არ აღმოჩნდებოდა და პარმენი დიდად არც გამოიღებდა თავს – ერთს ბოთლიანად მოიყუდებდა და მეორეს, ისეთივე ბათქითა და შადრევანივით გახსნილს, თანამგზავს გადაულოცავდა („მოვსვი ერთი ყლუპი. ძალიან უნდა გწყურებოდა რომ მიჰკარებოდი; დიდი ზრდილობა უნდა გქონოდა, რო არ გადმოგექცია, ვაჟუპაცობა უნდა გყოფნოდა, რო გადაგეყლაპა. შევძელი, როგორც იქნა. პარმენმა მიჩნია, დალიე ბოლომდე, როგორც იყოს, წყურვილს მიგიყურებს და მეტი რა გინდაო. არ ავხირებივარ, დალევით მაინც არ

დამილევია“).

ეს ყოფილა და ეს მთელი თავგადასავალი იმ დღისა.

მშვიდობით მოზრუნდებოდნენ და მშვიდობითვე დაცლდებოდნენ ერთიმეორეს.

ქალაქი ისე დულდა, თითქოს მზე ზღვაზე ჩამოსულიყოს.

ბარე თხუთმეტი წელი რომ ჩაივლიდა, პარმენ ლორია თვითონ გაიხსენებდა ამ შემთხვევას. ეს მაშინ, მოულოდნელად რომ გადაეყრებოდა ოთარ ჩხეიძეს თბილისში, ნაძალადეგში, და ის იქვე მიიწვევდა, რესტორან „ლენეში“.

გაიხსენებდა და კიდევ გამოუტყდებოდა: შენთან რომ მოვდიოდი, შინაც დავიჭირე თადარიგი და ჯიბეშიაც ჩავიდე ფული, მაგრამ ისე მოხდა, ადულეზული ლიმონათით გაგიმასპინძლიო.

ამდენ ხეტიალსაც არ აპირებდა თურმე, წინასწარ ფიქრადაც არ მოსვლია, ხელს რომ ართმევდა, მაშინლა მოადგა ენაზე, სხვა უნდა ეთქვა და ვერ უთხრა, შეკითხვა უნდოდა და ვერა ჰკითხა, სიტყვას არ მოჰყოლია და ჯიქურ ვერ უთხრა. იმდენს იმიტომაც ლაპარაკობდა, ეგებ სიტყვამ მოიტანოსო, მაგრამ არ იქნა, არა, არ მოიტანა სიტყვამ.

და უნებურად თავის შემოქმედებით ლაბორატორიასაც გადაუხსნიდა: წერის დროს უფრო მემართება ხოლმე, მგონია რამდენიმე გვერდი მეყოფა, არადა, რამდენიმე ასეულს გადავაჭრელებ და სათქმელი მაინც სადღაც მრჩებაო; რომანები ასე გამომეცხადა, თავისთავად გამომეცხადა, თორემ მე თვითონ როგორ გავებედავდი, ფელეტონების წერაც რომ მიჭირდაო; მართალი გითხრა, შეხვედრაც არ მინდოდა შენთან, უნდა მომეწერა, მაგრამ შემეშინდა, რომანი არ გამომსვლოდაო; თქმითაც ხომ ისე დამემართა, ისე გავგულისდი, აღარც მახსოვს, გამოგემშვიდობე თუ არაო.

გამომემშვიდობეო, – ეს დაუდასტურებს.

კიდევ კარგიო, – გაეხარებდა პარმენ ლორიას და გაუმჟღავნებს იმ შეხვედრის შთამაგონებელ მიზეზსაც და ერთდღიანი ხეტიალისა და ადულეზულ ლიმონათზე დაპატიჟების გარემოებასაც – საკუთარ თავზე გაბრაზებას,

რისთვისაც მოადგა, ვერაფრით რომ ვერ ჰკითხა, და სულ დაიბნა.

– შენ შეიძლება არც გაგიგონია, ოღონდ რო გამოჩნდი, ბათუმში რო გამოჩნდი, ხმა დაიყარა, პარმენსა ხსნიან და ეს უნდა დანიშნონ; ეს უნდა მეკითხა, მინდოდა გამეგო, შენგან გამეგო.

თურმე რას აეფორიაქებინა ასე ძალიან, მისთვის უცნობ პიროვნებას რომ მიადგა სასტუმროში... ფსიქოლოგიურად კი ისაა დამაფიქრებელი, რომ ვერაფრისდიდებით ვერ მოახერხა ეკითხა, თუ რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ის დაყრილი ხმა.

გარდა პარმენ ლორიას პიროვნული ხასიათისა, მთავარ სათქმელს ადვილად რომ ვერასოდეს ამბობდა, სიტყვა ისე გაურბოდა ხოლმე, ამჯერად მიზეზი ვერტყმისა ისიც უნდა იყოს, რომ ვაითუ მართლაც უკვე გადანყვეტილია მისი მოხსნაც და ოთარ ჩხეიძის დანიშნვაც მის ადგილზე – მაინცდამაინც არ ეჩქარება ამის შეტყობა. და შინაგან წინააღმდეგობაშიც ამიტომ მოქცეულა – თან სული უსწრებს, გაარკვიოს და მოისვენოს, თან ურჩევნია ილუზიით გამოიკვებოს თავი, ვიდრე საწყენ სიმართლეს გაუცხადებენ.

რაოდენ მტანჯველი ყოფილა მისთვის ის ხეტიალი, რკალად რომ შემონერეს ბათუმ-ქალაქი.

უგუნებობა და უამურობაც ამიტომ ეტყობოდა და მის გასაქარწყლებლად ამიტომაც ენაწყლიანობდა.

პარმენ ლორია იმხანად მწერალთა კავშირის ბათუმის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი გახლდათ.

დოკუმენტურ ნოველაში ისიცაა აღნიშნული, რომ: მერე მართლაც გაათავისუფლეს პარმენი და მართლაც თბილისიდან გაგზავნეს ახალი მდივანი.

ახალი მდივნის ვინაობა აღარაა დაზუსტებული, მაგრამ აქ ბარემ გაიხსნას: ანდრო ლომიძე, პროზაიკოსი.

„ლენეში“ რომ ზის ოთარ ჩხეიძესთან ერთად, დიდი ხნის გათავისუფლებულია და:

– გადაეტანა თუ გამოეტირა კარგა ხანია, ადვილადაცა ლაპარაკობდა, ხუმრობდა, იცინოდა, მოილხენდა;

ბათუმს მენეოდა, ჩამოდი, როცა გინდოდესო, თუნდა წინასწარ შემატყობინე, თუნდაც მოულოდნელად დამესხი თავსა, რამდენი კაცითაც გინდა დამესხიო; ლალია თავისუფალი კაცი, თუ ლალია, ლალია. ძველი ტკივილები აღარც ახსოვდა, აღარც ის ანუხებდა აღარავისა, არა, აღარავისა...

აკი დაჰკარგა მკითხველი კრიტიკოსთაგან მოწონების სიტყვას გამოდევნებულმა.

ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიას მაინც მოაგონებდნენ თურმე: გახსოვს, „მეველუდზე“ რომ ამბობდი? და ის გაიკვირებდა: არც გამიგონიაო.

ახლა სხვები ჩნდებიან, სხვანი გაიგებენ სახელს, სხვანი ანუხებენ მასაც და ყველასაც, ვისაც სამწერლო ტახტრევანის მისაკუთრება მოუნადინებია.


ღრმა იუმორით, დიდი სიხალისით მოთხრობილი ამბავი მოულოდნელად ნაღვლიანი კილოთი უნდა დაბოლოდეს:

„და აი, მოვიგონებ, მოვიგონებ და მოგაგონებ, ვისაც თუ კიდევ მოაგონდება...“

მოულოდნელობა ნიშანდობლივია ნოველის ფინალისათვის და ვითომ დოკუმენტური ნოველისათვის რატომ უნდა იყოს უცხო?!.

სრულიად გამქრალა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან იმ კაცის სახელი, თვით კონსტანტინე გამსახურდია რომ დაეჩრდილა პოპულარობით... და თუ მისი წიგნების იმ რკალის ხელახლა გამოცემას ის უჩვეულო აჟიოტაჟი აღარ მოჰყვებოდა, თავის მკითხველს ისევე შეაგროვებდა და, ძალზე წარჩინებულთ თუ ვეღარ, ბევრს კი გააღიზიანებდა მასობრივ კულტურაში საკმაო წარმატების მოპოვებით.

ყოველ შემთხვევაში ლიტერატურის ისტორიის წერისას მკვლევარებს უპირველესად ამგვარი მოგონებანი თუ დოკუმენტური ნოველები უნდა ჰქონდეთ ხელი, რათა მართებულად გაიაზრონ გარდასული დროის სურათები, სამწერლო პროცესის შენაკადები თუ კოლორიტული სახეები, კანონზომიერებანიც და... უცნაურობანიც, რაც არამარტო სიხალისეს შემატებს თხრობას, არამედ უფრო ღრმად ჩაგვაფიქრებს ბედის კაპრიზებზე...



მიხაელ დე უნამუნო:

„ანრი დევრეი „მერკიურ დე ფრანსის“ ფურცლებზე – ჩემი აზრით, ეს ორგანო ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს კოსმოპოლიტიზმის არგენტინელ მიმდევართა შორის, – რადიარდ კიპლინგის შემოქმედებას რომ განიხილავდა, თავგამოდებით ამტკიცებდა, ამ მწერალს გაცილებით უკეთ გამოუდის ნანარმოები, რომელშიც მოქმედება ხდება ინდოეთში, ანდა ასე თუ ისე, მაინც დაკავშირებულია ამ ქვეყანასთან, სადაც კიპლინგმა ბავშვობის წლები გაატარა და ყველაზე ცოცხალი მოგონებებიც ამ პერიოდზე შემორჩაო და ასეთი ღრმა დასკვნა გამოაქვს: „არა ადამიანს არ ღირსება ორჯერ და ორ სხვადასხვა ქვეყანაში განიცადოს ბავშვობა, რასაც კარგად ვგრძნობთ, როცა კიპლინგის სხვა თემებზე დანერვილ რომანებს ვკითხულობთ; მათში აშკარად ჩანს, რომ ავტორი თავს ძალას ატანს, ვგრძნობთ გარე მყურებლის თვალს და ისეთი აზრი გვექნება, თითქოს ექსკურსიიდან დაბრუნებულმა უბის წიგნაკში ბეჯითად შეიტანა თავისი შთაბეჭდილებები“.

რა ზუსტადაა ნათქვამი: „არა ადამიანს არ ღირსება ორჯერ, ორ სხვადასხვა ქვეყანაში განიცადოს ბავშვობა“. ბავშვობა მხოლოდ ერთხელ და ერთ ქვეყანაში შეიძლება განიცადო, მერე კი ყოველნაირად უნდა ეცადო, როგორმე შეინარჩუნო იმ ქვეყანაში შენი ბავშვად ყოფნის დრო, რათა გახდე პოეტი, რადგან პოეტია სწორედ ის, ვის სულსაც ყველაზე მეტად მსჭვალავს ბავშვობის მოგონებები.



ბათუმში რომ გამოჩნდი, ხმა დაიყარა, პარმენს ხსნიან და ეს უნდა დანიშნონო...

მერე მართლაც გაათავისუფლეს პარმენი და მართლაც თბილისიდან გაგზავნეს ახალი მდივანი, ეს მერე და მალე...

მოგონების ამ პასაჟებიდან საცნაურია, რომ მთლად უსაფუძვლოდ არ დაყრილა ის ხმა – პარმენის მდივნობა უკვე გადაწურული ყოფილა.

ოთარ ჩხეიძეზე რომ მიიტანეს ვარაუდი, არც ესაა ძნელი ასახსნელი – უეცრად გამოჩნდა ახალი კაცი ბათუმში, ახალთაობაში ყველაზე გამორჩეული მწერალი, ვისი სახელიც უკვე არაერთხელ მოხვდა ნომენკლატურული კრიტიკის ქარცეცხლში, არამარტო საქართველოში, არამედ მოსკოვში გამართულ დიდ სამწერლო ფორუმზე, სადაც სასტიკად დაამუშავეს კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუასთან ერთად, როგორც ნაციონალისტი.

ისიც ყველას მოეხსენებოდა, თუ როგორ ედგა მხარში და, სადაც ხელი მიუწვდებოდა, ყველგან იცავდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და სახელოვანიც და ხელისუფლებისგანაც დაფასებული პოეტი სიმონ ჩიქოვანი და შესაძლებელი გახლდათ, რატომაც არა, ოთარ ჩხეიძის გამდივნობაც განეზრახა აჭარაში, მისთვის ჩაბარება მწერალთა კავშირის განყოფილებისა.

ის არავინ იცოდა, რომ მისი გალექტორება ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში შემთხვევით მოხდა – მანამდე ლექციების კურსს იქ ვახტანგ ჭელიძე კითხულობდა, მისი უფროსი მეგობარი, ვინც გაბეზრდებოდა ბათუმში ყოფნით, მომავლის გეგმებიც შეეცვლებოდა და წამოსვლას გადაწყვეტდა. ინსტიტუტში სთხოვდნენ: ეგებ შენი შემცვლელი შენვე შემოგვთავაზოო. ისიც ოთარ ჩხეიძეს მოეთათბირებოდა, მისგან თანხმობას მიიღებდა და საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსს მას გადასცემდა.

ოთარ ჩხეიძეს ასპირანტურა ის-ისაა დაემთავრებინა, სადისერტაციო ნაშრომიც გამზადებული ჰქონდა ჩარლზ

დიკენსზე, მწერლური ინტერესიც აიყოლიებდა ბათუმში გასამგზავრებლად, რათა იმ მხარეს ყოველმხრივ გასცნობოდა, და... პირველივე დღე გაუთავისუფლდებოდა თუ არა ლექციებიდან, აგერ პარმენ ლორიაც გამოეცხადებოდა დაბარებულივით და მთელს ბათუმს შემოატარებდა.

ისე იმას შეკითხვა რომ ჩაერთო ენაწყლიანი მოყოლისას: მართლა შენ ხომ არ შეგარჩიეს ჩემს ადგილზეო, – ოთარ ჩხეიძე დაბეჯითებით მიუგებდა: ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია და არც ის მსმენია, რომ თქვენს გათავისუფლებას აპირებდნენო.

არადა, თურმე...

რას არ შეიძლება გადააწყვედოს არქივების ჩხრეკა-შესწავლისას, რა ფურცელმა თუ დეტალმა შეიძლება ამოჰყოს უეცრად თავი.

აგერ თუნდ ეს ოფიციალური დოკუმენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან (ფონდი 14, საქმე 409, აღწერა 22, გვ. 28-30).

9 სექტემბერი 1948 წ.

26

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს პროპაგანდის დარგში

ამხ. რ. ს. შადურს

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის ისტორიული დადგენილებების შემდეგ, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილებამ გარკვეული მუშაობა ჩაატარა. ჯერ კიდევ 1946 წლის სექტემბრის ბოლოს ქართველი მწერლების მე-3 ყრილობის შედეგების განსახილველად მონვეულ იქნა აჭარაში მომუშავე მწერლებისა და ლიტერატორების საერთო კრება. საერთო კრებამ სასტიკად გააკრიტიკა განყოფილების მუშაობაში შემჩნეული შეცდომები და გამგეობას დაავალა ყველა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება. განყოფილების გამგეობა შეუდგა კიდევაც ამ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს, მოიწვია გამგეობის რამდენიმე სხდომა, რამდენიმე ბრი-

გადა მიავიღა სოფლად და სხვ. მაგრამ მისი მუშაობის პრაქტიკას მაინც ატყვიან დღემდე ერთგვარი ინერტიული დამოკიდებულება შემოქმედებითი საკითხებისადმი.

საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდენტის მიერ ა/ნ 20-21 ივნისს ჩატარდა აჭარაში მომუშავე მწერლების საერთო კრება, სადაც გამოიკვია, რომ ამხ. კ. რუსიძის უკანასკნელი რომანი „გამარჯვება“ შეიცავს სერიოზულ ნაკლოვანებებს და შეცდომებს. სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია აგრეთვე კრებულ „ლიტერატურულ აჭარას“. მასში გამოქვეყნებული ამხ. პ. ლორიას მოთხრობა „ოქროს ვარსკვლავი“ არასწორად ასახავს საბჭოთა სოფლის სინამდვილეს. მხატვრულად სუსტი და სქემატიურია ამ კრებულში მოთავსებული ამხ. პ. რურუას ლექსები და სხვ. დაშვებულია პოლიტიკური და ისტორიული ხასიათის შეცდომები მწერალ ჯ. ნოღაიდელის ნაშრომში „აჭარა დიალექტოლოგიურად“.

ყოველივე ზემოაღნიშნული შეცდომები აიხსნება იმით, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების გამგეობა და პირადად გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. პ. ლორია ვერ უწევს საჭირო ხელმძღვანელობას აჭარაში მომუშავე მწერლებს; განყოფილებაში არ არის გაჩაღებული წმინდა შემოქმედებითი ხასიათის მუშაობა, არ ეწყობა დისკუსიები ახალგაშობულ ნიგნებზე, ხელნაწერებზე, ლიტერატურის თეორიის საკითხებზე. საერთოდ, აჭარაში მომუშავე მწერლების დიდი ნაწილი არ მუშაობს თავისთავზე იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული შემოქმედების დონის ამაღლებისათვის.

მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდენტი შუამდგომლობს:

1. განთავისუფლებულ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობიდან ამხ. პარმენ ონისიმეს-ძე ლორია.

2. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად დამტკიცდეს ამხ. ოთარ როსტომის-ძე ჩხეიძე.

3. გადახალისებულ იქნას აჭარის განყოფილების გამგეობის შემადგენლობა.

4. დაისვას საკითხი, რათა აღდგენილ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების ორგანო გაზეთი „სიტყვა და საქმე“.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე: (სიმ. ჩიქოვანი)

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი: (ალ. გომიაშვილი)

წერილს ადევს როსტომ შადურის რეზოლუცია, დათარიღებული 14 სექტემბრით: „ამხ. ჭილაიას. მოლაპარაკეთ ამხ. ბეჭვიას. თუ თანახმა არის, შეიძლება დაინიშნოს მწერ. ო. ჩხეიძე მწერ. ლორიას ნაცვლად“.

აშკარაა – ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანი ანგარიშს უწევს სიმონ ჩიქოვანის რეკომენდაციას და თვითონ არაფერი აქვს საწინააღმდეგო – მოხდეს ეს ცვლილება ამგვარად.

მაგრამ, აი, ამხ. ბეჭვია კი... ანდა ამხ. ჭილაია...

ყოველ შემთხვევაში იმ ორი ამხანაგის – ჭილაიასა და ბეჭვიას – მოლაპარაკებისას ჩაშლილა სიმონ ჩიქოვანის განზრახვა და ალბათ გულში იფიქრებდა: კიდევ კარგი, ოთარს წინასწარ რომ არაფერი ვუთხარიო.

ბათუმი იწვოდა იმ დღეს და ეგაა, მზე სადღაც დაბლა ჩამოსულიყო ზღვაში განსაბანად და ადუღებული ლიმონათის შეთავაზების მეტს ვერაფერს ახერხებდა პარმენ ლორია, შეფიქრიანებული, დანადგლიანებული, ცალკე მკითხველი ეფანტებოდა, ცალკე თანამდებობაც ეცლებოდა ხელიდან... და ყველაფერს ამბობდა, გარდა იმ შეკითხვისა, გულს რომ უღრღნიდა: მართალია თუ არა დაყრილი ხმები, ჩემს ადგილას შენ რომ დაუნიშნებოდა.

...საიდან სად ამოჰყოფს ხოლმე უეცრად თავს რაიმე ცნობა ან დოკუმენტი.



პაპა-ფაპაველა:

სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვდავია ადამიანის გულში საერთოდ, მითუმეტეს ნიჭიერი ადამიანისა, და ნიჭის სათავე და დასაწყისიც სწორედ იქ არის, პირველად პატარა ყლორტი ამოვა და თუ არაფერმა შეუშალა ხელი, თანდათან ზრდას იწყებს და დიდ ხედ გაიზრდება. ასე სწარმოებს ნიჭის განვითარებაც.

ეს სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი ასმევენ პოეტს შემოქმედების ნექტარს. დარწმუნდით, რომ სიყმაწვილის შთაბეჭდილებათა ბრალია, რომ შექსპირებმა და რუსთაველებმა გაგვაგონეს ხმები „გულისა გასაგმირონი“.

მიკალ და უნაუნო:

ერთხელ სახელგანთქმულმა პორტუგალიელმა პოეტმა გერაჟუნკეირუმ მითხრა, ესპანეთს, როგორც ჩანს, პოეტები არა ჰყავსო.

„თქვენმა ქვეყანამ მძიმე დარტყმები განიცადა, – ასე სჯიდა იგი, – რა თქმა უნდა, ბოლოს წელშიც გაიმართებით და მოყენებულ ჭრილობებსაც მოიშუშებთ, დრო, მართვის სწორი ფორმა, შრომის-მოყვარეობა და მოთმინება თავისას იზამს, მაგრამ ის განსაცდელის უამრავი თქვენგან მაინც მოითხოვდა ჩვილსა და სიმწრის კვილსაც კი; და რამდენადაც არცერთ თქვენგანს განსაკუთრებით არ უწუნუნია, – ყოველ შემთხვევაში მე არც ერთი არ მახსენდება, – მაშასადამე, არც პოეტი უნდა გყავდეთ!“ – „იქნება იმას გულისხმობთ, უვარგისი პატრიოტები არიან და იმიტომო“, – ვცადე თავის მართლება, – „არა, შეუძლებელია! – შესძახა მან, – მოაზროვნე კაცი, ფილოსოფოსი, ანდა, თუ გნებავთ, სოციოლოგი, შეიძლება არც იყოს დიდი პატრიოტი, მაგრამ პოეტი?! თუ პოეტი შორეულსა და აბსტრაქტულზე უფრო ღრმად არ განიცდის იმას, რაც მის თავს, მის ირგვლივ ხდება, ის პოეტის გარდა ყველაფერია!“



ამ ჩანახატებში გადმოცემულია ის პირველადი შთაბეჭდილებები, რომლებითაც ჩვენ „ვიმუხტებით“ გარე სამყაროსთან „შეჯახებისას“. უმეტესწილად ამ პროცესში წარმომობილ ფიქრებს მონესრიგებულობა „დავარცხნა“ აკლიათ, მაგრამ იმით არიან საინტერესო, რომ ადამიანის უშუალო, შეურყვანელ ემოციებს გადმოცემენ. ამიტომ გადავწყვიტე ამ ფიქრებმა, (ყოველგვარი შემდგომი „დავარცხნის“ გარეშე!) დღის სინათლე იხილონ!

თემურ ნადარეიშვილი

დაუვარცხნელი ფიქრები

(ლიტერატურული ჩანახატები)

ხშირად შეხვედებით ერთ შენობაში (ერთ ოთახშიც კი!) სხვადასხვა „ჯურის“ სარეკლამო განცხადებას: ნამცხვრები და ქსეროქსი, ახალი ხორცი და კომპიუტერული მომსახურება, ჟალუზები და მეორადი ტანსაცმელი ევროპიდან და ა. შ. რას იზამ?! საბაზრო ეკონომიკამ არ იცის „გარჩევა“ – ოღონდ კი რაიმე გაიყიდოს და გამყიდველები ეგუებიან ამგვარ უცნაურ მეზობლობას!

ყველა ჯანმრთელი ადამიანი ტირილით ხვდება საკუთარ დაბადებას, მაგრამ მხოლოდ რჩეულთა ხვედრია (ჯანმრთელისა თუ განსაკუთრებით არაჯანმრთელის!) სიცილით შეხვდეს სიკვდილს!

ახლახან ტელევიზიით შევიტყვე, რომ ჩინეთში ხშირად იმართება ბალიშებით „ბრძოლები“. როგორც ამ სანახაობის ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, იგი ვერც კი გადმოსცემს იმ სიამაყის გრძნობას, რასაც განიცდის ამ პაექრობისას – ეს მისთვის ერთგვარი განმუხტვაა დაძაბული შრომითი დღის შემდეგ (გავისხენოთ, მართლაც რა „ფუტკარივით მუშა“ ხალხია ჩინელები!). ასე რომ, ბავშვების საყვარელი, უწყინარი თამაში ბალიშებით, მონიფულ ასაკში ასეთ სასარგებლო, „თერაპიულ“ სანახაობად იქცევა ხოლმე!

როგორც დოსტოევსკი თავის ცნობილ „მწერლის დღიურებში“ შენიშნავს, ადამიანები გულახდილი საუბრის დროს (ცნობილი რუსული „разговоры по душам“) ერთმანეთს „ეჯობებებიან“ იმაში, თუ რამდენად უბედურია თითოეული მათგანი. თუმცა მე მაინც

მგონია, რომ დოსტოევსკის ეს დაკვირვება მხოლოდ ნაწილობრივად სამართლიანი – ამგვარად ისეთი ადამიანები იქცევიან, რომლებიც ჩვეულებრივ ცხოვრებაში არაფრით გამოირჩევიან და ყურადღების მიპყრობას ამ უკიდურესი საშუალებით – საკუთარი უბედურების „გამიშვლებით“ ცდილობენ!

სტუდენტს გამოცდის წინ არაფერი ახსოვს, შემდეგ კი გამოცდაზე ყველაფერი ახსენდება! ასევე მსახიობს – სცენაზე გასვლამდე გარკვეული შიში აქვს, რომ რთული მონოლოგი დაავიწყდება, მაგრამ სცენაზე იგი ბრწყინვალედ წარმოსთქვამს მონოლოგს! შეიძლება კიდევ სხვა მაგალითების მოყვანა... რას ნიშნავს ადამიანის ეს ფსიქოლოგიური მდგომარეობა? ალბათ იმას, რომ ადამიანის ცნობიერში არსებული ცოდნა კრიტიკულ სიტუაციაში დროებით ქვეცნობიერში გადადის, მაგრამ სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა (უშუალოდ გამოცდაზე, სცენაზე გასვლა – დაძაბულობის პიკი!) იმას იწვევს, რომ ქვეცნობიერი ისევ ცნობიერში ბრუნდება!

წინასიტყვაობის ადამიანი

ზოგიერთი ადამიანი სერიოზულად ვერაფერს უდებს გულს – თითქოს მას „ეშინია“ ჩაუღრმავდეს ამა თუ იმ მოვლენის არსს. ეს პიროვნება ე. წ. „წინასიტყვაობის ადამიანი“ (ზოგი ხომ მხოლოდ წიგნის წინასიტყვაობას კითხულობს!). ასეთი ადამიანი საკუთარ ნიჭს სხვადასხვა შემთხვევით მოვლენებში ავლენს, მას შეუძლია სხვისი ქმედებების, საქციელის მხოლოდ ზედაპირული შეფასება და ვერ (თუ არ!) წვდება ამ ქმედებების შინაგან მიზეზებში. სწორედ ასეთ ადამიანზე რ.

თავორი მოსწრებულად შენიშნავდა: „Ум неглубокий постоянно выскакивает вперёд, но двигаться не может!“

რომეო და ჯულიეტა, ჰამლეტი და ოფელია. მე მგონი, ამ ორ წყვილს აერთიანებს პროტესტი სამყაროს მოუწყობლობისადმი, ოღონდაც რომეოს და ჯულიეტას ბუნტი შედარებით ლოკალური ხასიათისაა (მიმართულია ორი მოქიშპე გვარისადმი!), ხოლო ჰამლეტისა და ოფელიასი კი, უფრო ღრმია, გლობალურია და ამალღებულია „ყოფნა-არყოფნის“ დონემდე!

თარგმანის სიბლი

გენიოსი მწერლის, პოეტის თარგმნისას, მთარგმნელში „ილიქებს“ მისი საკუთარი ნახევრად გაუცნობიერებელი, ჩამოუყალიბებელი აზრები – გენიოსი ხომ თავის ნაწარმოებებში ისეთ მიგნებებს, დაკვირვებებს გვთავაზობს, რომლებიც ზოგადსაკაცობრიოა! (ხშირად ჩვენც გაგვიკეთებია მსგავსი მიგნებები, მაგრამ ცხადად ვერ გვითქვამს საკუთარი თავისთვისაც კი!). ახლა კი თარგმნისას, ადამიანს საშუალება ეძლევა „საკუთარი ნააზრევი“ (უცხო ენაზე დაწერილი!) მშობლიურ ენაზე აამეტყველოს და ამით მაინც გამოასწოროს პირველსაწყისი გაუბეაობა!

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გოეთეს ინსტიტუტში ალბერტ აინშტაინის მიერ ფარდობითობის სპეციალური თეორიის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე ნაჩვენებმა ფილმმა – ვიზუალურმა ხილვამ იმისა, თუ რა მოსდით სხეულებს (ამ თეორიის შესაბამისად!) სინათლის სიჩქარესთან (ბუნებაში არსებული მაქსიმალური სიჩქარე!) მიახლოებისას. კერძოდ, თუ როგორ მოკლდებიან ისინი მოძრაობის მიმართულებით, როგორ იწყებენ ბრუნვას და ა. შ. მართლაც შთამბეჭდავი იყო ამ სანახაობის ხილვა! მე, რა თქმა უნდა, თეორიულად ვიცოდი (ფორმულების ენაზე!) ეს ყველაფერი, რადგან თავად ვასწავლი

ამ საგანს სტუდენტებს, მაგრამ ე. წ. კომპიუტერული სიმულაციებით შექმნილმა და შემდეგ დიდ ეკრანზე გამოტანილმა კადრებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს სურათები თავად აინშტაინსაც არ ჰქონდა ნანახი (აკი ფილმის სახელწოდებაც ასეთი იყო: „ის, რაც აინშტაინს არ ჰქონდა ნანახი!“) და მითუმეტეს დასაფასებელია აინშტაინის გენია – მან ხომ გონების თვლით დაინახა ყოველივე ეს! ფილმის ნახვის შემდეგ ნათლად წარმოვიდგინე, თუ რა უცნაურ სამყაროში ვიცხოვრებდით, სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული სიჩქარეებით რომ გვემოძრავა! ახლა კი, მცირე სიჩქარეებზე, ეს ეფექტები დიდად არ გვანახებს – ჩვენთვის „წყნარად“ ვარსებობთ ნიუტონისეულ დრო-სივრცეში და მხოლოდ ლექციებზე ან სამეცნიერო სტატიების წერისას თუ გვახსენდება ეს „ახირებული“, მაგრამ რეალურად არსებული სამყარო!

P. S. მახსენდება, სკოლაში ფიზიკის კარგი მასწავლებელი მყავდა და ამიტომ მთელი კლასის აღშფოთება გამოიწვია სკოლის შემოსწებისას კომისიის ერთ-ერთი წევრის შენიშვნამ ჩვენი მასწავლებლის მიმართ, რომ იგი ხშირად არ იყენებდა ე. წ. თვალსაჩინოების საშუალებებს – სხვადასხვა სასწავლო ფილმებს, რომლებშიც ასახულია უმარტივესი ფიზიკური მოვლენები. ზემოთაღნიშნული ფილმის ნახვის შემდეგ მივხვდი (30 წლის შემდეგ!), რომ მართალი ყოფილა კომისიის „აბეზარი“ წევრი – ერთია, როდესაც თეორიულად „ეჭიდები“ ფიზიკის ამა თუ იმ პრობლემას და სულ სხვაა დანახვა, „გასინჯვა“ ამ პრობლემისა!

ბალზაკი ძალზედ დიდი მწერალია, მაგრამ მასთან ზოგჯერ გმირები სქემატურად არიან დაყოფილი დადებით და უარყოფით პერსონაჟებად. მაგალითად, გობსეკი მხოლოდ მევახშეა, აქედან გამომდინარე ყველა უარყოფითი თვისებით. შექსპირთან კი ასე არ არის! მის პიესებში არ არსებობს „მთლიანად“ უარყოფითი ან დადებითი პერსონაჟი (მაგალითად, დაკვირვებული მაყურებელი ტირან რიჩარდ მესამეშიც კი იპო-



ვაჟა-ფშაველა:

თუ ჩვენ ილიას სახელით ვესწრავით განვამტკიცოთ თქვენგან ათვალწუნებული „ნაციონალიზმი“, თქვენც ეცადეთ თქვენის ნამებულის სახელის საშუალებით განამტკიცოთ თქვენი საყვარელი „ინტერნაციონალიზმი“. იქნება ერმა თქვენდამი უფრო მეტი თნაგრძნობა გამოიჩინოს? არა გაქვთ იმედი? რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ერი უარგყოფთ, როგორც თქვენ უარყავით იგი და ჩვენც გვემუქრებით, „ხალხი გამოგრეკავთ ერთხელაც იქნება, როგორც იესომ ვაჭრები გამოდევნა ტაძრიდან“. თანახმა ვართ, ხოო ვიდრე ამას მოვესწრებით, ჩვენ მაინც ჩვენს სამსახურს არ მოვაკლებთ ამ ერს. თქვენც იმედი გქონდეთ, იხარებდით და იშვებდით, რომ წინასწარმეტყველება თქვენი ასრულდება და ჩვენ, ექსორიქნილი, ვივინებთ ჩვენს დამარცხებას, და თქვენი მუქარა მართლა მუქარად გამოდგება და არა ყვავებისა და ჩიტების საფრთხობელად.

მიგალ და უნაფუნო:

ჩემი ქვეყნის მინაწყალზე რომ დავეხებებოდი, სულ იმას ვფიქრობდი, ეგებ სადმე ეროვნულ დვირტას მივაკვლიო-ერთი, მაგრამ რაც უფრო თავგამოდებით ვეძებდი წმინდა ეროვნულსა და ტრადიკულს, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რა ამო იყო ჩემი გარჯა, ამ მუდმივად ცვალებად ხალხსა და მის კულტურაში თვითმყოფადისა და შექმნილის ერთმანეთისგან გარჩევას რომ ვლამობდი. გარემოსა და ვითარებასთან შერწყმა-შეთვისების ისეთი უნარი გააჩნია ადამიანს, იმდენად ურთიერთდაპირისპირებულია მისი მოქმედებები თუ უკუ მოქმედებები ან კავშირები სამყაროსთან, რომ მართლაც დახლართულ ლაბირინთში ამოშყოფ თავს, თუ ეცდები და ერთი რომელიმე ადამიანის, ანდა ხალხის ნიშანდობლივი თვისებების დადგენას მოინდომებ, მით უფრო, რომ მათი ცხოვრების ერთი ნუთიც არა ჰგავს მეორეს.



ენის კარგ მხარეებს, მაგრამ ჰამლეტ-შიც აღმოაჩენს მანკიერ თვისებებს!), არამედ ადამიანი აღიქმება როგორც მთლიანი (და არა სქემატური!) ფენომენი ყველა მისთვის დამახასიათებელი სუსტი და ძლიერი მხარეებით და ალბათ ესეც არის შექსპირის სიდიადის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი! (აკი ცხონებული ნოდარ დუმბაძეც მოგვინოვებდა, რომ ადამიანისათვის, როგორც ქანდაკებისათვის, ყველა მხრიდან შეგვეხედა!).

ხშირად დიდი პროფესიონალიზმი სხვა ადამიანებისათვის გაუგებარი რჩება – იმდენად „უბრალოდ“, „მსუბუქად“ ლებულობს გადანყვეტილებას (რთულ სიტუაციაში!) ესა თუ ის ცნობილი მეცნიერი, ექიმი თუ პოლიტიკური მოღვაწე. სინამდვილეში კი ამ „უბრალობის“, „სიმსუბუქის“ მიღმა სწორედ პროფესიონალიზმი (ნიჭი, გამოცდილება, ინტუიცია და ა. შ.) „იმალება“!

რიო-დე-ჟანიეროს ერთ-ერთ უღარიბეს უბანში დანაშაულს მხოლოდ იმიტომ ჩადიან, რომ ციხეში მოხვედრის შემდგომ უფასო საკვები ჰქონდეთ! ეს ალბათ გაჭირვების კულმინაციაა: ადამიანი ყველაზე უფრო ძვირფას საკუთარ უფლებას – თავისუფლებას, ლუკმა-პურზე ცვლის! (მართლაც, „გალარიბებულის“, „მშიერი“ თავისუფლების ფასი ძალზედ მცირეა!).

მახსოვს ერთ-ერთი სოლიდური ბანკის პრეზიდენტთან მე და ჩემი მეგობარი „პატარა საქმეზე“ ვიყავით შესული. საუბარი ძალზედ საინტერესოდ წარიმართა, რადგანაც ჩემი მეგობარი არაორდინარული, დიდი ინტელექტის მქონე პიროვნებაა და ამიტომ პრეზიდენტს მის მიმართ გარკვეული სიმპატია აღეძრა. შეხვედრის დასრულების შემდეგ პრეზიდენტმა ჩვენი გამოცილება დააპირა, მაგრამ გაახსენდა, რომ ეს „პროტოკოლით“ არ იყო გათვალისწინებული და ხელი აიღო ამ „სახიფათო“ განზრახვაზე. მე მაშინვე გამახსენდა ფილმ „დათა თუთაშხია-

დან“ ეპიზოდი, როდესაც პოლკოვნიკი სეხნიევი მოინდომებს მათრახი დაარტყას დათას, მაგრამ მისი ძლიერი, „დამუხტული“ გამოხედვა პოლკოვნიკს შეაჩერებს. ასე რომ, ზოგჯერ „უბრალო“ ადამიანების დიდი შინაგანი ძალის გარკვეულ ზეგავლენას „ძლიერი“ ამა ქვეყნისანიც“ კი განიცდიან ხოლმე!

პოლიტიკურს სხდომაზე სტალინს თავისი ცნობილი ჩიბუხის მოსაკიდებლად ასანთი რამდენიმე ცდით ვერ აუნთია. განრისხებულმა ბელადმა ასანთის ფაბრიკის დირექტორი სასწრაფოდ გამოიძახა, რომლის ხელშიც კი „წყელი“ ასანთი რატომღაც აინთო! სტალინმა დირექტორს წყნარად მიუგო: „ნადით, განაგრძეთ მუშაობა!“ კაბინეტიდან გამოსვლისას გაოგნებულმა დირექტორმა იკითხა, თუ რატომ დაიბარეს იგი და როდესაც აუხსნეს რაც მოხდა, იქვე, სტალინის მისაღებში გულის შეტევით გარდაიცვალა. ამ სამწუხარო ისტორიიდან კარგად ჩანს, თუ რა წნეხის ქვეშ უხდებოდათ იმ წლებში ადამიანებს ცხოვრება, როდესაც სრულიად იყო დათრგუნული მათი ღირსება და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ასეთი ტრაგიკული მაგალითებით იყო „გაჯერებული“ მაშინდელი ბედნიერი მომავლის იმედით „გაბრუებული“ საზოგადოება!

პოეტის მიერ საზოგადოებაში საკუთარი ლექსის ემოციურად, შთამბეჭდავად წაკითხვისას გარკვეული საშიშროება არსებობს იმისა, რომ დაიმალოს ლექსის შინაარსობრივი „სიღარიბე“, უნიჭობაც კი! თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლექსის განმარტებით წაკითხვისას („სიღრმისეული“ დადებითი მხარეების მიუხედავად!) ასევე არსებობს მეორე გვარის საშიშროება. კერძოდ, შესაძლოა არ წარმოჩინდეს ლექსის ნამდვილი ღირებულება, რადგანაც ხშირად „მარტო ნათქვამი“ სწორედ სხვა ადამიანებთან განცხადებისას ჭეშმარიტ მნიშვნელობას იძენს – ჩვენ ხომ ზოგჯერ უსუსური გვეჩვენება საკუთარი ნაფიქრი საჯაროდ გამოცხადებისას!

კრიტიკა

ირაკლი ქასრაშვილი


მიხეილ უელბეკი და ტრადიციული ევროპის დასასრული

იმ რეცენზიათა უმეტესობაში, რომლებიც მიხეილ უელბეკის „ელემენტარულ ნაწილაკებს“ ეხება, სიტყვები „შოკის მომგვრელი“ და „სკანდალურია“ გამოყენებული. სკანდალურზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან ამ ბოლო დროს ეს სიტყვა ყველა ისეთი ხელოვნების ნაწარმოების თუ უბრალოდ, საქციელის თუ გამონათქვამის აღსანიშნავად გამოიყენება, რომელიც დაწესებულ სტანდარტებს სცილდება. მსგავსი შეხედულებით, მე-16 საუკუნის ყველაზე სკანდალური ნაწარმოები „დონ კიხოტი“ უნდა ყოფილიყო, რადგან მასში მთელი მაშინდელი პოპულარული ლიტერატურაა მასხრად აგებული და არც თანამედროვე ესპანეთის ცხოვრებაა მიმზიდველად დახატული. აღარაფერს ვამბობ რაბლეზე, რომელიც ვილაცას (ევროპაში არა, მაგრამ სადმე, დედამიწის მიყრუებულ კუთხეში) დღესაც სკანდალურ მწერლად შეიძლება მოიწვევოს. აი, ვოლტერი კი, რომელიც უფრო დიდი საზოგადო მოღვაწე იყო, ვიდრე მწერალი, უფრო დიდი მწერალი, ვიდრე ფილოსოფოსი და უფრო დიდი ფილოსოფოსი, ვიდრე ისტორიკოსი, ნამდვილად სკანდალურ შემოქმედად ითვლებოდა მე-18 საუკუნის საფრანგეთში. ამან ხელიც კი შეუწყო იმას, რომ როგორც ერთი რუსი პუბლიცისტი ამბობდა, მას „ისეთი საჩუქარი გაეკეთებინა ევროპისათვის, რომლის ფასი ყოველ საუკუნეში უფრო მეტად გაიზრდება. ვოლტერმა ევროპას მისი საზოგადოებრივი აზრი აჩუქა. მან უჩვენა ევროპელებს, რომ მათი ბედი მათსავე ხელშია“. არა მგონია, უელბეკს ამგვარი ამბიციური მიზნის მიღწევა შეეძლოს, ან თუნდაც, სურდეს. თუმცა, თვითონ აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტება სკანდალურია და შეიძლება, შეგნებულადაც კი მიიღტვის სკანდალისაკენ, რადგან სხვაგვარი, არასკანდალური ჭეშმარიტების ძიების სურვილი მის გმირებს, დიდი ხანია, დაკარგული აქვთ.

რაც შეეხება შოკს, ის შეიძლება მართლაც განიცადოთ, როცა უელბეკის სახ-

ელგანთქმულ რომანს კითხულობთ, მაგრამ არა მგონია, მწერალი მიზანმიმართულად ცდილობდეს ამ გრძნობის გამოწვევას მკითხველში. ის მხოლოდ არსებულ რეალობას გადმოგვცემს და ამისათვის ნამდვილად ვერ დავძრახავთ. მით უმეტეს, როგორც ყველა ნამდვილი მწერალი, იმაზე მოგვითხრობს, რასაც მეტიმეტად კარგად იცნობს. მისი პოპულარობის მთავარი მიზეზიც ალბათ ისაა, რომ თანამედროვე ევროპელი სწორედ საკუთარ თავს ხედავს მის გმირებში. მინდოდა, მეთქვა, „აღწერილ საზოგადოებაში“-მეთქი, მაგრამ გამახსენდა, რომ საზოგადოება, როგორც ასეთი, უელბეკის ნაწარმოებებში არც არსებობს, ადამიანური კავშირები დარღვეულია, ურთიერთობები ხელოვნური და ზედაპირულია, ისეთი, როგორიც „ელემენტარული ნაწილაკების“ დასაწყისში, ჯერზინსკის გაცილების წვეულებაზე თანამშრომლებს შორის ან სექსითაა გაჯერებული (თუ მხოლოდ მასზე დამყარებული), როგორც ნუდისტურ ბანაკებსა და ტაილანდური მასაჟის სალონებშია. საზოგადოება ცალკეულ ინდივიდებად, მოლექულებადაა დაშლილი, ადამიანებად, რომლებიც, მართლაც, „ელემენტარულ ნაწილაკებად“ გვევლინებიან. მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც მათი სულიერი სიცარიელე, უფრო სწორად, სრული გამოფიტულობაა. სიცარიელის ანალიზი კი შეუძლებელია, იგი შეიძლება მხოლოდ დაინახო და თუკი მწერლობის ჭია გყავს შემჯდარი, სცადო, სხვებსაც შეავლებინო მისთვის თვალი. უელბეკიც ამ გამოფიტულობის გამოწვევას ყველგან ეძებს – ბავშვობის განცდებში, ოჯახურ პრობლემებში, დაუკმაყოფილებელ სექსუალურ ფანტაზიებში, აღზრდის სისტემაში, ქვეყნის ისტორიაში, თანამედროვე ყოფის სიმარტივეში, მაგრამ მთავარი მიზეზი ყველაფრისა – უსიყვარულობაა. ამ ცნებას, რომელიც ქრისტიანული მსოფლმხედველობის ცენტრში დგას, თანდათან ეკარგება აზრი თანამედროვე





საზოგადოებაში. მისი ჩანაცვლება კი სხვა ცნებით პრაქტიკულად შეუძლებელია. ისე, როგორც „სუროგატი დედა“ ვერასოდეს შეცვლის ნამდვილ დედას, რომელიც არა მხოლოდ საკუთარ რძეს თუ სიტბოს უნანილებს შვილს, არამედ საკუთარი არსების ნაწილადაც აღიქვამს. ორი სხვადასხვა მამაკაცისგან გაჩენილი და ლამის დაბადებიდანვე უპატრონოდ მიგდებული შვილების, მიშელის და ბრუნოს, საკუთარ დედასთან, „ძველ ბოხსა“ და „მარადიულ ჰიპისთან“ გამოთხოვების სცენა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი სცენაა მსოფლიო ლიტერატურაში (ნამდვილ ლიტერატურას ვგულისხმობ და არა გრაფომანიას). მეტისმეტად სიმბოლურად თუ გავიაზრებთ ამ მომენტს, ეს გარდაცვლილი ევროპის გამომშვიდობებაა შთამომავლებთან, რომელთა ბედითაც არასოდეს დაინტერესებულა. კიდევ უფრო სიმბოლურია სცენა, სადაც სასაფლაოსკენ მიმავალი ბრუნო გველის მოკვლას ცდილობს და ამის საპასუხოდ მსცოვანი წვერმოშვებული ჰიპი ქუჩის დამრიგებლურად ეტყვის: გველსაც საკუთარი ადგილი აქვს სამყაროში. ის ხალხი, რომელთაც დედაშვილური სიყვარული ანაქრონიზმად უქცევიათ, სამაგიეროდ ქვენარმავალთა დაცვაზე არიან გადაგებული. „დაბადების წიგნი“ მათთვის ქილიკის წყაროა, ხოლო დე გოლის „პატერნალისტური საზოგადოებისგან“ ადამიანების დაცვა – წმინდა მოვალეობა.

თითქმის ასი წლის წინ რუდოლფ შტაინერი ამბობდა, რომ თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი შეცდომა სიყვარულისა და სექსის გაიგივებაა. უელბეკს უკიდურესობამდე მიჰყავს ეს იგივეობა. მისი გმირებისთვის სიყვარული უპირველესად ყოველგვარი სახის შეუზღუდავ სექსს ნიშნავს და მეტს არც არაფერს. ზოგადად, არასექსუალური ურთიერთობები მის გმირებს შორის არც არსებობს. ადამიანის არსებობაში ფიზიოლოგიაა წამყვანი, არა მარტო წამყვანი, არამედ ერთადერთი რეალობაც. შეიძლება, სწორედ ამიტომაცაა, რომ სასიყვარულო ისტორიები „ელემენტარულ ნაწილაკებში“ ტრაგიკულად, ქალების უდროო გარდაცვალებით მთავრდება, ხოლო „პლატფორმის“ გმირს, ვითომ-

დაც იდეალურ ქალს, ზღვიდან გამოჩენილი ტერორისტები კლავენ. თუმცა, ის კი წარმოუდგენელია, რომ მათი საყვარლები ახალგაზრდა ვერტერით ტყვიას დაიხლიან ან რომეოსავით სანამლავს შესვამენ, რათა უკან მიყვინენ სატრფოებს. ერთი მათგანი, უბრალოდ, ფსიქიატრიულ კლინიკაში მიდის საკუთარი ფეხით, მეორე – ტახტზე წამოწოლილი თუ კომპიუტერთან მიმჯდარი, მოლეკულურ ბიოლოგიაზე ფიქრს აგრძელებს, მესამე – ტალიანდის ერთი სასტუმროდან მეორეში გადადის და ასე შემდეგ... საერთოდ, „ელემენტარულ ნაწილაკებში“ ბევრგანაა საუბარი ბიოლოგიასა და ქიმიაზე, აქა-იქ პლანკი, ჰაიზენბერგი და ბორიც არიან ნახსენები. მოლეკულური ბიოლოგია და ის საოცარი შედეგები, რომელსაც მეცნიერებმა დნმ-ის და გენების გამოფერისას მიაღწიეს, უახლოეს მომავალში ადამიანთა ცხოვრების წარმართველ ძალად არის გამოყვანილი. უელბეკი იმასაც კარგად გვიჩვენებს, რომ, რაც უფრო მეტად შეიცნობს თანამედროვე ადამიანი საკუთარ სხეულს, ბიოლოგიურ თავისებურებებს, მით უფრო შორდება ღმერთს. მეცნიერება საყოველთაო აღტაცებისა და ლამის თანამედროვე რელიგიის დონიდან ბოლო ასი წლის განმავლობაში მეტისმეტად მიწიერ და ზოგჯერ რუტინულ საქმიანობამდე დავიდა. ის ბანალური და კომპლექსებით გატენილი ადამიანებიც, რომლებიც მას ემსახურებიან და ყოველდღიურად ქმნიან ტექნიკურ საოცრებებს, თვალის დახამხამებაში რომ ცვლიან ჩვენს ცხოვრებას, სრულიად არ ჰგვანან ახალი რელიგიის ქურუმებს. მათ არც საერთო რწმენა აერთიანებთ, არც იდეა, რომელსაც მზად არიან, თავიც კი შესწირონ და არც რაიმე განსაკუთრებული მაგალითის მიცემა შეუძლიათ სხვებისთვის. ისინი, უბრალოდ, იმ საქმეს აკეთებენ, რაც მეტ-ნაკლებად კარგად იციან და ამაში საკმაო ანაზღაურებას იღებენ. აქ, ალბათ, უპრიანია ერთი ცნობილი ფრაზა გავისხენოთ ტარკოვსკის „სოლარისიდან“, ფილმიდან, რომელიც შორეულ მომავალს ეხება: „მეცნიერება შეიძლება მხოლოდ ზნეობასთან ერთად განვითარდეს“.

საერთოდ, „ელემენტარულ ნაწილაკებში“ გამოყვანილი ადამიანი,

რომელსაც, სხვათა შორის, ეს წიგნი ეძღვნება, თანამედროვე ევროპული სამყაროს პროდუქტია, ისტორიის იმ ახალი ეტაპისა, რომელიც მეორე მსოფლიო იმის შემდეგ დაიწყო. ერთი ბერძნული მითის მიხედვით, მას შემდეგ, რაც გმირთა ეპოქის ადამიანებმა სისხლისმღვრელ ბრძოლებში გაჟლიტეს ერთმანეთი, ღმერთებმა მიწისაგან მათი ახალი მოდგმა შექმნეს. უელბეკსაც სურს, დაგვანახოს ახალი ადამიანის შექმნა, ადამიანისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მიწის შვილია და აღარ გააჩნია სულიერი განზომილება. იგი საბოლოოდ ბუნებრივი გზით გამრავლებაზეც კი ამბობს უარს და სრულიად ახალი, ბუნებრივი კლონირების შედეგად მიღებული კაცობრიობით იცვლება. ერთმანეთის მიყოლებით ჩამოთვლის ავტორი ევროპის უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს თარიღებს (1945 – მეორე მსოფლიო ომის დასასრული და ახალი ევროპის შექმნის დასაწყისი, 1968 – მემარცხენე ახალგაზრდობის გამოსვლები და სექსუალური რევოლუცია, 1974-75 – „ცხოვრების წესის ფარული, მაგრამ ძირფესვიანი ცვლილება დასავლურ საზოგადოებაში“), რომლებმაც თანამედროვე ევროპელის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს. ალბათ მის მწერლურ წარმატებად (და მკითხველთა გარკვეული ნაწილისთვის მიზიდველად) უნდა ჩავთვალოთ ის, თუ როგორ დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მრავალი ზრდასრული ადამიანის ქცევის მიზეზები, განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფებში გაერთიანება თუ ღრმავაროვანი მსჯელობები ხშირად სექსუალური მისწრაფებების დაკმაყოფილების სურვილითაა განპირობებული.

საზოგადოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში და შემდეგ მთელ მსოფლიოში ახალი ეპოქა დაიწყო, ეპოქა, რომლის დადგომაც ორტეგა-ი-გასეტმა „მასების ამბოხში“ გვაუწყა. ეს არის მასობრივი მოხმარების, მასობრივი კულტურის, ტექნოლოგიური რევოლუციის, „სამყაროს, როგორც სუპერ-მარკეტის“ და „ერთგანზომილებიანი“ ადამიანის ეპოქა. ორი დამანგრეველი მსოფლიო ომით გადაღლილმა კაცობრიობის ევროპულმა ნაწილმა კომფორტში, გართობასა და მოხმარებაში ჰპოვა თავდავიწყება. უელბეკის გმირებიც სულით ხორცამდე (თუ ხორციტ სულამდე) ამ

ეპოქის შვილები არიან. მათ საკუთარი ბედნიერებისათვის ბრძოლის ან ახლებელი ადამიანის დახმარების შნოც კი აღარ შერჩენიათ. ჯერზინსკი უდრტვინველად უთმობს საკუთარი სატრფოს პირველი ღამის უფლებას მექალთანე და მანიაკ მეტოქეს, ხოლო ბრუნოს იმის უნარიც არ აქვს, საკუთარ შვილს, რომელიც მასავით მარტოობით იტანჯება, ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს ცხოვრების ტვირთი. რთულ სიტუაციაში ისინი ორივე გაქცევას ამჯობინებენ, ვიდრე უახლოესი ადამიანებისთვის საკუთარი სულის ნაწილის გაღებას. თუმცა შეუძლებელია გაიღო ის, რაც არ გააჩნია. თუკი „ცათა სასუფეველი ძალით იღება“, უელბეკის გმირებს იქ არაფერი ესაქმებათ, რადგან საკუთარ თავს ძალას ვერანაირად ვერ ატანენ. ზოგადად, ყველაფერი, რაც საუკუნეების განმავლობაში ნორმალური ადამიანის ცხოვრების საფუძველია არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ დედამიწაზე – შვილების სიყვარული, მშობლების პატივისცემა, ერთგულება, თანაგრძნობა, სოლიდარობა, ურთიერთდახმარება – უელბეკის გმირებისათვის ისევე უცხოა, როგორც ვთქვათ, თხის ან ღორისათვის. ამიტომაც მის წიგნებში ადამიანისა და ცხოველების ქცევის გაუთავებელი შედარებები, რომლებიც კონრად ლორენცის დაწერილი გეგონებათ. „პლატფორმის“ და „კუნძულის შესაძლებლობის“ გმირები ისე ლაპარაკობენ საკუთარი მშობლების ურთიერთობასა თუ შვილის თვითმკვლელობაზე, როგორც რომელიმე ძალი ან კატა ისაუბრებს, მეტყველება რომ შეეძლოს. ბავშვები ხომ საერთოდ პატარა ურჩხულებად არიან გამოყვანილი – ისინი ტირიან, ჩხავიან, ქვეშ ისვრიან, მუდამ მშობლების ყურადღებას ითხოვენ, რაც უფრო იზრდებიან, მით მეტ ფულს გახარჯინებენ და ნაკლებ პატივს გცემენ. მათ ყოლას ისევ პატარა, მიუსაფარი ლეკვის აყვანა სჯობს ქუჩიდან. ევროპულ უფროსებს, როგორც მათ უელბეკი აღწერს, შვილებისთვის არ სცხვიათ. ისინი სამსახურით ან უფრო ხშირად, თავისი თავით არიან დაკავებული – ზოგი პიპ შოუზე დადის, ზოგი სადომაზოხისტურ კლუბში. სხვებს – საყვარელთან პაემანზე, უცხო ქვეყნებში სამოგზაუროდ ან სამყაროსთვის



პაპა-ფაპაქა:

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო ნევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფს; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველი ერისათვისა სასარგებლო ასეთი აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში...

მიგელ დე უნამუნო:

„უნდა ვირწმუნოთ ჩვენთვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა, ვირწმუნოთ, რომ მუდამ დავრჩებით თავისთავადნი და დაე მოვარდეს გარედან შმაგი თქემი, გვეხუროს გაცოცხლებული წვიმა“.



ახალი, ეგზოტიკური ჭეშმარიტებების დასამტკიცებლად მიერქარებათ. ან იქნებ, უბრალოდ, სურთ წამოწინა და თეთრად შეღებილ ჭერს მიაშტერდნენ საათობით. უელბეკის გმირები მხოლოდ საკუთარი არსების, ან უფრო სწორად, საკუთარი სხეულის გარშემო არიან კონცენტრირებული. სამყაროს ან ყოფიერების არსის შეცნობა მათთვის მხოლოდ სექსუალობის შეცნობას ნიშნავს. ბედნიერების რეცეპტიც მარტივია – თუ კაცს საკუთარი სქესობრივი ცხოვრება სიამოვნებას ანიჭებს და აკმაყოფილებს, თუკი ისეთ ქალს შეხვდა, რომელიც ახალგაზრდაა, მიმზიდველად გამოიყურება, ნაკლებს საუბრობს, კომპლექსები არ აწუხებს, პარტნიორს თავს არ აბეზრებს რომანტიკული ურთიერთობების მოთხოვნით და მზადაა მისი ყოველგვარი ეროტიკული ფანტაზია დააკმაყოფილოს, ჯგუფური სექსისა თუ სადომაზოხიზმის ჩათვლით, იგი ბედნიერია. თუ არადა – მისი ცხოვრება გროშადაც არ ღირს, ხოლო ნებისმიერი სხვა ინტერესი, იქნება ეს კურდღლების მოშენება თუ ტურიზმის განვითარება, ყალბი და ზიზღის მომგვრელია.

მეორე მსოფლიო ომის დროს ამბობდნენ, რომ „თუმცა დე გოლმა საფრანგეთის გადარჩენა ვერ შეძლო, მისი ღირსება მაინც იხსნაო“. ღირსების ხსნა კი იმით მოახერხა, რომ ყველაზე მძიმე დამარცხების შემდეგაც არ მოუხარა თავი ფაშისტურ ბოროტებას. უელბეკის გმირებს არც დე გოლთან და არც ისტორიულ საფრანგეთთან – მარი დე შამპანის, ლუდოვიკო წმინდას, ჟანა დ'არკის, ფრანცისკ პირველის, ბაიარდის, რიშელიეს, ნაპოლეონის, მარშალ ფოშისა და კლემანსოს სამშობლოსთან საერთო არაფერი აქვთ. ისინი თითქოს ადამიანთა ახალ ჯიშს წარმოადგენენ, სხვა პლანეტიდან გადმოსროლილს იმ ქვეყანაში, რომელსაც გაუგებრობის გამო ჯერ კიდევ ძველი სახელი შერჩენია. ნორმანდიაში გადმოსხმული ამერიკული დესანტის თავდადება, ჯარისკაცების გმირობა, უშიშრად რომ გარბოდნენ გერმანული ტყვიამფრქვევებისკენ ამ ახალი ადამიანებისთვის მხოლოდ ქილიკის საგანია (ალბათ იმიტომ, რომ გასროლის პირველივე ხმაზე მზად არიან, მიწას გაეკრან და თავი აღარ წამოწიონ), ხოლო „სამშობლოს“ ცნება ისეთივე

უაზროა, როგორც მინდვრის თავგისთვის იმ სოროს სიყვარული, სადაც შემთხვევით გაჩნდა. ისინი უფრო იმ გამოფიქვული ქვეყნის შვილები არიან, რომლის სასიცოცხლო ძალები ისე დაიშრია პირველი მსოფლიო ომის სისხლიან, ტალახიან სანგრებში, რომ სულ რაღაც ოცი წლის შემდეგ ლამის თითის გაუნძრევლად ჩაბარდა ჰიტლერს, ოღონდ კი ხელახლა არ გადაეტანა ვერდენის ხოცვა-ჟლეტა ან, თუნდაც, სომის ბრძოლის სიმძიმე. მოქალაქეები ახლა იმისკენ თუ ილტვიან, რომ სხეულის უმარტივესი მოთხოვნებიანი დაიკმაყოფილონ სულ უფრო და უფრო დახვეწილი ხერხებით და დემოკრატიადაც სწორედ ის მიაჩნიათ, რომ ვერაფერ გაბედოს მათთვის ამაში ხელის შემლა იმ სამყაროში, საიდანაც საბოლოოდაა განდევნილი ცოდვის ცნება. თავის დროზე შტეფან ცვაიგი წუხდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში სქესობრივი ცხოვრება თითქმის არ იყო ასახული და ადამიანის ყოფის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი მწერალთა შედარებით ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდა. ცვაიგი რომ უელბეკს მოსწრებოდა, ალბათ, სიხარულით განაცხადებდა, სქესობრივი სურვილების თუ აქტის ღიად და დაწვრილებით აღწერის საკითხი ევროპულ მწერლობაში ერთხელ და სამუდამოდაა გადაჭრილი, ხოლო უელბეკის თანამემამულე და სეხნია ფუკო ხომ ხელისგულებს გადაიტყავებდა ტაშისცემით (თუ, რასაკვირველია, ისინი სხვა საქმით არ ექნებოდა დაკავებული).

„ელემენტარულ ნაწილაკებში“ ავტორი რამდენჯერმე ახენებს იუდეო-ქრისტიანული (იგივე დასავლური ანუ ევროპული) ცივილიზაციის თვითლიკვიდაციას და ეს არცაა გასაკვირი. ევროპულმა ცივილიზაციამ ამ რელიგიებისგან ორი ტრადიციული საყრდენი მიიღო: იუდაიზმისაგან – რწმენა (უპირველესად, ღვთის რწმენა), ქრისტიანობისაგან – სიყვარული (უპირველესად, მოყვასის სიყვარული). დღესდღეობით კი, როდესაც ევროპული ტაძრები გამოცარიელებულია, სიყვარული კი სექსის ერთ-ერთ ნაირსახეობადაა ქცეული, ასეთი ცივილიზაციის მომავალი მეტისმეტად ბუნდოვანი ჩანს. უელბეკი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მასში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობის ყველაზე დამახა-

სიათებელი თვისებები გულგრილობა და სულიერი სიცარიელეა. მისი კითხვისას შეუძლებელია, არ გაგახსენდეთ ივანე კარამაზოვის სიტყვები: „თუ ღმერთი არ არსებობს, ყველაფერი დაშვებულია“. შემთხვევითი არაა, რომ ანტიუტოპისტი მწერლებიდან, მრავლად რომ გვაჩუქა მეოცე საუკუნემ, უელბეკი მხოლოდ ჰაქსლის მოიხსენიებს, თანაც არაერთხელ. ეს არა მარტო იმის ბრალია, რომ ჰაქსლი ზოგიერთებისთვის ჰიპოთეზის იდეური წინაპარა იყო, არამედ იმისიც, რომ მან მეტად დამაჯერებლად აღწერა სრულიად ბედნიერი და ემბრიონების მეშვეობით გამრავლებული კაცობრიობის შორეული მომავალი. უელბეკის „ელემენტარული ნაწილაკები“ პირობითად შეიძლება ჰაქსლის „მშვენიერი ახალი ქვეყნის“ პირველ ნაწილადაც ჩავთვალოთ, ჯერზინსკი კი – ადამიანების ემბრიონებით გამრავლების მამამთავრად, ვინმე ბოკანოვსკის ნაცვლად. უელბეკი კი ქვეყნიერებისკენ მიმავალი გზის დასაწყისს გვიჩვენებს, რომელმაც დასრულებული სახე ჰაქსლის რომანში მიიღო. სამყაროში, სადაც „დედა“ და „მამა“ სალანძღავი სიტყვებია, ყოველი ქალი ყოველ მამაკაცს ეკუთვნის, ნორმალური ადამიანი ველურად აღიქმება, ერთგვაროვნება კი – ცხოვრების წესად. მოსალოდნელი იყო, რომ უელბეკი ბრიტანელი მწერლის ხსენებით არ დაკმაყოფილდებოდა და თვითონაც მოინდომებდა ანტიუტოპიის შექმნას, რაც განახორციელა კიდეც „კუნძულის შესაძლებლობაში“, რომლის ის ნაწილები, კლონირებული, დანომრილი არსებებით დასახლებულ დედამიწაზე რომ მოგვითხრობს, თავისთავად, უკვე ჰაქსლის რომანის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩემთვის კი „ელემენტარული ნაწილაკები“ წიგნი-გაფრთხილებაა, იმის ნათელი ილუსტრაცია, თუ ამჟამად როგორია და საით მიემართება ძველი კონტინენტი, რომ ტრადიციული ევროპის დასასრულს, რომელზეც ასი წლის წინ წერდა ოსვალდ შპენგლერი, ჩვენს თვალწინ, ყოველდღიურად ესხმება ხორცი. ჯერ კიდევ ჩვენზეა დამოკიდებული, ეს დასასრული რაღაც ახლის, არანაკლებ ღირებულის და ნაყოფიერის დასაწყისი გახდება თუ უძველესი ცივი-

ლიზაციის დროში განელილი თვითლიკვიდაცია იქნება. გადაიქცევიან თუ არა ჩვენი შთამომავლები ალფებად, ბეტებად და გამებად, დანიელ24-ებად და მარია22-ებად. თუ ჰაქსლის და მის კვალად, უელბეკის მიერ აღწერილი მომავალი რეალობად იქცევა, მაშინ დროის სულ მცირე ისტორიულ მონაკვეთში ევროპაში არათუ საზოგადოებრივი აზრის და თვითონ საზოგადოების დეგრადაცია მოხდება, შეიძლება საერთოდ აღარც დარჩეს ადამიანი, რომლისთვისაც წიგნის მიძღვნა გახდება შესაძლებელი.

რომელიღაც ცნობილი ფილოსოფოსი ამბობდა, არავის დააინტერესებს თხების მსოფლიო ისტორიის თორმეტომეულის ნაკითხვაო. მართალია, უელბეკი ამჟამად ძალიან პოპულარულია, მაგრამ რაც უფრო მეტი ფიზიოლოგია და პორნოგრაფია იქნება მის წიგნებში, მით უფრო ნაკლებად საინტერესო გახდება ისინი. ლიტერატურის ეს სფერო წრესავითაა, რაც უფრო მეტს აღწერს, მით უფრო მეტად იმეორებ იმას, რაც უკვე გაქვს ნათქვამი. პერსონაჟების განცდები კი სულ უფრო მეტად ემსგავსება თხების თუ არა, ზოგადად ცხოველთა განცდებს მაინც. უელბეკის პირველი წიგნი (საბედნიეროდ, ეს „ელემენტარული ნაწილაკები“ აღმოჩნდა), დიდი ინტერესით წავიკითხე, მეორე – ცოტა გამიჭირდა, მესამე ძლივ-ძლივობით დავასრულე, მეოთხე – რამდენიმე თავის შემდეგ მივატოვე და მესუთეს აღარც გადავშლი. ვიცი, რომ ასეთი რამ არასოდეს დამემართება, თუნდაც, სენტ-ეგზიუპერის კითხვისას, რომელიც ცაში იმისთვის აიჭრა, რომ იქიდან უკეთესად შეეცნო მინიერი ცხოვრება. უელბეკისადმი ჩემი ინტერესის თანდათან შემცირების მიზეზი კი ერთი უბრალო და ძველთაძველი ჭეშმარიტებაა – ადამიანის ყოფა მხოლოდ და მხოლოდ ფიზიოლოგიაზე არ დაიყვანება, მას სხვა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო განზომილებებიც აქვს. სწორედ ეს მაძლევს იმედს, რომ კლონებით დასახლებული დედამიწის აპოკალიფსური მომავალი მხოლოდ რომანების ფურცლებზე დარჩება და რეალობად არასოდეს იქცევა.



მიხაელ ლე უნაფური:

ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა თუ ფილოსოფიის ისტორიაში ხშირად ვხვდებით ერთ ფრიად საინტერესო მოვლენას – ორი ადამიანი, რომელიც არც ერთმანეთს იცნობდა, არც ერთიმეორის შემოქმედებას და საერთოდ, არც ურთიერთობა ჰქონიათ როდისმე, ერთი გზით უვლია, ერთნაირი კონცეფციები ჩამოუყალიბებია და ერთნაირი დასკვნებით გამოუტანია. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი რამ ხდება მსგავს გაერმოსა და ვითარებაში, ანდა, უფრო სწორად, ისტორიის სიღრმეშია საძიებელი და ელოდება, სანამ ვინმე მიაგნებდეს და დღის სინათლეზე გამოიტანდეს.

ჰაჰა-ფაჰაჰა:

ესლა ვინ უნდა უშველოს ხალხს? ვინ უნდა გამოიყენოს იგი ამ ეკლიან ბარდიდან? – რა თქმა უნდა, ჩვენმა თვალახილებულმა ინტელიგენციამ, რომელიც ამ მხრივ დღეს არაფერს აკეთებს და არც შემდეგისთვის ფიქრობს რამე გააკეთოს. ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ შეიძლება ამგვარ ჰეროსტრატებს ინტელიგენცია დარქვას კაცმა, ნაცვლად იმისა, ერისთვის ეჩვენებინა სწორე გზა ცხოვრებისა, ესწავლებინა თავის თავის მოვლა-პატრონობა, ქართველ კაცს ააღებინა ხელი თავის პიროვნებაზე, თავისთავზე, შეიტანა ხალხში დამახინჯებული კოსმოპოლიტიზმი ერთობის სახელით, მოუკლა ეროვნული გრძნობა, დაუხშო ენერგია, დაუკეტა გზა თვითცნობიერებისაკენ. თავდაზნაურობა უცხოელებზე ჰყიდის მამულ-დედულს, ხოლო გლეხობა თავის „ნადელების“ ნალაღურს უგდებს ხელში ჩარჩებს... ჩვენ კი ვუცდით გარედან მუჯღუგუნს, კისერში ყისტებს, უცხო, გარეშე კაცის ატეხილს განგაშს: „აღე ძმობილო, ადექი, გაიღვიძე, რა დაგმართნია, ხედავ რა ამბავია შენს თავსა, რამ დაგაჩლუნგა, რამ დაგაოჩნა?! მანამდე კი გულზე ხელები დავიკრიბოთ, მივანდოთ ჩვენი თავი ბედსა და იღბალს... გიკვირთ? მე არ მიკვირს“.



ქეთევან შენგელია

რადიოჰიესის მშვენიერი ბინადრები

(ინგა მილორავას შემოქმედების მიხედვით)

რამდენი შემოქმედიცაა, იმდენაირი სამყარო არსებობს ქვეყნად. მათი ხასიათის სირთულესაც და მშვენიერებასაც ხშირ შემთხვევაში მრავალგვარი წინაპირობა და გარესამყაროში არსებული რეალობის სუსტი განსაზღვრავს. მწერალს ყოფითი პრობლემებით გამოწვეული წვრილმანი საჭირობოროტო საზრუნავი უბიძგებს ხოლმე აფორიკებისა და შინაგანი ტრაგიზმისაკენ, რომ აღარაფერი ვთქვათ წუთისოფლის მიერ „შემოთავაზებულ“ ადამიანურ კატასტროფებზე; ის პიროვნებას ართმევს დროს და ძალას, აიძულებს გახედეს პრაგმატული სააზროვნო სივრცის ნაწილი. ყოველივე ეს ძვირად უჯდება შემოქმედს, რაც მის ენერგიასა და ნერვებზე აისახება. შექმნა რაიმე, ისეთი, რაც სალბუნად დაედება ადამიანის სულსა და გულს, ისედაც ძნელია, მით უფრო იმ ვითარებაში, თუკი ტრაგიკული ქვეყნის შვილი ხარ, თუ შენი თაობის ყველა ტკივილი მხრებით ატარე და თან ისე, რომ გულში სინდრფელე არ გამოგლევი, ზნეობა გვერდზე არ გადაგიდვია და ანგარიშიანობის მორევს ნებით არ ჩაჰყოლიხარ. არავისთვის არ არის ახალი, რომ გენეტიკური კოდი, ისტორიული წარსული და ანმყო, მშობლიური გარემო წვრთნის და აყალიბებს ხასიათს. ზემოთ ნაფიქრი განზოგადებანი ჩემი თაობის ერთ შემოქმედს მახსენებს, რომლის დიდ, ცისფერ თვალებშიც ეტევა დილის ზღვის ფერი, ღირსება და სათუთი სული.

ზამთრის დილაა, მაგრამ მაინც მზეს ველოდები... რაც არ უნდა აკლდეს ქართველს, მზე არასდროს აკლია, არც გარეთ და არც გულში; მაინც ძნელია მოლოდინი... მით უფრო მოუთმენელია ის, როცა რამე მნიშვნელოვანს და დიადს ელოდები... ელოდები სიკეთეს და სიყვარულს; სწორედ „მოლოდინია“ ინგა მილორავას ერთ-ერთი შესანიშნავი პიესის სახელწოდება, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ადამიანური სით-

ბოს მოლოდინს გულისხმობს, რასაც ყველაზე დიდი სასწაულის მოხდენა შეუძლია.

ამ პიესის მრწამსი სიკეთის და სიყვარულის არსებობისა და არმოშლის დასტურია, და ამგვარი აზროვნება, სადაც აუსრულებელი კი არა, ასრულებული სურვილია გადმოცემული, იმედის ნაპერწკალს ყოველთვის აღვივებს და გამშვიდებს, რადგან მწერალი გადასტურებს, რომ ძლიერი სურვილი, მოთმინება და ამ სურვილისთვის გაცემული ენერგია ბოლოს და ბოლოს ნაყოფს გამოიღებს, ბოლოს და ბოლოს დაგასაჩუქრებს სამყარო უჩვეულო და ძვირფასი საჩუქრით და სასწაულიც ახდება. სასწაულს მართლაც რომ არ მოისაკლისებს ეს პიესა. მისი მთავარი გმირი სიდონია 10 წელი და 10 თვე ორსულადაა და ბავშვს ელოდება. ბავშვს კი არ სურს დაბადება, რადგან მას და მის მომავალ მშობელს გული არ გათობიან. სიდონიას არავინ მოჰფერებია და გვერდზე არავინ დასდგომია. ადამიანის დაბადება ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა და სწორედ ამ ფაქტთან აქვს დაკავშირებული მწერალს სიყვარული, სიკეთე, სინათლე, მეგობრობა და რწმენა; ბავშვი აქ ამ ყოველივეს სიმბოლური ხატია. პიესაში პირდაპირ არაფერია ნათქვამი. ასე რომ იყოს, ეს მხატვრული ტექსტი არც რადიოჰიესად იქცეოდა; არ დაიდგებოდა, არ ექნებოდა ის ხიბლი, რომლის გამოც გიჩნდება არაერთხელ მოსმენის და წაკითხვის სურვილი.

ინგა მილორავა ნაწარმოების იდეაზე და იქ ნამოჭრილ მნიშვნელოვან და, თუ კარგად დაფუკვირდებით, ტრაგიკულ თემებზეც, რომლითაც სახსება ეს სამყარო, პირდაპირ და დამძიმებული მხატვრული პასაჟებით არაფერს გვიხატავს. ამგვარი თხრობა დააზარალებდა ამ მრავალმხრივ საინტერესო პიესას. მწერლის მთელი ოსტატობაც ეს გახლავთ, რომ ნაწარმოებში მტკიცეული და ადამიანთათვის მტანჯველი ყოფის

გამომხატველი მომენტები მსუბუქად, ხშირ შემთხვევაში გაშარჟებული პასაჟებით და მახვილგონივრული ირონიით არის გადმოცემული. სიღონია გამოიძახებს ტელევიზორის შემკეთებელს, რომლის სახელიც გახლავთ მგელა. მგელა ყოფილი მოცეკვავეა, რომელიც 15 წელი ცეკვადა და „90-იანი წლების ქართული ცეკვის წარღვნის“ შემდეგ ოსტატობას მიჰყო ხელი; რასაკვირველია ის დამორჩილებულია ბედს და ამაზე არათუ დარდობს, აღარც კი წუწუნებს. ეს ერთი შეხედვით პატარა დეტალიც ადამიანური სანუხარის ერთი შტრიხია და მწერალი ახერხებს ყოველგვარი მძიმე განცდების გარეშე დახატოს ამქვეყნიური იმადგაცრეუბის ერთი საშინელი ფაქტი. პიესას თან გასდევს თითქოს უმნიშვნელო დიალოგები და ამავე დროს, ამ დეტალებით იქმნება ერთი შეხედვით ფარული, მაგრამ სინამდვილეში ყოფითი და ისტორიული კატაკლიზმებით სავსე ფონი... პიესაში აღწერილი ამბები მკითხველს ღიმილთან ერთად სევდასაც ჰგვრის. „ჩემი აღსარება ჩემი ეპოქის აღსარებაა“ – წერდა რომენ როლანი. კარგად ვიცნობთ საშუალო თაობის პრობლემებს და ამიტომ ინგა მილორავას პიესების („მოლოდინი“, „ფაიფურის მოცეკვავე“, „კამკამა ჰაერი ნესტიან სარდაფში...“) და არა მარტო პიესების მიხედვით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი შემოქმედება ჩემი თაობის აღსარებაც გახლავთ. საშურია ავტორის ხელწერისათვის დამახასიათებელი „თბილი“ კრიტიკული შეფასებანი და ამავდროულად უხერხო მოვლენათა მკაფიო გამოვლენაც. ეს ფონი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მისი საშუალებით ინგა მილორავა ახერხებს მკითხველი გააშოროს იმ ოთახის კედლებს, სადაც მთავარი პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს და იშლება მათი ურთიერთობის საინტერესო სცენები. ამ ფონის საშუალებით ჩვენ ვმოგზაურობთ ჩვენი ქვეყნის ბოლო ოცდაათწლეულის საზოგადოებრივი ყოფისა და სინამდვილის ისტორიულ სივრცეში. ამგვარი შტრიხებით ჩვენ ვიგებთ ცეკვის გამო როგორ გაანბილა მგელამ „გეოლოგი მამა, პიონერხელმძღვანელი მამიდა და ბულალტერი ბიძა“, ეს ტექსტი კრიტიკისა და ირონიის საგანია, თუნდაც იმიტომ, რომ „საბჭოური პერიოდის“ ყოფისთვის

დამახასიათებელი დეტალები ასე კომიკურად და ბუნებრივად არის ჩასმული პიესის დიალოგებში და გვახსენებს იმ სიმახინჯეს, როცა ეს არაფრისმთქმელი „პიონერობა“ და ლიდერობა დიდ საქმედ იყო მიჩნეული; გვახსენებს თუნდაც იმ უმსგავსო მოვლენას, როცა ბავშვის მომავალ არჩევანში მთელი ნათესაობა ერთად მონაწილეობდა და ადამიანის არჩევანი იზღუდებოდა. აქვე თვალწინ გვეშლება ჩვენი დღევანდელი ყოფისათვის დამახასიათებელი ტრაგიკომიკური შტრიხებიც. ტელევიზორის შეკეთების დროს გვესმის ერთ-ერთ გადაცემაში როგორ მიმართავენ რეჟისორს, რომლის სახელიც გახლავთ – **კოკუშა**. კოკუშა გვესაუბრება საკუთარ შემოქმედებაზე, სადაც მთელი სპექტაკლი მიტინგია, მას თავდაცვის სამინისტროდან უნდოდა ეთხოვა ქვემეხები, მაგრამ, რატომღაც არ ისროდაო – ამბობს; დახასიათებულია რეპორტაჟიც **„ტუსოვკიდან“** (ამ სიტყვის გარეშე ხომ ვერაფრით ვერ მოხერხდებოდა ქართულად საუბარი?). ერთი სიტყვით, ჩვენი ყურნალისტების „საოცარი“ მიღწევები და „დახვენილი“ მეტყველება შესანიშნავად არის გაშარჟებული ისე, რომ მწერლის მთავარი სათქმელი გვერდზე არ გვერჩება; პირიქით, ფონი წყალს უსხამს პიესის მთავარი გმირების სურვილების და სწრაფვის აკუმულირებას. სახალისოდ აქვს გადმოცემული ავტორის ქალისა და მამაკაცის აუნყოფელი ურთიერთობები პიესის მთავარი გმირის დის – ელისოს ბიოგრაფიის მაგალითზე; რომელსაც (სიღონიას აზრით) ოთხი მაზოხისტი ქმარი შეხვდა; თავად კი ვერ გაამართლა მათი იმედები, რადგან არ იყო სადისტი. მათ შორის მხოლოდ მესამე ქმარს გაუმართლებს, რომელსაც სხვა ცოლი – ნამდვილი და კარგა გვარიანი სადისტი შეხვდება, პროფესიით – სკოლის ისტორიის მასწავლებელი. ვფიქრობთ კომენტარი აღარ არის საჭირო, რადგან მსგავსს თუ არა მიმსგავსებულ მოვლენებს ცხოვრებაში ხშირად ვაკვირდებით. ეს ფრაგმენტი პიესაში კიდევ უამრავი თემით არის დატვირთული და ავტორი კომიზმის ფონზე, სხარტი და მოკლე დიალოგებით შესანიშნავად ახერხებს ადამიანის ყოფისათვის დამახასიათებელი ურიგო მოვლენების გამომზეურებას ყოველგვარი ჭკუა-დარიგებისა და მა-



პაპა-ფაპავლა:

გენიოსთა ნაწარმოებები ეროვნულ ნიადაგზე და ხშირად ეთნოგრაფიულზე აღმოცენებული, მამასადამე, – კერძო თვისებისა ზოგად საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისთვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი...

მივალ და უნაფსო:

როცა ასე თუ ისე გავცინი სიცილიელი მწერლის შემოქმედებას, ასე მეგონა საკუთარი თავი სარკეში დავინახე და დავინახე ისეთი, როგორსაც მარტო მე ვიცნობდი; ხოლო როცა ვკითხულობდი, სულ ამას გავიძახობდი – „აკი მეც ამას ვამბობდი-მეთქი!“ და თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ისევე როგორც მე არ ვიცნობდი პირანდელოს შემოქმედებას, არც ის, პირანდელო იცნობდა ჩემსას და თუ მე მწამს ჩემი საკუთარი თვითმყოფადობა, სწორედ ასევე ვაღიარებ მის თვითმყოფადობასაც. მწერალი ვერასოდეს მოიპოვებს აღიარებას მიმბაძველობით, რაგინდ ეცადოს...

პუბლიკაცია მოამზადა
მერი ტიტინიჩიკი

ვანთა „ყურის ანევის“ გარეშე, თითქოს ხალისიანად მიგვანიშნებს ურთიერთობებში შემოჭრილ მანკიერებებზე.

მგელა დიასახლისის გამოჰკითხავს თავისი მდგომარეობის შესახებ და საკმაოდ მშვიდად ეგუება იმ ფაქტს, რომ სიდონია ამდენი ხანია ორსულადაა. „10 წელი და ათი თვე?!“ – ერთი კი შესძახებს გაოცებული, მაგრამ უფრო მეტი ემოციისთვის უნარი აღარ ყოფნის, რადგან ეს ქალი მისთვის მთავარი და მნიშვნელოვანი ჯერ არ გამხდარა; გარდა ამისა, მწერალი გვახსენებს, რომ როცა ადამიანი ძალიან გადაღლილია უარყოფითი ემოციებისგან, მას უჩვეულო მოვლენების გამო გაოცების ძალა აღარ შესწევს.

სიდონიასა და მგელას დიალოგები ძალიან სხარტია, საუბარში ბევრი საინტერესო და უცნაური რამ ირკვევა: სიდონიამ ზუსტად არ იცის ვისია ბავშვი, ბავშვის მამა სავარაუდოდ ან 11 წლის წინ სამშობლოში დაბრუნებული სტივენია, ან ერთი ჩიჩოტკის მოცეკვავე ან ჰამლეტის მამის აჩრდილი. „– ჰამლეტის მამის აჩრდილი რაღა იყო? თვითონ ჰამლეტის მამა მაინც ყოფილიყო“ – ველარ აიტანა მგელამ ეს უკანასკნელი სიახლე.

მგელას სიკეთე და სიდონიასადმი გამოჩენილი სიყვარული სასწაულს ახდენს და 10 წლისა და 10 თვის შემდეგ ბავშვი გადაწყვეტს, რომ მოევიდოს ამ სამყაროს. პიესა მთავრდება ნათელი და იმედიანი ფერებით. „ხვალ ხვალ იქნება ყველაფერი ხვალ უკვე შვილი გეყოლება“ ყვირის მგელა, რადგან ხვალინდელი დღე პიესაში დიდი ხნის ნანატრის ასრულებას და უიმედობის დასასრულს ნიშნავს. პიესაში სიძნელე სიყვარულით არის დაძლეული და ეს ბადებს უკეთესი მომავლის მოლოდინს; ასეთი განცდა კი ჰაერით აუცილებელია ადამიანისათვის.

„...რას შეუძლია დაამტკიცოს, რომ არც მეგობრობა იყიდება, არც სიყვარული, არც ნიჭი და არც ღირსება?“ – სვამს კითხვას ინგა მილორავა და დამამტკიცებელ პასუხსაც იქვე ვკითხულობთ ამ აქსიომის შესახებ მის ერთ-ერთ ესეში: „მათთვის, ვინც ზღვაშია“. ამგვარი კითხვების პასუხია ყოველთვის მწერლობა. ამგვარ კითხვებზე დადებითი პასუხების გარეშე გაუჭირდება ადამიანს და განსაკუთრებით შემოქმედს

სულიერი წონასწორობის შენარჩუნება; ამიტომაც არის ინგა მილორავას ემოციებით სავსე და სუფთა სამყარო ყოველთვის იმედის მომცემი მუსიკით გაჯერებული.

რაკი ეს ამონარიდი მოვიშველიე, აქვე მინდა გავიხსენო ინგა მილორავას ლიტერატურული წერილები და ესეები. თამამად შეიძლება ითქვას და ვიცი ბევრიც დამეთანხმება, რომ თანამედროვე კრიტიკას, ბევრი რამ დააკლდებოდა მისი ბრწყინვალე კრიტიკული ნააზრების გარეშე. სხვა წიგნებზე რომ არაფერი ვთქვათ ამჟამად ხელთ მაქვს კრიტიკოსის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი წიგნი, „ალუბლისფერი ფარდის მიღმა“, სადაც ქართველი და უცხოელი მწერლების შემოქმედების ანალიზია გადმოცემული. ინგა მილორავას წერილებსა და ესეებში საგრძნობია მიმზიდველი სამწერლო ენა, ემოციური ფონი და მასშტაბურობა; აქვე მინდა მოვიგონო მისი მრავალმხრივი შემოქმედებითი ნაღვანი: რომანი, მოთხრობები, ზღაპრები... ყოველი ჟანრი ცალკე ყურადღებას იმსახურებს და პირადად მე მისი მხტვრობაც (რომელსაც თავად მხოლოდ სასურველ გართობად მიიჩნევს) ერთ გამორჩეულ, ცალკე შემოქმედებით სივრცედ მაქვს აღქმული მის შემოქმედებით მრავალფეროვან პალიტრაზე.

მხატვრობისადმი გამორჩეული ინტერესი უფლებას მაძლევს აღვნიშნო, რომ მისი ერთი შეხედვით საბავშვო ნახატები მხოლოდ პატარების საკუთრება არ არის; პირიქით, ის ძალიან საინტერესოა როგორც ფორმათა, ასევე ფერთა ნაირსახოვნების მხრივ, რასაც სიამოვნებით დაათვალიერებდა მხატვრობის მოყვარული საზოგადოება. ინგა მილორავას ნახატებზე ფერთა გამას ახასიათებს თანაბარი სიმძლავრის ტონალობა, შუქ-ჩრდილთა ეფექტური მონაცვლეობა. ზღაპრული და ამავდროულად ხალასი სამყარო ცოცხლდება ჩვენს თვალწინ. აქ წარმოდგენილი არიან დედოფლები, ღაბუა ჩიტები, პუპლები, ჯადოქრები, ფისოები... საინტერესოა მისი გრაფიკული ნამუშევრებიც, რომელთა აუხსნელი ფორმებითაც ორიგინალური და უცნაური კომპოზიციების შექმნას ახერხებს. კომპოზიციური სრუ-

ლყოფილება და დახვეწილი შტრიხები მიგვანიშნებს, რომ ინგა მილორავა ფლობს გრაფიკოსის ტექნიკას. მისი გრაფიკული ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია მრგვლოვანი ფორმები და ჩრდილთა მოულოდნელი ვარიაციები. ინგა მილორავას ნამუშევრებით გაფორმებულია რამდენიმე წიგნიც.

მინდა ისევ ძირითად სათქმელს დავუბრუნდე და მოვიგონო ერთი ტრაგიკული პიესა „კამკამა ჰაერი ნესტიან სარდაფში.“ მოქმედება იშლება ბნელ სარდაფში, რომელიც საპყრობილედ გამოუყენებიათ ახალ ბატონებს, „წითლებს“. მათი სასტიკი მეთოდები და ძალითა და იარაღით გაბატონებულთა მმართველობა ნაჩვენებია ინტელიგენციის და თეთრგვარდიელთა რბევისა და დათრგუნვის ფონზე. ყველა ის საზარელი ფორმა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისა და ეპოქის ძალმომრეობის რეჟიმისთვის არის ხოლმე დამახასიათებელი პიესაში ნაჩვენებია მკვეთრად და ქვეტიქსტების გარეშე. ტირანთა მმართველობას ერთი ხელწერა აქვს. ის არ ცნობს დემოკრატიას და ადამიანის უფლებებს, არაფრად აგდებს თითოეული ადამიანის ტრაგედიას და ამკვიდრებს სიბნელისა და უმეცრებისათვის მოსარგებ ურთიერთობის ფორმას, ბრბოსთვის მისაღებ იდეოლოგიას. „დიდკაცური ბლვერა“ და ძლიერთა ამა სოფლისათა კასტის სამარცხვინო საქციელის პასუხად მაგონდება კრაუსის ერთი გამონათქვამი „კარიერა არის ცხენი, რომელიც მარადისობის კარიბჭეს უმხედროდ აღწევს“.

პიესაში ოთხი პერსონაჟია: თორნიკე ექიმი, ლადო – პოეტი, ანდრო – ოფიცერი, კავალერისტი, მეოთხეა გიორგი ობლობაში გაზრდილი ახალგაზრდა ყმანვილი. ლადოს, ანდროსა და თორნიკეს ზურგს უკან ადამიანურად გავილი ცხოვრებაა: სიყვარულით, ოჯახური სითბოთი და სიმყუდროვით სავსე. გიორგი „წითლების“ მიერ შეზავნილი კაცია, რომელსაც ვვალეება მათი ცხოვრების გამოაშკარავება. ამ ოთხეულს ერთი კაცის გადარჩენის საშუალება ეძლევა. ისინი გიორგის გაუშვებენ და გადაარჩენენ თვითონ კი სიკვდილისთვის ემზადებიან. „ჩვენ გვიცხოვრია, ჩვენ ძვირფასი სახეები

და სავსე გულები მიგვყვება საფლავში, გიორგის კი არა“... – ამბობს ერთ-ერთი მათგანი და ყველა ეთანხმება. პიესის კითხვისას კარგად გრძნობ რა განსხვავებაა ბრბოსა და ნორმალურ, განათლებულ ადამიანებს შორის; ავტორი აღწერს „წითლების“ მიერ დახოცილ „კურსანტებს“ და შემდეგ დაპატიმრებული ადამიანების მაღალზნობასა და სიკეთეს, ვაჟკაცურ საქციელს გვაჩვენებს მისი პერსონაჟების დიალოგების საშუალებით. პიესაში ვხედავთ გიორგის ტრანსფორმაციას. ის გადარჩება არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც. ავტორი ვერ იმეტებს ადამიანს ამქვეყნიური „ჯოჯოხეთისთვის“ და უტოვებს მას უფლებას გამოისყიდოს თავისი უმრცრებით დატრიალებილი უბედურება. ის ტოვებს თავის სამარცხვინო სამუშაოს და მთაში მიდის სისუფთავისა და სიყვარულის საძებნელად. „არ შეიძლება ცარიელი გულით საფლავში ჩასვლა“ – იმეორებს „თანასარდაფელთა“ აზრს. მწერალი არ უშვებს უაზრო მსხვერპლს და გვესაუბრება გამარჯვებული სიკეთის და კეთილშობილების შესახებ. ძვირფასმა ადამიანებმა უაზროდ არ დათმეს სიცოცხლე, მათ შეძლეს ახალგაზრდა კაცის, ამ შემთხვევაში მომავალი თაობის გაკეთილშობილება. აქ კიდევ მრავალ თემაზე შეიძლება საუბარი, ოღონდ ამ დრამატურგიის მიხედვით ყუველთვის მივალთ აზრამდე, რომ მნიშვნელოვანი ფასეულობები დასაცავი და მისაფრთხილებელია, მოსაფრთხილებელია სამყარო, რომელშიც ჩვენ გვიხდება არსებობა და ცხოვრება.

ინგა მილორავას სამყარო სავსეა სევდით, ცრემლით, მაგრამ ამავე დროს მზიანი ფერებით, მშვიდი მუსიკით, სიმართლით, რწმენით, იმედით...

მას კიდევ რამდენიმე პიესა აქვს დაწერილი და შექმნილია ამ ნაწარმოებების მიხედვით რადიოსპექტაკლები. პიესების სიუჟეტი იმდენად საინტერესოა, რომ აუცილებლად გამახსოვრბინებს თავსაც და ავტორსაც. რა მძიმე თემასაც არ უნდა ეხებოდეს თითოეული მათგანი, გავსებს იმედით და სითბოთი, შეყავხარ მშვენიერ სამყაროში და გინდა, რომ ის იყოს რეალობა და არა ეს, ...ეს, ხშირად ჩვეულებრივი ყოფა.



სალომე კაპანაძე

ელგა ფოლადიშვილის „წერილები საქართველოს“ –
წინამშურის გზაზე მავალთათვის

კარგ წიგნს რომ სარგებლობა მოაქვს, ჯერ კიდევ სენეკამ შენიშნა მაშინ, როცა წიგნების სარგებლიანობა მათი სიუხვის პირდაპირპროპორციული არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ყველაზე უკეთესი რომ მხოლოდ ის წიგნი შეიძლება ყოფილიყო, რომელშიც მეტი სიმართლე ირეკლებოდა, მომდევნო საუკუნეებში არაერთი ცნობილი მწიგნობრის რეფლექსიაში გვხვდება, რომელიც წიგნსა და ზოგადად ლიტერატურას ეძღვნება.

საზოგადოებრივი ცნობიერების ის ფორმა, რომელსაც ჟურნალისტიკა და მწერლობა ეწოდება, ქართული სინამდვილისათვის ყოველთვის იყო მისი აქტიურობის, აზროვნების ნიშნული და იმ ფუნქციას ითავსებდა, რომელსაც, ემერსონის მიხედვით, სიმართლის დაცვა ევალდებოდა იქ, სადაც მას თავს ესხმოდნენ. ახლა, როცა ელგა ფოლადიშვილის ჟურნალისტური აქტიურობის ფარდის მისი მხატვრული პროზა გვიდევს წინ, მოლოდინი უზარმაზარია, ვინაიდან ამ აქტიურობას ქვეყნისა და ადამიანების სიყვარულში გაზაფხული ნიჭიერება ისე ბუნებრივად მიყვება, როგორც განგების შერჩეულს ჩვევიათ. საბოლოო განაჩენი ქვეყნისა და ერისათვის მაშინ დგება, როცა მწერლობა, ჟურნალისტიკა და საზოგადოებრივი აზროვნების სხვა ფორმები კარგავენ იმუნიტეტს საჭირობოტოზე რეაგირების. მოდერნიზებული კულტურული ოკუპაციის ვირუსი, რომელსაც პირველი იერიში სამიზნეს მგრძნობელობაზე მიაქვს, არ არის მარტივად აღქმადი. მისი მოქმედება დროსა და სივრცეში ისეა განფენილი, რომ ნელი მოქმედებით გაკარგვინებს კულტურულ კოდს და ისლა დაგრჩენია, ეროვნული ენერჯისაგან დაცლილმა საზღვრებს მიღმა ეძიო ჭეშმარიტება და სიმშვიდე. საბედნიეროდ, საქართველოში

ველოში ყოველთვის არსებობდნენ ისინი, რომელთაც აქვთ პასუხისმგებლობა წერონ და ილაპარაკონ იმაზე, რაზედაც ტაბუს უწესებენ. აქვთ უნარი დროულად დაარისხონ ზარები, შეგვახსენონ იმ მარადიულ ღირებულებებზე, რაც შენი ქვეყნის „ნესითა და რიგით“ დროის მოდურ ლოკალს არ უნდა დაუქვემდებარო. ისინი იმიტომ იბადებიან, რომ ოთარ ჭილაძისა არ იყოს, ჩვენც იმ ბედნიერ ერებს შორის აღმოვჩნდეთ, სამშობლოს თავისუფლება და ერთიანობა რომ არ ეოცნებებათ.

საუბარს იმაზე, რაც ერის სიმრთელესა და მორალურ-ეთიკურ კატეგორიებზეა გათვლილი, ყოველთვის ეყოლება დამფასებელი. შეიძლება მცირე, მაგრამ გულწრფელი სანქციის მიმცემი. დავით გურამიშვილი იმპერატიულად ახმოვანებდა მართლის თქმის უალტერნატივობას ქვეყნისათვის. „მეთუ გინდა თავი მომჭრან“-ო, ბრძანა, რადგან იცოდა, საამებელს არას ამბობდა იმათთვის, ვინც მისი ქვეყანა მძიმე ყოფაში ჩააგდო. ამ გზით სიარული რომ ადვილი არ არის, წინამშურში გასროლილი ტყვიაც შეგვახსენებს. ისიც ცხადია, რომ ამ გზაზე ყველა ვერ შედგება, „ერთია მტანჯველი და გზაზე გამსვლელი“ (კონსტანტინე გამსახურდია) მაგრამ მათ ყოველთვის ჰყავდათ, თავისი „იზატები“, რომლებსაც ბედისწერად მიჰყვებოდათ ამ გზის ფაქიზი აღქმისა და შეცნობის უნარი. ეს არ ისწავლება – ისინი ამ მგრძნობელობით იბადებიან.

დაყვება ელგა ფოლადიშვილის წიგნს – „წერილები საქართველოს“ – მონამებრივი თავგანწირვა და დედათა ეთიკურობა, პასუხისმგებლობის უცნაური, საბედისწერო განცდა. სიყალბით აღბეჭდილი დროის უზუსტესი შეგრძნება თავის დეტალებითა თუ რეალიებით.

მიუხედავად ნუმერაციისა (ეს მისი

პირველი წიგნია) ამ წიგნს ჭაშნიკს ვერ დავარქმევ. აქტიურ ჟურნალისტიკაში გაბნეულმა მისმა დროულმა სიტყვამ ახლა მხატვრულ ტექსტებში მოიყარა თავი. წიგნი ჟანრობრივად ორიგინალურია – ლირიკულ პროზას დავარქმევდი, რომელიც მის გრძობად-ემოციურ სამყაროს ძალიან ესადაგება. ეს ის შემთხვევაა, როცა მწერალი და პიროვნება საოცნებოდ ემთხვევა ერთმანეთს. არადა, ამ თანხვედრით ჩვენი რეალობა, სამწუხაროდ, არ გვანებივრებს და ნდობის დეველაციაც კალმოსანთა მიმართ კარგა ხნის პროცესია. აქედან გამომდინარე, ელგა ფოლადიშვილის წიგნის ყდაზე გამოტანილი ფრაზა „შენ ჩემი სამშობლო ხარ და უნდა გითხრა“ ვერასოდეს შეიძენს ტრივიალურ ელფერს და ყოველთვის ექნება ნდობის ის მარაგი, რომელსაც ელგა ფოლადიშვილი, როგორც მწერალი, ჟურნალისტი, პიროვნება და ამ ქვეყნის შვილი იმსახურებს. ეს საბედისწერო ფრაზა, რომელსაც ფიცის საკრალურობა ახლავს მისი წიგნის ყდაზე იის, ეტრატისა და ფოლადის სიმბოლური გამოსახულების ფონზე ჩნდება. აქ სამივე სიმბოლიკა ჩაკირული: ია – სათნოების, სიყვარულის, გაზაფხულისა და სილამაზის. ეტრატი – საკუთარი ფესვებისა და ისტორიის, ფოლადი – სიმყარისა და პირმტკიცობის, რომლის სისუსტეზე იგი არაერთხელ დაიჩივლებს თავის წიგნში. ასეთი ასოციაციური ორიენტირების გამოჩენა წიგნის ყდაზე შემთხვევითი არ არის. ამ ბალავარზე დგას მცნებებად ჩამოქნილ-ჩამოკვეთილი მთელი მისი სათქმელი. აქ ვერ მონახავთ ზედმეტ ფრაზას, „მორიგე პასაჟს“, ემოციური შუალედებისთვის რომ იხმარება მწერლობაში. „საცა სიმართლე არ მიმიძღვის, ხმალი არ მიჭრის“ – ამბობს შექსპირი. ელგა ფოლადიშვილის სიმართლის ოცდახუთ ბარათად აწყობილ ამოკვენსას ორად ორი პერსონაჟი ჰყავს. მწერლის რეციპიენტი მხოლოდ ერთია: „შენ დამისევდიანე ბავშვობა კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის დარდით, მაიძულედი, ღმერთის შემდეგ შენ მყვარებოდი“. სწორედ ამიტომ არ გეფანტება ემოციები ამ ბარათების კითხვისას. ელგა ფოლადიშვილის მხატვრული აზროვნების სივრცე, მიუხედავად პერსონაჟთა სიმწირისა, ხდება

უკიდევანო სწორედ იმის ხარჯზე, რომ მისი ადრესატია მომცველი მთელი სამყაროს და მისი შეცნობის შემდეგ ეს პერსონაჟებიც თავისთავად წარმოსდგებიან ცნობიერებაში. ასეთი ორიგინალური მხატვრული ნარატივით შემოდის ჩვენში სამშობლოს განცდა, მართლაც ღმერთის მერე რომ უნდა გიყვარდეს. „შენი თვალსაწიერი მსოფლიოდან იწყება და საქართველოს, როგორც მსოფლიოს ერთმემილიონედ ნაწილს, ისე განიხილავ.“

ჩემი თვალსაწიერი საქართველოდან იწყება და საქართველოს იქით იწყება მთელი სამყარო...

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ორივე რუკას დავცქერით, შენ – მსოფლიოსას, მე – საქართველოსას“.

მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ ელგა ფოლადიშვილის წიგნში არ არის გათვალისწინებული შეღავათები მათთვის, ვინც „მამულის ცნება ადგილის ცნებით ჩაანაცვლა და ვისთვისაც მამული მხოლოდ ეზო-კარია“. „ვინც ვერ გრძნობს ანწყოს, „ვინც ყოველდღე ტაშისკვრით ხვდება იმ აუქციონს, მთელი ქვეყანა დემოკრატიის საცვალში რომ გაგვაცვლევინეს“.

ეს წიგნი მთლიანად გადის მკითხველის სასიცოცხლო ნერვზე. ვისაც ამ ტკივილის ნაწილობრივ ტარება მაინც არ შეუძლია, მის სამყაროში თავს კონფორტულად ვერ იგრძნობს. ეს ვერდიქტი კომფორმიზმისა და სარგებლიანობის ვნებებში ჩაძირულ ადამიანებზეა გათვლილი. ელგა ფოლადიშვილის სულიერი კამერტონი მის „წინდაუხედავ სიმართლესთან“ თანაარსებობს. ამ სიმართლეს იცავს იგი, სადაც კი თავს ესხმიან. „მე მქოლავენ, მლანძღავენ, მაგრამ მაინც ვწერ და თანაც ვფიქრობ, ყველასათვის გასაკრიტიკებელს – არა“. ეს არ არის მხოლოდ მისი სიმართლე, მისი პრიზმიდან დანახული ქეშმარიტება. არც ეპატაჟური ხრიკია და არც მრუდე სარკის ეფექტი. ეს ტაძრამდე სავალი გზისთვის განკუთვნილი ჩვენი ყოფიერებიდან მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიმართლეა, რომელიც უნდა ამოითქვას და რომელსაც უსათუოდ ზიარება და გადარჩენა უნდა მოჰყვეს:

„ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი სათქმელი, მაგრამ ხანდახან არ ვიცით ხოლმე,



ელგა ფოლადიშვილი

რომ ამ სათქმელის ამოთქმასაც თავისი მაღლი აქვს, უფლის კარზეც და კაცთა შორის.

ჩვენ ყველას გვტკივა რაღაც შიგნიდან, მაგრამ ამ ტკივილს სინანულამდე ბევრი არ მიჰყავს...

და თუ არ გვინდა, რომ განკითხვად გადაგვექცეს ჩვენ მათზე ფიქრი, უნდა ვიდარდოთ მათ მაგივრადაც...

ჩვენ ყველას გვინდა, რომ ავმალღვდეთ ჩვენს თავზე მაღლა, მაგრამ ამისათვის უმოკლესი გზებით დავდივართ – სხვათა დაჩაგვრით, ზურგზე ჯდომით, თავზე გადავლით, და-ძმის განირვით, კაცთა მოკვლით, ან ცრუ ამბორით ვინ ასულა ზეცაში ნეტავ, რომ ჩვენ ავიდეთ?!”

იმ სამყაროში, საიდანაც ელგა ფოლადიშვილი არასოდეს ნასულა და ალბათ ვერასოდეს ნავა, მისი ყველგანმყოფი მზერა ყველაფერს ფარავს. ამ დაკვირვებებმა და შეგრძნებებმა ძალიან ადრე გაიღვიძეს. მან ძალიან ადრე იგრძნო, რომ „მისი ბავშვობა მალე დამთავრდებოდა“. ადრეულმა სმენამ, ფართოდ გახელილმა სულის თვალეებმა დაანერინა მას ეს ბარათები. „ჩემი საქართველო ჩემშია“ – ამბობს იგი და ამორძალის შეუპოვრობით გლეჯს ნიღაბს მათ, ვინც „ცრუ იმედების, ცრუ ოცნებების, ცრუ სამეფოში“ თავის ერს ვერ გრძნობს და ვერ ხედავს. სადაც არ უნდა იყოს მწერალი, საიდანაც არ უნდა იწყებოდეს მისი დილა – სვანეთის უჩვეულო სანახებიდან თუ ქალაქის ურბანისტული პეიზაჟებიდან, მას არ ტოვებს ფიქრი, რომ ყველა დაღმართს თავისი აღმართი მოყვება და პირიქით. „ის სინათლის წამიც სწორედ იმ ერთადერთ აღმართზე მეგულებს, რომელზეც ცოცხა-მადლით დამძიმებულ სულსა და სხეულს მივათრევთ უფლისაკენ სავალ გზაზე!“

დაიბადება მრავალგზის დაბადებულნი..

სიკვდილი მას არ უწერია, თუ თვითონ არ მოკვდა“.

ცხოვრების ამ დიალექტიკაში კვლავ მოჩანს ის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომლის გარეშე ელგა ფოლადიშვილთან არაფერი განიხილება. იგი ამ ქვეყნის აღმართ-დაღმართზე საუბრობს. მზის დაკარგვით გამოწვეული განგა-

შის ზარი მის ირგვლივ რეკს. მას ქართული მზე ეძვირფასება და სრულიად ერთმნიშვნელოვნად ამ კოსმოგონიურ ღვთაებაში ყველაფერთან ერთად, რაც წინაპრებისგან უსახსოვრებია, იმასაც მოიაზრებს, რომელიც ჩვენმა უსწორმასწორო რეალობამ – მზის რაინდების გადაგვარებამ, მათ „გამინრივებამ“ შთააგონა:

„ჩვენ მზე დაკარგვით, მზის საძებნად გაგვინვეია!..

ვინა ხართ, სადა ხართ, რამდენი ხართ, მზეზე გამოდით!..

ყოველი სხივი დაკარგულია, თუკი გული ყინულისა გაქვს და არ გინდა რამემ გაგიღლოს!..

ყოველი სხივი დაკარგულია, თუკი გონება ნათელს არ ეძებს და ბნელში ცხოვრობს!

მზე ჩრდილოეთით არ ამოდის, არც სამხრეთით, არც დასავლეთით... და თუ „ამოდის“. ის მზე არაა!!!“

და კიდევ, ასეთი ექსპრესიულობით ნათქვამი სიმართლე აფხაზეთზე, როგორც მის რიგით მეორე ბარათშია ჩატვიფრული, რამდენიმე რომანს ეყოფოდა ფაბულად. ბარათის სათაურშივე „რისთვის ჩავაწყვეთ ამდენი ტყვია“ ტრაგიზმთან ერთად იგრძნობა ამ პასუხგაუცემელი კითხვის ლეგიტიმურობა და ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა. შეჩვეული ტკივილისა და დაქსასულობის საფრთხეები, აფხაზეთში ვერდაბრუნებისა თუ არდაბრუნების სევდა. სათქმელის ეტიმოლოგიას კი კვლავ ქვეყნის გულშემატკივრობის ტვიფარი აზის, რითაც ელგა ფოლადიშვილი ასე გიმორჩილებს და აგანთებს.

„ჩვენ გვაგინწყდება უფრო მთავარიც: იქ ეშერაში, გაგრასა და გუდაუთაში ვილაცა მოკვდა...“

ვილაცა მოკვდა – ჩვენი გულისათვის, სამშობლოსათვის, კიდევ იმისათვის, რომ ტყუილში აღარ გვეცხოვრა!

ეს ის ვალია, რომლის გადახდას ვერ შეძლებენ დონორი ქვეყნის ნაბოძები კრედიტ-გრანტები მსოფლიო ბანკში ყველაფერი ფულზე ითვლება...“

ჩვენი ვალი კი იზომება სისხლით და სულით.

ჩვენ დაგვაგინწყდა, რომ ჩვენს ქვეყანას ჯერაც აცვია ძაძი“.

ელგა ფოლადიშვილის არატრადიცი-

ული ჟანრობრივი ნორმატივებითა და ორიგინალური სტრუქტურით გამორჩეულ ნიგნი სამი ნაწილისგან შედგება. მისი ოცდახუთივე ბარათის ადრესატი საქართველოა. ნიგნის მეორე ნაწილს, რომელსაც „დაკემსილი ისტორიები“ უწოდა და მესამეს – „ალტერნატიულ ლექსიკონად“ წოდებულს კვლავ ის სევდა გადმოჰყვება მისი ცის ქვეშ ცხოვრების სევდა და სიამაყე ერთდროულად რომ ჰქვია. საუბრის ფორმის ცვლილების მიუხედავად, ყველაფერი მაინც მასთან მიდის და იყრის თავს. მისი დავალებით წერს, განიცდის. იგი ხომ „ჭირვეული ჩვილივით ავალდებულვს მასზე ზრუნვას, მოშურნისა და ბოროტი თვალისაგან დაცვას“ ავალდებულვს დაიცვას იმ ადამიანებისაგან „სამშობლო გაცვეთილი, ყავლგასული ცნება რომ ჰგონიათ, რომელსაც სიძველის ჩრჩილი უჩნდება და ამზეურებენ დროდადრო“. ეს ნიგნიც იმიტომ შეიქმნა, რათა სამშობლო გამოგლიჯოს ხელიდან იმათ, ვინც „მუდმივად ატარებენ არჩვენებს, მუდმივად ირჩევენ პრეზიდენტს, მთავრობებსა და პარტიებს, მაგრამ არასოდეს ირჩევენ სამშობლოს“ – აღიარებს ავტორი.

ნიგნის მეორე და მესამე ნაწილში ელგა ფოლადიშვილს გამოხატვის ფორმაში შეაქვს დისონანსი და სახეობრივ აზროვნებას გადაუხდის ხარკს. თავის ნოველებში მას ბუნებრივად და ლაღად შემოჰყავს ავანსცენაზე გმირები, რომლებიც ამ ქვეყანაში ჯერაც დაატარებენ ზნეობის ტვირთს და ანტიგმირები, რომლებიც ამ ტვირთის შეგრძნების გარეშე აპირებენ ამ ქვეყნიდან წასვლას. დანომრილია ისტორიები სახელდებული პერსონაჟებით, რომლებსაც ყოველდღე ვხვდებით, ვიცნობთ, მაგრამ ვერ შევიმეცნებთ. ამ „უძველეს დაკარგული ადამიანებისათვის“ ნიგნიც გამორჩეული ადგილია, მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ელგა ფოლადიშვილი „გაიძულვს“ დაინახოს ის უმნიშვნელო მნიშვნელოვანი, რომელიც შენ თავად გჭირდება და რომლის გარეშეც „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვია“-ო ვერასოდეს დაიქადნი. ვერ მოიპოვებ უფლებას, კაცად იწოდებოდე, თუ ლევილის სასაფლაოს კართან ფესვებ-

დანატრებული, გულწრფელად ატირებული ემიგრანტის სევდას ვერ გაითავისებ. ვერ შენიშნავ თეოს, რომელიც სხვა ბავშვებივით მალე გაზრდაზე არ ოცნებობს. არ დაინახავ ქრისტოს თვალეში არეკლილ ზღვასა და ომის მრუმე მოგონებებს. ვილაცას ალბათ შეუძლია იცოცხლოს მათ გარეშე, მაგრამ არა ელგა ფოლადიშვილს. „ნატკენ ფეხზე მეტად კაცს შეიძლება გული სტკიოდეს და კიდეც რაღაც, სხეულის მიღმა დარჩენილი და უსახელო...“

„ალტერნატიული ლექსიკონის“ ჩანაფიქრი ელგა ფოლადიშვილის ნიგნის სტრუქტურის მართლაც ორიგინალური და საოცრად მომგებიანი ფორმაა. მისეული განმარტებანი ანბანური ფორმით აწყობილი უმნიშვნელოვანესი ცნებებისა ჩვენი ყოფიერების ბზარსა და იარას ისევე ეხმიანება, როგორც მისი ნოველები და მხატვრულ-პუბლიცისტური სიმახვილით დაწერილი ბარათები. შორიდან, ეკლესიასტეს სიბრძნიდან წამოსული ამაოების მისეული ვერსია ზღაპრის შესავლითა და მაინც ავტორისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმით. „გამოსავალი,“ „დაბადება“, „ზამთარი,“ „ვაზი“, „მარტოობა“, „ფიქრი,“ „სიკვდილი“ და სხვა, ისევე იტევს სამყაროს ფერებს, ტკივილსა და გამოსავლის ძიების სურვილს, როგორც მისი მხატვრული ტექსტები. შიგადაშიგ ოპტიმიზმთან ერთად – „გამოსავალი არის მაშინაც, როცა ის არ არის“, ირონიაც ეპარება სულგაყიდულებისათვის „ცხოვრებაში ერთხელ მაინც გირჩევს ვინმე – ეშმაკს მიყიდო სული... და შენც, ცხოვრებაში ერთხელ მაინც დაფიქრდები – ნუთუ ეშმაკი ისურვებდა შენი სულის ყიდვას, თუნდაც უფასოდ“.

და ბოლოს, მთელი მის ნაღვანი და მომავლის ფიქრები თითქოს ერთ ფრაზაში კონცენტრირდება – „წლებს ვკარგავ იმაზე ფიქრში, რომ წამი არ დავკარგო“. ეს ფრაზა მკითხველს მასთან არაერთგზის შეხვედრის პერსპექტივასა და აქედან გამომდინარე, იმ სულიერ წესრიგზე მიაწინებს, ერს „ჯალათის მკლაზე“ ჩამოძინების საშუალებას რომ არ მოგვცემს. ელგა ფოლადიშვილთან ხომ წამი უკვალოდ არასოდეს მდინარებს.



18 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთში მონაშემობრივად აღესრულა ჩემი ძმა, 27 წლის მღვდელმონაზონი მამა ანდრია ყურაშვილი. 3 აპრილს მისი დაბადების დღე იყო, 45 წლის გახდებოდა, მე კი წლებით დახუნძლული მამა ანდრია ვერც წარმომიდგენია და ისევ იქ ვარ, მის ბავშვობაში ჩარჩენილი.

5 წლის წინათ, მამა ანდრიას დაბადების დღეს სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ წიგნის – „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევის სოფელსა“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც მის ცხოვრებას და ღვაწლს ეძღვნებოდა. პრეზენტაციაზე უამრავი ადამიანი შეიკრიბა, როგორც სასულიერო, ასევე საერო პირები, ძალიან ბევრიც გარეთ დარჩა. განმაცვიფრა ერთსულოვნებამ და საოცარმა მაღლმოსილებამ, რაც იმ დღეს დარბაზში სუფევდა. წიგნის წარდგენაზე საოჯახო არქივისთვის გამომსვლელთა სიტყვები დიქტოფონზე ჩავინერე. მერე ფურცელზეც გადავიტანე, ამ დღეებში ისევ გადავიკითხე და ძალიან დამენანა, რომ ასეთ ტექსტებს ფართო მკითხველი საზოგადოება არ იცნობს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გამოსვლები მამა ანდრიას გმირული მაგალითის დაფასება-აღიარებაა, არამედ იმიტომაც, რომ მათში არის სწორედ ის ნიშნული, რაც ასე გვენატრება ყველას. ერთი მთლიანი, გაუზზარავი საზოგადოების ხილვა, ასეთი საზოგადოების წევრთა

მამა ანდრია ყურაშვილი – კამანში დაკლული კრავი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II კომპის ჭეშმარიტი ნიშნები

აფხაზეთის თემა ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. ეს კუთხე თერთმეტი წლის განმავლობაში იყო ჩემი სამწყსო. აქ რომ მოვდიოდი, მეუფე დანიელმა გამახსენა, რომ ყაზბეგში მამა ანდრია მე ვაკურთხე მღვდელმონაზვნად. დღეს მას ორმოცი წელი შეუსრულდებოდა. მისი ალასარულის დღეს ქართველი და აფხაზი ერთად ეწამნენ. აქ ითქვა, რომ იური ანუამ წმიდა ვასილისკოს წყაროსთან მიმავალი გზა აღადგინა. მერე საოცრება მოხდა. წყალმა მოსახლეების ეზოებშიც ამოხეთქა. ჩვენ ხშირად მივდიოდით იქ თოვლში, ყინვაში და ვბანაობდით ამ წმინდა წყალში... მამა ანდრიას და იური ანუას ურთიერთობა იყო ქართველისა და აფხაზის ძმობის შესანიშნავი ნიმუში. იქნებ მომავალში ახალ წიგნზეც ვიფიქროთ. წიგნზე, რომელიც კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ აფხაზები და ქართველები ძმები ვართ.

აფხაზეთიდან დღემდე ჩამოდიან ჩემთან აფხაზები, ჩემი ნათლულები. ურთიერთობა გრძელდება და მჯერა, რომ ეს დაუსრულებლად გაგრძელდება. მინდა შევთხოვო უფალს, რომ დალოცოს აფხაზეთი და სრულიად საქართველო.

მაკა ჯოხაძე

სიტყვის საოცარი ძალა

მე ვიქნები წამყვანი ამ საღამოსი. წიგნის გამო იმდენად დამუხტული ვარ ემოციურად, თუ რაიმე შემეშალა, ან არ მოგეწონათ, გულწრფელად გთხოვთ, რომ მომიტყევოთ.

მსოფლმხედველობა, რომელზედაც საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა ჩვენი ქვეყანის სულიერ-კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, ორ სიტყვაში ასე შეიძლება

გამოიხატოს: „ქრისტიანული პატრიოტიზმი“. ჩვენ ყველას გვახსოვს მღვდლვარე ოთხმოცდაათიანი წლები, როცა მოულოდნელად გაჩნდა ასეთი შეკითხვა: სამშობლო, თუ ჭეშმარიტება? თუ რომელიმე ქვეყანაში აბსურდულია ასეთი შეკითხვის დასმა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში, რადგან ეს ორი ცნება ქართველი კაცისათვის ისეთივე განუყოფელია, როგორც ჯვრის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების გადაკვეთა. თუ დავუკვირდებით ილია ჭავჭავაძის ლექსის სტრიქონებს: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მინიერი – ზეციერსა“, – გრაფიკულად ამ ლექსს ჯვრის ფორმა აქვს.

„ნუ გეშინინ, რამეთუ მიძლევის სოფელსა“ – ეს წიგნი ბევრი რამით არის საინტერესო. უპირველესად საინტერესოა იმის გამო, რომ მასში იგრძნობა სამღვდლო ფენის არაჩვეულებრივი კეთილგონიერება და არაჩვეულებრივი კეთილსურნელება. რადგან გრძნობ, უწმიდესის და უნეტარესის უჩინარი ხელი როგორ წარმართავს ამ საოცარ პროცესებს, ამ ხელახალ ქრისტიანიზაციას საქართველოში. აჭარიდან როგორ ნელ-ნელა გადაეფინება იგი აფხაზეთში. ხედავ ჩირალდნებისა თუ სანთლების საოცარ, მოძრავ ქარავანს. ჩვენი დედები და მამები, სასულიერო იერარქიის სხვადასხვა პირები, განსხვავებული წოდების ადამიანები როგორ გადადიან სოფლიდან სოფელში, დაბიდან დაბაში, ქალაქიდან ქალაქში და როგორ გადასდებიან ადგილობრივთ ენერგიას, მხნეობას. ხედავ, როგორ ერთად არის აქ ერი და ბერი.

ეს წიგნი სასწაულებით სავსე წიგნია. ჩვენ ვხედავთ ამ დაცემის ხანაში, ამ აპოკალიფსური ცნობიერების ხანაში, რომელშიც თითქმის აღარ ტოვებენ წმინდას და ხელუხლებელს, და ყველაფერთან ერთად სიტყვაც დამცრობილი და შეურაცხყოფილია, რო-

გორ ცოცხლდება სიტყვა ამ წიგნში, ხედავ სიტყვის საოცარ ენერჯიას და მე ვიფიქრე, ხომ არ ხდება ეს იმიტომ, რომ წიგნში ძირითადად სასულიერო პირები ჰყვებიან და იხსენებენ მამა ანდრიას ღვანლს, იმ სიტუაციებს, რომლებშიც ის უნახავთ. მაგრამ არა, იქნება ეს მისი ბავშვობისდროინდელი მეგობარი, თანამებერძოლი, სასულიერო პირი თუ უბრალოდ მეზობელი, შენ გრძნობ, უცნაური რამ ხდება. როგორც ხატწერას აქვს თავისი კანონები, რომლიდანაც გადახვევა არ შეიძლება, თითქოს ამ წიგნშიც ერთად დათქვეს, მოილაპარაკეს ამ ადამიანებმა, რომ ერთი სიტყვაც ზედმეტი არ აკადრონ მამა ანდრიას და არცერთი სიტყვა არ დააკლონ იმ სიტუაციას, იმ პორტრეტს, რომელშიც მისი სახე იხატება. ეს საოცარი მომენტებია. მოგახსენეთ – სასწაულებით სავსე წიგნია-მეთქი... ყველას შესანიშნავად მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში როგორ დარდობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, როცა წერდა: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“ – მას ძველი მენტალობის, როგორც დღეს იტყვიან, ქართველი ქალი ენატრებოდა – სულიერი მხნეობითა და გაუტეხლობით, თავისი სიძლიერითა და თავისი სისუსტეებით ერთდროულად.

ამ წიგნში მე უცნაური რამ აღმოვაჩინე, ის, რომ არსი ქართველი ქალისა არ შეცვლილა. იგი ისეთივე მშვენიერია, გაუტეხელია, როგორც იყო მე-19 საუკუნეში და ეს მართლაც სასწაულია 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე, რა ეპოქაშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ.

ამ სასწაულებით მე თქვენ თავს არ შეგანყენო. ვიცი, ეს წიგნი ბევრს წაკითხული არ აქვს და თავს ვერ ვიკავებ, რომ არ მოგიტხოვროთ, როგორი სასწაული ხდება ჩვენს თვალწინ: ოთხი მონაზონი. სოხუმი. დაცემის დღე. ცეცხლი უკიდია მთელ სოხუმს და საეპისკოპოსო რეზიდენციაში იმყოფებიან ეს დედები და მეოთხე სართულიდან ადვენებენ თვალს – რა ხდება ცეცხლმოდებულ სოხუმში. შემოგარენში ხედავენ, როგორ შეურაცხყოფენ, სასტიკად ექცევიან (მე არ დაგამძიმებთ, თვითონ ნახავთ ამ წიგნში) მოხუც ქა-

ლებს, ბავშვებს, გოგონებს. მონაზვნები ფიქრობენ, სულ რაღაც რამდენიმე საათში, ან ნახევარ საათში, ან რამდენიმე წუთში იგივე ტანჯვა-შეურაცხყოფა ელით. მაშინ გადაწყვეტენ, მეოთხე სართულიდან გადაცივიდნენ, თუკი მოძალადე შეურაცხყოფას გაბედავს. იმედოვნებენ, ამას თვითმკვლელობად არ ჩაუთვლით უფალი. და იწყება ლოცვა... სწორედ ამ დროს იწყება ის სასწაული, რომლის თვითმხილველი თვითეული ჩვენგანი ვხდებით.

ეს ისეა დაწერილი და ისეთი სიზუსტითაა გადმოცემული... როგორც კი პირველი მონაზონი ივერიის ხატის წინ იწყებს ლოცვას, მაშინათვე, იმ მომენტში (და უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ლოცვა საგანგებოდ მათთვის იყო გაგზავნილი პატრიარქის მიერ. ეს არის უძლიერესი ლოცვები მტრის წინააღმდეგ), ქალებმა, რომლებიც მხნედ არიან, მიიღეს გადაწყვეტილება და თვითეულ თქვენგანს გამოუცდია, რა ტიპის გადაწყვეტილებასაც არ უნდა ღებულობდეს ადამიანი, როგორ ემატება ამ დროს ენერჯია. აი, ზუსტად ამ მომენტში, როცა იწყებს ლოცვას, ფიზიკურად ვარდება იატაკზე აბსოლუტურად ენერჯიისგან დაცლილი პირველი მონაზონი, მერე მეორე მონაზონი განაგრძობს, ისიც ვარდება, მესამე, მეოთხე და ერთი სიტყვით ღვთისმშობლის ხატის წინ ისინი ამ ლოცვებს ბოროტების და ბოროტი ძალის წინააღმდეგ ვერ კითხულობენ, იმდენად ძალაგამოცლილი არიან. და მე გამახსენდა ერთ-ერთი წმიდა მამის წინასწარმეტყველება, რომელიც ამბობს, რომ ბოლო ჟამის ადამიანები ისე დაიცვებიან ენერჯიისგან, რომ მათ პირველის გადასანერი ენერჯიაც არ შერჩებათ და თუ ასეთი ენერჯია შერჩათ, ისინი აუცილებლად გადარჩებიანო. და, აი, მაშინ გადაწყვეტენ დედები, რომ ეყარონ მიწაზე და ერთმანეთის შენაცვლებით როგორმე ჩაათავონ ეს ლოცვა. ამასობაში გადის რამდენიმე საათი და კარზე ისმის საშინელი ბრახუნი, თუმცა ამ სიტყვებს მაშინვე მოჰყვება სიტყვები: „ნუ გეშინიათ, დედებო, გაგვიღეთ კარი!“ იღება კარები და შემოდის გენო ადამია თავისი სამასი



ღირსეული ურთიერთმიმართება თუ ცალკეული მოვლენების მიმართ მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია. და კიდევ: ამ გამოსვლებს ახლდა ისეთი მონაწილე სული და გულწრფელობა, რომლის გარეშეც აღარ გიკვირს, თუ რატომ უუცხოვდებიან ადამიანები ერთმანეთს. ამ გამოსვლების კითხვისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, ჭეშმარიტი თავმდაბლობისა და ნათლით შემოსილი გულწრფელობის გარეშე სულ ამაო ყოფილა ლიტურატურულ თუ სხვადასხვა ასპარეზზე მოპკილი წარმატებები. აქ გამომსვლელთა სიტყვები ისეთივე ექსპრესიით არის წარმოდგენილი, როგორც ისინი წარმოითქვა საღამოზე, მით უმეტეს, რომ ეს სათქმელი გამომსვლელთა პორტრეტებს საოცარი სინათლით წარმოაჩენს, მათგან ერთ-ერთი – ბატონი მიხეილ ქურდიანი სამწუხაროდ გარდაცვლილია, ამიტაც არის მნიშვნელოვანი ეს ჩანაწერი, რომ კიდევ ერთხელ დაიხატოს ერის მოჭირნახულე პიროვნებათა უანგარო ხასიათი, მოქალაქეობრივი გრძნობის სიმაღლე და თავგანწირული ბუნება. და კიდევ: აქ არის ემოცია, რომელიც არასოდეს არ ხუნდება და რაც ყოველთვის მოხვდება მკითხველს გულზე, სანამ ჩვენი ქვეყანა იარსებებს.

ცირა ყურაშვილი



მემორია. სამასი ძალიან სიმბოლური იყო ამ შემთხვევაში. მოდიან მემორები და ისინი პირდაპირ ღვთისმშობლის ხატთან მიდიან, ივერიის ღვთისმშობლის ხატთან იჩოქებენ და მათ შორის ყველაზე გამორჩეული ვინც არის, კოტე, კონსტანტინე, რომელსაც ლომის ბოკვერს ეძახდნენ, ისეთი აღნაგობა იყო, ისეთი ლამაზი, ძველი კოლხური გარეგნობისა, მოდის დედებთან და ეკითხება მათ: დეებო, თქვენ წუხელ ღამით ამ ხატის წინ ხომ არ ილოცეთ? გაცხებული მონაზვნები ერთმანეთს გადახედებენ, დაუდასტურებენ და ეკითხებიან: საიდან გაიგეო, და იგი ყველა სასწაულს, რომ მთელი ღამის განმავლობაში ზეცაზე გამოიხატა ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ამდენივე ხნის მანძილზე ჯვარს სახავდა ამ ჩვენს ვაჟკაცებს, მემორებს და ჰყვება იმ ტყვიების შესახებ (იმ ჯავშანტექნიკის, და თქვენ იცით, რუსეთის როგორი ტექნიკა იყო ამ ომში ჩართული), რომელიც მოდის და მოდის და ჩვენ ვხედავდით, როგორც კი მოუახლოვდებოდა ტყვიები ღვთისმშობელს, უკანვე ირეკლებოდნენ და ამ სასწაულის მოწმე ის სამასი მემომარი ყოფილა. იმ დღეს ამ სამასი კაციდან არავინ დაღუპულა, მხოლოდ ათი ბიჭი დაიჭრა მსუბუქად, ხოლო მეორე მხარეს დაიღუპა ათასზე მეტი მემომარი.



ამან ოთხმოცდაათიანი წლების ერთი ამბავი გამახსენა, როცა სუფრაც კი დანალმული იყო, იმდენად არ გვესმოდა ქართველებს ერთმანეთის და იმდენად წარმოუდგენელი იყო ერთმანეთთან საუბარი, ერთმანეთის მოსმენა. გამახსენდა, როგორ წავეჩხუბე (ეს არ იყო კამათი) ერთ პოეტს. ასაკოვანი ადამიანი კი იყო, მაგრამ დამავინყდა უფროს-უმცროსობის ყველა რიდი, ისე წავეჩხუბე და ვუთხარი: როგორ შეიძლება იმ ნიჰილიზმის დანერგვა, რასაც თქვენი „ქადაგებით“ აკეთებთ-მეთქი. მომიბრუნდა და გაკვირვებულმა მკითხა, – როგორ, მაკა, შენ მართლა გჯერა იმ სისულელების, რაც წერია ისტორიის სახელმძღვანელოებში, რომ ათასი ქართველი ყიზილბაშთა ათიათასიან არმიას კუდიტ ქვას ასრო-

ლინებდაო? იმდენად გულწრფელი გაცხებით მეკითხებოდა, რომ შემეცოდა იმ წუთებში, ამის ხილული მაგალითი კი აქვე, ჩვენს თვალწინ არის.

ამ წიგნზე უსაზღვროდ ბევრი შეიძლება ვილაპარაკოთ. ვერ გაჩერდები, ისეთი ემოციებით ხარ სავსე, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და ბოლოს მინდა გითხრაო, თვითეული თქვენგანი, როცა ამ წიგნს წაიკითხავს, იგრძნობს, დღევანდლობის ფონზე როგორ იმცრობა ყველა დებატი, ყველა გამომსვლელი, ყველა ოქროპირი, ყველა ციცერონი, იქნება ეს უმრავლესობის, თუ უმცირესობის წარმომადგენელი. იქნება ეს პარლამენტში, იქნება ეს ქუჩაში, იქნება ეს მიტინგებზე, იქნება ეს მასმედიაში, იქნება ეს ტელევიზიით. დავინახავთ, როგორ ფერმკრთალდება, როგორ არარაობად იქცევა ყველაფერი და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენ არცერთი მათი სიტყვის არ გჯერა. ეს ჩვენი პრობლემა კი არ არის, ვისაც ამ სიტყვების არ გვჯერა, არამედ იმათი, ვისგანაც მოდის ეს სიტყვები. რადგან რაზედაც არ უნდა საუბრობდნენ ისინი, როგორი სიმართლითაც არ უნდა იყოს მათი სიტყვები გაჯერებული, ჩვენ ვხედავთ, უზარმაზარი დეფიციტია ურთიერთობისა, ურთიერთსიყვარულისა და ღვთისმოშიშებისა. თუ ღვთის შიში არა აქვს ადამიანს, ქვეყანას, სახელმწიფოს, ქალაქს, საზოგადოებას, იგი გამუდმებით რჩება მძევლად, მონად საკუთარი ცოდვებისა.

მე კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით, რომ ძალიან გამიგრძელდა საუბარი და მინდა მოგახსენოთ, რომ გვაქვს კადრები, ფილმი, რომელზედაც შემოინახა ის ადგილი, სადაც აღესრულა მამა ანდრია. მასზე უმშვენიერესი სოფელი, კამანია გამოხატული, რომელზეც ერთ-ერთ სალდაფონს, უკაცრავად, ერთ-ერთ რუს გენერალს უბრძანებია: როგორი ღამაზია, როგორ მენანება აქაურობის დაბომბვაო და მინც დაიბომბა ეს სოფელი. ეს არის ადგილი, სადაც მესამეჯერ იპოვეს იოანე ნათლისმცემლის თავის ქალა. ადგილი, სადაც სისხლი დაიქცა წმიდა ვასილისკოსი. მაშინ ამოხ-

ეთქილი წყარო დღესაც მიედინება და დღესაც განიბანებიან მასში ჭკვიანი, გონიერი ადამიანები. ეს არის ადგილი, სადაც საქრისტიანოს დიდი მნათობის – იოანე ოქროპირის სხეული იყო მიბარებული და მისი სარკოფაგი. და ბოლოს, ეს არის ადგილი, სადაც მოღვაწეობდა მამა ანდრია. ჩვენ გვაქვს ამ ფირის ნახვის საშუალება.

ჩემი ალალი დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ამ ომში მონაწილეობდნენ, ზოგიერთი დაიღუპა კიდევ და თითქმის ყველა ფრაგმენტი ვიცი ამ ომისა, თავისი სიგლახითა თუ ვაჟკაცობით, ერთი სიტყვით, ყველაფრით. მაგრამ ჩემთვის თუ ასეთი რთული იქნებოდა ამ წიგნის წაკითხვა, მაშინ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ის ლაშა თაბუკაშვილისთვის, მწერლისა და დრამატურგისთვის.

მე ვთხოვ ლაშას, ორიოდ სიტყვა გვითხრას ამის შესახებ.

ლაშა თაბუკაშვილი

მაცალე, მივდგავ-მოვდგავი...

მეც მინდა მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა. მე მერგო პატივი, მენახა ეს მასალა და წამეკითხა. ძალიან უხვი იყო ეს მასალა და ჩემთვის, ლიტერატორი კაცისთვის, ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ შეიძლებოდა ამ უზარმაზარი მასალიდან, სადაც მართლა გენანება თვითნებური სტრიქონი გამოსატოვებლად, ასეთი ნაძერწივით რამ გაკეთებულიყო, ასეთი დრამატურგიულად სრულყოფილი, კრიალოსანივით აწყობილი, – არცერთი ქვა რომ არ აკლია. ეს ზამბარასავით დაჭიმული თხრობა, ახალგაზრდა, სოფლელ ბიჭზე, რომელმაც რწმენას აზიარა საკუთარი თავი და ერგო ამხელა ბედნიერება...

საოცრად ბევრ კითხვას ბადებს ეს წიგნი. ყოველმხრივ ვცდილობ, რელიგიურ მხარეს არ შევეხო, რადგან ნაკლები ვიცი, მაგრამ ჩვენ, სუსტ მორწმუნეთაც კი ამალღების შეგრძნება გვაქვს, როდესაც წიგნის სტრიქონებს ვკითხულობთ, გაგუდულები ვართ, აღარ ვამბობ უკვე კათარზისზე და სხვა სიტყვებზე, რომლებიც პირველივე წამებიდანვე მოდის თავში აზრად, როცა

ამ წიგნს ხელით შეეხები. უბრალოდ კითხვები იბადება: რა? როდის? რა საბაბით?.. რისი განირვის საშუალებით შეიძლება ამ შეკითხვას გასცე პასუხი – „Чья это земля?“ – „Божья“ – ერთ-ერთი პასუხი, რომელმაც ტყვიასთან ერთად გაბრწყინებაც არგუნა მამა ანდრიას.

თქვენო უწმიდესობავ, მეუფენო, პატივცემულო საზოგადოებავ, უკაცრავად, რომ თავიდანვე ვერ მოგესალმეთ... სიტყვის ენერგიაზე ბრძანა ჩემმა ძვირფასმა მამამ. უნდა ვთქვა, რომ ეს ადამიანები, რომლებიც საუბრობენ მამა ანდრიაზე, თვითონ არიან ძალიან კარგი ადამიანები. ჩვენ გადავჩვიეთ ამ სიტყვებს: „ძალიან კარგი ადამიანები“. მათი თხრობა შენარჩუნებულია, ინტონაცია, სუნთქვაც კი შენარჩუნებულია, მოკლებულია ყოველგვარ ლიტერატურულ კომპილაციას და პათოსს, სიტყვა ყალბს არც კი ვაკადრებ, არც კი დავუშვებ, რომ ვახსენო.

პასუხი შეკითხვაზე, რისი უნდა მეშინოდეს, ღვთის ხელში ვარო, ბევრს, ყმანვილი იყო, თუ ასაკოვანი, გააზრებული არც ჰქონდა. ბევრმა უპრეცედენტო გმირობა ჩაიდინა ამ ომში, მაგრამ თვითონ ამ ომით, ძმათამკვლელი ომით ისარგებლა შავმა ძალამ. მე არ მინდა ამას დავარქვა რუსეთი და შეურაცხველი მთელი ერი. ალბათ ამ ბოროტებას ნაციონალიზმა არა აქვს და სხვა სახელი ჰქვია. მამა ანდრიას აღსრულებით თითქოს ის სისხლი გადაირეცხა. ყველას გვახსოვს, როგორი ინდიფერენტული წლები იყო, იქ ნაომარ და დაჩეხილ ბიჭებს კიდევ თავის მართლება სჭირდებოდათ. ძალიან ბევრი უსიამოვნო საუბრები გვახსოვს და ბევრმა ისიც კი აკადრა, მათ: უაზრო ომი იყო. კი, ომი იყო იდეოლოგიის გარეშე, სჯობდა ამ ომს როგორცაა გადავჩენოდით. ჩვენ ჩვენსას ვტირით, აფხაზები თავისას ტირიან. ნავიკითხე აფხაზი დედის წერილი, რომელსაც აფხაზმა სნაიპერმა შვილი მოუკლა. იგი წერს ამ სნაიპერის დედას (ის სნაიპერი იქვე მოკლეს ქართველმა ბიჭებმა), შევრიგდეთო. ვეფხისა და მოყმის ქვეყანაში ეს არ უნდა გაგვიკ-



ვირდეს. სნაიპერის დედამ ვერ გაბედა წერილის გამოგზავნა.

ნიგნის ლიტერატურულ ხარისხზე არ ვისაუბრებ. ეს მონაზვნების ინიციატივა იყო და მადლობა ყველას, ვინც ამ საქმესთან იყო დაკავშირებული, მაგრამ თვითონ ნიგნის გარშემო მოხდა მშვენიერი ფაქტები.

ერთ ფაქტს გეტყვით – ერთ-ერთი დიდი მოძღვარი ჩვენი, კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რომ ნიგნში ნახსენები ყოფილიყო მისი ღვანლი მამა ანდრიას მიმართ. ეს თავმდაბლობა იმდენად საჭიროა ჩვენი ერისთვის, იმდენი რამ არის სასწავლებელი არა მარტო გონებით, არამედ გულით, რომ ადგილს მიგიჩენს, შენს ადგილზე გსვამს. იმიტომ, რომ ყველა რაღაცას ვგლოვობთ, ყველა ვთვლით, რომ უფრო უკეთესს ვიმსახურებთ, რომ ამ მდგომარეობაში არ უნდა ვიყოთ და უცებ ამ ნიგნს რომ წაიკითხავ, სირცხვილის გრძნობა გიპყრობს და უცებ გაბრუნებს შენს ბუნებრივ ადგილზე, რისი ღირსიც ხარ და შეიძლება რისი ღირსიც არ ხარ. ეს სირცხვილის გრძნობა მონანიების გრძნობაა, ესეც ამაღლებაა, ჩაფიქრება – ესეც ამაღლებაა... მშვენიერებაა, რომ მოწამებრივად აღსრულებულნი კიდევ ზრუნავენ ჩვენზე, არა კონკრეტული საქმეებით, არამედ ლოცვით, რომელიც ჩვენ არ გვესმის. მშვენიერებაა ის, რომ ათ წელზე მეტი გავიდა და ერთმანეთთან პაექრობით დაღლილ ქართველებს დღეს ვხედავ გაციკროვნებული სახეებით, ვხედავ ამ ბრწყინვალე საზოგადოებას, რომელიც დღეს მობრძანდა აბსოლუტურად ერთი გამომეტყველებით. იუმორი აქვს შენარჩუნებული ამ ნიგნს, შესანიშნავი. შესანიშნავი იუმორი. ჩვენი ძვირფასი მაკა რომ იხსენებდა მონაზვნების დიალოგს (ბევრი რამ წამართვა მაკამ სათქმელი, ეტყობა მაინც ერთი და იგივე მგრძნობელობა გვაქვს, ლიტერატურული, გარდა სხვა ფასეულობებისა), იქ არის ერთი ფანტასტიკური დეტალი, როცა ამ გადმოსტომაზე საუბრობენ, ერთ-ერთზე ამბობენ – ის არ გადმოსტებაო. და ეს ისე უხდება, ეს უშუალობა, ეს სილალე

თუ შეიძლება სილალე ენოდოს, როცა საკუთარ სიკვდილზე საუბრობ და როგორ ჰგავს ყოველივე ეს იმ დიდი დედების თავგანწირვას, „ბაში აჩუკიდან“ რომ გვახსოვს, რომ ცვიოდნენ კლდეებიდან და ეს არ ეთვლებოდათ ცოდვად. მიუხედავად იმისა, რომ თვითმკვლელობა ყველაზე დიდი ცოდვაა, რადგან ყველაზე დიდი ფასეულობა, სწორედ ადამიანის სულია. აი, ეს ყველაფერი ტრიალდება, რაც კი ბავშვობიდანვე ჩაქსოვილი, მაგრამ მივინწყებული გავს შენი ყოველდღიური ფიზიკური თუ სულიერი სიზარმაცით, უხეირო ცხოვრებით და უცებ უკეთესი კაცი ხდები.

შენ ახსენე, მაკა და ძალიან გამიხარდა სიტყვა „კეთისურნელება“. ეს სიტყვა მართლა არ მომეფიქრებოდა. ჩვენთვის, რიგითი მოქალაქეებისთვის, უცნობია შინაგანანესი, შიდა ურთიერთობები ჩვენი ეკლესიისა. ის კი არა, ლექსიკაც... „ხიბლში ჩავარდნა“ ბევრმა ფილოლოგმაც შეიძლება არ იცოდეს და ვგებულობთ ამ ნიგნიდან. ხშირად ეგონათ ხიბლში ჩავარდნილი, რადგან არაკომუნიკაბელური ბიჭი იყო. ღმერთმა მაპატიოს, ბიჭად რომ ვიხსენიებ, ჯერჯერობით მამა ანდრიასა. უჭირდა ადამიანებთან ურთიერთობა, ძალიან სერიოზული ავტორიტეტების ჩარევა დასჭირდა იმისთვის, რომ მას გაეარა ის საფეხურები, რომლითაც ის ადამიანებთან კონტაქტში იქნებოდა. მარტოსული ბიჭი იყო, მარტო უნდოდა, ლოცვაში უნდოდა მარტო. დასაწყისში ნაწყენიც იყო თავის სულიერ მოძღვარზე, მომაცუყო, რატომ გამიშვაო... და შემდეგ მიხვდა, რამხელა რამ აჩუქა მოძღვარმა, უფრო გამოაწრთო, მოამზადა იმ წუთისთვის, რომ ეთქვა სიტყვა: „Божья“. ეს ურთიერთობები, ეს ნიუანსები, გასაოცარი და ჩვენთვის, რიგითი ადამიანებისთვის, არაეკლესიურად მცხოვრები ადამიანებისთვის წარმოუდგენელი რამ არის, რომ როცა მამა ანდრია დაილუპა, მონაზვნები ერთმანეთს ულოცავდნენ ამ ამბავს. ამას რომ ვამბობ, შეიძლება დავაბნო ბევრი, მაგრამ ამაზე მეტი მოსალოცი რა უნდა იყოს. ეს ადამიანები ხომ ფან-

ტავენ იმ ჯანდს, იმ შავ ღრუბელს, თავზე რომ გვადგას ჩვენი ცოდვებით, ჩვენი უნიჭობით, ჩვენი უგუნურებით და ერთმანეთთან შეჯობით, თუ ვის უფრო უყვარს საქართველო და ვინ უფრო იცის ქვეყნისა და ხალხის სავალ-ლი გზები.

არადა, სწორედ ამ ადამიანების, ცოცხლებისა და ნასულების, ჩვენი სულიერი დედების და მამების ლოცვით არ არის, კიდევ რომ გვიდგას სული, თორემ იმდენი ვიცით უარყოფითი, დავიღალეთ. ამ დაღლილობას გვა-ცლიან ბეჭებიდან, გვაცლის ეს წიგნი, სადაც მამა ანდრიას მეგობრის მიხედ-ვითაც კი მიხვდები, რომ ეს ბიჭი, რომელიც შეიძლება ვერც კი შეგემჩნია (და რამდენი ამ დარბაზშიც ზის), მომზადებული იყო ამ მშვენიერი გა-ბრწყინებისთვის.

თუ შეატყვევ, ხშირად ვამბობდი; „არ ვიცი, არ ვიცი“. სწორედ „არ ვიცი-ით“ დავამთავრებ, რადგან სწორედ ამ გრძნობას მიტოვებს წიგნთან შეხება: არ ვიცი, ამას რა ჰქვია, როცა მთან-მინდა აქვეა, როცა ახლოა მტკვარი. მაცალე, მივდგებ-მოვდგები, მაცალე, სანამ მოვკვდები, გადავიხადო ვალი.

მიხეილ ქურდიანი
ორი სიმბოლო ჩვენი
გამარჯვებისა

თქვენო უწმიდესობავ, თქვენო ყოვ-ლადუსამღდლოესობავ, საქართვე-ლოს პარლამენტის თავმჯდომარე, მეუფენო, ღირსო მამანო და დედანო, ქალბატონებო და ბატონებო, ნება მო-მეცით, ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ ამ წიგნის გარშემო და არამართო მის შესახებ.

როდესაც ომი დაიწყო, მე უცხოეთში გახლდით და პირველი, რაც ვიგრძენი, იყო ის, რომ უნდა წამოვსულიყავი და მიმელო მონაწილეობა ამ ომში, რადგან თავიდანვე ვაცნობიერებდი, რომ ეს იყო ომი რუსეთსა და საქარ-თველოს შორის – აფხაზეთისათვის. მე მთელი ცხოვრება ვეუბნებოდი ჩემს შვილებს, რომ ყველაზე მცირე, რაც შეიძლება კაცმა გააკეთოს თავისი სამშობლოსათვის – ის უნდა მოკვდეს მისთვის და გამოადგეს მას თავისი სი-

ცოცხლით.

დაიწყო ომი, იყვნენ დაჭრილები, ამ დროს გახლდით უცხოეთში და ჩემი, როგორც მამის მოვალეობა იყო, წამოვსულიყავი და საკუთარი სიცოცხლის ფასად მეჩვენებინა შვილებისათვის, რომ რასაც მე მათ ვასწავლიდი, იყო ქვეყნისა და ხალხისა. მე ჩამოვედი და წავედი ამ ომში მოხ-ალისედ. ჯერ მსროლელი გახლდით მე-3 ბატალიონში, შემდეგ კაპიტანი, ბატალიონის მეთაურის მოადგილე. ეს იყო საზღვაო ქვეითი ბატალიონი, ელიტარული ჯარი და მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ არცერთი სანტიმეტრი მიწისა ჩვენ-ვის მტერს არ წაურთმევია, ყველა პოზიციიდან ჩვენ ვიყავით გამოყვანი-ლი ბრძანებით და მოვა დრო, უფალიც და ერიც მოსთხოვს ყველას პასუხს, ვისაც ჩვენ ბრძანებით გამოვყავდით ამა თუ იმ ტერიტორიიდან. და თუ არ გამოხვიდოდი, შენიანებივე გესროდ-ნენ და გეუბნებოდნენ: ჩვენები მანდე-დან წამოსულები არიან და შენ არ ხარ ის, ვისადაც თავს ასაღებ.

მე მინდა გითხრათ, რომ რამდენ-ჯერმე მქონდა ბედნიერება, მენახა მამა ანდრია. ეს იყო იმ პერიოდში, როცა ის საპატრიარქოში ცხოვრობდა. მე მაშინ არ ვიცოდი, ვისთან მქონდა საქმე, ჩვენ უბრალოდ მორიდებულად ვესალმებოდით ერთმანეთს და არ ვი-ცოდი, თუ რას ამზადებდა მისთვის უფალი, რა დიდი ღვანლისთვის ჰყავდა ის შერჩეული და უნდა გითხრათ, რომ რასაც მე დღეს ვიტყვი, ეს იქნება და-კავშირებული მამა ანდრიასთან, იქნე-ბა დაკავშირებული აფხაზეთთან და ქართველებთან. უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ომის დროს ხდე-ბოდა საოცარი რამ. ერთხელ გადმოსხ-ეს დესანტი, ჩვენ მაშინ გუმისთასთან ვიყავით. ამ წიგნში წერია, რომ მაშინ გუმისთა კარგად იყო გამაგრებული. იმ დღეს სწორედ გუმისთასთან ვიყავი, შვიდი ამბრაზურა გვექონდა გუმისთის მხარეს და ერთი უკან, ზურგისკენ, რომ ვინმე საკუთარი არ დაგვსხმოდა და მისგან დაგვეცვა თავი. ხომ შეი-ძლებოდა ვინმეს თავში მოსვლოდა, ჩვენი იარაღის ხელში ჩასაგდებად



მამა ანდრია ყურაშვილი

გაეკეთებინა ეს. და გადმოსხეს დესანტი. ჩვენ ეს დესანტი აგვყავდა... იყო სოხუმში (აქ სოხუმელები ბევრნი ხართ) ერთი ხაბაზი, პურის მცხოვრელი ბიჭი, ვინმე ნიკო გაბუნია. აი, ეს ნიკო გაბუნია ჩვენთან იყო, ჩვენთან იბრძოდა. დიდი, ორმეტრიანი, უშველებელი ბიჭი იყო და ნიკომ იპოვა ხესთან 17 წლის დაჭრილი აფხაზი ბიჭი. ამ ბიჭმა რომ დაინახა ეს დევივიტო კაცი, უთხრა: „Не убивай, брат, я ранен“ და ნიკომ უთხრა (სოხუმელებმა კარგი რუსული იცოდნენ): „Вот видиш, тебе поподобилась война, чтоб спомнить, что я тебе брат“-ო. აიყვანა ხელში, შეისვა მხარზე და ისე მიიყვანა სანიტარულ ნაწილში. სამწუხაროდ, ის ბიჭი ვერ გადარჩა. მის ჯიბეში აღმოჩნდა ცელოფანში გახვეული ღომი და მშრალად მოხარშული ღობიო. ეტყობა ბებიამ, დედამ, ან ვიღაცამ საგზალი ჩაუდო ამ ბიჭს.

დილის ხუთ საათზე გავდიოდით ოპერაციებზე. ხუთის ნახევარზე მართლმადიდებელი რუსი ქალები, ვის არმიასც ჩვენ იქ ვებრძოდით, იდგნენ ხატებით ხელში და ჯვარს გვსახავდნენ, რომ დაგვეცვა ეს ქალაქი. მე თვითული იმ ქალის სახე მახსოვს და ვწუხვარ, რომ მათ შორის არცერთი ქართველი ქალი არ იყო. მაგრამ იყვნენ რუსები, რომლებიც გვილოცავდნენ გზას და გვისურვებდნენ გამარჯვებას. მე რაც ვნახე, საოცარია. ამ წიგნში წერია უნიკალური ფრაზა. უკვე მოკლეს მამა ანდრია და ჩვენები თხოულობენ მის გადმოსვენებას. და აი, აქ პირველი ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის, იმათ თქვეს: „А попа не отдадим. Он наш покойник, мы его похоронили с честью“. უკვე დაიწყო დავა, დავის საფუძველი, ჩვენსა და აფხაზებს შორის, ვისი მიცვალებულია მამა ანდრია. მამა ანდრია, რომელიც თავისი იქ ყოფნით ასრულებდა იმ მოვალეობას, რომელიც უნდა შეესრულებინა მოძღვარს. მე მხოლოდ ერთი სიტყვით დავახასიათებ მას, ძველ წიგნებში სწერია: „უშიში, ვითარცა უხორცო“. მამა ანდრია გახლდათ უშიში, ვითარცა უხორცო. ეს იყო მთლიანად ჩრდილისგან თავისუფალი, ნათლისგან შედგენილი ადამიანი, რომელსაც ყველა, ისიც კი, ვი-

ნაც გაიმეტა, ერთნაირი სიყვარულით უყვარდა. როცა გაიჟღერა პასუხმა, რომელიც ამ წიგნში წერია, ეს იყო პასუხი ცინიკურ კითხვაზე: „Чья это земля, грузинская или абхазская?“ მან უპასუხა: „Божья“. ეს არ არის უბრალოდ, რომელიმე მამის პასუხი, ეს არ არის უბრალოდ ქრისტიანის პასუხი. ეს არის პასუხი იმ ადამიანისა, ვინც კარგად იცის, ვისი შვილები ვართ. ყველაზე მთავარი, რაც ამ წიგნში არის და რამაც შემზარა, და უნდა გითხრათ, რომ კამანში მამა ანდრიას საფლავს არა აქვს წარწერა, ისე, როგორც ამ წიგნს არ აწერია, რომელ ქალაქში გამოიცა, რომელ გამომცემლობაში, რომელ წელს, თითქოს დაავინწყდათ გამომცემლებს, რომ ეს აუცილებელია, თუნდაც წიგნის აღსაწერად. თითქოს ეს წიგნი უბრალოდ მარადისობისათვის არის გამოცემული და არა აქვს მნიშვნელობა არც ქალაქს, არც გამომცემლობას, არც თარიღს, როდის გამოიცა ეს წიგნი. ამ წიგნში არცერთი ტყუილი არ სწერია (საერთოდ როგორ უნდა ტყუოდეს ქრისტიანი) არცერთი. თუ რამე მოსჩვენებიათ ნაკლად მამა ანდრიას ხასიათში, არავის დაუმაღავს, ყველაფერი პატიოსნად გაიხსენეს მათ.

ამ ომში ყოფნის დროს მოხდა ასეთი საოცარი რამ. პირველად რომ დაბომბეს სოხუმი, მაშინ ჩვენ აჩადარაში ვიყავით, გუმისთაზე და რომ ვბრუნდებოდით, ვიღაც ქალი მხვდება და მეუბნება: „Помогите собрат ребенка“. მე მომეჩვენა – Забрат. ვიფიქრე, საიდან უნდა ავიყვანო ეს ბავშვი, და უცებ დავინახე, რომ ხელში ბავშვის მონყვეტილი ხელი უჭირავს. მე არ მეყო ვაჟუცაობა, რომ მას ბავშვის მოგროვებაში დავხმარებოდი და სასწრაფოდ გავეცალე იმ ადგილს. ეს ქალი ქართველი არ იყო, რა მნიშვნელობა აქვს ამას, ეს ყველასთვის უბედურება იყო, რომ იმპერია ცდილობდა ერთი პატარა ქვეყნის მართვისთვის ყველა და ყველაფერი გაეწირა. და ამ დროს იქ იყო ადამიანი, რომელიც მზად იყო სიკვდილისათვის. საოცარია, როცა პეტრე ეუბნება იესოს: იქნებ არ იყოს შენი ჯვარცმა აუცილებ-

ბელი, იქნება შენი გადარჩენა სჯობ-
დესო, მაშინ უფალი მოიშორებს მას
და ეუბნება, შენ კაცისას მეუბნები,
მე ღვთისას ვლაპარაკობო. ჩვენ ვე-
რავენ გადავარჩინდით მამა ანდრიას,
რადგან მამა ანდრია გამიზნული იყო
უფლის მიერ ამ ღვანლისათვის. მეორე
დღეს, როცა ბავშვის ხელიანი ქალი
ვნახე სოხუმში, დავიჭერი, მქონდა
საშინელი ჭრილობა, რომელიც პირს
არ იკრავდა, რადგან შიგ მქონდა ნალ-
მის ნამსხვრევი. იმ დღეს მე გადავარ-
ჩინე ჩემი მეგობარი დოქტორი, პრო-
ფესორი, რომელიც ასევე ომში იყო
წამოსული – ავთანდილ სულაბერიძე,
მე დაჭრილმა, იმას მეტი ჭრილობა
ჰქონდა, მას ვუპატრონე, თბილისში
გადმოვაფრენინე და დავბრუნდი, რომ
გამეგრძელებინა ბრძოლა. ჩემი და-
ნით ამოვიღე ის ნამსხვრევი და შევიხ-
ვიე ჭრილობა. აუტანელი ტკივილები
მქონდა და მითხრეს, რომ ჭრილობა
ხელახლა უნდა გაჭრილიყო და თა-
ვიდან გაკერილიყო. ამისი ფული არ
მქონდა, თან ანთებითი პროცესებიც
დამეწყო, როცა უწმიდესმა მოულოდ-
ნელად გადაწყვიტა, მეუფე დანიელს
გავყოლოდი იერუსალიმში. როდესაც
ჩავედი იერუსალიმში, მეუფე დან-
იელი მეკითხება, – თქვენ აია სოფია
მოლოცვილი გაქვთო? შუა გზაში
ვართ, სტამბულში. მე ვუთხარი, – არა-
მეთქი, მეუფემ თავისი ფულით იყიდა
ვიზა, გააჩერა მანქანა, მოვილოცეთ
აია სოფია, ჩავფრინდით იერუსალიმში
და მივედი მთავრობის ბანკეტზე,
რადგან საერთაშორისო კონფერენ-
ცია ტარდებოდა. მეუფე დანიელი
მეკითხება, ქვემოთ თუ იცი რა შენო-
ბააო? გადავიხედე, ზემოდან არას-
დროს მენახა ჯვრის მონასტერი და,
ვერ ვიცანი-მეთქი. – ეს ჯვრის მონ-
ასტერია, ვილოცოთო. ვილოცეთ და
უკან დავბრუნდით, მივაცილე მეუფე
და შევდივარ ჩემს აპარტამენტში,
ნამგზავრი ვარ, მინდა შხაპი მივიღო.
გამახსენდა, დილას, სანამ გამოვ-
ფრინდებოდი თბილისიდან, შხაპის
დროს ცხელი წყალი მოხვდა ჭრილო-
ბას და კინალამ გონება დავკარგე.
უცებ გამახსენდა, რომ მთელი დღე
ალარ მტკიოდა ეს ჭრილობა. შევიხსენი

და აღმოვაჩინე, რომ გამქრალიყო. მას
შრამიც არ დაუტოვებია, ისე გაქრა და
მე მჯერა, რომ ღვთის წყალობით, მამა
ანდრიასთანა მოძღვრების წყალობით
ისე გაქრება ეს ჭრილობა ჩვენსა და
აფხაზების სხეულიდან, ისევე შრამის
გარეშე, უკვალოდ, როგორც ჩემი ჭრი-
ლობა გაქრა იერუსალიმში, როდესაც
ჩვენ ჯვრის მონასტერში ვილოცეთ.

მე ამ წიგნმა არ დამაძინა, თქვენო
უწმიდესობავ. ეს წიგნი სულის შემძ-
ვრელი წიგნია, რომელიც გაჩვენებს,
თუ როგორ არის მზად ერთი ადამიანი
უკვდავებისთვის, როგორ ცხოვრობს
ის სხვა განზომილებაში. ამ წიგნის გა-
მოცემა უდავოდ უფალმა ინება, ასევე
სრული სიმართლე უფლის მიერ არის
ნაკარნახევი. და მე მგონია, რომ რა
თქმა უნდა ეს ცაში წყდება, მაგრამ
ამ წიგნის წაკითხვისას არ მტოვებ-
და აზრი, რომ ალბათ ეს მსხვერ-
პლი აუცილებლად უნდა ყოფილიყო.
აუცილებლად უნდა მოეცა ამ ომს ორი
წმინდანი, ერთი ქართველი და ერთი
აფხაზი. უნდა მოეცა მამა ანდრია
და იური ანუა. ორი კაცი, რომელიც
საქართველოს ერთიანობის, უფლის
შვილობის განსახიერებას წარმოად-
გენდნენ, ორი ადამიანი, რომლებ-
მაც მონამებრივი სიკვდილი მიიღეს
მხოლოდ რწმენის გამო და რწმენის
წყალობით. მე მესმის იმ მონაზონი
დედების, რომლებიც, მე არ ვიტყვი
შურით, მაგრამ ნატვრით უყურებდნენ
იმ ალსასრულს, რომელიც მიიღეს მამა
ანდრიამ და იური ანუამ. ეს საოცარი
ამბავია, ერთად კლავენ ორ კაცს, ერს
და ბერს, რაც ეკლესიის განსახიერე-
ბაა, ერთად კლავენ ქართველს და
აფხაზს. როგორ შეიძლებოდა, რომ
ქართველს აფხაზი მოეკლა, აფხაზს
ქართველი მოეკლა. მათ საერთო
მტერი ჰყავთ და ეს არის ის ბოროტე-
ბა, რომელიც ხან ერთი იმპერიის სახეს
მიიღებს, ხან მეორისას. რომელსაც
შეუძლია ადამიანებს გონება დაუბინ-
დოს. მაგრამ, როგორც ორი თვალთ
იყურება ჯანსაღი ადამიანი, დღევან-
დელმა აფხაზეთმაც მომავლისკენ
ორი თვალთ უნდა გაიხედოს. ერთი
თვალი მამა ანდრია იქნება, მეორე კი
იური ანუა.

ორი კაცი, ორი სიმბოლო, ჩვენი გამარჯვებისა სიკვდილზე და ბოროტებაზე.

გურამ ოდიშარია

ბიჰეჰარდეს და ბაღარჩევი

უპირველესად დიდი მადლობა მინდა მოვახსენო მეუფე დანიელს, რომელმაც მამა ანდრიაზე გამოცემული წიგნი მისახსოვრა. მართლაც შესანიშნავი წიგნია „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“. ბაღარჩევი ბავშვობაგამოვლილი კაცი ვარ (შვიდ წლამდე იქ ვცხოვრობდი) და მამა ანდრიას ცხოვრების განცდა ბაღარჩევი მოგონებებიდან დავინწყე: ხანისწყალი, ფეხბურთი, ჭიდაობა, ბავშვობის მეგობრები... თითქოს თანამედროვე რომანი წამეკითხოს, მამა ანდრიას მთელი ცხოვრება თვალწინ დამიდგა.

ზოგიერთი მისი მეგობრის, სულიერი ძმის, ახლობლის მოგონება ისეთი გულწრფელი და სუფთაა (სხვანაირად ვერც მოიგონებ მამა ანდრიას), რომ ასე გგონია, თითქოს ლოცვააო.

წიგნში უამრავი შესანიშნავი დეტალია. ერთხელაც, ისე გულმხურვალედ ლოცულობდა თურმე, რომ ვერც გაუგია, ისე დაიბომბა იქაურობა. ლოცვაგასრულებულს უკითხავს, როგორ, აქ ბომბები სკდებოდაო?

საოცრად უყვარდა სილუნ ათონელი. ჩემდა სამარცხვინოდ, ცოტა რამ ვიცი სილუნ ათონელზე, მალე აუცილებლად წავიკითხავ, ვიშოვნი სადმე. მონასტერშიც განდევნილად ცხოვრობდა, მოშორებით პატარა სენაკი აუგია და იქ იყო თურმე. მჯდომარე იძინებდა მხოლოდ. განგებამ ნაბიჯ-ნაბიჯ აფხაზეთში ჩაიყვანა, კამანის იოანე ოქროპირის ტაძარში განაგრძო მოღვაწეობა.

აფხაზეთში იმ დროს ომი მძვინვარებდა.

როდესაც აფხაზურმა მხარემ კამანი აიღო, მამა ანდრია მოკლეს. ზურგიდან ესროლეს, თავში, პირდაპირ სროლა ვერ გაბედეს. მესმის.

და მამა ანდრია მინიერი ცხოვრების დამთავრებისთანავე, უმალ საოცრად

საჭირო გახდა ყველასთვის.

უპირველესად სრულიად ახალგაზრდა აფხაზი მეომრისათვის – დაურისათვის. ღამეებს მის საფლავთან ათენებდა დაური, ესაუბრებოდა მამა ანდრიას (უძვირფასესია მანანა ანუას მოგონება მასზე). დაურს მამა ანდრია ომის ჯოჯოხეთში ღმერთთან შუამავლად სჭირდებოდა, რათა მოენანიბინა ცოდვა – თურმე გუდაუთაში ის აიძულეს ქართველი ტყვეებისათვის ხელი გაერთყა. სულ რამდენიმე დღეში დაური დაღუპულა. მის ნაცნობებს უთქვამთ – ჩვენ მამა ანდრია რომ მოვკალით, ეს არ გვეპატია და ამიტომაც დაიღუპა ჩვენს შორის ყველაზე სუფთა ბიჭიო.

იმ დღეებში დაურს უთქვამს – მე კაცი არ მომიკლავს, მაგრამ მამა ანდრიას მკვლელს მოვკლავდიო.

დაურს ყოველთვის ვიხსენებ მამა ანდრიასთან ერთად, – წერს მანანა ანუა.

შემდეგ მაჰმადიანი აფხაზი, რაფაელი ესათუთება მამა ანდრიას სახელს, კეთილმოაწყობს მის საფლავს, არ შორდება, 40 დღე და ღამე ჰპატრონობს მანანასა და დედამის და სამშვიდობოს გაჰყავს.

მეტად საყურადღებოა აფხაზების ნათქვამი მამა ანდრიაზე – „Он наш, мы его с почестями похоронили“.

ერთ-ერთი მისი მეგობარი წერს, რომ მამა ანდრია სიკვდილის მერე არაერთხელ დახმარებია. მეორე ხაზს უსვამს, მამა ანდრიას როცა ვიხსენებ, მიქრება შიშის გრძნობა. დიახ, მამა ანდრია ძალიან გვჭირდება ყველას – ქართველებსაც, აფხაზებსაც...

ის აფხაზეთში, იოანე ოქროპირის სახელობის ტაძრის ეზოში განისვენებს, კამანში. ჩვენ ხომ იოანე ოქროპირმა გვაუწყა – ღმერთი სიყვარულიაო.

მხოლოდ სიყვარულს შეუძლია მონინალმდევნი მეგობრებად აქციოს.

ამას მამა ანდრიას ხანმოკლე ცხოვრებაც გვასწავლის.

ჭეშმარიტად ასეა – გიყვარდეს და გადარჩები.

ქართველები შინ და გარეთ

გურამ ბარნოვი

თქმით ჭმუნვაც აღარ შემცირდებისა

თანამედროვე რუსეთმა რამდენი მახეც დაგვიგო, ყველაში თავი თუ არა, ფეხი მაინც გავყავით... ან ძალით გავყავოფინა. მართალია, ძალა აღმართსა ხნავს, მაგრამ გაუფრთხილებლობით არ უნდა ვებმებოდეთ მახეში. იქნებ ეს იმიტომ მოგვდის, რომ პოლიტიკური კონიუნქტურა ხშირად ხელს გვიშლის ისტორიის ობიექტურ ხედვაში და ერთსა და იმავე ფაქტს რადიკალურად განსხვავებულ შეფასებებსაც ვაძლევთ ხოლმე. ასე მაგალითად, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობას საბჭოთა ისტორიოგრაფია ცალსახად დადებითად აფასებდა და, შესაბამისად, ერეკლე II აღიარებული იყო შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსად. პოსტსაბჭოთა პერიოდიდან კი ითვლება, რომ რუსეთთან ურთიერთობას უბედურების მეტი არაფერი მოუტანია საქართველოსთვის.

ერეკლე მეორის მოღვაწეობის შეფასებისას არ უნდა ვივინყებდეთ, რომ მისი მეფობის ბოლო პერიოდში ქვეყანა გაუსაძლის მდგომარეობაში აღმოჩნდა – მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოების მომძლავრებულ აგრესიას თან ერთვოდა ლეკიანობაც (იქნებ ამის გამოც იყო, რომ ლეკების ტყვეობიდან თავდახსნილმა დავით გურამიშვილმა სამშობლოში დაბრუნებას რუსეთში გადასვლა არჩია).

ნურც იმას დავივინყებთ, რომ მეფე ერეკლე არც პირველი ყოფილა და არც ერთადერთი, ვინც გამოსავალს რომელიმე ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს მფარველობაში ხედავდა – ვახტანგ მეექვსემ საშველად რუსეთს მიაკითხა, სულხან-საბა ორბელიანმა კი კათოლიკობა მიიღო და საფრანგეთის მეფეს სთხოვდა საქართველოს მიმართ პოლიტიკურ თანადგომას.

მეფე ერეკლეს სიცოცხლეში რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული არც ერთი ვალდებულება არ შეუსრულებია. პირიქით, გენერალ-

მა ტოტლებენმა ასპინძის ბრძოლაში ნაცვლად დაპირებული დახმარებისა, უღალატა მეფე ერეკლეს და თავისი ჯარით გაერიდა ბრძოლის ველს.

ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. მეფე გიორგი ყველა ღონეს ხმარობდა, რათა რუსეთის ჯარი, როგორც მშვიდობიანობის გარანტი, შემოსულიყო საქართველოში. ბოლოს, როგორც იქნა, იმპერატორ პავლე პირველის ბრძანებით 1799 წლის 26 ნოემბერს გენერალ ლაზარევის ეგერთა პოლკი თბილისში შემოვიდა. პირობისამებრ, მეფე გიორგი თბილისის მისადგომებთან შეეგება რუსეთის ჯარს. მას თან ახლდა ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, სამღვდელეობა და დიდკაცობა. თვითმხილველთა გადმოცემით, „ქალაქის ბანები მოიჭედა დიდითა და პატარითა, ქალითა და კაციტა და მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯარსა, ვითარცა ქვეყნის მხსნელსა, მშვიდობიანობის და მოსვენების მომავლინებელსა“.

მაგრამ როგორც მერე ლელთ ლუწია იტყვის: „რას ვაქნევ ცარიალ მშვიდობას... რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევ-არს ჟანგი დაედვის... ცარიალ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის... ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის“...

მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ რუსეთმა „ცარიალ მშვიდობისა“ და ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების სანაცვლოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობა გააუქმა, რასაც რამდენიმე აჯანყება და 1832 წლის შეთქმულება მოჰყვა. მაშინ რუსეთმა საჭიროდ ჩათვალა ძალისთვის ხერხიც წაეშველებინა და თავისი ხისტი პოლიტიკა რამდენადმე შეარბილა, რამაც სიტუაცია ოდნავ ჩაანყნარა.

იმჟამინდელი ვითარების შეფასები-



ერეკლე II



გიორგი XII



სას თანამედროვე ისტორიოგრაფია რატომღაც ნაკლებად ითვალისწინებს მაშინდელ საზოგადოებრივ აზრს და ჩვენს მწერლობაში ასახულ ქართულ-რუსულ ურთიერთობებს.

ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას რუსოფილობას ვერავინ დასწამებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინიც კი თვალს არ ხუჭავდნენ იმ დადებითზე, რაც რუსეთთან ურთიერთობამ მოუტანა ჩვენ ქვეყანას – გაჩნდა იმის პირობები, რომ ეზრუნათ ეროვნულ კულტურაზე და აღედგინათ განწყვეტილი კავშირები ქრისტიანულ ევროპასთან. სწორედ ამის გამო წერდა აკაკი წერეთელი „ჩემ თავგადასავალში“:

„პეტერბურგში პირდაპირ მიმავალისათვის, რასაკვირველია, ხმელეთით წასვლა უფრო მოსახერხებელი იყო და არც ისე საშიში, როგორც ზღვით, მაგრამ ამ გზით იმიტომ გამისტუმრეს მშობლებმა, რომ ოდესაში ვარანცოვის ქვრივი ეგულებოდათ და მისი ნახვა დამავალეს. იმ დროს საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვარანცოვის, რომ თუ რუსეთში მყოფი ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქვრივს არ გაუვლიდა და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ. ჩემმა მშობლებმაც მიტომ დამავალეს, რომ უთუოდ მივსულიყავი კნენასთან და მოკითხვა გადამეცა; ძღვნად მისართმევადაც ერთი დიდი გიშრის ჯვარი, ზედ ჯვარცმა გამოსახული გამატანეს... ვარანცოვის კნენამ შვილივით მიმიღო და გამომკითხა ყველას ამბავი. ბოლოს გიშრის ჯვარი რომ გადავეცი, დიდი სიამოვნება დაიმჩნია, „ვახსოვარო ქართველებს და სჩანს, რომ ჩემ ქმარს მალე არ დაივიწყებენო“. „სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, ვარანცოვის სახელიც არ დაავიწყდებათ მეთქი“. მოხუც კნენას ცრემლები მოერიო, ღიმილით შემომხედა და მაკოცა. ორმოც წელიწადზე მეტია მას აქეთ, მაგრამ ასე მგონია, ეს ყველაფერი ახლა იყო“.

ამავე დროს, სამოციანელები იმასაც ძალიან კარგად ხედავდნენ, რომ რუსეთის მიერ ხისტი პოლიტიკის შერბილება სულაც არ ნიშნავდა მათის მხრივ იმპერიულ ზრახვებზე ხელის აღებას და ამიტომაც იბრძოდნენ მთელი ცხოვრე-

ბა ასე თავგამოდებით ქართველ ხალხში მინავლებული ეროვნული მუხტის გასაღვივებლად. მაშინ ეს იყო ერთადერთი გზა გადაგვარება-გადაშენებისა-გან ერის გადარჩენისა.

ლექსში „ქართველის დედას“ ილია შენატროდა იმ შორეულ წარსულს, როცა საქართველო ძლიერი ქრისტიანული ქვეყანა იყო, როცა ქართველი დედა „მამულს უზრდიდა შვილსა“ და „დედის ნანასთან ქვითინი მთისა მას უმზადებდა მომავალ გმირსა“. მაგრამ „გაჰქრა ის დროცა“ ...

ილიამ ამ ლექსს ეპიგრაფად წაუძღვარა ლეიბნიცის სიტყვები: „ანმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“, მაგრამ დიდი ხნის გარდასული საოცნებო წარსული ვეღარ იქნებოდა სასურველი ანმყოს მშობელი. ამიტომ მოუწოდებდა ილია ახალ თაობას:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი ... ჩვენ უნდა ვსდით ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

სამოციანელებმა მართლაც შეძლეს საქართველოს გაერთიანება ეროვნული სულისკვეთებით, მაგრამ ...

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ეროვნულ მოძრაობას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს სოციალ-დემოკრატიებმა, რადგან მათ სულ სხვაგვარად ესმოდათ პატრიოტიზმი. როგორც ცნობილია, მარქსმა ტრადიციულის სანაცვლოდ კლასობრივი პატრიოტიზმი შესთავაზა მსოფლიოს ხალხებს. ამის გამო მარქსისტებისათვის „მამულიშვილობა“ და „შოვინიზმი“ ტოლფარდი ცნებები იყო. სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი (კაკი) წერეთელი ასე დაემშვიდობა ილია ჭავჭავაძეს:

„დღეს საზოგადოებაში არის ძალიან დიდი ნაწილი, რომელსაც ვერ აკმაყოფილებს ვერც გაცვეთილი პატრიოტიზმი, ვერც „საქართველოსა“ და „ქართველი ერის“ ყვირილი, მისი იდეალი საკაცობრიო იდეალია... დაე, გიტროს შენ, როგორც შეგნებული მესაკუთრე, თავადაზნაურობამ, დაე, გაქონ და გადიდონ შენ შოვინისტებმა, როგორც

მამულის შვილი, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შევეუბრებოდით ასეთების ქებათა-ქებას“...

ნოე ჟორდანიას კი იმასაც ირწმუნებოდა, რომ ქართველი ერი ყველაზე პროგრესული ერია, რადგან „არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ ხალხს“.

და ეს მაშინ, როცა ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას ყველაზე მეტად სწორედ ეროვნული ნიჰილიზმი აღელვებდათ, რამაც შეიძლება გადაშენებამდე მიიყვანოს ერი, რადგან ეროვნული თვითმყოფადობის გარეშე თვით პოლიტიკური დამოუკიდებლობა დროთა ვითარებაში ფიქციად იქცევა.

საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს რუსეთთან სრული ინტეგრაციის გარეშე ვერ წარმოედგინათ ჩვენი ქვეყნის მომავალი. ამას ადასტურებს, თუნდაც, მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის მიერ 1906 წელს რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათიც:

„თავადაზნაურობა, სამღველოება და ინტელიგენცია საქართველოში სეპარატისტულია. ერთადერთი საიმედო ძალა, რომელსაც შეიძლება დაეყრდნოს რუსეთის ხელისუფლება, ქართველი სოციალ-დემოკრატები არიან. მართალია, საშიში რევოლუციონერები, მაგრამ სახელმწიფო ცენტრალისტები და რუსეთის მთლიანობის მომხრენი“.

რუსეთის მთლიანობის შენარჩუნების საერთო მიზნის გარდა, სოციალ-დემოკრატებსა და მეფის ხელისუფლებას ერთმანეთთან აკავშირებდათ საერთო მტერიც – ეროვნული მოძრაობა. ამ საერთო მიზნისა და საერთო მტრის გამო იყო, რომ სოციალ-დემოკრატებისათვის „ოხრანკასთან“ საიდუმლო თანამშრომლობა დიდ ცოდვად არ ითვლებოდა, მაგრამ იმათი ვინაობა, ვინც რუსეთის საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობდა, არც თებერვლის და არც ოქტომბრის რევოლუციების შემდეგ არ გამოჟღავნებულა, რადგან ბევრი მათგანი ახალ ხელისუფლებაში აღმოჩნდა.

ამავე მიზეზის გამო არც საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ მომხდარა

„სუკ“-ის აგენტების ლუსტრაცია. მართალია, გასული საუკუნის დასასრულს საქართველოს პარლამენტს უნდა მიეღო ლუსტრაციის კანონი, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

1999 წელს გაზ. „კვირის პალიტრაში“ (14-20 ივნისი) გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს „სუკ“-ის ყოფილ თავმჯდომარესა და „შსს“ მინისტრის ყოფილ მოადგილესთან, იმჟამად პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარესთან, გენერალ-მაიორ მიხეილ ოსაძესთან, რომლის აღიარებითაც:

„საიდუმლო თანამშრომლების გარკვეული ნაწილი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში ხვდებოდა. არიან ისინი დღევანდელ პარლამენტშიც“.

ერთი წლით ადრე ამასვე ამბობდა საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი ირაკლი ბათიაშვილიც:

„აგენტურა ყველგან არის – კანცელარიაშიც, პარლამენტშიც, სხვა უწყებებში, პოლიტიკურ ორგანიზაციებში. აგენტურის ქსელი დღესაც კონცენტრირებულია ედუარდ შევარდნაძის გარშემო“ (გაზ. „ახალი თაობა“, 23 სექტემბერი, 1998).

ზემოხსენებულ ინტერვიუში მ. ოსაძე სრული ლუსტრაციის წინააღმდეგი იყო იმის გამო, რომ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის გარეშე დარჩებაო. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად რეალურია ამის საშიშროება, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ „სუკ“-ის აგენტების სრული ლუსტრაცია მოხდა გერმანიაში, პოლონეთში, ბალტიისპირა ქვეყნებში, მაგრამ იქ ამას არც საზოგადოების გახლეჩა-დაპირისპირება გამოუწვევია და სავარაუდოა, რომ არც ამ ქვეყნების სპეცსამსახურები დარჩენილან საიდუმლო აგენტურის გარეშე. ნაწილობრივი ლუსტრაცია კი კიდევ უფრო მეტი ეჭვებისა და ცილისწამებების ტალღებს ააგორებს.

ლუსტრაციის კანონის მიღებით და მისი განხორციელებით პირველ ყოვლისა ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული იმის დასამტკიცებლად, რომ მას უკვე აღარაფერი, თვით უხილავი ძაფებიც კი არ აკავშირებს დამხობილ რეჟიმთან.

მას შემდეგაც კი, როცა 1918 წლის 22

აპრილს შექმნილი ამიერკავკასიის კონფედერაცია იმავე წლის მისში დაიშალა და სოციალ-დემოკრატები იძულებულნი გახდნენ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ, „ეროვნულ მთავრობას“ მაინც ბოლშევიკური რუსეთისაკენ მიუწევდა გული. ამის გამო იყო, რომ ეროვნულ-დემოკრატების ლიდერი სპირიდონ კედია 1919 წელს დამფუძნებელი კრების მეხუთე სხდომაზე აცხადებდა: „მთავრობას, მართალია, მოსკოვის ცენტრისადმი ფრაქციული სიძულვილი აქვს, მაგრამ მეორე მხრივ მასთან პრინციპული სიყვარული აკავშირებს“.

რეალურად, ეს იყო არა მხოლოდ სწრაფვა ცენტრალიზმისაკენ, არამედ რუსეთთან სრული ინტეგრაციის დაუოკებელი წყურვილი.

ემიგრაციაში მყოფი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა ამირეჯიბი ასე ახასიათებდა ნ. ჟორდანიას, როგორც პოლიტიკოსს: „ჟორდანიას – რუსული სახელმწიფოს ცენტრალიზმის მომხრე და საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგი, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში საქართველოს პრეზიდენტი და ერის ბელადი შეიქმნა“.

არაფერია საკვირველი, რომ ნ. ჟორდანიას და მენშევიკურ ხელისუფლებას არც კი უცდიათ წინააღმდეგობა გაენიათ მეთერთმეტე არმიისათვის. ემიგრაციაში მიმავალი ცნობილი მენშევიკი პეტრე გელეიშვილი ასე ამშვიდებდა აქ დარჩენილ თანაპარტიელებს: „ქართველი სოციალ-დემოკრატები მივდივართ, რუსი სოციალ-დემოკრატები მოდიან, საღელავი რაა?!“

საფრანგეთში ჩასულმა საქართველოს ემიგრანტმა მთავრობამ პარიზის მახლობლად დაბა ლევილის მამული შეიძინა, თუმცა ძნელი სათქმელია, რა სახსრები გამოინახა ამისათვის. ნ. ჟორდანიას თავის მოგონებებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობის წლებში ქვეყანა გაუსაძლისი გაჭირვებას განიცდიდა: „...ყველა გაჭირვებულები ვიყავით დაწყებული მაღალი სფეროებიდან. ეს გათანასწორება გაჭირვებაში მოქმედებდა მუშებზეც და მას იტანდნენ მოთმინებით“. როგორც ცნობილია,

ემიგრაციაში მიმავალმა ნ. ჟორდანიამ ხელს გააყოლა ეროვნული საგანძური, რათა იგი ბოლშევიკებს არ ჩავარდნოდათ ხელში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი გაეყიდა, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილმა ამის საშუალება არ მისცა ნ. ჟორდანიას. ეს გახდა ლევილიდან მისი მოკვეთის მიზეზი. მიუხედავად უკიდურესი გაჭირვებისა, ექვთიმე თაყაიშვილმა მაინც ბოლომდე უპატრონა საგანძურს და ხელუხლებელი ჩამოიტანა საქართველოში.

ემიგრაციადანაც კი ნ. ჟორდანიას მაინც მოსკოვისაკენ იყურებოდა და ცდილობდა, რაიმეთი არ გაელიზიანებინა მარქსისტი ძმადყოფილები. ამიტომაც სთხოვდა იგი საფრანგეთის მთავრობას, რათა თავშესაფარი არ მიეცათ ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილისათვის რომელიც თანამებრძოლებთან ერთად ოთხი წლის მანძილზე (1921-1924წწ.) იარაღით ხელში ებრძოდა ბოლშევიკ დამპყრობლებს. რაკი საფრანგეთის მთავრობამ ყურად არ იღო მისი თხოვნა, საფრანგეთში ჩასულ ქ. ჩოლოყაშვილს და მის თანამებრძოლებს ნ. ჟორდანიამ არ მისცა ლევილის მამულში დასახლების ნება.¹

მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ზემოთ თქმული ყველასთვის კარგად იყო ცნობილი, გასული საუკუნის 90-იან წლებში ოფიციალურ დონეზე მაინც მოხდა ნ. ჟორდანიას აღიარება ეროვნულ მოღვაწედ. რაც უკვე თავისთავად ნიშნავდა XIX საუკუნის ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობის გაუფასურების მცდელობას.

ეროვნულ მოღვაწედ აღიარეს მარქსისტი პოლიტიკოსი, რომელიც ასე ამართლებდა ილიას მკვლელობას:

„ვთქვათ, სოციალ-დემოკრატების მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისთვის დასაგმობია ეს ნიადაგი? ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია... лес рубят, щепки

¹ როცა 1930 წელს ქ. ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა, ნ. ჟორდანიამ არ დააკრძალვინა ლევილში. მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ, 80-იანი წლების ბოლოს გადაასვენეს იგი ლევილის ქართველთა საძმოს საფლავზე.

ЛЕТЯТ“.

ილიას მკვლევლობის ჟორდანიასეული შეფასებებისაგან განსხვავებით, წინამურის ტრაგედიის მომსწრე ცნობილი მეცნიერის მიხაკო წერეთელის აზრით:

„ილია დაეცა იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა საქართველოში ეროვნულ იდეოლოგიასა და უცხო, შორიდან შემოტანილ მარქსიზმს შორის“.

„ჭავჭავაძე აღარ იყო, ამიერიდან მარქსიზმს გზა ხსნილი ჰქონდა საქართველოს ასაოხრებლად“, – წერდა სპირიდონ კეცია.

1921 წელს ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა გააგრძელეს მენშევიკების დაწყებული საქმე – ილიას, როგორც მწერლისა და ეროვნული მოღვაწის დისკრედიტაცია. მართალია, ილიას დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით თითქოს მოხდა კიდევ მისი რეაბილიტაცია, მაგრამ ეს იყო საბჭოური ყაიდის რეაბილიტაცია. როგორც ცნობილია, საბჭოთა ლიტმცოდნეობა და სალიტერატურო კრიტიკა მთავარ ყურადღებას აქცევდა მხატვრული ნაწარმოების იდეურ, იდეოლოგიურ, სოციალურ მხარეს და უარყოფილ იქნა ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების მსოფლიოში აღიარებული კრიტერიუმები. სახელმძღვანელოებსა და თუ ცალკეულ გამოკვლევებში (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ყურადღება არ ექცეოდა უმთავრესს – ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას და ეროვნულ ბუნებას. მხატვრული ანალიზი ძირითადად დაყვანილი იყო იმის აღნუსხვამდე, თუ რა მხატვრული ხერხებია გამოყენებული ნაწარმოებში.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ნ. ჟორდანიას ეროვნულ მოღვაწედ ოფიციალურად გადანათვლის პარალელურად კვლავ განახლდა ილია ჭავჭავაძის, როგორც არშემდგარი მწერლის, პუბლიცისტის და ეროვნული მოღვაწის წინააღმდეგ ლაშქრობა. ასე მაგალითად, ერთი კრიტიკოსის მტკიცებით, ოთარაანთ ქვრივი „ასექსუალური“, „კასტრირებული“ და იმავე დროს „პათოლოგიური სექსუალური გადახრების“ მქონე ქალია და ამიტომ

არ შეიძლება მისი შერაცხვა ქართველი დედის იდეალად.

ილიას სხვა მგომბელები ირწმუნებოდნენ, რომ: „ილია ჭავჭავაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, თვითონვე აღარ დააკმაყოფილებდა საკუთარი ეროვნული კონცეფცია და შეეცდებოდა მის სრულყოფას,“ რომ ილია ჭავჭავაძე „მწერლად ან პუბლიცისტად არ იყო დაბადებული“, რომ „ილია იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და ეს უფრო ზრდიდა უფსკრულს ილიასა და აზვირთებულ მასებს შორის“ და ა. შ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ილიას მგომბელების საპასუხოდ რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა. მეც ჩემს ერთ სტატიაში ვწერდი: „მარქსისტი „ეროვნული მოღვაწე“ ისეთივე აბსურდია, როგორც „ეროვნული მარქსიზმი“ და სანამ ნ. ჟორდანიას ეროვნულ მოღვაწედ და ილიას გზის გამგრძელებლად აცხადებენ, როგორც ჩანს, ქვეყნისათვის სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდეთ“.

როგორც წესი, ცუდისგან კარგი არ იბადება და მარქსისტული წარსულისაგან ნაშობი ანმყო ვერ იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვის სასურველი მომავლის მშობელი.

ნ. ჟორდანიას თუკი რაიმე კარგი გაუკეთებია ქვეყნისათვის, რა თქმა უნდა, არ უნდა დაფუკარგოთ, მაგრამ ოფიციალურად მისი აღიარება ეროვნულ მოღვაწედ, ეს არის კიდევ ერთი მორიგი მცდელობა ეროვნული მოღვაწის ცნების დისკრედიტაციისა და გაუფასურებისა.

ნ. ჟორდანიას ეროვნულ მოღვაწედ აღიარება იმაზე ხომ არ მიგვანიშნებს, რომ მავანთ ისევე მარქსიზმის ჩუმი სევდა შემოპარვიათ? ცამდე მართალი იყო კიბა აბაშიძე, როცა წერდა: „რეჟიმი ტყუილად არ ჩაივლის ხოლმე. იგი საუკუნო დაღს ასვამს მისგან აღზრდილებს, თუნდაც მისი სისხლის მსმელებიც იყვნენ ეს აღზრდილები“.

აშკარა ცინიზმია, როცა ცდილობენ დაგვარწმუნონ, თითქოს ნ. ჟორდანიას იმისთვის იღვწოდნენ, რომ ილიას და აკაკის ოცნებები რეალობად ექცია. ეს მითი ჟორდანიამ შექმნა და თვითონვე ცდილობდა მის გავრცელებას. ემიგრა-

ციაში გამოგონილ მოგონებებში იგი წერდა:

„აკაკის და ილიას იდეალი საცესებით აღსრულდა. ქართველი ერი გამთელდა ხალხის ნიადაგზე და მან მაშინვე ნაციონალური თავისუფლება გამოაცხადა“...

თუმცა, არც აკაკის და არც ილიას არ სწამდათ მარქსისტების აშენებული ქვეყნისა, რადგან კარგად იცოდნენ რა გზით და როგორი ქვეყნის აშენებას აპირებდნენ სოციალ-დემოკრატები. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 20 წლით ადრე, 1898 წელს ილია წერდა:

„ქვეყნის აშენებას გვიქადის ბ-ნი ნოე ჟორდანიას. საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თითონ მამალივით ხეზე შემომჯდარა და იძახის: მე აქ ვიყავი და თქვენ მანდ იყევით და სოფელი აშენდებო. ამ იმედით ბრძანდებოდეს ბ-ნი ჟორდანიას და მისი კომპანია და როცა ამ გზით იმან ქვეყანა ააშენოს, მე წილს ნუ დამიდებენ, არ დავემდურები“.

1997 წელს ქართველმა მკითხველმა მიიღო ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ გამოცემული მრავალმხრივ საყურადღებო ორტომეული – „ილია ემიგრანტთა თვალთ“ (შემდგენელ-რედაქტორები არიან დალი სინჯარაძე და ნათია ბებიაშვილი). მართალია, ორტომეული ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება, მაგრამ მასში კარგად ჩანს არამარქსისტი ემიგრანტების (რომლებიც „იდეურ ბელადს“ კი არ გაჰყვნენ ემიგრაციაში, არამედ ბოლშევიკების შემოსევას გაერიდნენ) დამოკიდებულება როგორც ნ. ჟორდანიასადმი, ისე „ეროვნული“ მთავრობისადმი. ასე მაგალითად, შალვა ამირეჯიბი წერდა:

„ნ. ჟორდანიამ ჯერ იმით ასულელა ქართველი ხალხი, რომ მარქსი დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო, დღეს კი მოულოდნელად გამოდის და უსირცხვილოდ და უბოდიშოდ აცხადებს, რომ მარქსი საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორების და მისი დამოუკიდებლობის მომხრე ყოფილა. მაგრამ ბ-ნი ნოე ჟორდანიას სცდება, მარქსი „მომხრე“ და მარქსი „წინააღმდეგი“ ქართველ ხალხს დღეს ფეხებზედ ჰკიდია“.

შეიძლება ვინმე ფიქრობდეს, რომ ხელისუფლებაში ყოფნის იმ მოკლე პერიოდში მენშევიკებმა, უბრალოდ, ვერ მოასწრეს „აღთქმული ქვეყნის“ აშენება, მაგრამ დამფუძნებელი კრების შემოსხენებულ სხდომაზე სპ. კედია ამბობდა, რომ იმ ეკონომიკური პოლიტიკით, რომელსაც მთავრობა ახორციელებს, ქვეყანამ შეუძლებელია ოდესმე რაიმე წარმატებას მიაღწიოს:

„მთავრობას, რომელსაც დამოუკიდებლობის ძიება თავის დღეში არ ჰქონია მიზნად და რომელმაც მხოლოდ გარემოების ძალდატანებით ჩაიბარა უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მართვა-გამგეობა, ცხადია, ვერ გამოიჩინდა შემოქმედებით სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. გარედან რომ არავითარი ხიფათი არ მოგველოდეს, მაშინაც კი გვეჩვენება ჩვენი ნორჩი ქვეყნის ბედი, რადგან ჩვენი ეკონომიკური ცხოვრება ისეთი წესით მიდის, რომ შეუძლებელია კატასტროფამდის არ ჩავალწიოთ. ეკონომიკურ ცხოვრებაში რევოლუციურ ღონისძიებას პირდაპირ ნგრევა და განადგურება მოაქვს. ამ მიზეზების გამო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება უფსკრულისაკენ მიექანება და მისი გამობრუნება სოციალური წესით და ექსპერიმენტებით ყოვლად შეუძლებელია“.

სპ. კედიას ვარაუდი, სამწუხაროდ, სწორი გამოდგა, ქვეყანა ეკონომიკური კოლაფსის მდგომარეობაში აღმოჩნდა, ინფლაციამ არნახულ დონეს მიაღწია – ერთი კილოგრამი პური მისი წონა ქალაქის ფული ღირდა.

ნ. ჟორდანიას აღიარება ეროვნულ მოღვაწედ, ისტორიის გაყალბებაა, რამაც შეიძლება გამოუსწორებელ მძიმე შედეგამდე მიგვიყვანოს, რადგან, როგორც ილია წერდა: „ერის პირქვე დამხოვა, გათახსირება, განყალბება იქიდან დაიწყო, როცა იგი თავის ისტორიას დაივიწყებს“.

შალვა ამირეჯიბის თქმით: „სოციალ-დემოკრატები საქართველოში ამყარებდნენ ახალ ცივილიზაციას, რომლის ძალით ქართველებს ქართველობაზე ხელი უნდა აეღოთ და მსოფლიოს მოქალაქენი გამხდარიყვნენ, ვინაიდან ამას მოითხოვდა მარქ-

სიზმი და მარქსი“ (გაზ. „საქართველოს გუშაგი“, №7, 1934 წ. პარიზი).

ქართველობაზე ხელის ალების პირდაპირი მოთხოვნის გარეშეც შეიძლება ერმა თავისი სახე დაკარგოს და გადაშენდეს, თუკი ეროვნულ და კულტურულ ღირებულებებს ზურგს შეაქცევს და დაივიწყებს.

როგორც ცნობილია, კაცობრიობის ისტორია არ არის მხოლოდ საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლის ისტორია. იგი ამავე დროს ე. წ. „საზოგადოებრივი ცხოველისაგან“ ინდივიდის, პიროვნების ჩამოყალიბების ისტორიაცაა და ამ სასწაულებრივ პროცესში უდიდესი როლი შეასრულა მხატვრულმა სიტყვამ – ზეპირსიტყვიერებამ და მწერლობამ. მხატვრული სიტყვა იყო და არის ადამიანის თვითშეცნობის და თვითგამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი საშუალება, რის გამოც მხატვრულ სიტყვას „ადამიანისმცოდნეობასაც“ უწოდებენ.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა მიზნად დაისახეს ახალი ჯიშის ადამიანის გამოყვანა ანუ პიროვნების კვლავ „საზოგადოებრივ ცხოველად“ გარდაქმნა. ამ საქმეში მათ ხელს უშლიდათ მთელი რევოლუციამდეელი მწერლობა, რადგან ქართველი ხალხი ვერა და ვერ თავისუფლდებოდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ზნეობრივი „ბორკილებისაგან“. ახალი ზნეობრივი ნორმების დასაწერგად კი აუცილებელი იყო ლიტერატურის ახლებური ნაკითხვა, როცა ყურადღება გამახვილდებოდა არა მხატვრულ, არამედ სოციოლოგიურ მხარეზე.

ასე დაგვეგრა მხატვრული ძეგლები და აუცილებელია მათ აღდგენაზე ზრუნვა, რათა საბოლოოდ არ გაგვიწყდეს კავშირი ჩვენს მრავალსაუკუნოვან კულტურასთან, რამაც შეიძლება ეროვნულ კატასტროფამდეც მიგვიყვანოს. გადაგვარება-გადაშენებას ვერ გადავურჩებით, თუკი მეცნიერების ეროვნულ დარგებს და ქართულ მხატვრულ სიტყვას სათანადოდ ვერ ვუპატრონეთ. სწორედ მხატვრული სიტყვა იყო ის ნაცადი იარა-

ღი, რითაც შეძლეს სამოციანელებმა ქართველ ხალხში ეროვნული მუხტის გადარჩენა. აქვე უნდა ითქვას, რომ სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სეკვესტირებულმა სწავლებამ სიკეთე არ მოგვიტანა.

იმ უამრავ პრობლემათა შორის, რომელიც დღევანდლობამ თავს დაგვატყუა, ერთ-ერთი უმთავრესი ის არის, რომ არასათანადო ყურადღებას ვუთმობთ ჩვენი ერის უმდიდრეს სულიერ კულტურას.

„მამული, ენა, სარწმუნოება!“ – ერთ-ერთის დაკარგვა ერის გადაშენებას ნიშნავს, გვაფრთხილებდა ილია ჭავჭავაძე. მართალია, იმასაც ამბობდა, რომ „ადამიანმა რამდენი ენა იცის, იმდენი კაცია“-ო, მაგრამ ის არ უთქვამს, თუ მხოლოდ მშობლიური ენა იცის – არაკაციაო. საკუთარ ქვეყანაში დედაენა თუ მეორეხარისხოვან ენად გვექცა, ამას აუცილებლად მოჰყვება ერის დაკნინება-გადაგვარება, რადგან „რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს, წარეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას“.

ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერი-სათვის კულტურული სეპარატიზმიც ისეთივე დამღუპველია, როგორც სხვა ერების კულტურებთან გლობალური ინტეგრაცია, რასაც გუშინდელი მარქსისტი „ინტერნაციონალისტები“ გვიქადაგებდნენ და რისაკენაც დღევანდელი „გლობალისტები“ გვიბიძგებენ.

ლიტერატურული თუ ფოლკლორული ნაწარმოების პერსონაჟში აისახება ხოლმე არა მხოლოდ კონკრეტული პიროვნების ან მთლიანად ერის ბუნება და ხასიათი, არამედ ქვეყნის ისტორიული ბედისწერაც. ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟია ცნობილი ბალადის – „შემომეყარა ყივჩაღი“-ს გმირი.

მოგეხსენებათ, ფოლკლორულ ნაწარმოებებს ახასიათებთ ვარიანტულობა. ზემოხსენებული ბალადის ჩვენამდე მოღწეულ ჩანაწერებში ვარიანტული სხვაობები დასაწყის და ფინალურ სტრიქონებში იჩენს თავს, რაც არაერთხელ ქცეულა მეცნიერული კამათის საგნად. რაც შეეხება ბალადის ძირითად ნაწილს, იგი, როგორც წესი,

ყველა ჩანანერში თითქმის ერთნაირია:

„პური მთხოვა და ვაჭმე,
ვურჩევდი თავთუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭმე,
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმე,
ვურჩევდი ბადავისასა“...

ტრადიციისამებრ, ქართველმა მოყმემ უცხო სტუმარს ყველაფერი საუცხოო, ანუ საუკეთესო მიართვა და ამით გათამამებული მთხოვარა მოძალადედ აქცია, რომელმაც ბოლოს ცოლი სთხოვა. უფრო სწორად, კი არ სთხოვა, არამედ მოსთხოვა. ცოლიც რომ დაეთმო, მერე უკვე ალბათ სამშობლოსაც მოსთხოვდა და ქართველი მოყმე რვა საუკუნით ადრე გახდებოდა შემოხიზნულის ხიზანი ისევე, როგორც თეიმურაზ ხევისთავი, რომელსაც როკის მთებიდან გადმოსულმა და აქ დამკვიდრებულმა ჯაყომ ცოლიც წაართვა და მამაპაპისეული მამულიც.

ყველა, ვინც შორიდან თუ ახლოდან მოსულა და აქ დასახლებულა, უკან აღარავინ გაბრუნებულა ყივჩაღების მცირე ნაწილის მეტი (აქ დარჩენილმა ყივჩაღებმა კი, ეტყობა, სრული ასიმილაცია განიცადეს, რადგან არც წერილობით წყაროებში და არც ზეპირმეტყველებაში არ შემორჩენილა ტერმინი – „ნაყივჩაღარი“). ამკარაა, რომ ამის მიზეზი საქართველოს საოცარი ბუნება და ქართველი კაცის უსაზღვროდ სტუმართმოყვარე ხასიათი იყო. საქართველოში რომ მრავალი უცხო ტომის ხალხი სახლობს, ამაში საკვირველი არაფერია. საგანგაშო ის არის, რომ კომპაქტურად დასახლებულებს ჩვენი მინა-წყლის მითვისების და დამოუკიდებელ ცალკე ავტონომიურ ერთეულად გამოყოფის ან მეზობელ ქვეყანასთან მიერთების სურვილი და პრეტენზია უჩნდებათ ხოლმე.

ამ პრობლემებთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე თავის სტატიაში „სომეხთა მეცნიერნი და „ქვათა ლაღი“ წერდა სომეხი მეცნიერების იმ ერთი ჯგუფის არაკეთილსინდისიერი საქმიანობის შესახებ, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ თითქმის მთელი აღმოსავლეთი საქართველო, თბილისის ჩათვლით, სომეხებს ეკუთვნოდათო. მეცნიერთა ამ ერთი ჯგუფის მითითებით ჩვენი

ეკლესია-მონასტრების კედლებიდან შლიდნენ ქართულ წარწერებს და მათ მაგივრად სომხურ წარწერებს კვეთდნენ, ხოლო შემდეგ კი აცხადებდნენ: „И камни возопиют! Камни не лгут!“.

სტატიაში ხაზგასმითაა საუბარი საქართველოსა და სომხეთის მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ: „ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომეხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით... საქართველოს რომ თათრები მოსევოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოეღებოდა. ამიტომაც ჩვენნი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ჰზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როგორც-კი გაუჭირდებოდათ“.

ილია ჭავჭავაძე რამდენჯერმე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თვითონ სომეხი ხალხი არაფერ შუაშია: „სომეხთა მეცნიერნი რაებს არა სჩადიან, რომ ჩვენი ხსენება და სახელი ლაფში ამოსვარონ და სომეხებს ჩვენი თავი შეაძულონ, შეაზიზლონ. თითონ კი იძახიან, სირცხვილია მეცხრამეტე საუკუნეში, ამ განათლებულ დროს ერმა ერის მოსაძულელებელი, გადასამტერებელი რამა სთქვასო და ერთი მეორეს მიუსიოსო“.

ანალოგიურად აფასებდა სომეხ მეცნიერთა იმ ერთი ჯგუფის და მათი თანამზრახველების უღირს საქმიანობას იაკობ გოგებაშვილი თავის ნაშრომში – „სიმართლე თბილისის შესახებ“:

„გაზეთ „მმაკის“ განსვენებული რედაქტორი გრიგოლ არნრუნი, როგორც ცნობილია, თავის გაზეთში დაჟინებით მოითხოვდა თბილისში ისეთი უნივერსიტეტის დაარსებას, სადაც საგანთა ერთ ნაწილს რუსულ ენაზე შეასწავლიდნენ, ხოლო მეორე ნაწილს – სომხურზე. ქართულ ენაზე სწავლება კი სრულიად გამორიცხული იყო. მან მოურიდებლად და კატეგორიულად განაცხადა პრესაში, რომ კავკასია რუსებსა და სომეხებს უნდა ეკუთვნოდეთო“.

ნ. ჟორდანიას ყოველთვის ხაზგასმული კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია“.

თბილისში ქართული უნივერსიტე-

ტის გახსნის წინააღმდეგი იყო აკადემიკოსი ნიკო მარიც, რომელიც 1917 წელს, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე, რუსეთის განათლების მინისტრისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში წერდა:

„ქართული უნივერსიტეტი ხელს მისცემს მხოლოდ ილიასა და აკაკის მიერ გამოზრდილ ნაციონალისტებს, ხოლო თბილისში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები კი დაიჩაგრებიან... უნივერსიტეტის სავარაუდო პროგრამაში განსაკუთრებით ფართოდაა გათვალისწინებული ქართულმცოდნეობის დანერგვა: მაგალითად, ქართული ენათმეცნიერებისა... შემოღებული იქნება ლექციები: ქართულ არქეოლოგიაში, ეპიგრაფიკასა და პალეოგრაფიაში, საქართველოს ეკონომიკის ისტორიაში, ქართული საერო ლიტერატურის ისტორიაში... მაშასადამე, ქართული უმაღლესი სკოლის ამოცანები პირველ-ყოვლისა მეცნიერული კი არ არის, არამედ – ეროვნულია“-ო.

როდესაც 1918 წლის 8 თებერვალს თბილისის ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, ნ. მარმა გამოთქვა სურვილი ახლადგახსნილ უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვისა. ივანე ჯავახიშვილმა წერილობით შეუთვალა უარი თავის ყოფილ მასწავლებელს, სადაც

აღშფოთებასთან ერთად იმედსაც გამოთქვამდა, რომ მომავალი გაარკვევდა სიმართლეს:

„დაე, ჩვენმა მეცნიერულმა მუშაობამ, თუ გინდ კეთილშობილ შეცილები-სა და მეტოქეობის შედეგმა დაანახოს ყველას და პირუთვნელმა ისტორიამ დასდოს თავისი თვალუხვამი მსჯავრი, თქვენ თუ თქვენგან ათვალისწინებული თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერნი არიან მტყუანნი“.

მაგრამ ისტორიას დღემდე არ გამოუტანია თავისი მსჯავრი, რადგან აშკარად აღარ გვანუხებს ის პრობლემები, რაც ასე აღელვებდა ივანე ჯავახიშვილს.

* * *

ილია ჭავჭავაძის ცნობილ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილს „ზოგიერთი რამ“, ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გრიგოლ ორბელიანის ლექსის სტრიქონი: „თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“, მაგრამ მთქმელს გამგონიც უნდა ჰყავდეს. გამგონად კი თანამოაზრე და თანამდგომელი იგულისხმება. ღმერთმა ქნას ვცდებოდე, მაგრამ მათი გამგონეთა რიცხვი განუხრელად მცირდებოდა და ამიტომ არის, რომ დღეს უკვე „თქმით ჭმუნვაც აღარ შემცირდებისა...“



„სოფელში ორი ძირი მსხალი გვექონდა – შავგულა და წითელგულა. ახლა, ფერებით განსაზღვრე, ეს წითელგულა ძალიან უპირატესი რამე იყო, სამეფო. ჰოდა, რომ მოვიდა ორივეს ჩამოკრეფის დრო, ბაბუამ გვითხრა მე და ლევიკოს, ჩემს ბიძაშვილს, მომეხმარეთ, გამაყიდინეთ და რასაც ივარჯებთ, სულ თქვენი იყოსო. აუუ, ფული დიდად არ მიყვარს, მაგრამ ეტყობა, შენი ნაშრომის გემო ძალიან ტკბილია. ჯერ უნდა გენახა, რა ციმციმ დაგვკრიფეთ და ჩავანყვეთ კალათში. ჭიათურის ბაზარში დახლ-ნახევარი ჩვენ გვეკავა. სხვათა შორის, სარეკლამო ფრაზებიც გვექონდა მგონი, ყოველ შემთხვევაში, ისეთი გაკრეჭილები ვიდევით, მარტო ჩვენი სიფათები ღირდა ნახევარ კილო მსხლად.“

გავყიდეთ ზუსტად 8 მანეთის. მერე მოვედით სახლში და, მე დავწერე მოთხრობა, სიტყვა-სიტყვით აღვწერე ყველაფერი. ბებია ახალი გარდაცვლილი იყო და ბოლოს რალაცნაირად ბებიაც ვახსენე, ჰოდა, რომ ჩავიკითხე ხმამაღლა, ბაბუამ ერთი საწყლად ჩაახველა, ცრემლი ჩაიჭყლიტა, გავიდა და კიდევ ერთი 10-მანეთიანი დამატებით მაჩუქა. ეს არათანაბრობა ჩემს ბიძაშვილს არ გაუპროტესტებია. ასე ავიღე პირველი ჰონორარი საკუთარი ოჯახის წევრისგან...

ალარა გვაქვს ეგ მსხალი, გახმა..“

ნინო სადლობელაშვილი

„სიტყვა განხორციელებული ღმერთია“...

კატო ჯავახიშვილს ესაუბრება ნინო სადლობელაშვილი

– აი, ნინ შენივე მოტანილი თერთი ღვინით სავსე ჭიქები გვიდგას და ამიტომ აღარც კი შემოგთავაზებ ჩემს ცნობილ უასმინის ჩაის, მე და ჩემს სტუმრებს ზამთრის სუსხიან საღამოებს რომ გვითბობდა. თანაც გარეთ გაზაფხულის სუნი დგას: მინის; წვიმის; სიცოცხლის; ასმაგად მეტი მოტივი გვაქვს ადამიანებს ერთმანეთთან საურთიერთოდ.

– ბიძაჩემის ნაჩუქარია ეს ღვინო, ნამდვილი, ნატურალური. ჯაბა ექიმმა დამინიშნა საღამოობით თითო ჭიქა, მოგიხდებოდა, და ვიფიქრე, ჩვენს დღევანდელ საუბარსაც არ აწყენდა. ეს ჯაბა ექიმი კი, ჰო იცი, ჩემთვის ვინც არის. ისე, ცოტა გამიჭირდა გაღვიძება. გაზაფხულში შესვლას ვგულისხმობ. ზოგადად გარდამავალი ეტაპები ძალიან მიჭირს. აი, წვალეებით რომ მოინაცვლებ გვერდს ლოგინში, ისე წვალეებით ვტრიალდები ხოლმე, მაგრამ მთავარია რომ ის არსებობს – სიცოცხლის დიდი ზეიმი: გაზაფხული.

– მეც სულ ფორიაქი მაქვს ამ დროს. ძილ-ბურანიდან გამორკვევა მიჭირს, მით უფრო, რომ ეს ბურანი მხოლოდ სეზონურ ცვლილებებს კი არა, წლობით ნაგროვებ თოვლსაც იტევს, გაუცხოვებასაც, ასეთი ჩვეულებრივი რომ გამხდარა დღეს და ბუნებრივად მოსულ გაზაფხულს პარალელურ სამყაროში უპირებს თითქოს ჩანაცვლებას.

– ჰო, მანამდე კი იყო ნამდვილი ზამთარი, დიდი გაუცხოვება, რომლიდანაც მგელივით გამოვალნიე. იცი, მახსოვს, ჩვენს ბავშვობაში, ჩემი მშობლები და მათი მეგობრები, ყოველ გაზაფხულზე მოიკითხავდნენ ხოლმე ერთმანეთს და გადარჩენას ულოცავდნენ. ასეთი საშინელი ზამთრებიც იყო... ახლაც მინდა, ფართოდ გავახილო თვალები და გაზაფხული ვიზიემო, მაგრამ ეს ამდენი კატასტროფა დედამინაზე, ეს ტრაგედიები თითქოს ბოლომდე სიხარულს არც გვაცლიან.

– და მაინც, ისე ველოდები ხოლმე გაზაფხულის პირველ ჭიქა-ქუხილს... შარშან, რატომღაც გვიან, მაისის დასაწყისში იქუხა, ზუსტად იმ ღამით, სამი ათეული წლის წინ მე რომ დაბადებას ვცდილობდი. უცნაურად მენიშნა, მე ხომ ნიშნების და სიმბოლოების განსაკუთრებულად მჯერა.

– მაისამდე არ ყოფილა? ჭიქა-ქუხილი მართლა უცნაური ნიშანია. შენს დაბადების დღეზე ქუხილი იქნებოდა, მაშ. იცის ბუნებამ ვისთან რა „სპეც-ევექტები“ გამოიყენოს. ხომ იცი, ღრუბელი, ჭიქა-ქუხილი, ღვთის ნიშანი, მისი სიმბოლო, მეტაფორაა.

– ისე, ეს ჩვევა ბავშვობიდან მაქვს – ჭიქა-ქუხილის მოლოდინის. გაზაფხული ჩემთვის ამ დღიდან იწყება. ათვლის წერტილივით არის. დაბადება კი, აი დაბადება მახსოვს-მეთქი, როგორ ვთქვა, მაგრამ იცი, რა მახსოვს? დიდი ლურჯი ტბა, უსწორმასწორო კიდეებით, წყალმცენარეებით დაფარული ფსკერით. ეს ყველაფერი ალბათ წარმოსახვითია, მაგრამ არც მთლად სინამდვილეს მოკლებული ჩემს მესხიერებაში.

– დაბადება? არა, არ მახსოვს და ძალიანაც რომ მოვიწოდო, ვერ გავიხსენებ.

ის კი არა, სულ ნაკუნებად შემომჩნა ბავშვობა. თითქოს ვიღაც სხვამ იცხოვრა ის წლები და მერე მომიყვა. ვიღაცები დამრჩნენ და რალაცები. ფონი – გაქრა.

სოფელი დამრჩა, ჩემი სოფელი ზემო იმერეთში. აი, ოდესმე ნავიდეო, კატო, ორსართულიანი სახლი დაგვრჩა იქ და გამოციებული შუშაბანდი...

– აუცილებლად ნავიდეო, გამოციებული შუშაბანდები და მიტოვებული სახლები ჩვენს ნაფხურებს ყველაზე გულმოდგინედ ინახავენ. დედაჩემი სამი დღე მშობიარობდა თურმე ჩემზე, რის ვაი-ვაგლახით დავბადებულვარ, ბავშვიც ასეთი ვიყავი, ხათაბალა და ძალიან შარიანი.

ახლა კი ეს ყველაფერი უკვე ამბავია, ნაამბობი.

– ეგ ყველაფერი მეც „საზეპიროდ“ გადმომეცა. როცა დედას ჩემს გამო გადატანილ ტკივილებზე მიყვებოდნენ, სულ რაღაცნაირად სინდისი მჭამდა. დიდხანს ვერ ვიყავით ერთად, ის მკურნალობდა, მე კი ჩემთვის ვიზრდებოდი. ძალიან ავად იყო დედა, თავში ჰქონდა სიმსივნე. სულ ეუბნებოდნენ, იქნებ არ გინდა ეს ბავშვი, იქნებ მოიშორო, და აი ზუსტად მაშინ, როცა დათანხმდა, ნაყოფი იძრა თურმე...

ეს ყველაფერი დღემდე მაკვირვებს, თითქოს ძალიან არასახარბიელო სასიცოცხლო ტონუსი მაქვს და მაშინ რამ გამაგიჟა ასე. ასეთი იყო დაბადება, საბედნიეროდ სიმსივნე კეთილთვისებიანი აღმოჩნდა მერე.

– **უცნაური დაბადებაა, მარტო შენი კი არა, შენი და დედის თანადროულად. პოეზიაც ხომ დაბადებაა, სიტყვის განსხეულება, განივთება. დროის მატარებელივით არის, მიდიხარ, მიდიხარ და სხვაგან ხარ. გგონია დგახარ და მოსახდენზე წერ. გგონია წინ მიდიხარ და უკან დაბრუნებულხარ, თურმე.**

– კი, ეგრეა, და მაგ ენერგიას მკითხველიც გრძნობს. იცი, რას მივხვდი? რომ ოდესმე, სადმე, რომელიმე დროსა და სამყაროში, ყველაზე მექანიკურად დანერგილი სიტყვაც კი წინ დაგვხვდება. აუცილებლად „ვინწევთ“. ამიტომ, რაც ეს გავაცნობიერე, ძალიან ფრთხილად ვეკიდები ე. წ. „ფინალს“. საით მიდის ჩემი პერსონაჟი, რამდენად აუცილებელია თუნდაც მისი სიკვდილი ან გადარჩენა. რადგან სიტყვა ხომ განხორციელებული ღმერთია. აი, ჯაბა ექიმი ვახსენე და ჯაბა ამბობს ხოლმე, რომ ადამიანი სულ ორჯერ აკეთებს არჩევანს – დაბადებისას, როცა ირჩევს მშობლებს! და სიკვდილისას – როცა ირჩევს წარწყმედას ან ცხოვნებას. ნახე, რამხელა თავისუფლებაა და თან როგორი პასუხისმგებლობა. შემაშინებელი, საზარელი, თუმცა მაინც არა ვართ მარტონი. დიდი პატრონი გვყავს და ჩვენი სიმართლეების მიხედვით იღიმის.

– **მე მაინც გამოუსწორებელ ექსტრემისტად ვრჩები. და ეს**

ყველაფერი იმიტომ კი არა, რომ ასე ვთქვათ „ძალა მერჩის“, ან მარტივად არ მეშინია იმის, რაც შენ თქვი. უბრალოდ ნიშნულების ტყვეობაში გამომწყვდეულს სიტყვა ხშირად კარმულ ბმულად მექცევა ხოლმე და მერე ნაბიჯ-ნაბიჯ, უკვე ცხოვრებით მივდექვ ლაბირინთებში. ჯაბა ახსენე და ძალიან დიდ პატივს ვცემ ამ ადამიანს, სულ ვფიქრობ და მიკვირს, როგორ მოიპოვა ამხელა სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა. ჩემთან სულ ქარია...

– ეგ ძიებაა. მე სულ ვფიქრობ ხოლმე, რომ შენი ეგ „რყევა“ ძიების უკიდევანო ინსტინქტია, შლეგური ვენება შენში. სიკვდილსაც ეძებ და სიცოცხლესაც, ზომიერება კი არ იცი. ძალიან სახიფათო თამაშია და თამაშს კიდევ რაც ახლავს ხოლმე – ილუზია, ეფემერა, შეიძლება რამემ თავი სიკვდილად მოგაჩვენოს, მიგიტყუოს და მოგატყუოს. ძნელია მერე ძალიან. სიკვდილი მეც ძმასავით მიყვარს და ვგრძნობ, რომ სულ სადღაც აქვია და იცი, რამდენჯერ გადავურჩინე ჩემივე სიკვდილს? ორჯერ – ზუსტად ვიცი. მაგრამ ეს მაინც დიდი საიდუმლოა. მამას წასვლის შემდეგ უფრო ახლობელი გახდა, მარტო მამასი კი არა და... რამდენი ვინმესი. აი, შენც ხომ ასე ხარ, შენთან ხომ ზედმეტად ახლოს მოვიდა და ბევრჯერ გატკინა. ძალიან რომ გამიჭირდება ხოლმე, შევძვრები მასზე ფიქრში და შევტირი და ვიცი, რომ არ მოვა არაფრით, იმ წუთას არ მოვა, მაგრამ მაინც მისმენს და იცის.

– **ჩემი შემოქმედების მთავარი თემაა, ვფიქრობ ცხოვრებისაც. იმდენჯერ ჩახვადე თვალებში, უკვე აღარც ვიცი, ხანდახან ისიც კი მგონია, რომ ჩემშია, თავად დამაქვს, როგორც ტვირთი, რომელსაც ვერც ვერსად ტოვებ და ვეღარც ეზიდები. რამდენადაც დამლაღა, იმდენად მიორევს თავის წიაღში და მეც, რა ვიცი, მიყვები... სიკვდილისები ვართ მაინც, ყველანი. წამსვლელები.**

– რა თქმა უნდა, რა ენერგიაც შენში ტრიალებს, გამოიწვევს კიდევ აუცილებლად. ბუნება ძალიან ცხადი რამეა, ძალიან კანონიერი და გამგონი, მალევე გვპასუხობს.

თვითონ ამბობს, მთვარის ვარო, მაგრამ მე სულ მზის შვილი მგონია, იმდენად დიდია ის ენერგია, რომელსაც ეს ადამიანი შიგნიდან ასხივებს. ამ წლების განმავლობაში, რომელიც მე ლიტერატურაში გავატარე, ერთი რამ ვისწავლე, ლიტადამიანების უმეტესობას საჭიროებდა ქცევია მეგობრობა. რის საჭიროებად – ამაზე შემდგომში...

როგორც დათო აკრიანი ამბობს, ჩვენ იმდენად განსხვავებულები ვართ, რამდენადაც შესაძლებელია დღე და ღამე განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, თუმცა ამავე დროს ძალიან ერთნაირებიც, რამდენადაც ზუსტად დღის და ღამის შერწყმა ქმნის ყველაზე უცნაურ და ერთიან პანორამას.

„მონატრებული საკინძესავით გადახსენი ჩემი ჩანთა და მელნის იეზბი ჩაიყუყუე“..

ყოველთვის ჩუმად აკაკუნებს, თუ იქვე არ ხარ, თავისუფლად შეიძლება ვერც კი გაიგო. ათას კაცში გამოარჩევ, რაღაცნაირია, სხვანაირი, თითქოს დროის მატარებელს წარსულიდან გამოჰყვავა, ამიტომაც აქვს ალბათ მიწის, ფეხების, იეზბის სუნი. ხშირად სხვებზე მოფიქრალს საკუთარი თავი ავინყვება და ამასობაში კი თვეები კი არა, წლებიც გადის. ეს ნინო სადღობელაშვილია – გზა, რომელიც თავისკენ მექაჩება, როცა უფსკრულისკენ ვინწევ.

– განსაცდელი. ხშირად გგონია ვეძებ? თავად მპოულობს. თუმცა ისეც ხდება, როცა ვგრძობ, როგორ მჭირდება, როგორი სასიცოცხლოა, აუცილებელი. რომ არ გამოვშრე, არ დავიცალო, არ მოვკვდე. გამოწვევა კი ყველაფრის შეიძლება, სიყვარულისაც კი. როგორია შეყვარებული ნინია?

– აუჰ, კანის ფერიც კი ეცვლება და გულის ტემპერატურა იმხელა, რომ გვერდით ჩაფრენილ ბელურებს ფრთები ეტრუსებათ. სულ მასზე ფიქრი უნდა, მასთან ყოფნა, ზრუნვა. ასეთი უცნაურობაა ხოლმე, რომ ვინც ნინიას უყვარს, ის მისთვის მარტო შეყვარებული კი არაა, მამაცაა, ძმაც, შვილიც. მაგრამ მგონი სულ ერთხელ იყო ასეთი დიდი სიყვარული. და ეს „ერთხელ“ – შესაძლოა, სულ გაგრძელდეს, მთელი ცხოვრება.

– მე კი მგონია, რომ ესეც გამოწვევაა გარკვეულწილად და რამდენჯერაც საკუთარ თავს გამოიწვევ, ანუ გექნება ამისთვის მზაობა – მოვა. მე ირგვლივ კედლებივით ამოვიშენე მოგონებები და შენ წარმოიდგინე, ისინი ზედმეტად მყარი გამოდგა. როგორც სჩანს, ჯერ ამის დრო არ მოსულა.

– კატო, კედლები არ არსებობს, ჩემზე უკეთ შენ იცი. ეს ჩვენ გვინდა, ასეთი წარმოსახვა გვექონდეს და ერთი შეხედვით ყველაზე შეუვალი კედელიც კი ნიავის სინატიფისაა ხოლმე, როცა სიყვარულია. ჩემი მამაკაცი ძალიან შემოქმედებითია. პურის მცხოვრებელიც რომ იყოს, იმასაც რაღაცნაირად, შემოქმედებითად უნდა აცხოვრდეს და კეთილი და ლალი უნდა იყოს, იუმორის გრძობით და ნამდვილი, ცოცხალი. ეჰ, როგორ მომენატრა ეს სიტყვა ადამანებში – სინამდვილე.

– ჩემი მამაკაცი კი ძალიან „ამტანი“ უნდა იყოს, ჩემი ჭირვეულობა და სიჯიუტე რომ აიტანოს. ეს რა თქმა უნდა ხუმრობით, ისე კი, ალბათ ამ დედამინის რომელიმე კუთხეში მართლა არსებობს ის „მეორე“, ვისი ნახევარიც შეიძლება ვყოფილიყავი, და ის შეიძლება ახლა აზიის რომელიმე ქვეყანაში ფეხმორთხმული ზის ბორდიურზე და სულაც ვერ

ხვდება, რომ სადღაც საქართველოში ერთი გადარეული პოეტის ნახევარია. ცხოვრებაც პოეზიასავით არის. „ი ხოჩეტსია, ი კოლეტსია“. პროზის პოეზიასთან შეთავსება ძნელია ალბათ. ამ ბოლო დროს მცდელობები მქონდა და რამხელა ნებისყოფა სჭირდება! ახლა ვხვდები, რატომ არის მწერალი ნებისყოფიანი და განონასწორებული, პოეტი კი უნებისყოფო და იმპულსური.

– ზოგჯერ დიდი შემოქმედები ახერხებენ ხოლმე, ცხოვრებაც პოეზიად აქციონ ან, შესაძლოა, სხვას მოაჩვენონ ასე, რომ ვითომ სულ პოეზიაა მათი ცხოვრება. პათეტიკის გარეშე – პოეზია ჩემთვის სიცოცხლეა. თავისთავად დალაგდა ასე. რაც თავი მახსოვს, სულ ვჯღაბნიდი. იცი როგორი ჟანრი მიყვარდა? მოთხრობებში აუცილებლად გავურევდი ხოლმე ლექსებს, რომელიმე გმირს მაინც ლექსად უნდა ელაპარაკა. ეს უდღეური ნაწერები ძალიან სასაცილო იყო, ცხადია, მაგრამ, ეტყობა, პროზაც და პოეზიაც თანაბრად მომწონდა და კარგად ვგრძნობდი თავს. 2006 წელს, „ინტელექტმა“ მოთხრობების პირველი კრებული „ბამბაზიის სამოთხე“ გამოსცა. 2008 წელს გამოვიდა პოეტური კრებული – „შუალამის იავნანა“. 2009 წელს კი „პეგასმა“ გამოსცა რომანი „ორსული“. ახლახანს, „ახალი ქართული პროზის“ სერიით გამოვიდა კიდევ ერთი მოთხრობების კრებული „თავშესაფარი“. თითქმის მზად მაქვს ახალი რომანი „ნამი აქა – ნამი იქა“, რომელსაც ალბათ ზაფხულში გამომცემლობა „ინტელექტი“ დაბეჭდავს.

– მახსოვს, „ორსულს“ რომ ვკითხულობდი, იქ ჩადებულ ემოციებს პოეზიასთან ვაიგივებდი. ლექსიც ხომ ეგ არის – ორსულობა, ნაყოფის მუცლად ტარება, მომწიფება, მერე ერთ დღესაც წყლების დაღვრა და ამ ყველაფრის გარეთ, უკვე ფურცელზე გადმოტანა.

– ჰო, ეგრე იყო ზუსტად. საერთოდ, მაგ წიგნზე ყოველთვის ცოტას ვსაუბრობ. განსაკუთრებულად საარტერიო სისხლზე გადის და, წელიწად-ნახევარი ისე ინერებოდა, ვერც გავიგე, რადგან, ზუსტად იგივე ცხოვრება წინ უძღვო-

და, მერე მე უბრალოდ გადმოვწერე.

– მე კიდევ ჩემი ცხოვრების ნაწილი გადმოვწერე, დანარჩენს კი „დიღითი“ გავუკეთე, თავადაც აღარ მახსოვს რაღაცები. ბოლო პერიოდში სულ ის ისტორიები მახსენდება, დედაჩემის სოფელში, „სანახშოზე“ რომ ვისმენდი. წარმოიდგინე ღამე, კოცონი, ირგვლივ ჯადოსნური, მეტიც, რაღაცნაირად მოჩურჩულე ტყე და უცნაური ისტორიები ჭიკებზე, ჭალის ნიმფებზე. ამ ისტორიების ნაწილი გადმოვწერე და ჩემში დავტოვე.

– ცრურწმენა უძახე შენ და ეგ ანდრეზული ხილვები და ისტორიები ისეთი ცოცხალია, რომ ძნელია არ დაიჯერო. სალამოს, კოცონთან რომ იკრიბებიან და ათას ისტორიას ყვებიან, იმ ადგილს ფშაურად „საფიხნო“ ჰქვია და იმერეთში კიდე „ბირჟა“. და შენ იცი, რომ მე ოდესღაც დიდი „ბირჟავიკი“ ვიყავი სოფელში? კარტასაც ისე ვთამაშობდი, ბარეოს ვუგებდი, ცოტას ვშლიდი კიდეც. მერე მოვიშალე ეს მაიმუნობები. შენ წარმოიდგინე, დისკოტეკაზეც კი ვარ ნამყოფი. ერთი ზემოიმერული სოფლის დისკოტეკა წარმოიდგინე ჯერ...

დამსვენებლები ცეკვავდნენ, ადგილობრივები ისხდნენ და ჩუმად გვიყურებდნენ. დიჯეიც ერთ-ერთი დამსვენებელი იყო და, ნუ, საშუალოდ ნორმალურ მუსიკას უკრავდა. მერე, ეს ადგილობრივები დათვრებოდნენ, შემოცვივდებოდნენ „საცეკვაო მოედანზე“, სირცხვილგადალახულები და უნდა გენახა რა ამბავი იყო.

– ყველაფერს წარმოვიდგენდი და „ბირჟავიკიც“ თუ იქნებოდი, მაგას ნამდვილად ვერა. მე კიდე ბიძაჩემს

სანადიროდ დავყავდი, ავიკიდებდით საგზალს და გავუდგებოდით ხოლმე გზას უღრანში. სავარაუდოდ, დათვზე სანადიროდ მივდიოდით, მაგრამ ახლავ ვხვდები, რომ ეს ერთგვარი რიტუალი იყო, ჩვენი ურთიერთობისთვის ძალიან საჭირო რიტუალი. მას ჩემთან ერთად არასოდეს არაფერი მოუკლავს, არადა ძალიან კარგი მსროლელი იყო.

– აუ, კატო, შენ დამენახე ერთი დათვზე სანადიროდ წასული, რომ შემოგხვდებოდა ერთი გემრიელი რაჭული დათვი და ჩამოგართმევდა ხელს: დიდთვალეა გოგო, რა გინდა, რას მემართლებიო, გეტყოდა. ახლა იცი რა გამახსენდა? ბაკურიანში, პოეტურ ექსპრესზე რომ მივდიოდით და შენთან რომ დავრჩი – მატარებელთან ახლოს ვართ, დილით უფრო გაგვიოლდება მისვლა-მეთქი. ხომ დაგვაგვიანდა მაინც და მატარებელს მცხეთამდე ტაქსით ვდიეთ. და, როგორ თოვდა და თოვდა...

– ჰოო, გაყინულები მიგდებულ სასადილოში რომ შევედით და ჩაილუდის კათხებით რომ მოგვიტანეს... არ ვიცი, ბიძაშენის ღვინის ბრალია, განწყობის, თუ იმ ურთიერთობის, მარტო მე და შენ რომ ვიცით, მაგრამ გაზაფხულით დაწყებული საუბარი რაღაცნაირ სევდაში გადამეზარდა.

– მართლა რა უცნაურია... ჩიბუხი გვაკლია და თუთუნი და, ფშავლის დედაკაცებივით ვართ, ჭრელ კაბებს მუხლებთან ჩავიკეცავთ, სამპირ მიძივებს ავაჩხრიალებთ და დედამინის ნატურალს ვიტყვით. შევაკეთოთ, თავდება თუთუნი, მაგრამ ხელფასამდე მაინც გვეყოფა.

კომენტარი ზედმეტი არ არის!



**კომენტარები ტიცინა ტაბიძის თხზულებათა
(მომავალი) აკადემიური გამოცემისათვის**

აკადემიური გამოცემა ჩვეულებრივი გამოცემისგან უწინარეს ყოვლისა იმით განსხვავდება, რომ მას კომენტარები (განმარტებები) ერთვის. უნდა განიმარტოს ტექსტში ნახსენები საკუთარი სახელები, რეალიები, ფაქტები და ა. შ.

გალაკტიონ ტაბიძის თორმეტტომიანი უხვად კომენტირებული აკადემიური გამოცემა რომ გამოვიდა გასული საუკუნის სამოციან წლებში, აღმოჩნდა, რომ კომენტარებში უამრავი კურიოზული შეცდომა იყო დაშვებული. დაიბეჭდა რამდენიმე კრიტიკული წერილი და პაროდებიც კი მიედღვნა ამ სავალალო მოვლენას.

ოდესმე ალბათ ქართული მოდერნიზმის გამოჩენილი წარმომადგენლის ტიცინა ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადებაც დაიწყება და იქაც სათაკილო შეცდომები რომ მოგვივიდეს, მოდიოთ, დროულად დავიჭიროთ თადარიგი.

ტიცინა ტაბიძის ლექსებში განსამართავი ბევრი რამ არის. დრო გადის, თაობა თაობას ცვლის და დავიწყებას ეძლევა ბევრი პიროვნება, ფაქტი, მოვლენა, რომლებიც იმ დროისათვის, როცა ეს ლექსები იქმნებოდა, მკითხველისთვის კარგად ნაცნობი იყო და განმარტებას არ საჭიროებდა.

მკითხველთან, მეცნიერი იქნება ის, უბრალოდ, პოეზიის მოყვარული თუ, საზოგადოდ, ძველი ამბების მცოდნე ან ისეთი პიროვნება, რომელსაც ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი იტაცებს, უმორჩილესი თხოვნა გვექნება: პერიოდულად შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს ტიცინა ტაბიძის ლექსებიდან და პოემებიდან, რომლებშიც დღევანდელი მკითხველისთვის ზოგი რამ გაუგებარია, ახსნა-განმარტებას მოითხოვს, და გაგვიზიარეთ თქვენი აზრი – რას შეიძლება ნიშნავდეს ესა

თუ ის სიტყვა, ვინ შეიძლება იყოს ტიცინა ტაბიძის მიერ დასახელებული ესა თუ ის პიროვნება, რა იცით მის მიერ ნახსენები ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის შესახებ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამით დიდ სამსახურს გაუნვეთ გამოჩენილი პოეტის შემოქმედების შესწავლას და, ვიმედოვნებთ, თქვენი დამსახურება ამ საქმეში, სთანადოდ იქნება აღნიშნული ტიცინა ტაბიძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, რომელიც, იმედია, ადრე თუ გვიან აუცილებლად იხილავს მზის შუქს.

დავეხმაროთ ტექსტოლოგებს ამ არცთუ იოლი პროექტის წარმატებით განხორციელებაში!

ჩვენ ქვემოთ მხოლოდ ლექსების ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ, თქვენ კი ალბათ ჩვენს შეკითხვებზე პასუხის გასაცემად დასახელებულ ლექსთა სრული ტექსტების გაცნობა (გახსენება) დაგჭირდებათ. საქმე რომ გაგიადვილოთ, ორ გამოცემას ვიმონებთ: 1966 წელს გამოსული სამტომეულის (ტიცინა ტაბიძე. თხზულებანი სამტომად. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“) და 1985 წელს გამოსული ერთტომეულს (ტიცინა ტაბიძე. ლექსები, პოემები, პროზა, წერილები. თბილისი: „მერანი“). ციტირებული ფრაგმენტის შემდეგ პირველი რიცხვი სამტომეულის პირველი ტომის გვერდს აღნიშნავს, მეორე რიცხვი კი – ერთტომეულისას. გარდა ამისა, ეს ლექსები ინტერნეტშიც შეგიძლიათ მოიძიოთ.

თქვენი პასუხები (განმარტებები, მოსაზრებები, ვარაუდები) ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნდება. სწორი, ამომწურავი განმარტებების ავტორები დაჯილდოვდებიან „ინტელექტის“ მიერ გამოცემული წიგნებით.

მაშ, ასე – დავიწყოთ!

1. 1923 წელს დაწერილ ერთ ლექსში, რომლის სათაურია „ორპირის ოქროპირი“, ტიცინა ტაბიძეს უწერია:

„ქადაგებს ბაყაყი:
ამბობს პირდაპირ და აშკარად,
როგორც კაზინოში კრუპიე: „ბაკკარა“
(156; 101).

რა კომენტარს გაუკეთებდით „ბაკკარა“-ს?

2. იმავე ლექსში („ორპირის ოქროპირი“) გვითხულობთ:

„ახლა კი ნ. ო. ტ. ია და
ელექტროფიკაცია,
ლექსებისთვის ვინც მოიცლის,
ის რა კაცია?“
(157; 102)

რას ფიქრობთ, რა რის „ნ. ო. ტ.“-ი?

3. სტროფი ლექსიდან „ახალი მცხეთა“:

„ძველი სატახტო... სვეტი ცხოველი,
რომლის ობობა მტკვარს გადააშრობს,
მისგან სასწაულს არვინ მოელის,
ზახარ ზახარიჩ აქ მშვიდად ვაჭრობს“
(141; 114)

კომენტარს საჭიროებს „ზახარ ზახარიჩ“.

4. ლექსიდან „სერგეი ესენინს“:

„ჩოფურაშვილთან ვიყავით ნუხელ,
შენზე ღრიალით გასკდა არღანი“
(131; 120).

რა კომენტარს გაუკეთებდით „ჩოფურაშვილს“?

5. ლექსში „ნინა მაცაშვილს“ ასეთი სტრიქონებია:

„შაითან ბაზრის დაიხურა ყველა დუქანი.
ამოდის მთვარე – თავისმკვლელთა
ლეშით მსუქანი.
ვანქის ტაძარში „Sabachtan“-ით
შენ გაგეცინა“
(163; 95).

რა კომენტარს გაუკეთებდით „Sabachtan“-ს და, საზოგადოდ, მთელ სტრიქონს, რომელშიც ეს სიტყვა გვხვდება?

ამჯერად ეს ვიკმართო.
ძვირფასო მკითხველო, ველით
თქვენს პასუხებს!
ნუ დაიზარებთ! შევეწიოთ ქართულ
ფილოლოგიას!

„ინტელექტი“ ბთავაზობთ

ნობელის პრემიის ლაურეატები

??

შტრიხები პორტრეტისათვის



„აუდიტორიიდან ქალი კითხულობს: „რატომაა დღეს აქ ასე ცოტა ქალი? რატომაა ასე ცოტა ქალი წარმოდგენილი მთელი კვირის მანძილზე? და საერთოდ, ბიტნიკ მწერლებს შორის ასე ცოტა ქალი რატომ იყო?“ და გრეგორი კორსო მოულოდნელი, უკიდურესი სერიოზულობით პასუხობს მას: „იყვნენ ქალები, დიახ, იყვნენ, მე მათ ვიცნობდი. ოჯახებმა ისინი ინსტიტუციებში მოათავსეს, ელექტროშოკის ზემოქმედების ქვეშ ცხოვრება მიუსაჯეს. 50-იან წლებში მამაკაცს შეეძლო, ყოფილიყო მემბროხე, ქალს კი არა, მათ გამოკეტვა ემუქრებოდათ საკუთარი ოჯახებისგან. იყო ასეთი შემთხვევები, მე ეს ვიცი. ერთ დღეს ვინმე მათ შესახებ დაწერს“.

სტეფან სკობის ანგარიშიდან,
წაროფას ინსტიტუტი,
1994 წელი.

ბრენდა ნაითი

ელის ქოუენი – ბიტნიკების ალისა

ნიგნიდან „ბიტ თაობის ქალები“

მიუხედავად იმისა, რომ **ელის ქოუენის** გარდაცვალებიდან მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, მისი ცხოვრება ბევრად უფრო შესანიშნავია, ვიდრე ბიტ თაობის ბევრი სხვა ქალის. ის **ჯოის ჯონსონის** „მეორეხარისხოვანი პერსონაჟების“ ფურცლებზე ცოცხლობს და იმ ბიტნიკების გონებაშიც, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია და ვის ცხოვრებაშიც ელისმა წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც შესანიშნავმა მეგობარმა. **ჯანინ პომი ვეგა**, რომელთან ერთადაც ელისი გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა, აღნიშნავს: „მე ისევ ყოველდღე ვფიქრობ მასზე. ის ყველაზე გონიერი ადამიანი იყო მათ შორის, ვინც კი შემხვედრია“.

ელისი ლონგ აილენდზე, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში დაიბადა. მისმა მშობლებმა ამერიკული ოცნება აიხდინეს – მათ ჰქონდათ იდეალური სახლი იდეალურ უბანში და იდეალური სამუშაო. სრული იდილიისთვის მათ ყველაზე მეტად ჭირდებოდათ იდეალური ქალიშვილი და ამიტომ ელისი მათი რისხვის მთავარი ობიექტი გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ ელისი არ იღებდა კარგ ნიშნებს, ის ყოველთვის გამოირჩეოდა გონებაგახსნილობით და მუდმივად კითხულობდა. განსაკუთრებით უყვარდა პოეზია, კიდევ უფრო განსაკუთრებით – **ეზრა პაუნდი** და **ელიოტი** და ყველაზე საჭირო მომენტებში შეეძლო, შეუცდომლად წარმოეთქვა მათი სტრიქონები. მას ბნელი პოეზია იზიდავდა, ეს მისი ჩრდილი იყო, ადამიანები კი იცნობდნენ ელისს – კარგ მეგობარს, რაც მისი პიროვნების ძირითადი შტრიხი იყო.

ელისი, ოჯახის გეგმების მიხედვით, ბერნარდში სწავლობდა, მაგრამ იმ გზაზე, რომელიც მისთვის დაგეგმეს, წარმატებას ვერ მიაღწია. სამაგი-

ეროდ, ის **ჯოის ჯონსონსა** და **ლეო სკირს** შეხვდა და ბიტნიკების მოძრაობაში ჩაერთო თავის ფილოსოფიის პროფესორთან ერთად. ელისს ბავშვურად უყვარდა პროფესორი, რომელსაც საინტერესო ცხოვრება ჰქონდა გავლილი, ჰყავდა შვილი, მაგრამ არასოდეს ჰყოლია ცოლი. მას ასევე ჰყავდა ძალიან ბევრი მეგობარი, რომლებიც უსაქმურად დაეხეტებოდნენ მის არეულ ბინაში, სანამ ელისი დალაგებას ცდილობდა და მის ორი წლის ვაჟს უვლიდა.

ამ ურთიერთობამ ელისის მომავალი განსაზღვრა. როცა მისი მეგობარი, **ალენ გინსბერგი** გამოჩნდა მის ცხოვრებაში, ელისი მიხვდა, რომ მონათესავე სული იპოვა (**ჯოის ჯონსონი** იმასაც კი აღნიშნავს, რამდენად დაემსგავსნენ ისინი ერთმანეთს ფიზიკურად ამ პერიოდში). რალაც დროის მანძილზე ისინი ერთად იყვნენ, შემდეგ კი, როცა ალენი წავიდა, ელისმა, რეალურად, ვერასოდეს მოხერხა მისი დავიწყება. ბედის ირონიით, ალენი და ელისი, ორივენი შეხვდნენ **კარლ სოლომონს**, ორივე – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ოღონდ სხვადასხვა დროს. ელისმა ეს ისე აღიქვა, როგორც ნიშანი, რომ ისინი ერთად უნდა ყოფილიყვნენ. ალენი ფსიქიატრიულში ციხის ნაცვლად მოხვდა მას შემდეგ, რაც მოპარული მანქანით ავარიში მოყვა **ჰერბერტ ჰანკთან**, **ვიკი რასელთან** და პატარა **ჯეკ მელიოდისთან** ერთად. ელისი ბელეგუს ჰოსპიტალში ერთ-ერთი დეპრესიის დროს მკურნალობდა. როცა ალენი **პიტერ ორლოვსკის** საყვარელი გახდა, ელისმა რომანი გააბა ქალთან, რომელსაც სახელად **შეილა** ერქვა და ეს ორი წყვილი, გარკვეული პერიოდი, ერთ ბინაშიც კი ცხოვრობდა.

ბერნარდის დამთავრების შემდეგ,

ელისს კიდევ უფრო მოეძალა დეპრესია. ფაქტობრივად, ის არასოდეს განთავისუფლებულა ამ მძიმე სენიგან. მან მბეჭდავად დაიწყო მუშაობა და წარუმატებელი კარიერა გაიკეთა. ღამით ბეჭდავდა, თან წითელ ღვინოს სვამდა და ჩუმად წერდა ლექსებს. სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ, ის სან ფრანცისკოდან გაქრა და ყველას თვალთახედვიდან დაიკარგა. ელისი, რომელიც ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა ნიუ იორკში, რადიკალურად შეცვლილი იყო – ჩუმი და გამხდარი, კიდევ უფრო ჰგავდა მოჯადოებულს, ვიდრე მანამდე.

ინფექციური ჰეპატიტის გამო ელისი ისევ მოხვდა ბელევეში. მშობლებმა ის ქუინზის ფსიქიატრიულში გადაყვანეს და შემდეგ ექიმის წინააღმდეგობის მიუხედავად, გამოწერეს მაშინ, როცა ელისს ჰალუცინაციები და პარანოია ტანჯავდა. ისინი არდადეგებზე ელისის ფლორიდაში წაყვანას გეგმავდნენ, მაგრამ ელისი იქ არასოდეს მოხვედრილა. 1962 წელს ის

თავისი მშობლების სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან გადახტა და მაშინვე გარდაიცვალა. პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ფანჯარა არ იყო ღია – ელისი ჩაკეტილი ფანჯრიდან გადახტა.

მის სიცოცხლეში ელისის არცერთი ლექსი არ დაბეჭდილა. 83 ლექსი მისი მეგობრის, ლეო სკირის ბინაში ინახებოდა მინეაპოლისში, დანარჩენები კი, ლექსებიც და ჟურნალებიც, ელისის ოჯახმა მისი სიკვდილის შემდეგ გაანადგურა. წლების შემდეგ ერთგულმა მეგობარმა ლეო სკირმა, ელისის რამდენიმე ლექსი პატარა ლიტერატურულ ჟურნალებს, მათ შორის, „The Ladder“-საც გაუგზავნა. ამ წიგნში კი ის ლეო სკირის მიერ მოწოდებული ის ლექსებია დაბეჭდილი, რომელიც აქამდე მკითხველს არსად უხილავს.

თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ელისს არასოდეს განუცდია მსგავსი სიხარული, როგორსაც, ალბათ, ლეო სკირის მიერ მასზე დაწერილი მოგონებების წაკითხვა მიანიჭებდა.



ალენ გინსბერგი და ელის ქოუენი

სიკვდილი...

მე მოვდივარ, სიკვდილო,
 დამელოდე,
 ვიცი, იდგები მეტროს გაჩერებაზე,
 კალოშებით, სანვიმრით, ქოლგითა და თავშლით
 და შენი ყოველი სიტყვა,
 მათი ყოველი ბრუნვა,
 იქნება ნამდვილი და მოუსყიდავი.
 მიუსმინე, რას ამბობს გოგო:
 „შეგიძლია, გაძვრე თეთრი კომბოსტოდან და გაუჩინარდე“.
 ამბობს ალგზნებით და იცინის.

უერთგულესო პარანოიდო,
 შენთვისაა ეს ყველაფერი,
 ხომ ფიქრობ,
 რომ ყველაფერი ნამდვილია,
 ყველაფერი მეტად ზუსტია.

იპოვე მთვლემარე ნაპრალი ბლანტ ოცნებებში,
 სანამ იგი შენს მიღმაა,
 ან უბრალოდ, დაელოდე,
 სანამ ამაყად ჩამოლპება
 თითზე მიკრულ ფორთოხალთან ერთად.



ჯოის ჯონსონი

ის ნამდვილია, როგორც მწვანე ფერი სხეულზე,
როგორც საწოლი – ჩემი თავშესაფარი.
უყურადღებომ ვერასოდეს
ვერაფერი დაიმახსოვრა.

უსახლკარო,
ხელგაშლილი დგას გადასასვლელზე,
და ის სინათლე, რომელიც ცხოვრობს მის სხეულში,
და რომელიც ანათებს მისგან,
(წარმავალი სრულყოფილება),
არ ელის არვის,
უკვე შენც კი აღარ მოგელის.

ეს ლექსი ელის ქოუენის ბოლო ლექსად ითვლება



კარლ სოლომონი

არც სიყვარული,
არც სიბრალული,
აღარც ჭკუა,
არც სილამაზე,
აღარც სინაზე.
ეს ოცდაშვიდი წელიც უკვე საკმარისია.

დედა – გვიანია ყველაფერი – წლებმა უღირსად ჩაიარა – შემინდებ
მამა – რა მოხდა?
ალენ – მაპატიე
პიტერ – წმინდა ვარდის ახალგაზრდობა
ბეტი – რა ქალური სიმამაცეა
ქეთ – მადლობა შენ,
ჯოის – რა ლამაზი ხარ
ჰოვარდ – თავს გაუფრთხილდი
ლეო – გააღე ფანჯარა და... შალომ
ქეროლ – მოხდეს, რაც მოსახდენია

ახლა კი, მომეცით ნება, ნავიდე –
– თქვენ კი, მიმიღეთ, თუ შეიძლება.



პიტერ ორლოვსკი და ალენ გინსბერგი

ახალი თარგმანები

ჰერტა მიულერი

ყველა ენა საკუთარი თვალთ იყურება

(ფრაგმენტი რომანიდან „მეფე დაიხრება და კლავს“)

ბავშვობაში მეჩვენებოდა, რომ ადამიანები ჩემს სოფელში სიტყვებს პირდაპირ ზემოდან აფენდნენ აღსანიშნ საგნებს. ამ საგნებს ზუსტად ის სახელები ჰქონდათ შერქმეული, როგორც თავად იყვნენ, და, ზუსტად ისეთები იყვნენ, რა სახელებიც ერქვათ. ეს ერთხელ და სამუდამოდ მიღებული შეთანხმება იყო. ადამიანთა უმრავლესობისთვის არ არსებობდა ჭუჭყრუტანა, რომელშიც გაიხედავდი და სიტყვასა და საგანს შორის რამეს დაინახავდი; ამიტომაც ისეთი გრძობა გვექონდა, რომ საკუთარი კანიდან გამოძვრალი, სიცარიელეში იჩეხებოდი. ყოველდღიური საქმიანობა ინსტიქტურ, უსიტყვოდ შესრულებულ სამუშაოს გულისხმობდა, ადამიანის გონება ვერ გასდევდა ამ საქმიანობის გზას და საამისოდ არც საკუთარი, საცალფეხო ბილიკი ჰქონდა. თავი ადამიანისათვის თვალებისა და ყურების ადგილსამყოფელი იყო, მუშაობისას რომ სჭირდებოდა. „ამ კაცს თავი მხრებზე იმისთვის აბია, რომ კისერში წვიმა არ ჩაუვიდესო“ – ეს შეგონება შეიძლებოდა ნებისმიერი ადამიანის ყოველდღიურ, სოფლურ ცხოვრებას მისადაგებოდა. ან იქნებ ასე არ იყო ეს? მამ რატომ ხდებოდა, რომ ზამთრის პირზე, როდესაც გარეთ სამუშაო აღარ ჰქონდა, მამაჩემი გამოუფხიზლებლად სვამდა და გალესილი მთვრალი იყო, ბებიაჩემი კი დედაჩემს ასეთ რჩევას აძლევდა: „თუ იგრძნობ, რომ ამას ვეღარ გაუძლებ, კარადა დაალაგე!“ ეს თავის გაქნევა-გამოქნევას ნიშნავდა, რაც ტანსაცმლის დანყოფილება-დალაგებას ახლდა ხოლმე თან. დედას ხელახლა უნდა დაეკეცა, ერთმანეთზე დაეწყო ან გვერდიგვერდ დაელაგებინა თავისი ბლუზები და მამაჩემის პერანგები, ჩულქები და მამაჩემის წინდები, ქვედაკაბები და მამაჩემის შარვლები. მათი ტანსაცმლის ასეთი სიახლოვე

მამაჩემს საშუალებას არ მისცემდა, ამ ქორწინებიდან ლოთობის წყალობით დაეღწია თავი.

სიტყვები შრომას მხოლოდ მაშინ ახლდა თან, როდესაც ადამიანები ერთობლივ საქმიანობაში ებმოდნენ და ერთმანეთის თანადგომა სჭირდებოდათ. თუმცა ეს ამ შემთხვევაში ყოველთვის არ ხდებოდა. ისეთი მძიმე სამუშაოების დროს, როგორც იყო ტომრების გადაზიდვა, ორმოების თხრა ან ბალახის მოთიბვა, ადამიანები სიჩუმის სკოლას გადიოდნენ. სხეული მუშაობით მეტისმეტად გადაქანცული ჰქონდათ, რათა ძალები ლაპარაკში დაეხარჯათ. ერთად თავმოყრილ ოც-ოცდაათიოდე ადამიანს შეეძლო საერთოდ ჩუმად ყოფილიყო და ხმა არ ამოელო. მათ შემყურეს, ხშირად მიფიქრია, ახლა იმის მონმე ვხდები, როგორ კარგავენ ადამიანები ლაპარაკის უნარს; როდესაც დაიშლებიან, შრომით დამაშვრალებს, ალბათ ყველა სიტყვა პირნიშნადად დავინწყებელი ექნებათ-მეთქი.

ადამიანის საქმიანობას სიტყვა არ უნდა აორმაგებდეს. სიტყვები ხელს უშლიან და აფერხებენ საქმეს. ისინი, ჩვეულებისამებრ, ეურჩებიან სხეულს; ეს მე კარგად ვიცოდი. მაგრამ ამგვარი გარეგნული და შინაგანი შეუსაბამობა ხელებსა და თავს შორის, იმას ნიშნავდა, რომ ამ დროს თავში არასაკადრისი აზრები მოგდის, რასაც შენგან არ მოელიან და არ ჰგონიათ, რომ ასეთრამეს შეიძლება ფიქრობდე. ეს კი მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როდესაც შიში აგიტანდა, სხვებზე მშიშარა არასოდეს ვყოფილვარ და სხვებით ალბათ მეც უსაფუძვლო შიშით ვიყავი შეპყრობილი, და ეს გონებაში აღმოცენებული, გამოგონილი შიში იყო. მაგრამ ამგვარის შიში მხოლოდ შენს წარმოდგენაში არ არსებობს. ეს ის უტყუარი შიშია, რომელთანაც ხელჩართული ბრძოლა გიხდება, რადგან



იგი ნაღდად ჰგავს გარედან შემოჭრილ საფუძვლიან შიშს. და, სწორედ იმის გამო, რომ იგი შენს გონებაში აღმოცენდა, შეიძლება მისთვის უგონო შიშიც გვეწოდებინა. დიახ, უგონო, ვამბობ, რადგან გონებამ საამისო ზუსტი მიზეზებისა არა უწყის რა და მისგან თავის დასაცავადაც არავითარი იარაღი არ გააჩნია. ემილ მ. სორანი¹ ამბობდა: „როდესაც უსაფუძვლო შიშს განიცდი, იმ წუთებში ყველაზე უკეთ შეიგრძნობ საკუთარ არსებობას“. ამას უეცრად ცხოვრების არსზე დაფიქრება მოჰყვებოდა და ციებცხელებიანივით აკანკალებული, საკუთარ თავს ეკითხებოდი: „ნეტავ რა ფასი აქვს ჩემს სიცოცხლესო?“ ეს კითხვა მბრძანებლურად აცხრებოდა თავს ყველაფერს ჩვეულებრივს, და, „ნორმალური“ წუთებიდან იმზირებოდა. უნდა ეთქვა, რომ ბავშვობაში არც შიშილი გამომიცდია და არც ფეხშიშველს არ მივლია. საღამოობით ახლად გამოცვლილ, გაჯანდრულ, ტკიცინა თეთრეულში ვინეჯი და დასაძინებლად ვემზადებოდი, და, ვიდრე სინათლეს ჩამიქრობდნენ, ასე მიმდეროდნენ: „სანამ ძილს მივცემდე თავს / ო, უფალო, შენსკენ აღვავლენ ჩემს გულს“. მერე ის იყო, ჩემი სანოლის გვერდით, შორენკეცის ღუმელი იმ წყლის ავზად გადაიქცეოდა, სოფლის განაპირას რომ იდგა და ზედ ვაზი ჰქონდა შემოხვეული. იმხანად ჯერ არ ვიცნობდი ჰელგა მ. ნოვაკის² შესანიშნავი ლექსის სტრიქონებს: „როდესაც წყლის ავზთან ნელ-ნელა ჭკნება ველური ვაზი, სიფითრე მისი ჯარისკაცის ფერნასულ ტუჩებს დაემგვანება“. ჩემზე პირუკუ მოქმედებდა, ტვინს მიღრღნიდა და ძილს მიფრთხობდა ძილისპირული, ლოცვა, რომელსაც ვითომ უნდა დავემშვიდებინე. ამიტომ მოგვიანებითაც ვერ მივხვდი, და, დღემდე ამოუცნობია ჩემთვის, როგორ შეიძლება რწმენამ ადამიანებს შიში გაუფანტოს, სულიერი წონასწორობა აღუდგინოს და თავის ქალაში გამოხ-

მობილ აზრებს სიმშვიდე შეუნარჩუნოს, როდესაც ასე ხშირად დუღუნით წარმოთქმული ყველა ლოცვა პარადიგმად გადაიქცევა ხოლმე. და ჩემგან საკუთარი მდგომარეობის ინტერპრეტაციას მოითხოვს. ვიცოდი, რომ ფეხებით ჩვეულებრივ მიწაზე ვდგავართ, ცოტა ზემოთ, ადგილს მუცელი, ნეკნები და თავი იკავებენ, სულ ზემოთ კი – თმაა. ამიტომ საკუთარ თავს ვეკითხებოდი: როგორ უნდა აღვავლინო გული თმის ზემოთ, როგორ უნდა გაატარო იგი ჭერში და ღმერთს როგორ უნდა მიართვა. რატომ მიმდერის ბებიაჩემი ისეთ სიტყვებს, როდესაც იცის, რომ თავად ვერ გააკეთებს იმას, რასაც ეს სიტყვები მოითხოვენ-მეთქი.

ველურ ვაზს დიალექტზე „მელნის მტევნები“ ჰქვია, რადგან მისი მარცვლები ხელებს აშავებს და კანზე შავი ლაქები დიდხანს რჩება. სანოლის გვერდით აღმართული წყლის ავზი და მიაი „მელნის მტევნები“ ღრმა ძილს მაგონებდა. ვიცოდი, რომ ჩაზინება მელანში ჩახრჩობას ჰგავდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ თუ კაცი ვერ იძინებს, მას სინდისი სუფთა არა აქვს და თავის ქალაში უკეთური აზრები უტრიალებს. აი, ასეთი განცდა მქონდა მაშინ, არკი ვიცოდი, რატომ. გარეთ სოფლის ღამეც მელანს ჰგავდა. წყლის ავზს მთელი არემარე მოეგდო ხელთ, ცას და დედამიწას სადღაც მი აქანებდა; სოფლის ამ მელნისეულ სამყაროში კი მხოლოდ ერთადერთი პანანინა ადგილი რჩებოდა, სადაც ამ დროს ეს ყველაფერი თავს იყრიდა, ყოველი მხრიდან ბაყაყების ყიყინი ისმოდა, ჭრიჭინობლების ჭრიჭინს კი მინა ნთქავდა და სოფლის კიდობნის ექოში გამოამწყვდევდა, რომ იქიდან არავინ გამოსულიყო. უფროსებს, სოფლის სხვა ბავშვებივით, მეც დავყავდი მიცვალებულზე. ისინი საკუთარ სახლებში, ლამაზად მორთულ ოთახებში იყვნენ დასვენებული. ვიდრე სასაფლაოზე წაასვენებდნენ, მათთან გამოთხოვება აქ ხდებოდა. კუბოს თავი ახდილი ჰქონდა, მიცვალებულს ფეხსაცმლის ლანჩები კარისკენ გაუშვებია. ხალხი მოსასამძიმრებლად კარიდან შემოდიოდა, მერე ფეხების მხრიდან კუბოს გარს უვლიდა და მიცვალებულს

¹ სიორენი, მ. ემილ

² ნოვაკი, მ. ჰელგა (დაბ. 1935 წ.) — გერმანელი — ისლანდიელი მწერალი. ცხოვრობდა გდრ-ში, 1967 წლიდან კი დასავლეთ გერმანიაში; ცნობილია როგორც პოლიტიკური ლირიკის ავტორი.

დაჟინებით აკვირდებოდა. ბაყაყები და ქრიჭინობლები მუდამ თან ახლდნენ მიცვალებულს, ღამლამობით კი ცოცხლად დარჩენილებს ისე იდუმალად და ნაზად ეჩურჩულებოდნენ რაღაცას, რომ ტვინი გერეოდა. რაც შეიძლება, დიდხანს ვიკავებდი სუნთქვას, რომ მათი ნათქვამი გამეგო, მაგრამ დაფეთებული, მალე ისევ შევისუნთქავდი ხოლმე ჰაერს. დიახ, მათი ნათქვამის გაგება კი მაინტერესებდა, მაგრამ ამის გამო მაინც არ მინდოდა თავგზა საბოლოოდ ამბნეოდა. ასე მეგონა, ვინც ამ იდუმალ ნათქვამს ჩახვდება, მას ფეხებში სტაცებენ ხელს და ამქვეყნიდან გააქრობენ-მეთქი. განცდა იმისა, რომ სოფლის ამ კიდობანში გარემოს ლუკმა უნდა გავმხდარიყავი, კაშკაშა, პაპანაქება დღეებში, მდინარის პირას გადაჭიმულ ველზე მეუფლებოდა, სადაც ძროხები საძოვარზე გამყავდა. რაკი საათი არ მქონდა, მის მაგივრობას ქალაქში მიმავალი მატარებელი მიწევდა. დღისით ველზე ოთხ მატარებელს უნდა ჩაველო, და, მხოლოდ ბოლო მატარებლის შემდეგ უნდა გავდგომოდი შინისაკენ გზას. ამასობაში უკვე საღამოს რვა საათი ხდებოდა, ამ დროისათვის ზეცა ბალახის შთანთქმას იწყებდა და ველის ზემოთ, თავისთან მიაქანებდა. მინდოდა, რაც შეიძლება, სწრაფად გავცლოდი იქაურობას. იმ გრძელი დღეების განმავლობაში უკიდევანო, მოზიბინე ველზე ვიდექი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი: „ნეტავ რა ფასი აქვს ჩემს სიცოცხლეს“-მეთქი. მთელ ტანს ჩქმებით ვილურჯვბდი, მინდოდა გამეგო, რა მასალისგან იყო ნაკეთები ეს ფეხები თუ მკლავები, და, როდის მოისურვებდა ღმერთი ამ მასალის თავისთან უკან დაბრუნებას. ვლეჭავდი ფოთლებს და ყვავილებს, რათა ჩემი ენის სიახლოვე ეგრძნოთ, მინდოდა ერთმანეთს დავემსგავსებოდით, რადგან ფოთლებმა და ყვავილებმა იცოდნენ, როგორ უნდა ეცხოვრათ, მე კი – არა. მერე სახელებით მივმართავდი მათ. „რძიანა ნარშავი“ აშკარად ეკლიანი მცენარე იყო და რძიანი ღეროები ჰქონდა. მაგრამ მას ეს სახელი ნამდვილად არ მოსწონდა და დაძახებაზე არ მეხმთანებოდა. ამიტომ ვცდილობდი, მისთვის შერქმეული სახელე-

ბით მიმემართა და ხან „ეკალნეკნას“, ხანაც „ნესინვერას“ ვეძახდი, რაკი ამ სიტყვებში არც „რძე“ და არც „ნარშავი“ არ ერია. შერქმეულ სახელებთან დაკავშირებულ ტყუილში ცოცხალი მცენარის წინაშე, სიცარიელეში, დიდი ღრიჭო არებდა პირს. სამარცხვინო, მცენარესთან კი არა, საკუთარ თავთან ლაპარაკი იყო. იმ ოთხ მატარებელში, ველზე რომ ჩაიქროლობდნენ ხოლმე, ფანჯრები ღია ჰქონდათ. იქიდან საზაფხულო ტანსაცმელში გამონყობილი მგზავრები იყურებოდნენ; ხელს ვუქნევდი მათ და ლიანდაგთან სულ ახლოს ვდგებოდი, რათა მგზავრების სახეები, რაც შეიძლება, ახლოდან დამენახა. მატარებელში პენენიკი ქალაქელები ისხდნენ; ზოგ ქალს ბრჭყვიალა სამკაულები ეკეთა და მათ წითლად შეღებილ ფრჩხილებსაც ვხედავდი. მატარებელი რომ ჩაივლიდა, ფარფატა კაბა ისევ ტანზე შემომეტმანებოდა, გაბრუებული ვიყავი მატარებლის ჩავლისას უეცრად ამოვარდნილი ქარისაგან, და, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გაქანებული კარუსელის მიწაზე დახეთქების დროს, თვალეები სადღაც თავის ქალაში ჩამიცივიდა და ახლა მტკიოდა. ჰაერის ჭავლით გაგრილებული, გაფართოებული თვალის გუგები, ახლა შუბლზე რომ ამსვლოდა, თვალის ფოსოებში აღარ ეტეოდა. ძლივსღა ვსუნთქავდი, ტალახში ამოგანგლული მკლავები და ფეხები დაკანრული მქონდა, ხელებზე ფრჩხილებს მომწვანო-მრეში ფერი დასდებოდა. მატარებლის ჩავლის შემდეგ, ყოველ ჯერზე თავს მოძულეებულად ვგრძნობდი, საკუთარი თავი მეზიზღებოდა, და, კიდევ უფრო გულდასმით ვაკვირდებოდი მას. მერე ველის თავზე ზეცა უზარმაზარ ცისფერ ფუნას, საძოვარი კი უზარმაზარ მწვანე ფუნას ემსგავსებოდა, მე კი მათ შორის მოქცეული, პატარა ფუნა ვიყავი, აინუნში არავინ რომ არ აგდებდა. სიტყვა „მარტოსული“ დიალექტში არ არსებობს, არის მხოლოდ სიტყვა „მარტოხელა“ და ის „მიტოვებულს“ ნიშნავს; ეს სიტყვა კი ჟღერდა როგორც „მიტევებული“, და, ეს მართლაც ასე იყო.

შუა სიმინდის ყანაშიც იგივე ხდე-

ბოდა. ტაროებს ფუჩეჩი ჭალარა თმა-სავით შემოვლებოდა გარს, ისე, რომ ნანავეები დაენუნებოდათ; სიმინდის მარცვლები ჩაყვითლებულ, ჩამტვრეულ კბილებს მიუგავდათ, ლეროები კი ისე შრიალებდნენ და ისე ჩაკარგულიყვნენ სადღაც, როგორც მოუხელთებელი ქარი მტვერში. ცაზე გამოკიდებული უცხო მზე იმ ლანგარს ჰგავდა, რომელზედაც დიდგვაროვან ოჯახში სტუმარს ერთ ჭიქა წყალს მიართმევენ. ამ უკიდევანო ყანების დანახვაზე, ახლაც ნალველი შემომანვება ხოლმე გულზე, და, როდესაც მათ მატარებლით ან მანქანით გვერდზე ჩავუვლი, ყოველთვის თვალებს ვხუჭავ, რადგან შიში მიპყრობს, ვაითუ სიმინდის ყანებში მთელ დედამიწას სარტყელივით გარს შემოევლოს-მეთქი.

მძულდა თავნება მინდორი, სარეველა მცენარეებს, გარეულ ცხოველებსა და მწერებს რომ შთანთქავდა, რათა კულტურული მცენარეები და შინაური ცხოველები გამოეკვება. ყოველი ხოდაბუნი, სიკვდილის სახეობის უკიდევანო პანოპტიკური და ყვავილოვანი გვამების ნადიმი იყო. აქ ბუნება სიკვდილში ვარჯიშით ერთობოდა. ყვავილებს კისრის, ცხვირის, თვალების, ტუჩების, ენის, თითების, ჭიპის და დვრილების ფორმა მიელოთ, ლეროებს ზოგან ცვილისფერი, ზოგან კი თეთრი ან სისხლისფერი დაჰკრავდა, ანდა ლურჯად იყვნენ დაფორაჯებული; ასე მწვანესთან შეწყვილებულები, ისინი ანიავებდნენ იმას, რაც მათ არ ეკუთვნოდა. შემდეგ ეს ფერები, როგორც თავად მოეპრიანებოდათ, ისე იჭრებოდნენ მიცვალებულის სხეულში, ამქვეყნად დარჩენილები კი სულელები იყვნენ, რადგან დაჟინებული სურვილი ჰქონდათ ამისა. ჰოდა, ყვავილები მიცვალებულებზე ჰყვავოდნენ, რაკი ხორცი სიცოცხლეს ემშვიდობებოდა. მიცვალებულებთან სტუმრობა მოგონებად მიტოვებდა გალურჯებული ხელის ფრჩხილებს, ყვითელ ხრტილს, მომწვანო ყურის ბიბილოებზე, რომლისთვისაც მცენარეებს უკვე ჩაესოთ კბილი, და, სამარეში კი არა, ჯერ კიდევ აქ, ამ ლამაზად მორთულ ოთახში შესდგომოდნენ თავის ლპობით საქმიანობას. დავდიოდი სოფლის ქუჩებში,

გვერდზე ჩავუვლიდი ხოლმე სახლებს, ჭებს და ხეებს, და, ვფიქრობდი: ეს ყველაფერი ხომ ჯღანმანია, ადამიანი კი ასფალტის გაშლილ ხალიჩაზე უნდა ცხოვრობდეს, რომელსაც მხოლოდ ქალაქში ნახავ-მეთქი. არ მინდოდა ამ აყვავებულ პანოპტიკუმს ჩავვარდნოდი ხელში, ფერებს აგრერიგად რომ ანიავებდა; არ მინდოდა ჩემი სხეული ყვავილებით შენიღბული, ზაფხულის გაუმადლარი ხვატის ხელში ჩამეგდო. ნდომით კი აი რა მინდოდა: როგორმე გავცლოდი ამ ჯღანმანს და იმ ხალიჩაზე ამომეყო თავი, სადაც ასფალტი ისე მჭიდროს ეკვრის ლანჩებს, რომ მინიდან სიკვდილი ფეხის კოჭებზე არ გეხახუნება. მინდოდა ქალაქელი ქალებივით ფრჩხილებზე წითელი ლაქი ნამესვა და მატარებლით მემგზავრა, სალამანდრის კოპნია ფეხსაცმლით გამეველო ასფალტზე, ყურში ჩამესმოდა საკუთარი ნაბიჯების მომაბეზრებელი ბაკაბუკი, როგორც ეს ქალაქში ორჯერ ჩასულმა, ექიმთან მისვლის დროს განვიცადე. მცენარეების ხახაში ცხოვრებას ვერ ვგეუბოდი, საერთოდ ენა ვერა და ვერ გამოვნახე მწვანე ათინათთან, კანზე რომ ირეკლებოდა, თუმცა გლეხების მეტს არავის ვიცნობდი. ყოველთვის მესმოდა, რომ მინდორი მხოლოდ იმიტომ გამომკვებავდა, ბოლოს და ბოლოს რომ შევესანსლე. ვერაფრით ვერ ვხვდებოდი, როგორ შეიძლებოდა კაცს თავისი სიცოცხლე ისეთი გარემოსთვის მიენდო, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე აგრძნობინებდა, რომ ის სიკვდილის პანოპტიკუმის კანდიდატია.

ჰოდა, ჩემი უილაჯობის ბრალი იყო, რომ საკუთარ საქციელში დარწმუნებული თავად არ ვიყავი, ხოლო თავში რა მიტრიალებდა, ამას ვერავინ მიხვდებოდა. საკუთარი თვალსაწიერი ისე უნდა გამეფართოვებინა, რომ ის, ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში, ვერაფრით ვერ შევსებულიყო. ნარმავალობის მოახლოების პროვოცირებას ვახდენდი, ვერ გამომენახა ის სანყალი, ჩვეულებრივ ცხოვრებას რომ შემადლებინებდა.

გერმანულიდან თარგმნა
ნანა გოგოლაშვილი

პრეზენტაციები

დიდი სამყაროს სასწაულები
(გურამ პეტრიაშვილის წიგნის წარდგინება)

მწერალი როსტომ ჩხეიძე საღამოს რომ გახსნის, იტყვის:

– ჩვენთვის ის არის ადამიანი, რომელიც ვერ ცხოვრობდა ლიტერატურული დუღილის გარეშე და ხშირად თვითონვე იწვევდა ამ დუღილს – მძაფრ მღელვარებას სალიტერატურო პრობლემების გარშემო.

შემდეგ კი ისაუბრებს ლიტერატურული ზღაპრის ტრადიციაზე, ჟანრზე, რომელსაც ღრმა ფესვები აქვს ქართულ მწერლობაში, საბჭოთა ეპოქაში კი თავისთავადი მნიშვნელობის გარდა, პოლიტიკური პაპფლეტის დატვირთვაც ჰქონდა. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევა გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების ციკლს – რომელშიც ავტორმა დიდ წარმატებებს მიაღწია – და ევროპული მწერლობის ნაწილად მოიხსენიებს.

მწერალი ნინო სადღობელაშვილი ორიგინალური მოხსენებით გაგვიღებს გურამ პეტრიაშვილის სამყაროს კარს და ამ არაორდინარული ზღაპრების ჭუჭყრუტანიდან ბავშვობაში გაგვახედებს. აქედან დაგვანახებს ცასაც და მიწასაც, სამყაროს, რომელიც წილად სწორედ ასეთი გვარგუნა ბედისწერამ.

ბავშვობაზე დააფიქრებს, იმ ხანას მონატრებს ეს წიგნი ჟურნალისტსა და ლიტერატორს სოფიო ჯაფარიძესაც.

პოეტი მარიამ ნიკლაური კი თავისი საინტერესო გამოსვლით ლამის თანამოხსენებითაც რომ წარდგება შეკრებილთა წინაშე, საბავშვო ლიტერატურის თავისებურებებზე ისაუბრებს, გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების შერეულ პერსონაჟებსაც გაიხსენებს – უცნაურ, ზღაპრისთვისაც უჩვეულო ადამიანებს, თავის თავში სიყვარულს რომ დაატარებენ, და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ევროპის საბავშვო ფანტასტთა კონკურსზე უკრაინამ სწორედ ეს მწერალი წარადგინა და კიდევაც დაიმსახურა პირველი პრიზი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ელისო კალანდარიშვილი გურამ პეტრიაშვილთან პირველ შეხვედრას გაიხსენებს, შთაბეჭდილებას, ახალი სამყაროს აღმოჩენას რომ ჰგავდა და მერე ამ სამყაროს ულოგიკო ლოგიკის, უწესრიგო წესრიგის, უსაზღვრებო საზღვრების ახსნასა და გახსნაზე ისაუბრებს.

შეკრებაზე გურამ პეტრიაშვილის ხმაურიან გამოსვლებსაც გაიხსენებენ, მწვავე მსჯელობას ქართული ენის პრობლემების შესახებ. და კიდევ ჩაულრმავდება ამ

საკითხს პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

ასეთი გურამ პეტრიაშვილი შემოგვინახა ოთარ ჩხეიძემ რომანში „არტისტული გადატრიალება“, 1991 წლის 22 დეკემბრის სატელევიზიო გამოსვლას რომ აგვიწერს, მწერალი კი მის საუბარს ციციერონის ორატორობას შეადარებს.

სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი სალომე კაპანაძე მიმოიხილავს პერსონაჟთა სახე-სიმბოლოებს, იმ რეალობას – 90-იან წლებს – თავისი ფსიქოლოგიური დრამატიზმითა და ანატომიით, გმირებითა და ანტიგმირებით, დამარცხებულებითა და ფსევდოგამარჯვებულებით, და ამ უნივერსალურ პერსონაჟებს დროში განაზოგადებს.


ფიზიკოსი და მთარგმნელი თემურ ნადარეშიძე ზღაპრის ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, ამ ჟანრისთვის გურამ პეტრიაშვილის მიერ განეულ ღვანლსა და მისი დიდი სამყაროს სასწაულებზე ისაუბრებს.

პროფესიით ექიმი და ლიტერატურის გერმანი ლევან ქურციკაშვილი ერთ-ერთ ეპიზოდს გაიხსენებს მწერალთან შეხვედრისა, ქართული ენისადმი მის დამოკიდებულებას რომ გამოხატავს, და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს ბატონი გურამის მოქალაქეობრივ სიფხიზლეში, თავდადებაში ეროვნულობის სადარაჯოზე, ამის გამო ცოტათი ახირებული კაცის შთაბეჭდილებასაც რომ ტოვებდა გარშემომყოფებზე.

კინომხატვარი თემურ არჯევანიძე საინტერესო ამბებს მოიგონებს მწერლის ცხოვრებიდან, სამომავლოდ მემუარებადაც რომ აქვს ჩაფიქრებული, ჯერ კი „ნეილონის ნაძვის ხესა“ და მის გმირს გაგვახსენებს შეკრებილებს, ავტობუსიდან ჩამოგდებულ მგზავრს – პერსონაჟს გურამ პეტრიაშვილს – და დასძენს:

დროა ჩვენც შემოვბრუნდეთ, ჩვენც მოვძებნოთ და ჩამოვიყვანოთ კაცი, რომელიც საქართველოს დააკლდაო.

საღამოს კი კიდევ ერთი განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა – გამომსვლელებს შორის დარბაზს კვარტეტი „კესანე“ იპყრობდა, ლელა თათარაიძე, რუსუდან ჯოჯუა, იზოლდა ფიფია და მარინა გიორგაძე ახმიანებდნენ ქართულ ჰანგებს, შთაგონებულს გურამ პეტრიაშვილთან პირადი შეხვედრით კიევში, ერთ-ერთი გასტროლებისას, და მაშინდელი შთაბეჭდილებებით.



ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების – იგივე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ – სალონში ეს მეორე შეხვედრაა ისეთი, მთავარი გმირის გარეშე რომ იმართება. პირველად ასე მაშინ მოხდა, კონსტანტინე ზ. გამსახურდიას მონოგრაფია რომ განიხილეს – იმ დროს ავტორი შვეიცარიაში იმყოფებოდა ემიგრანტის სტატუსით.

ამჯერად შეკრების მიზეზი ზღაპრების კრებული – „პატარა ქალაქის სასწაულები“ იყო, რომლის ავტორი გურამ პეტრიაშვილი აგერ უკვე ოცი წელია ემიგრაციაშია, უკრაინაში, თუმცა სულიერად ჩვენს რეალობას არ მონყვევთა და კვლავაც გულდასმით უკირიკიტებს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ტკივილსაც და სიხარულსაც.